



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/3309  
01/06/2021

3309-09-2-202106011212



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის  
აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ ეკა ურუშაძეს

ასლი: ქალბატონ ლია თოდუას

#3-733 წერილის პასუხად გიგზავნით სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2018-2021 წლების პროგრამებსა და ანგარიშებს (იხილეთ დანართები - 4 WinRAR ZIP ფაილი).

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი



## სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა

### მუხლი I. შესავალი

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორთა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის სამოქმედო გეგმას.
2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის/სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

### მუხლი II. პროგრამის საფუძვლები

პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონი, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533-ე დადგენილება. „ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №55-ე დადგენილება, „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722-ე დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90-ე დადგენილება, „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ

ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581-ე დადგენილება, „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567-ე დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22-ე დადგენილება, „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №118 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოტხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №577 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება, „სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №262-ე დადგენილება, „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 29 ოქტომბრის №2-235-ე ბრძანება, „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესები და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 301/ნ ბრძანება, „მეცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის N10 დადგენილება, „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილება, „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N510 დადგენილება, „სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის N497 დადგენილება, „სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N547 დადგენილება, „ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზის და გამოკვლევის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის N195 დადგენილება, „ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულებისა და წონის კონტროლის მიზნით რაციონის სრულად ჩანაცვლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის №370 დადგენილება, „ხილის წვენისა და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის №536 დადგენილება.

2. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება სურსათის ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე სურსათის წარმოების (მათ შორის პირველადი წარმოების), გადამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე.

3. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

### **მუხლი III. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზანია:

- ა) სურსათის ბიზნესოპერატორების სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- ბ) სურსათის წარმოების, ასევე პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ბიზნესოპერატორის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოფხვრა;
- გ) მავნე სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების შემცირება;

დ) მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

#### **მუხლი IV. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტოს) უფლებამოსილი პირები.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს აღნიშნული კოდექსის 64-ე - 74<sup>3</sup>-ე მუხლების და „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

#### **მუხლი V. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

##### **1. ინსპექტირება - გეგმიური ინსპექტირება/არაგეგმიური ინსპექტირება:**

ა) სააგენტოს მიერ ადამიანური და ფინანსური რესურსების, ასევე ბიზნესოპერატორებთან წინა წელს განხორციელებელი გეგმიური ინსპექტირებების რაოდენობის გათვალისწინებით, განისაზღვრა 2018 წელს განსახორციელებელი სურსათის ბიზნესოპერატორების გეგმიური ინსპექტირების რაოდენობა:  **$N = P \times 70$** .

სადაც:

- N - წლის განმავლობაში განხორციელებული გეგმიური ინსპექტირების რაოდენობა;
- P - უფლებამოსილი პირების რაოდენობა;
- რიცხვი 70 - წლის განმავლობაში ერთი უფლებამოსილი პირის მიერ განსახორციელებელი გეგმიური ინსპექტირების რაოდენობა.

ბ) ბიზნესოპერატორების გეგმიური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრისათვის შემუშავებული 4 კრიტერიუმის ქულების დაჯამებით მიღებული შედეგების მიხედვით ამ პროგრამის დანართი N 1.1-ის შესაბამისად.

გ) ბიზნესოპერატორების გეგმიური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის შედეგად მინიჭებული ქულების შესაბამისად, ქულების კლებადობის მიხედვით.

დ) იმ ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება, რომლებიც წარმოადგენენ აგრარულ ბაზრებს, საბავშვო ბაღების კვების ბლოკებს, ახორციელებენ თხილისა და დაფნის ექსპორტს, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტს, ცხოველის დაკვლას ან/და ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, განხორციელებს რისკის დონის განსაზღვრის გარეშე შემდეგი სიხშირით:

დ.ა) აგრარული ბაზრების, საბავშვო ბაღების კვების ბლოკების, თხილისა და დაფნის ექსპორტიორების, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტიორების, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ერთხელ;

დ.ბ) იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ცხოველის დაკვლას, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ოთხჯერ.

დ.გ) იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ორჯერ.

ე) კონკრეტული ბიზნესოპერატორისთვის ერთ კრიტერიუმში ჩამოთვლილი რამდენიმე პუნქტით განსაზღვრული ქულების შეჯამება არ ხდება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ბიზნესოპერატორს მიენიჭება მაქსიმალური ქულა;

ვ) კრიტერიუმების შემუშავებას საფუძვლად დაედო კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები“, (CAC/GLL 62-2007 “Working Principles for Risk Analysis for Food Safety for Application by Governments”), კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „მიკრობიოლოგიური რისკების მართვის (MRM) პრინციპები“, (CAC/GLL63-2007 – “Principles and Guidelines for The Conduct of Microbiological Risk Management), ‘სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების კლასიფიკაცია რისკის ჯგუფებში“ (KT-2-1-D3 - “Classification of Food Handling Businesses Into Risk Groups” - ლიტვის სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის სამუშაო ინსტრუქცია);

ზ) არაგეგმური ინსპექტირება - განხორციელდება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის 1533 დადგენილების შესაბამისად.

## **2. მონიტორინგი:**

ა) სურსათის ბიზნესოპერატორების მონიტორინგი განხორციელდება სურსათის ნიმუშების/სინჯების აღებისა და დოკუმენტური შემოწმების გზით;

ბ) მონიტორინგის ფარგლებში სურსათის ნიმუშების/სინჯების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრა განხორციელდა დანართი N1.2-ის შესაბამისად;

გ) სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2018 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 4 436 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (დანართი 1.3);

დ) დოკუმენტური შემოწმების დროს განხორციელდება:

დ.ა) სურსათის ეტიკეტის შემოწმება, კერძოდ, შემოწმდება სურსათთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, სავაჭრო ნიშანი, დასახელება, ილუსტრაცია ან სიმბოლო, განთავსებული შეფუთვაზე, დაფასობაზე ან/და მასთან დაკავშირებულ თანდართულ დოკუმენტზე;

დ.ბ) სურსათის, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, სურსათთან დაკავშირებული ტარისა და შესაფუთი მასალის მიკვლევადობის შემოწმება წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

დ.გ) ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის შემოწმება;

დ.დ) ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტის შემოწმება;

დ. ე) სურსათის ვარგისიანობის ვადის შემოწმება.

### **3. ნიმუშის აღება და დოკუმენტური შემოწმება:**

ა) ნიმუშის აღება ხორციელდება ორგანოლექტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოსაკვლევად, რათა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი;

ბ) ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად;

გ) დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად, ან სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება სურსათის ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტური შემოწმება;

დ) დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს ასევე, დამოუკიდებლად;

ე) შემოწმების პრიორიტეტი ენიჭება: ხორცის სარეალიზაციო ობიექტებს, საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკებს, რომელთა გეგმური დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება წელიწადში 2-ჯერ.

ვ) არაგეგმური დოკუმენტური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს:

ვ.ა) სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე;

ვ.ბ) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოს შეტყობინების საფუძველზე;

ვ.გ) სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, სურსათი/ცხოველის საკვები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს;

ვ.დ) სააგენტოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც შემტყობინებელი პირისა და შეტყობინებით გათვალისწინებული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

ვ.ე) სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

4.ზედამხედველობის დროს განხორციელდება დაკვირვება:

ა) სურსათის განადგურებაზე;

ბ) ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზრიდან და მომხმარებლისგან გამოთხოვაზე;

გ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

## **მუხლი VI. მოსალოდნელი შედეგები**

1. ბიზნესოპერატორად დარეგისტრირებულ სურსათის მწარმოებელ საწარმოებს მიეცემათ შესაბამისი რეკომენდაციები არსებული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით.

2. შემცირდება საფრთხის შემცველი სურსათის წარმოების და ბაზარზე განთავსების ფაქტები.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის და სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე სურსათის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.



სურსათის მწარმოებელი საწარმოს რისკის დონის კრიტერიუმები

#	რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმი	ქულა
1.	<b>გადამუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები:</b>	
	<b>ა) ცხოველური წარმოშობის სურსათი:</b>	
	ა.ა) ხორცი და ხორცის პროდუქტები	35
	ა.ბ) რძე და რძის პროდუქტები	35
	ა.გ.) თევზი და თევზის პროდუქტები	35
	ა.დ) კვერცხი	20
	ა.ე) ცხოველური წარმოშობის სხვა სურსათი	25
	<b>ბ) მცენარეული წარმოშობის სურსათი:</b>	
	ბ.ა) ხილი, ბოსტნეული	15
	ბ.ბ) უალკოჰოლო სასმელები, წვენები	25
	ბ.გ) მარცვლეული, ფქვილი და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი	15
	ბ.დ) კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი	25
	ბ.ე) შაქარი, მარილი	15
	ბ.ვ) ჩაი, ყავა	15
	ბ.ზ) საკვებდანამატები, სანელებლები, საკაზმები	25
	ბ.თ) ალკოჰოლური სასმელები	15
	ბ.ი) სასმელი წყალი	25
	ბ.კ) მცენარეული წარმოშობის სხვა სურსათი (ზეთები, ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი და სხვ.)	15
	გ) ნახევარფაბრიკატები	25
	დ) საღებავი რეზინი	15
	ე) მზა კერძები	25
	ვ) კონსერვი	35
	ზ) ბავშვთა კვების პროდუქტები	35
	თ) ცხოველთა საკვები	25
	ი) სხვა დასახელების სურსათი	15
2.	<b>საქმიანობის ტიპი</b>	
	ა) წარმოება, გადამუშავება, ცხოველთა დაკვლა	20
	ბ) პირველადი პროდუქტების წარმოება	5
	გ) შეფუთვა	5
	დ) რძის შეგროვება	15
	ე) საბითუმო ვაჭრობა, დასაწყობება, დისტრიბუცია	5

	ვ) საცალო ვაჭრობა მაღაზიებში	5
	ზ) საცალო ვაჭრობა ბაზრებში და მოძრავ ობიექტებში	5
	<b>თ) საზოგადოებრივი კვება:</b>	
	თ.ა) კაფე, რესტორანი, ბუფეტი, სასადილო და ა.შ.	10
	თ.ბ) ბუფეტი საკოლამდელო ბავშვებისათვის	15
	თ.გ) ბუფეტი სკოლის ასაკის ბავშვებისათვის	10
<b>3.</b>	<b>წარმადობა (ბიზნესოპერატორის წინა წლის ბრუნვა ლარებში)</b>	
	ა) 5 000 000 და მეტი	15
	ბ) 200 000-დან 5 000 000-მდე	10
	გ) 0-დან 200 000-მდე	5
	დ) არ აქვს წლიური ბრუნვის მაჩვენებელი (ახლად რეგისტრირებული მეწარმე)	15
<b>4.</b>	<b>ბიზნესოპერატორის ისტორია:</b>	
	ა) სააგენტოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევა	
	ა.ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 64-ე მუხლით	30
	ა.ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილით	30
	ა.გ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით	10
	ა.დ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილით	30
	ა.ე) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 67-ე მუხლით	20
	ა.ვ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით	20
	ა.ზ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით	30
	ა.თ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 70-ე მუხლით	20
	ა.ი) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით	10
	ა.კ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით	30
	ა.ლ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>2</sup> მუხლით	30
	ა.მ) სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით	20
	ბ) შეტყობინება RASFF-დან	30
	გ) სახელმწიფო კონტროლი არ განხორციელებულა	30

## დანართი 1.2

## მონიტორინგი - ნიმუშის აღება

## მეთოდოლოგია

მონიტორინგის დროს ასაღები სურსათის ნიმუშების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა:

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები:

1.1. წინა წლებში მოსახლეობასა კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები;

1.2. სურსათის მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;

1.3. გარემოს დაბინძურების შემთხვევები;

1.4. მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;

1.5. სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

2. ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის #22 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესისა“ და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის #639 დადგენილებით დამტკიცებული „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

## ქულების მინიჭების მატრიცა

აღბათობა	სიმძიმე		
	1	2	3
1	1	2	3
2	2	4	6
3	3	6	9

დაბალი რისკი -  $(1 - 3) = 0,05$  ქულა

საშუალო რისკი -  $(4) = 0,15$  ქულა

მაღალი რისკი -  $(6 - 9) = 0,5$  ქულა

სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების და სურსათის უვნებლობის მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა

მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

➤ მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)

➤ წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი

➤ მოსახლეობაში კვებითი მომხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები

თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი.

**კრიტერიუმი – მიკრობიოლოგიური საფრთხის კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)**

იდენტიფიცირებული იქნა 5 მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი: სალმონელა, *Listeria monocytogenes*, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი, ჰისტამინი, ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

– სალმონელა - 0,15 ქულა;

– *Listeria monocytogenes* – 0,05 ქულა;

– სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი – 0,05 ქულა;

– ჰისტამინი - 0,15 ქულა;

– ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე – 0,5.

**კრიტერიუმი – წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები**

სააგენტოს 2017 წლის 11 თვის მონაცემებით:

– სურსათში სალმონელას კვლევა - აღებული იქნა სურსათის 1 275 ნიმუში, სალმონელა აღმოჩნდა 7 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 0,55%;

– სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა - აღებული იქნა სურსათის 320 ნიმუში, *Listeria monocytogenes* არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში. ამდენად, დარღვევამ შეადგინა 0%;

– სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი – აღებული იქნა სურსათის 65 ნიმუში, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში. ამდენად, დარღვევამ შეადგინა 0%;

– ჰისტამინი - აღებული იქნა სურსათის 117 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. ამდენად, დარღვევამ შეადგინა 0%;

– ბრუცელოზი – აღებული იქნა ნედლი რძის 66 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 7 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 10,6%.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;

- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;

- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

– სურსათში სალმონელას კვლევა - 0,05 ქულა;

– სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა - 0,05 ქულა;

- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი – 0,05 ქულა;
- ჰისტამინი – 0,05 ქულა;
- ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე – 0,5.

**კრიტერიუმი – მოსახლეობაში კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები** გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2017 წლის 11 თვის წინასწარი სტატისტიკური მონაცემები.

- სალმონელოზი – 151 შემთხვევა;
- ლისტერიოზი – 0 შემთხვევა (ლისტერიოზზე ეპიდზედამხედველობა არ არის დამყარებული);
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი – მონაცემები არ არსებობს;
- ჰისტამინი – მონაცემები არ არსებობს;
- ბრუცელოზი – 203 შემთხვევა.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 100-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- შემთხვევების რაოდენობა 101-დან 200-ჩათვლით და შემთხვევების შესახებ მონაცემების არასებობა მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 200-ზე მეტი შემთხვევა.

*შენიშვნა: მონაცემების არასებობის გამო, ყველა მაჩვენებელი შეფასდა საშუალო რისკად.*

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სალმონელა – 0,15 ქულა;
- Listeria monocytogenes – 0,15 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი – 0,15 ქულა;
- ჰისტამინი – 0,15 ქულა;
- ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე – 0,5 ქულა.

**მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა**

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმ o - 1	კრიტერიუმ o - 2	კრიტერიუმ o - 3	მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი
სალმონელა	0,15	0,05	0,15	0,35
Listeria monocytogenes	0,05	0,05	0,15	0,25
სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	0,05	0,05	0,15	0,25
ჰისტამინი	0,15	0,05	0,15	0,35
ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე	0,50	0,50	0,50	1,50

## მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობის დადგენა

სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში. „საქსტატის“ მონაცემებით 2016 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **475 კგ. სურსათი** (*შენიშვნა: 2017 წლის ოთხივე კვარტლის მონაცემები 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის შესახებ არ არის ცნობილი*).

თვითონ სურსათის დაყოფა მოხდა პირობითად 7 სახეობად - ხორცი და ხორცის პროდუქტები (მ.შ. ფრინველის ხორცი), თევზი და თევზის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი და კვერცხის პროდუქტები, ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვება, არაცხოველური წარმოშობის სურსათი და სასმელები.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის #581 დადგენილებით დამტკიცებული "სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" გათვალისწინებით:

- **სალმონელას** ლაბორატორიული ტესტირება კვლევა ხორციელდება ყველა სახეობის სურსათზე, სურსათში სალმონელას კვლევის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობა (**475 კილოგრამი**).

- **Listeria monocytogenes**-ზე ლაბორატორიული ტესტირება ხორციელდება ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვების სურსათზე, ასევე, მზა სურსათზე. ამდენად, სურსათში *Listeria monocytogenes* კვლევის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობის 35%, რამაც შეადგინა 166 კილოგრამი.

- **სტაფილოკოკურ ენტეროტოქსინზე** ლაბორატორიული ტესტირება ხორციელდება ყველში, მშრალ რძესა და მშრალ შრატში. „საქსტატის“ მონაცემებით 2016 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **143 კგ. რძე და რძის პროდუქტები**. ამდენად, სურსათში სტაფილოკოკური ენტეროტოქსინის კვლევის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული რძისა და რძის პროდუქტების საერთო რაოდენობის 35%, რამაც შეადგინა **50 კილოგრამი**.

- **ჰისტამინის** ლაბორატორიული ტესტირება ხორციელდება თევზის პროდუქტებზე. „საქსტატის“ (ექსპორტი) და სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული (წარმოება) მონაცემებით 2016 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **4,9 კგ. თევზი და პროდუქტები**. ამდენად, სურსათში ჰისტამინის კვლევის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული თევზისა და თევზის პროდუქტების საერთო რაოდენობა (**4,9 კილოგრამი**).

- **ბრუცელოზის** გამომწვევის ლაბორატორიული კვლევები ვრცელდება ნედლ რძეზე. „საქსტატის“ მონაცემებით 2016 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **143 კგ. რძე და რძის პროდუქტები**. ამდენად, ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე მაჩვენებლის

განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული რძე და რძის პროდუქტების საერთო რაოდენობა (143 კილოგრამი).

აღნიშნულისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის #581 დადგენილებით დამტკიცებული "სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" გათვალისწინებით, წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A \times n$

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა

K – მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

n - მაჩვენებლის ტექნიკური რეგლამენტის ნიმუშის აღების გეგმის მიხედვით განსაზღვრული რაოდენობა.

ამდენად, 2018 წელს სურსათის ასაღებმა ნიმუშებმა შეადგინა:

– სურსათში სალმონელას კვლევა

$$N = K \times A \times n = 0,35 \times 475 \times 5 = 831 \text{ ნიმუში}$$

– სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა

$$N = K \times A \times n = 0,25 \times 166 \times 5 = 207,5 = 200 \text{ ნიმუში}$$

– სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი

$$N = K \times A \times n = 0,25 \times 50 \times 5 = 62,5 = 60 \text{ ნიმუში;}$$

– ჰისტამინი

$$N = K \times A \times n = 0,35 \times 4,9 \times 9 = 15,5;$$

თევზის (შავი ზღვის ქაფშიას) ევროპის ქვეყნებში ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით და ევროკავშირის მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია აღებული იქნეს თევზის ნიმუშების 12-ჯერ მეტი ჯერადობით.

ამდენად, ჰისტამინის ლაბორატორიული ტესტირებისათვის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 180 ნიმუში.

– ბრუცელაზის გამომწვევი

$$N = K \times A \times n = 1,5 \times 143 = 214,5 = 220 \text{ ნიმუში (შენიშვნა: ტექნიკური რეგლამენტით არ არის გათვალისწინებული).}$$

**სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა**

სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

➤ სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)

➤ წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი

➤ არამიკრობული ბუნების კვებითი მოშხამვები

**თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების კოეფიციენტი.**

იდენტიფიცირებული იქნა 3 საკვლევი კომპონენტი: არაცხოველური წარმოშობის სურსათი; მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა; სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა.

**კრიტერიუმი – სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)**

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათი - 0,05 ქულა;
- მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა – 0,05 ქულა;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - 0,05.

**კრიტერიუმი – წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი**

სააგენტოს 2017 წლის 11 თვის მონაცემებით:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათი - აღებული იქნა სურსათის 490 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 41 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 8,37%;
- მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა - აღებული იქნა სურსათის 71 ნიმუში (მ.შ. 36 ბიფენტრინის შემცველობაზე), დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევამ შეადგინა 0%;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - აღებული იქნა სურსათის 136 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 14 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 10,3%;

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათი - 0,05 ქულა;
- მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა – 0,05 ქულა;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - 0,5 ქულა.

**კრიტერიუმი – არამიკრობული ბუნების კვებითი მოშხამვები**

- არაცხოველური წარმოშობის სურსათი - მონაცემები არ არსებობს;



– მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა – მონაცემები არ არსებობს;

– სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - მონაცემები არ არსებობს.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

– არაცხოველური წარმოშობის სურსათი - 0,15;

– მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა – 0,15;

– სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - 0,15.

*შენიშვნა: მონაცემების არარსებობის გამო, ყველა მაჩვენებელი შეფასდა საშუალო რისკად.*

**სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა**

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი - 1	კრიტერიუმი - 2	კრიტერიუმი - 3	მაჩვენებლის კოეფიციენტი
არაცხოველური წარმოშობის სურსათი	0,05	0,05	0,15	<b>0,25</b>
მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა	0,05	0,05	0,15	<b>0,25</b>
სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	0,05	0,50	0,15	<b>0,7</b>

**სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები**

**ნიმუშების რაოდენობის დადგენა**

სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში. „საქსტატის“ მონაცემებით 2016 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **475 კგ. სურსათი, მათ შორის მცენარეული წარმოშობის სურსათმა შეადგინა 300 კგ.** (*შენიშვნა: 2017 წლის ოთხივე კვარტლის მონაცემები 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის შესახებ არ არის ცნობილი*).

სამივე საკვლევი მაჩვენებლის შემთხვევაში (არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა და სურსათში

ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა) პირობითად მიღებული იქნა 300 კგ მცენარეული წარმოშობის სურსათის 1 ადამიანის მიერ მოხმარება (სულ: 300 კგ. სურსათი).

ამასთან, სააგენტოში 2017 წლის 11 თვის განმავლობაში RASFF-ის შეტყობინებების გათვალისწინებით, გაზრდილია საქართველოდან ექსპორტირებულ თხილში აფლატოქსინების მაქსიმალურ სიდიდეზე მეტი შემცველობის ფაქტები. აღნიშნულისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის #185 დადგენილებით დამტკიცებული "თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის", 2015 წლის 9 ნოემბრის #567 დადგენილებით დამტკიცებული "სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის", 2014 წლის 26 დეკემბრის #714 დადგენილებით დამტკიცებული „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა“ და 2015 წლის 27 ივლისის #376 დადგენილებით დამტკიცებული „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ სახელმწიფო კონტროლის მიზნით, ამასთანავე, 2018 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის #536 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ხილის წვენი და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების შესახებ“ ძალაში შესვლის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, არაცხოველური წარმოშობის სურსათის სააგენტოს მიერ ასაღები ნიმუშების რაოდენობა გაზრდილი იქნას 4-ჯერ.

ამდენად, „მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრასა“ და „სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრის“ შემთხვევებში სურსათის ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A$ , ხოლო, „არაცხოველური წარმოშობის სურსათის“ მაჩვენებლის შემთხვევაში -  $N = K \times A \times 4$

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

ასაღები სურსათის ნიმუშებმა შეადგინა:

**არაცხოველური წარმოშობის სურსათის კვლევა**

$N = K \times A \times 4 = 0,25 \times 300 \times 4 = 300$  ნიმუში;

**მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა**

$N = K \times A = 0,25 \times 300 = 75$  ნიმუში;

**სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა**

$N = K \times A = 0,7 \times 300 = 210$  ნიმუში.

### სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა

სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

➤ სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით

- წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება
- მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები

თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის კოეფიციენტი.

**კრიტერიუმი - სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით**

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი - 0,15 ქულა.

**კრიტერიუმი – წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება**

2017 წლის 11 თვის მონაცემებით:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული)- აღებული იქნა სურსათის 522 ნიმუში/სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 224 სინჯში. დარღვევამ შეადგინა 43%;

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული) - 0,5 ქულა.

**კრიტერიუმი - მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები**

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული) - მონაცემების არარსებობის გამო, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შეტყობინებას დაქვემდებარებული ავადმყოფობებიდან გამოყოფილი იქნა დაავადებები, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს სასმელ წყალს, კერძოდ, გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2017 წლის 11 თვის წინასწარი სტატისტიკური მონაცემები:

- სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების შემთხვევათა რაოდენობა - 16 235 შემთხვევა;
- შიგელოზი - 439 შემთხვევა;
- ვირუსული ჰეპატიტი A - 3 შემთხვევა.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 100-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- შემთხვევების რაოდენობა 101-დან 200-ჩათვლით და შემთხვევების შესახებ მონაცემების არარსებობა მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 200-ზე მეტი შემთხვევა.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული) - 0,5 ქულა.

## სასმელი წყლის სინჯების კოეფიციენტის დადგენა

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

– სასმელი წყალი (მ.შ. დაფასობული) -  $0,15 + 0,5 + 0,5 = 1,15$  ქულა.

## ლაბორატორიული კვლევისათვის სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის დადგენა

სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #58 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-2 მუხლის #7 ცხრილით მიმწოდებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში სასმელი წყლის გამოსაკვლევი სინჯების რაოდენობა. წინა წლების სასმელი წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევის შედეგებში მიკრობული დაბინძურების მაღალი მაჩვენებლისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სტატისტიკის გათვალისწინებით, შერჩეული იქნა 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა, რაც ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად შეადგენს 365 სინჯს.

სასმელი წყლის ასაღები სინჯების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A$

სადაც, N არის ასაღები სინჯების რაოდენობა

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი

A – 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა

ასაღები სასმელი წყლის სინჯებმა შეადგინა:

$$N = K \times A = 1,15 \times 365 = 419,75 = 420 \text{ სინჯი.}$$

## სხვა ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა

სურსათის ლაბორატორიული კვლევისათვის მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების გარდა, ახალი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული მაჩვენებლების კონტროლის და მომხმარებელთა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინება და დაცვის (მ.შ. ფალსიფიკაციისაგან) მიზნით განსაზღვრული იქნა 6 პროგრამა: რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა; ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა; ალკოჰოლური სასმელები (მ.შ. ჩამოსასხმელი); სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა; ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა; ხორცპროდუქტებში ძვლის შემცველობის განსაზღვრა.

2017 წლის 11 თვის მონაცემებით:

– რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა - აღებული იქნა სურსათის 100 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევამ შეადგინა 0%;

- ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა - აღებული იქნა სურსათის 21 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 10 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 47,62%;

- ალკოჰოლური სასმელები (მ.შ. ჩამოსასხმელი) - აღებული იქნა სურსათის 121 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 8 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 6,61%;

- სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა - აღებული იქნა სურსათის 117 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევამ შეადგინა 0%;
- ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა - აღებული იქნა სურსათის 90 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 12 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 13,33%;
- მექანიკურად განცალკევებულ ხორცში ძვლის შემცველობის განსაზღვრა - აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევა 0%.

ბოლო 5 წლის მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

**– რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის მიზნით ნიმუშების სათანადო წესით აღება და ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება სააგენტოს მიერ დაწყებული იქნა „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ ძალაში შესვლის, კერძოდ, 2015 წლის პირველი აგვისტოდან.

2015 წელს - აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 150 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 30 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 20 %;

2016 წელს - აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 250 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 17 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 6,8 %;

2017 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 0 %.

ამდენად, დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა მკვეთრად მოიკლო.

**- ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის მიზნით ნიმუშების სათანადო წესით აღება და ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება სააგენტოს მიერ დაწყებული იქნა „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ში 2017 წლის 22 მაისს შეტანილი ცვლილების შემდგომ, ამდენად, ამ მაჩვენებელზე სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. აღნიშნული პერიოდის შემდგომ განხორციელებული ლაბორატორიული კვლევებით, დარღვევის მაჩვენებელი მაღალია (47,62%).

**- ალკოჰოლური სასმელები (მ.შ. ჩამოსასხმელი)** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის ბოლო 5 წლის მონაცემებით:

2013 წელს - აღებული იქნა ალკოჰოლური სასმელების 105 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 22 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 21 %;

2014 წელს - აღებული იქნა ალკოჰოლური სასმელების 125 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 27 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 21,6 %;

2015 წელს - აღებული იქნა ალკოჰოლური სასმელების 442 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 66 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 14,9 %;

2016 წელს - აღებული იქნა ალკოჰოლური სასმელების 403 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 53 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 13 %;

2017 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 6,61 %.

ამდენად, აღინიშნება დარღვევის პროცენტული მაჩვენებლის კლება.

- **სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის მიზნით ნიმუშების სათანადო წესით აღება და ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება სააგენტოს მიერ დაწყებული იქნა „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე, კერძოდ, 2014 წლის 11 დეკემბრიდან.

2014 წელს - აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 0 %;

2015 წელს - აღებული იქნა სურსათის 100 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 2 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 2 %;

2016 წელს - აღებული იქნა სურსათის 200 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 2 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 1 %;

2017 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 0 %.

ამდენად, აღინიშნება დარღვევის პროცენტული მაჩვენებლის კლება.

- **ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის მიზნით ნიმუშების სათანადო წესით აღება და ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება სააგენტოს მიერ დაწყებული იქნა 2014 წლიდან.

2014 წელს - აღებული იქნა სურსათის 122 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 7 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 5,74 %;

2015 წელს - აღებული იქნა სურსათის 98 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 7 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 7,14 %;

2016 წელს - სურსათის 100 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 4 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 4 %;

2017 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 13,33 %.

ამდენად, 2017 წელს აღინიშნება დარღვევის პროცენტული მაჩვენებლის მკვეთრი მატება.

- **მექანიკურად განცალკევებულ ხორცში ძვლის შემცველობის განსაზღვრა** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის მიზნით ნიმუშების სათანადო წესით აღება და ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება სააგენტოს მიერ დაწყებული იქნა „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის“ 2015 წელს შესული ცვლილების ძალაში შესვლის, კერძოდ, 2015 წლის პირველი აგვისტოდან.

2015 წელს - აღებული იქნა სურსათის 37 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 0 %;

2016 წელს - აღებული იქნა სურსათის 40 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 0 %;

2017 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 0 %.

ამდენად, დარღვევა არ გამოვლენილა არცერთ გამოკვლეულ ნიმუშში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლაბორატორიული კვლევების მიზნით ასაღები ნიმუშების რაოდენობა შესაძლებელია შემცირებული იქნეს 4 პროგრამაში: რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა; ალკოჰოლური სასმელები (მ.შ. ჩამოსასხმელი); სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა; ხორცპროდუქტებში ძვლის შემცველობის განსაზღვრა. ხოლო, არსებული მონაცემების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ლაბორატორიული ტესტირების გაძლიერება და შესაბამისად, ასაღები ნიმუშების გაზრდა შემდეგ პროგრამებში: ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა; ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა.

ამდენად, ასაღები სურსათის ნიმუშებმა შეადგინა:

**რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა - 40 ნიმუში;**

**ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა - 168 ნიმუში;**

**ალკოჰოლური სასმელები (მ.შ. ჩამოსასხმელი) - 75 ნიმუში;**

**სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა - 30 ნიმუში;**

**ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა - 140 ნიმუში;**

**ხორცპროდუქტებში ძვლის შემცველობის განსაზღვრა - 25 ნიმუში.**

### **ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა**

წარმოებული სურსათის რაოდენობების შესახებ ინფორმაცია აღებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული მონაცემებიდან.

- **მსხვილფეხა საქონელი**- ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ცხოველების საერთო რაოდენობის 0,4 %-ს. დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,25%, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა.ა) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. გამონაკლისის სახით, დასაშვებია 25% ნიმუშებისა, „ა“ ჯგუფის (5) ნივთიერების (სუბსტანციის) გამოკვლევისათვის, განხორციელდეს ცხოველის საკვებში, წყალსა და სხვა მასალებში;

ა.ბ) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს სასაკლაოზე;

ა.გ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,15 %, რომელთაგან:

ბ.ა) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) დანარჩენი 30 % - უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

სააგენტოში არსებული 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 168 547 სული მრპ, აღნიშნული მონაცემით, 2018 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 202 255 სული მრპ.

**ამდენად, 2018 წელს დაკლული მსხვილფეხა საქონლიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 556 ერთეული.**

- **ლორი** - ღორების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ღორების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,02 %;

ა.ა) იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშების აღება ხდება სასაკლაოზე, აუცილებელია დამატებით, ფერმის დონეზე, ანალიზი ჩატარდეს:

ა.ა.ა) ცხოველისთვის განკუთვნილ სასმელ წყალს;

ა.ა.ბ) ცხოველის საკვებს;

ა.ა.გ) ექსკრემენტებს.

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში და ნაშთი განაწილდეს საქიროების შესაბამისად.

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,03%, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ.) დანარჩენი 30 % - უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

სააგენტოში არსებული 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 96 057 სული ღორი. აღნიშნული მონაცემით, 2017 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 115 884 სული ღორი.

**ამდენად, 2018 წელს დაკლული ღორიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 38 ერთეული.**

- **ცხვარი და თხა** - ცხვრებისა და თხების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხვრებისა და თხების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,01 %, რომელთაგან:



ა.ა) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ა.ბ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,04 %, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ.) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

სააგენტოში არსებული 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 344 000 სული წვრილფეხა საქონელი. აღნიშნული მონაცემით, 2017 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 412 800 წრკ.

**ამდენად, 2018 წელს დაკლული ცხვრიდან და თხიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 201 ერთეული.**

- **ბოცვერი** - ყოველწლიურად დაკლული ბოცვრებიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 10 ნიმუშს წლიური წარმოების (დაკლული წონა) 300 ტონაზე წარმოების პირველ 3000 ტონაზე, ხოლო ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 30%, მათგან:

ა.ა) ნიმუშების 70% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ (6) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ა.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ სხვა ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%, მათგან:

ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

სააგენტოში არსებული 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 5 935 სული ბოცვერი (1 სული ბოცვერი X 1,2 კგ - საშუალო ბოცვრის წონა/1000). აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ბოცვრების რაოდენობა, რაც სავარაუდოდ შეადგენს 7 122 სული ბოცვერს, **8,546 ტონას.**

**ამდენად, 2018 წელს დაკლული ბოცვრიდან ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული.**

- **ფრინველი** - თითოეული კატეგორიის ფრინველისათვის, ყოველწლიურად აღებული ნიმუშის მინიმალური რაოდენობა, თუ გამოსაკვლევი ფრინველის კატეგორიის წლიური წარმოება შეადგენს 5 000 ტონაზე მეტს, ყოველ 200 ტონა წლიურ პროდუქციაზე (დაკლული წონა) შეადგენს სულ მცირე 100 ნიმუშს. ყველა ჯგუფის ნივთიერებისათვის (სუბსტანციისათვის) ჯგუფების მიხედვით დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;

ა.ა) ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს;

ა.ბ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად შემოწმებული და გამოკვლეული უნდა იქნეს „ა“ ჯგუფის ნივთიერებებისათვის (სუბსტანციებისათვის) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის არაუმცირეს 5%-ისა;

ა.გ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%, რომელთაგან:

ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

სააგენტოში არსებული 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 3 117 034 სული ფრინველი (1 სული ფრინველი X 1,2 კგ - საშუალო ფრინველის წონა). 2017 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება 3 740 502 აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ფრინველის ხორცის რაოდენობა, რაც სავარაუდოდ შეადგენს 4 488 ტონას.

**ამდენად, 2018 წელს დაკლული ფრინველიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 20 ერთეული.**

- **თევზი** - თევზისათვის ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა ყოველი 100 ტონა წარმოებული პროდუქტიდან შეადგენს არანაკლებ 1 ნიმუშს. გამოვლენილი ნივთიერებები (სუბსტანციები) და საანალიზო ნიმუშები უნდა დაჯგუფდეს ამ ნივთიერებათა (სუბსტანციათა) სავარაუდო გამოყენების მიხედვით.

ყველა შემთხვევაში ფერმის დონეზე ნიმუში აიღება რეგისტრირებული საწარმოების საერთო რაოდენობის არაუმცირეს 10%-დან, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/3;

ა.ა) ფერმის დონეზე ნიმუშების აღება უნდა მოხდეს თევზის წარმოების ყველა სტადიაზე, მათ შორის, იმ თევზის ჩათვლით, რომელიც მზად არის მოხმარებისათვის და განთავსებულია ბაზარზე;

ა.ბ) საზღვაო მეთევზეობისათვის, ნიმუშის აღების სირთულის გამო, თევზის ნაცვლად შესაძლებელია განხორციელდეს ცხოველის საკვების ნიმუშის აღება;

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 2/3, რომლის დროსაც ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს:

ბ.ა) უპირატესად ფერმაში, თევზიდან, რომელიც მზად არის ბაზარზე განსათავსებლად მოხმარებისათვის;

ბ.ბ) ან გადამამუშავებელ საწარმოში, ახალი თევზიდან ან საბითუმო ბაზრიდან იმ პირობით, რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს მიკვლევადობა ფერმამდე.

გამოვლენილი ნივთიერებები (სუბსტანციები) და ნიმუშები, რომლებიც აღებულია ლაბორატორიული გამოკვლევისათვის, უნდა დაჯგუფდეს ამ ნივთიერებათა (სუბსტანციების) სავარაუდო გამოყენების მიხედვით.

თევზსაშენ მეურნეობებში მოშენებული თევზის რაოდენობაზე ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს. სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მოპოვებული იქნა 800 ტონა თევზი.

**ამდენად, 2018 წელს თევზის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 8 ერთეული.**

- მსხვილფეხა საქონლის რძე - ძროხის რძისათვის ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა შეადგენს ერთ ნიმუშს ყოველ 15 000 ტონა წლიურად წარმოებულ რძეზე, არანაკლებ 300 ნიმუშისა, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩაუტარდეს ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებზე. თითოეული ნიმუში გამოკვლეული უნდა იქნეს სულ მცირე, ოთხ სხვადასხვა ნივთიერებაზე (სუბსტანციაზე) – „ა“ ჯგუფიდან მე-6 პუნქტით განსაზღვრულ, (6), „ბ“ ჯგუფიდან პირველი პუნქტით განსაზღვრულ, (1), „ბ“ ჯგუფიდან (2.ა) და „ბ“ ჯგუფიდან (2.ე);

ბ) ნიმუშების 15%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩაუტარდეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენებზე;

გ) ნაშთი 15% უნდაგანაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

„საქსტატის“ მონაცემებით: 2016 წელს მიღებული იქნა 540100 ტონა რძე.

2017 წლის ოთხივე კვარტლის მონაცემები მსხვილფეხა საქონლის რძის რაოდენობაზე არ არის ხელმისაწვდომი.

შესაბამისად, სააგენტოს მიერ გამოყენებული იქნა ადგილობრივი წარმოების რძის 2016 წლის რაოდენობრივი მონაცემები (ჯამში 540 100 ტონა).

**ამდენად, 2018 წელს რძის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 300 ერთეული.**

- სასურსათო კვერცხი ნიმუშების წლიური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 1 ნიმუშს წლიურად მოხმარებულ 1 000 ტონა პროდუქციაზე, მაგრამ არანაკლებ 200 ნიმუშს.

„საქსტატის“ მონაცემებით: 2016 წელს მიღებული იქნა 590,4 მილიონი ცალი კვერცხი - 23 616 ტონა (კვერცხის საშუალო წონად აღებულ იქნა 40 გრ.).

2017 წლის ოთხივე კვარტლის მონაცემი სასურსათო კვერცხის რაოდენობაზე არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, სააგენტოს მიერ გამოყენებული იქნა ადგილობრივი წარმოების სასურსათო კვერცხის 2016 წლის რაოდენობრივი მონაცემები.

ამდენად, 2018 წელს სასურსათო კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული.

2018 წელს ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის მიზნით ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 1 333 ერთეული.

თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

- თაფლი - 3000 ტონაზე უნდა იქნეს აღებული 100 ნიმუში, ხოლო ყოველ მომდევნო 300 ტონაზე 1 ნიმუში (100 ნიმუშს+1).

- „საქსტატის“ მონაცემებით: 2016 წელს მიღებული იქნა 2 100 ტონა თაფლი.

ამდენად, 2018 წელს თაფლის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 100 ერთეული.

#### გათვალისწინებელი ლაბორატორიული კვლევები

სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათის მიღებასთან ასოცირებული დაავადებების შესახებ შეტყობინებები, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც პათოგენური, ასევე, პირობით პათოგენური, სანიტარიული მაჩვენებლების და გაფუჭების მიკროორგანიზმებით სურსათის დაბინძურებასთან დაკავშირებულ დარღვევებს. 2017 წლის 11 თვის განმავლობაში სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან შემოსული იქნა ინფორმაცია სურსათისა და სასმელი წყლის მიღებასთან ასოცირებული დაავადებების 24 შემთხვევის შესახებ.

ამდენად, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათისმიერი დაავადებების შესახებ შეტყობინებების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ განხორციელდება სავარაუდოდ სურსათის 30 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა, 4 ჯგუფის მიკროორგანიზმის (სანიტარიული-მაჩვენებლები, პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმები, პათოგენური მიკროორგანიზმები, გაფუჭების მიკროორგანიზმები) კონტროლის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2018 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 4 436 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (დანართი #1.3).

დანართი N1.3

ქვეპროგრამა „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი“ 2018 წელი

#	ლაბორატორიული კვლევის დასახელება	ნიმუშების/ სინჯების სავარაუდო რაოდენობა
1	სურსათში სალმონელას კვლევა	830
2	სურსათში <i>Listeria monocytogenes</i> -ის კვლევა	200
3	სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	60
4	ჰისტამინი	180
5	ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე	220
6	სურსათში სანიტარიული მაჩვენებლების, პირობით პათოგენებისა და პათოგენების კვლევა	30
7	არაცხოველური წარმოშობის სურსათი	300
8	მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა	75
9	სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	210
10	სასმელი წყალი ( მათ შორის დაფასოებული: ნატურალური მინერალური/წყაროს წყალი )	420
11	რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა	40
12	ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა	168
13	ალკოჰოლური სასმელები ( მათ შორის ჩამოსასხმელი )	75
14	სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა	30
15	ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა	140
16	ხორცპროდუქტებში ძვლის შემცველობის განსაზღვრა	25
17	ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	1 333
18	თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	100
		4 436



## სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის პროგრამა

### მუხლი 1. შესავალი

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს სურსათის ბიზნესოპერატორთა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის სამოქმედო გეგმას.
2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის/სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

### მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები

პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის მუხლი 5 „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილება, „სურსათის მიკრობიოლოგიური

მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება, „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება, „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილება, „ ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №118 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №577 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება, „სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №262 დადგენილება, „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 29 ოქტომბრის №2-235 ბრძანება, „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესები და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 301/ნ ბრძანება, „მეცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის N10 დადგენილება, „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის



N301 დადგენილება, „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N510 დადგენილება, „სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის N497 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი -სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N547 დადგენილება, „ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზის და გამოკვლევის მეთოდების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის N195 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულებისა და წონის კონტროლის მიზნით რაციონის სრულად ჩანაცვლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის №370 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ხილის წვენი და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის №536 დადგენილება, „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N508 დადგენილება, „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის N152 დადგენილება, „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის – სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის დადგენილება, „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილება, „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის

№714 დადგენილება, „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის №376 დადგენილება.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზანია:

- ა) სურსათის ბიზნესოპერატორის სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- ბ) სურსათის წარმოების, ასევე პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ბიზნესოპერატორის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოფხვრა;
- გ) მავნე/საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების შემცირება;
- დ) მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტოს) უფლებამოსილი პირი.
2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს აღნიშნული კოდექსის 64-ე - 74<sup>3</sup>-ე მუხლების და „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 179<sup>4</sup>, 179<sup>6</sup>-179<sup>9</sup> მუხლების შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

### **მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

1. ინსპექტირება - გეგმიური ინსპექტირება/არაგეგმიური ინსპექტირება:

ა) სააგენტოს მიერ ადამიანური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით (დანართი N1.1), განსაზღვრა 2019 წელს განხორციელებელი სურსათის ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირების რაოდენობა:  $N = P \times 70$ .

სადაც:

- N - წლის განმავლობაში განხორციელებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა;
- P - უფლებამოსილი პირების რაოდენობა;
- რიცხვი 70 - წლის განმავლობაში ერთი უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა.

ბ) ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრისათვის შემუშავებული 4 კრიტერიუმის ქულების დაჯამებით მიღებული შედეგების მიხედვით ამ პროგრამის დანართი №1.2-ის შესაბამისად.

გ) ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის შედეგად მინიჭებული ქულების შესაბამისად, ქულების კლებადობის მიხედვით.

დ) იმ ბიზნესოპერატორის გეგმური ინსპექტირება, რომლებიც წარმოადგენენ აგრარულ ბაზრებს, საბავშვო ბაღების კვების ბლოკებს, ახორციელებენ თხილისა და დაფნის ექსპორტს, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტს, ცხოველის დაკვლას ან/და ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის გარეშე შემდეგი სიხშირით:

დ.ა) აგრარული ბაზრების, საბავშვო ბაღების კვების ბლოკების, თხილისა და დაფნის ექსპორტიორების, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტიორების, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ერთხელ;

დ.ბ) იმ ბიზნესოპერატორის მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ცხოველის დაკვლას, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ოთხჯერ.

დ.გ) იმ ბიზნესოპერატორის მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ორჯერ.

ე) კონკრეტული ბიზნესოპერატორისთვის ერთ კრიტერიუმში ჩამოთვლილი რამდენიმე პუნქტით განსაზღვრული ქულების შეჯამება არ ხდება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ბიზნესოპერატორს მიენიჭება მაქსიმალური ქულა;

ვ) კრიტერიუმების შემუშავებას საფუძვლად დაედო კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები“, (CAC/GLL 62-2007 “Working Principles for Risk Analysis for Food Safety for Application by Governments”), კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „მიკრობიოლოგიური რისკების მართვის (MRM) პრინციპები“, (CAC/GLL63-2007 – “Principles and Guidelines for The Conduct of Microbiological Risk Managment), `სურსათის ბიზნესოპერატორების კლასიფიკაცია რისკის ჯგუფებში“ (KT-2-1-D3 - “Classification of Food Handling Businesses Into Risk Groups” - ლიტვის სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის სამუშაო ინსტრუქცია);

ზ) არაგეგმური ინსპექტირება - განხორციელდება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №533 დადგენილების შესაბამისად.

## **2. მონიტორინგი:**

ა) სურსათის ბიზნესოპერატორის მონიტორინგი განხორციელდება სურსათის ნიმუშების/სინჯების აღებისა და დოკუმენტური შემოწმების გზით;

ბ) მონიტორინგის ფარგლებში სურსათის ნიმუშების/სინჯების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრა განხორციელდა დანართი №1.3-ის შესაბამისად;

გ) სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2019 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 4 288 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (დანართი N1.4);

დ) დოკუმენტური შემოწმების დროს განხორციელდება:

დ.ა) სურსათის ეტიკეტის შემოწმება, კერძოდ, შემოწმდება სურსათთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, სავაჭრო ნიშანი, დასახელება, ილუსტრაცია ან სიმბოლო, განთავსებული შეფუთვაზე, დაფასობაზე ან/და მასთან დაკავშირებულ თანდართულ დოკუმენტზე;

დ.ბ) სურსათის, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, სურსათთან დაკავშირებული ტარისა და შესაფუთი მასალის მიკვლევადობის შემოწმება წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

დ.გ) ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის შემოწმება;

დ.დ) ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტის შემოწმება;

დ. ე) სურსათის ვარგისიანობის ვადასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება.

### **3. ნიმუშის აღება და დოკუმენტური შემოწმება:**

ა) ნიმუშის აღება ხორციელდება ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური ან/და სხვა მაჩვენებლების გამოსაკვლევად, რათა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი;

ბ) ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად;

გ) დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად, ან სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება სურსათის ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმება;

დ) დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს ასევე, დამოუკიდებლად;

ე) შემოწმების პრიორიტეტი ენიჭება ხორცის სარეალიზაციო ობიექტებს, საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკებს. ხორცის სარეალიზაციო ობიექტებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების კვების ბლოკების გეგმური დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება წელიწადში 2-ჯერ, ხოლო სკოლების კვების ბლოკების წელიწადში ერთხელ.

ვ) არაგეგმური დოკუმენტური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს:

ვ.ა) სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე;

ვ.ბ) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოს შეტყობინების საფუძველზე;

ვ.გ) სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, სურსათი/ცხოველის საკვები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს;

ვ.დ) სააგენტოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც შემტყობინებელი პირისა და შეტყობინებით გათვალისწინებული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

ვ.ე) სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელმაც შეიძლება რისკი შეუქმნას ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

4.ზედამხედველობის დროს განხორციელდება დაკვირვება:

ა) სურსათის განადგურებაზე;

ბ) ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზრიდან და მომხმარებლისგან გამოთხოვაზე;

გ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

## **მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგები**

1. სურსათის ბიზნესოპერატორებს მიეცემათ შესაბამისი რეკომენდაციები არსებული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით.

2. შემცირდება საფრთხის შემცველი სურსათის წარმოების და ბაზარზე განთავსების ფაქტები.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე სურსათის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

რეგიონი	ინსპექტორის რაოდენობა	წლის განმავლობაში ჩასატარებელი გეგმური ინსპექტირების რ-ბა (შესაბამისობის შეფასების აქტების რ-ბა)
თბილისის საქალაქო სამსახური	22	1540
აჭარის რეგიონული სამმართველო	11	770
გურიის რეგიონული სამმართველო	5	350
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველო	6	420
იმერეთის რეგიონული სამმართველო	12	840

დანართი N1.1

რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველო	4	280
სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველო	5	350
შიდა ქართლის რეგიონული სამმართველო	6	420
ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველო	7	490
მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველო	7	490
კახეთის რეგიონული სამმართველო	9	630
<b>სულ</b>	<b>94</b>	<b>6580</b>

**დანართი N1.2**

**სურსათის მწარმოებელი საწარმოს რისკის დონის კრიტერიუმები**

#	რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმი	ქულა
1.	<b>გადამუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები:</b>	
	<b>ა) ცხოველური წარმოშობის სურსათი:</b>	
	ა.ა) ხორცი და ხორცის პროდუქტები	35
	ა.ბ) რძე და რძის პროდუქტები	35
	ა.გ.) თევზი და თევზის პროდუქტები	35
	ა.დ) კვერცხი	20
	ა.ე) ცხოველური წარმოშობის სხვა სურსათი	25
	<b>ბ) მცენარეული წარმოშობის სურსათი:</b>	
	ბ.ა) ხილი, ბოსტნეული	15
	ბ.ბ) უალკოჰოლო სასმელები, წვენები	25
	ბ.გ) მარცვლეული, ფქვილი და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი	15
	ბ.დ) კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი	25
	ბ.ე) შაქარი, მარილი	15
	ბ.ვ) ჩაი, ყავა	15
	ბ.ზ) საკვებდანამატები, სანელებლები, საკაზმები	25
	ბ.თ) ალკოჰოლური სასმელები	15
	ბ.ი) სასმელი წყალი	25



	ბ.ვ) მცენარეული წარმოშობის სხვა სურსათი (ზეთები, ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი და სხვ.)	15
	გ) ნახევარფაბრიკატები	25
	დ) სალეჭი რეზინი	15
	ე) მზა კერძები	25
	ვ) კონსერვი	35
	ზ) ბავშვთა კვების პროდუქტები	35
	თ) ცხოველთა საკვები	25
	ი) სხვა დასახელების სურსათი	15
<b>2.</b>	<b>საქმიანობის ტიპი</b>	
	ა) წარმოება, გადამუშავება, ცხოველთა დაკვლა	20
	ბ) პირველადი პროდუქტების წარმოება	5
	გ) შეფუთვა	5
	დ) რძის შეგროვება	15
	ე) საბითუმო ვაჭრობა, დასაწყობება, დისტრიბუცია	5
	ვ) საცალო ვაჭრობა მაღაზიებში	5
	ზ) საცალო ვაჭრობა ბაზრებში და მოძრავ ობიექტებში	5
	<b>თ) საზოგადოებრივი კვება:</b>	
	თ.ა) კაფე, რესტორანი, ბუფეტი, სასადილო და ა.შ.	10
	თ.ბ) ბუფეტი საკოლამდელი ბავშვებისათვის	15
	თ.გ) ბუფეტი სკოლის ასაკის ბავშვებისათვის	10
<b>3.</b>	<b>მეწარმის სტატუსი</b>	
	ა) 500 000 და მეტი	15
	გ) 0-დან 500 000-მდე	5
	დ) ახლად რეგისტრირებული მეწარმე	10
<b>4.</b>	<b>ბიზნესოპერატორის ისტორია (ბოლოს განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის მიხედვით) :</b>	
	ა) სააგენტოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევა	
	ა.ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 64-ე მუხლით	30
	ა.ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით	30
	ა.გ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილით	10
	ა.დ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით	20

ა.ე) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის პირველი, მე-3 და 3 <sup>1</sup> ნაწილებით	30
ა.ვ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 67-ე მუხლით	20
ა.ზ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით	20
ა.თ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით	30
ა.ი) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 70-ე მუხლით	20
ა.კ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით	10
ა.ლ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით	30
ა.მ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>2</sup> მუხლით	30
ა.ნ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>3</sup> მუხლით	10
ა.ო) სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით	20
ბ) შეტყობინება RASFF-დან	30
გ) სახელმწიფო კონტროლი არ განხორციელებულა	30
დ) სახელმწიფო კონტროლისას ჯარიმა არ განხორციელებულა	0

**დანართი N1.3**

**მონიტორინგი - ნიმუშის აღება**

**მეთოდოლოგია**

მონიტორინგის დროს ასაღები სურსათის ნიმუშების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა:

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები:

- 1.1. წინა წლებში მოსახლეობას კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები;
  - 1.2. სურსათის მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;
  - 1.3. გარემოს დაბინძურების შემთხვევები;
  - 1.4. მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;
  - 1.5. სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.
2. ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესისა“ და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილებით დამტკიცებული „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ქულების მინიჭების მატრიცა

ალბათობა	სიმძიმე		
	1	2	3
1	1	2	3
2	2	4	6
3	3	6	9

დაბალი რისკი -  $(1 - 3) = 0,05$  ქულა

საშუალო რისკი -  $(4) = 0,15$  ქულა

მაღალი რისკი -  $(6 - 9) = 0,5$  ქულა

სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების და სურსათის უვნებლობის მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- მიკრობიოლოგიური საფრთხის კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);
- წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი;
- მოსახლეობაში კვებითი მომხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები.

თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი.

**კრიტერიუმი – მიკრობიოლოგიური საფრთხის კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)**

იდენტიფიცირებული იქნა 5 მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი: სალმონელა, *Listeria monocytogenes*, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი, ჰისტამინი, ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სალმონელა - 0,05 ქულა;
- *Listeria monocytogenes* – 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი – 0,05 ქულა;
- ჰისტამინი - 0,5 ქულა;
- ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე – 0,5.

**კრიტერიუმი – წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები**

სააგენტოს 2018 წლის მონაცემებით:

- სურსათში სალმონელას კვლევა - აღებული იქნა სურსათის 830 ნიმუში, სალმონელა აღმოჩნდა 6 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 0,72%;
- სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა - აღებული იქნა სურსათის 200 ნიმუში, *Listeria monocytogenes* არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში. ამდენად, დარღვევამ შეადგინა 0%;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი – აღებული იქნა სურსათის 60 ნიმუში, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში. ამდენად, დარღვევამ შეადგინა 0%;
- ჰისტამინი - აღებული იქნა სურსათის 180 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. ამდენად, დარღვევამ შეადგინა 0%;
- ბრუცელოზი – აღებული იქნა ნედლი რძის 220 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 35 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 15,9%.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;

- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სურსათში სალმონელას კვლევა - 0,05 ქულა;
- სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა - 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი - 0,05 ქულა;
- ჰისტამინი - 0,05 ქულა;
- ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე - 0,5.

**კრიტერიუმი – მოსახლეობაში კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები**

გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2018 წლის (28.12.2018 წელი) წინასწარი სტატისტიკური მონაცემები.

- სალმონელოზი - 267 შემთხვევა;
- ლისტერიოზი - 0 შემთხვევა (ლისტერიოზზე ეპიდზედამხედველობა არ არის დამყარებული);
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი - მონაცემები არ არსებობს;
- ჰისტამინი - მონაცემები არ არსებობს;
- ბრუცელოზი - 194 შემთხვევა.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 300-ჩათვლით და შემთხვევების შესახებ მონაცემების არასებობა მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 300-ზე მეტი შემთხვევა.

*შენიშვნა: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მონაცემების არასებობის გამო, ყველა დანარჩენი მაჩვენებელი (ჰისტამინის გარდა) შეფასდა დაბალ რისკად. თევზის საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, ჰისტამინი შეფასდა მაღალ რისკად.*

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სალმონელა - 0,15 ქულა;
- *Listeria monocytogenes* - 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი - 0,05 ქულა;
- ჰისტამინი - 0,5 ქულა;
- ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე - 0,15 ქულა.

## მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმ ო - 1	კრიტერიუმ ო - 2	კრიტერიუმ ო - 3	მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი
სალმონელა	0,05	0,05	0,15	0,25
Listeria monocytogenes	0,05	0,05	0,05	0,15
სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	0,05	0,05	0,05	0,15
ჰისტამინი	0,5	0,05	0,5	1,05
ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე	0,5	0,5	0,15	1,15

### მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობის დადგენა

სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2016 წელს ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **547 კგ. სურსათი** (*შენიშვნა: 2018 წლის ოთხივე კვარტლის მონაცემები ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის შესახებ არ არის ცნობილი*).

თვითონ სურსათის დაყოფა მოხდა პირობითად 7 სახეობად - ხორცი და ხორცის პროდუქტები (მ.შ. ფრინველის ხორცი), თევზი და თევზის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი და კვერცხის პროდუქტები, ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვება, არაცხოველური წარმოშობის სურსათი და სასმელები.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ გათვალისწინებით:

- **სალმონელას** ლაბორატორიული ტესტირება კვლევა ხორციელდება ყველა სახეობის სურსათზე, სურსათში სალმონელას კვლევის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა ერთი წლის განმავლობაში ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობა (**547 კილოგრამი**).

- **Listeria monocytogenes**-ზე ლაბორატორიული ტესტირება ხორციელდება ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვების სურსათზე, ასევე, მზა სურსათზე. ამდენად, სურსათში Listeria monocytogenes კვლევის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა ერთი წლის განმავლობაში ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობის 35%, რამაც შეადგინა 191 კილოგრამი.

- **სტაფილოკოკურ ენტეროტოქსინზე** ლაბორატორიული ტესტირება ხორციელდება ყველში, მშრალ რძესა და მშრალ შრატში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „ მონაცემებით 2017 წელს ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **168 კგ. რძე და რძის პროდუქტები**. ამდენად, სურსათში სტაფილოკოკური ენტეროტოქსინის კვლევის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა ერთი წლის განმავლობაში ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული რძისა და რძის პროდუქტების საერთო რაოდენობის 20%, რამაც შეადგინა **33,6 კილოგრამი**.

- **ჰისტამინის** ლაბორატორიული ტესტირება ხორციელდება მხოლოდ თევზზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (ექსპორტი) და სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული (წარმოება) მონაცემებით 2016 წელს ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **4,9 კგ. თევზი და თევზის პროდუქტი**. ამდენად, სურსათში ჰისტამინის კვლევის მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა ერთი წლის განმავლობაში ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული თევზისა და თევზის პროდუქტების საერთო რაოდენობა (**4,9 კილოგრამი**).

- **ბრუცელოზის** გამომწვევის ლაბორატორიული კვლევები ვრცელდება ნედლ რძეზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2016 წელს ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **168 კგ. რძე და რძის პროდუქტები**. ამდენად, ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა ერთი წლის განმავლობაში ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული რძე და რძის პროდუქტების საერთო რაოდენობა (**168 კილოგრამი**).

აღნიშნულისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ“- ტექნიკური რეგლამენტის" გათვალისწინებით, წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  **$N = K \times A \times X \times n$**

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა

K – მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი

A – ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში.

n - მაჩვენებლის ტექნიკური რეგლამენტის ნიმუშის აღების გეგმის მიხედვით განსაზღვრული რაოდენობა.

ამდენად, 2018 წელს სურსათის ასაღებმა ნიმუშებმა შეადგინა:

– **სურსათში სალმონელას კვლევა**

**$N = K \times A \times X \times n = 0,25 \times 547 \times 5 = 684$  ნიმუში**. ტექნიკური რეგლამენტის ნიმუშის აღების გეგმის მიხედვით, ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათის შემთხვევაში პარტიიდან გამოკვლევისათვის აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობა წარმოადგენს 30 ნიმუშს, სალმონელას კვლევისათვის აღებული უნდა იქნეს **800** ერთეული ნიმუში.

– **სურსათში Listeria monocytogenes-ის კვლევა**

$N = K \times A \times n = 0,15 \times 191 \times 5 = 143$  ნიმუში. ტექნიკური რეგლამენტის ნიმუშის აღების გეგმის მიხედვით, ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათის შემთხვევაში პარტიიდან გამოკვლევისათვის აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობა წარმოადგენს 10 ნიმუშს, ამდენად, *Listeria monocytogenes* კვლევისათვის აღებული უნდა იქნეს 200 ერთეული ნიმუში.

– სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი

$N = K \times A \times n = 0,15 \times 33,6 \times 5 = 25$  ნიმუში;

– ჰისტამინი

$N = K \times A \times n = 1,05 \times 4,9 \times 9 = 46$  ნიმუში. თევზის (შავი ზღვის ქაფშიას) ევროპის ქვეყნებში ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით და ევროკავშირის მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია აღებული იქნეს თევზის ნიმუშების 2,5-ჯერ მეტი ჯერადობით.

ამდენად, ჰისტამინის ლაბორატორიული კვლევისათვის აღებული უნდა იქნეს 117 ერთეული ნიმუში. – ბრუცელაზის გამომწვევი

$N = K \times A \times n = 1,15 \times 168 = 193 = 220$  ნიმუში (შენიშვნა: ტექნიკური რეგლამენტით არ არის გათვალისწინებული).

### სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა

სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების განსაზღვრა საფრთხის გამოვლენის ალბათობისა და მისი სიმძიმის გათვალისწინებით;
- წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი;
- არამიკრობული ბუნების კვებითი მოშხამვები.

თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების კოეფიციენტი.

იდენტიფიცირებული იქნა 3 საკვლევი კომპონენტი: არაცხოველური წარმოშობის სურსათი; მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა; სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა.

კრიტერიუმი – სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების განსაზღვრა საფრთხის გამოვლენის ალბათობისა და მისი სიმძიმის გათვალისწინებით;

- განხორციელდა ქულების მინიჭება:



- არაცხოველური წარმოშობის სურსათი - 0,05 ქულა;
- მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა - 0,05 ქულა;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - 0,05.

**კრიტერიუმი – წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი**  
სააგენტოს 2018 წლის მონაცემებით:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათი - აღებული იქნა სურსათის 576 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 28 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 4,86%;
- მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა - აღებული იქნა სურსათის 85 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევამ შეადგინა 0%;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - აღებული იქნა სურსათის 210 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 1,43%;

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათი - 0,15 ქულა;
- მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა - 0,05 ქულა;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - 0,05 ქულა.

**კრიტერიუმი – არამიკრობული ბუნების კვებითი მოშხამვები**

- არაცხოველური წარმოშობის სურსათი - მონაცემები არ არსებობს;
- მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა - მონაცემები არ არსებობს;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - მონაცემები არ არსებობს.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათი - 0,05;
- მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა - 0,05;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა - 0,05.

*შენიშვნა: მონაცემების არასებობის გამო, ყველა მაჩვენებელი შეფასდა დაბალ რისკად.*

**სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა**

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი - 1	კრიტერიუმი - 2	კრიტერიუმი - 3	მაჩვენებლის კოეფიციენტი
არაცხოველური წარმოშობის სურსათი	0,05	0,15	0,05	0,25
მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა	0,05	0,05	0,05	0,15
სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	0,05	0,05	0,05	0,15

**სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის), პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობის დადგენა**

სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2017 წელს ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **547 კგ. სურსათი, მათ შორის მცენარეული წარმოშობის სურსათმა შეადგინა 300 კგ.** (შენიშვნა: 2017 წლის ოთხივე კვარტლის მონაცემები ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის შესახებ არ არის ცნობილი).

სამივე საკვლევი მაჩვენებლის შემთხვევაში (არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და მცენარეულ სურსათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა და სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა) პირობითად მიღებული იქნა 300 კგ მცენარეული წარმოშობის სურსათის ერთი ადამიანის მიერ მოხმარება (სულ: **340 კგ. სურსათი**).

„სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილებით, „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილებით, „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №714 დადგენილებითა და „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის №376 დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლის მიზნით, ამასთანავე, 2018 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს

მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის №536 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ხილის წვენისა და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების შესახებ“ ძალაში შესვლის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, არაცხოველური წარმოშობის სურსათის სააგენტოს მიერ ასაღები ნიმუშების რაოდენობა გაზრდილი იქნას 2,35-ჯერ.

იმის გათვალისწინებით, რომ „სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №262 დადგენილება ძალაში შევიდა 2017 წლის პირველი აგვისტოდან და სააგენტოში არ არის დაგროვებული საკმარისი მონაცემები სურსათში აღნიშნულის მონიტორინგის შედეგების თაობაზე, „სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრისათვის“ სააგენტოს მიერ ასაღები ნიმუშების რაოდენობა გაზრდილი იქნას 3-ჯერ.

ამდენად, „მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრას“ შემთხვევაში სურსათის ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times X \times A$ ; „სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრის“ შემთხვევაში  $N = K \times X \times A \times X \times 3$ ; ხოლო, „არაცხოველური წარმოშობის სურსათის“ მაჩვენებლის შემთხვევაში -  $N = K \times X \times A \times X \times 2,35$ .

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი

A – ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში.

ასაღები სურსათის ნიმუშებმა შეადგინა:

**არაცხოველური წარმოშობის სურსათის კვლევა**

$N = K \times X \times A \times X \times 4 = 0,25 \times 340 \times 2,35 = 200$  ნიმუში;

**მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა**

$N = K \times X \times A = 0,15 \times 340 = 50$  ნიმუში;

**სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა**

$N = K \times X \times A = 0,15 \times 340 \times 3 = 150$  ნიმუში.

### სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა

სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით
- წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება
- მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები

თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის კოეფიციენტი.

კრიტერიუმი - სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი - 0,15 ქულა.

**კრიტერიუმი – წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება**

2018 წლის მონაცემებით:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული) - აღებული იქნა სურსათის 576 ნიმუში/სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 246 სინჯში. დარღვევამ შეადგინა 42,7%;

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;

- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;

- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული) - 0,5 ქულა.

**კრიტერიუმი – მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები**

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული) - მონაცემების არარსებობის გამო, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შეტყობინებას დაქვემდებარებული ავადმყოფობებიდან გამოყოფილი იქნა დაავადებები, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს სასმელ წყალს, კერძოდ, გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2018 წლის წინასწარი სტატისტიკური მონაცემები:

- სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების შემთხვევათა რაოდენობა – 17 279 შემთხვევა;

- შიგელოზი - 606 შემთხვევა;

- ვირუსული ჰეპატიტი A – 58 შემთხვევა.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;

- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 300-ჩათვლით და შემთხვევების შესახებ მონაცემების არარსებობა მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;

- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 300-ზე მეტი შემთხვევა.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული) - 0,5 ქულა.

## სასმელი წყლის სინჯების კოეფიციენტის დადგენა

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

– სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული) -  $0,15 + 0,5 + 0,5 = 1,15$  ქულა.

## ლაბორატორიული კვლევისათვის სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის დადგენა

სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-2 მუხლის №7 ცხრილით მიმწოდებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში სასმელი წყლის გამოსაკვლევი სინჯების რაოდენობა. წინა წლების სასმელი წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევის შედეგებში მიკრობული დაბინძურების მაღალი მაჩვენებლისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სტატისტიკის გათვალისწინებით, შერჩეული იქნა 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა, რაც ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად შეადგენს 365 სინჯს.

სასმელი წყლის ასაღები სინჯების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times X \times A$

სადაც, N არის ასაღები სინჯების რაოდენობა

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი

A – 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა

ასაღები სასმელი წყლის სინჯებმა შეადგინა:

$N = K \times X \times A = 1,15 \times 365 = 419,75 = 420$  სინჯი.

## სხვა ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა

სურსათის ლაბორატორიული კვლევისათვის მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების გარდა, ახალი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული მაჩვენებლების კონტროლის, მომხმარებელთა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებისა და დაცვის (მ.შ. ფალსიფიკაციისაგან) მიზნით განსაზღვრული იქნა 6 პროგრამა: რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა; ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა; ალკოჰოლური სასმელები; სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა; ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა; RASFF-ის შეტყობინებების თანახმად სურსათში საღებავების: Sudan I; Sudan II; Sudan III; Sudan IV; Sudan orange G; Sudan Red G; Sudan Red 7 B და Para Red კვლევა.

2018 წლის მონაცემებით:

– რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა - აღებული იქნა სურსათის 40 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 14 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 35%;

- ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა - აღებული იქნა სურსათის 168 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 1,79%;

- ალკოჰოლური სასმელები (მ.შ. ჩამოსასხმელი) - აღებული იქნა სურსათის 108 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2,78%;
- სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა - აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 1 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 3,33%;
- ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა - აღებული იქნა სურსათის 140 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 34 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 24,29%;
- სურსათში საღებავების: Sudan I; Sudan II; Sudan III; Sudan IV; Sudan orange G; Sudan Red G; Sudan Red 7 B და Para Red კვლევა - სააგენტოს მიერ არ გამოკვლეულა, აღნიშნული საღებავის არსებობა სურსათში ცნობილი გახდა RASFF-ის შეტყობინებით.

ბოლო 5 წლის მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- **რძისა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის მიზნით ნიმუშების სათანადო წესით აღება და ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება სააგენტოს მიერ დაწყებული იქნა „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ ძალაში შესვლის, კერძოდ, 2015 წლის პირველი აგვისტოდან.

2015 წელს - აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 150 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 30 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 20 %;

2016 წელს - აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 250 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 17 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 6,8 %;

2017 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 0 %;

2018 წელს - აღებული იქნა სურსათის 40 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 14 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 35%;

2015-2017 წლებში რძისა და რძის ნაწარმში გამოვლენილი დარღვევების კლების ტენდენციის მიუხედავად, 2018 წელს დარღვევების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა.

- **ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის მიზნით ნიმუშების სათანადო წესით აღება და ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება სააგენტოს მიერ დაწყებული იქნა „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ში 2017 წლის 22 მაისს შეტანილი ცვლილების შემდგომ, ამდენად, ამ მაჩვენებელზე სააგენტო ფლობს მხოლოდ 2 წლის სტატისტიკური მონაცემებს:

2017 წელს - აღებული იქნა სურსათის 21 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 10 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 47,62%;

2018 წელს - აღებული იქნა სურსათის 168 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 1,79%;

ამდენად, დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა მკვეთრად იკლო.

- **ალკოჰოლური სასმელები (მ.შ. ჩამოსასხმელი)** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის ბოლო 5 წლის მონაცემებით:

2014 წელს - აღებული იქნა ალკოჰოლური სასმელების 125 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 27 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 21,6 %;

2015 წელს - აღებული იქნა ალკოჰოლური სასმელების 442 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 66 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 14,9 %;

2016 წელს - აღებული იქნა ალკოჰოლური სასმელების 403 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 53 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 13 %;

2017 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 6,61 %;

2018 წელს - აღებული იქნა ალკოჰოლური სასმელების 108 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2,78%.

ამდენად, აღინიშნება დარღვევის პროცენტული მაჩვენებლის კლება.

- **სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის მიზნით ნიმუშების სათანადო წესით აღება და ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება სააგენტოს მიერ დაწყებული იქნა „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე, კერძოდ, 2014 წლის 11 დეკემბრიდან.

2014 წელს - აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 0 %;

2015 წელს - აღებული იქნა სურსათის 100 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 2 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 2 %;

2016 წელს - აღებული იქნა სურსათის 200 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 2 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 1 %;

2017 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 0 %;

2018 წელს - აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 1 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 1 %;

ამდენად, სიტუაცია წლების განმავლობაში თითქმის ერთნაირია.

- **ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა** - ამ მაჩვენებლის ლაბორატორიული კვლევის მიზნით ნიმუშების სათანადო წესით აღება და ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება სააგენტოს მიერ დაწყებული იქნა 2014 წლიდან.

2014 წელს - აღებული იქნა სურსათის 122 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 7 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 5,74 %;

2015 წელს - აღებული იქნა სურსათის 98 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 7 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 7,14 %;

2016 წელს - სურსათის 100 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 4 ნიმუშში. დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 4 %;

2017 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 13,33 %;

2018 წელს - დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 24,29 %.

ამდენად, 2018 წელს აღინიშნება დარღვევის პროცენტული მაჩვენებლის მკვეთრი მატება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლაბორატორიული კვლევების მიზნით ასაღები ნიმუშების რაოდენობა შესაძლებელია:

- შემცირებული იქნეს 2 პროგრამაში: ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა და ალკოჰოლური სასმელები.
- იგივე რაოდენობით ლაბორატორიული ტესტირების განხორციელება - სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრის პროგრამით;
- ლაბორატორიული ტესტირების გაძლიერება და შესაბამისად, ასაღები ნიმუშების გაზრდა შემდეგ პროგრამებში: რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა და ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა.

ამდენად, ასაღები სურსათის ნიმუშებმა შეადგინა:

**რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა - 60 ნიმუში;**

**ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა - 42 ნიმუში;**

**ალკოჰოლური სასმელები (მ.შ. ჩამოსასხმელი) - 75 ნიმუში;**

**სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა - 30 ნიმუში;**

**ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა - 150 ნიმუში;**

**სურსათში საღებავების: Sudan I; Sudan II; Sudan III; Sudan IV; Sudan orange G; Sudan Red G; Sudan Red 7 B და Para Red კვლევა - 10 ნიმუში.**

### **ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა**

წარმოებული სურსათის რაოდენობების შესახებ ინფორმაცია აღებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული მონაცემებიდან.

- **მსხვილფეხა საქონელი** - ნიმუშების მინიმალური რაოდენობა, რომელიც უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ცხოველების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,4%-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,25%, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:



ა.ა) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. გამონაკლისის სახით, დასაშვებია 25% ნიმუშებისა, „ა“ ჯგუფის (5) ნივთიერების (სუბსტანციის) გამოკვლევისათვის, განხორციელდეს ცხოველის საკვებში, წყალსა და სხვა მასალებში;

ა.ბ) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს სასაკლაოზე;

ა.გ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

**ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,15 %, რომელთაგან:**

ბ.ა) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანაში წარმოებული მსხვილფეხა საქონლის ხორცის რაოდენობა 2017 წლის მდგომარეობით და იგი შეადგენს 21,4 ათას ტონას.

სააგენტოში არსებული 2018 წლის 10 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 160 785 სული მსხვილფეხა საქონელი (1 მსხვილფეხა საქონელი × 180 კგ, დაახლოებით 28,941 ათასი ტონა), აღნიშნული მონაცემის გათვალისწინებით 2018 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 192 942 სული მსხვილფეხა საქონელი.

ამდენად, 2019 წელს დასაკლავი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 772 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

✓ „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 482 ნიმუში, მ.შ. 280 ნიმუში - ცოცხალი ცხოველებიდან და 202 ნიმუში - სურსათი (ხორცი);

✓ „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 289 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 87 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 87 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე - 29 ნიმუში და დანარჩენი 86 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წელს მსხვილფეხა საქონლის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 492 ერთეული.

- **ღორი** - ღორების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა

შეადგენდეს წინა წელს დაკლული ღორების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,02 %;

ა.ა) იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშების აღება ხდება სასაკლაოზე, აუცილებელია დამატებით, ფერმის დონეზე, ანალიზი ჩატარდეს:

ა.ა.ა) ცხოველისთვის განკუთვნილ სასმელ წყალს;

ა.ა.ბ) ცხოველის საკვებს;

ა.ა.გ) ექსკრემენტებს.

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში და ნაშთი განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,03%, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ.) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია წარმოებული ღორის ხორცის რაოდენობა 2017 წლის მდგომარეობით და იგი შეადგენს 15,5 ათას ტონა ხორცს.

სააგენტოში არსებული 2018 წლის 10 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 120 250 ღორი (1 სული ღორი × 90 კგ, დაახლოებით 10,8 ათასი ტონა). აღნიშნული მონაცემით 2018 წლის ბოლომდე სავარაუდოდ დაიკვლება 144 300 სული ღორი.

ამდენად, 2019 წელს ღორიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 72 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

✓ „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 29 ნიმუში, მ.შ. 10 ნიმუში - ცოცხალი ცხოველებიდან და 19 ნიმუში - სურსათი;

✓ „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 43 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 13 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 13 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე - 4 ნიმუში და დანარჩენი 13 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წელს ღორის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 62 ერთეული.

- ცხვარი და თხა - ცხვრებისა და თხების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხვრებისა და თხების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,01 %, რომელთაგან:

ა.ა) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ა.ბ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,04 %, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ.) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში წარმოებული ცხვრისა და თხის ხორცის რაოდენობა 2017 წლის მდგომარეობით შეადგენს 22,3 ათას ტონას.

სააგენტოში არსებული 2018 წლის 10 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 350 766 სული ცხვარი (1 ცხვარი × 15 კგ, დაახლოებით 5.3 ათასი ტონა). აღნიშნული მონაცემით, 2018 წლის ბოლომდე სავარაუდოდ დაიკვლება 420 919 სული ცხვარი.

ამდენად, 2019 წელს წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 210 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

✓ „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 42 ნიმუში, მ.შ. 25 ნიმუში - ცოცხალი წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიდან და 17 ნიმუში - სურსათი (ხორცი);

✓ „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 168 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 51 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 51 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 17 ნიმუში, დანარჩენი 51 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წელს დაკლული ცხვრიდან და თხიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 185 ერთეული.**

- **ფრინველი** - თითოეული კატეგორიის ფრინველისათვის (ბროილერი, ამორტიზებული კვერცხმდებელი ქათამი, ინდაური და სხვ.) ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს წლიური პროდუქციის (დაკლული წონა) ყოველ 200 ტონაზე, სულ მცირე, ერთ ნიმუშს და თუ გამოსაკვლევია ფრინველის ცალკეული კატეგორიის წლიური პროდუქცია (დაკლული წონა) აღემატება 5 000 ტონას – სულ მცირე 100 ნიმუშს ნივთიერების (სუბსტანციის) თითოეულ ჯგუფზე. ჯგუფების დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

**ა) ჯგუფი „ა“** – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;

ა.ა) ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს;

ა.ბ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად შემოწმებული და გამოკვლეული უნდა იქნეს „ა“ ჯგუფის ნივთიერებებისათვის (სუბსტანციებისათვის) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის არა უმცირეს 5%-ისა;

ა.გ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

**ბ) ჯგუფი „ბ“** – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%, რომელთაგან:

ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია წარმოებული ფრინველის ხორცის, მათ შორის ქათმის ხორცის რაოდენობა 2017 წლის მდგომარეობით და იგი შეადგენს 22,3 ათას ტონას, მათ შორის ქათმის ხორცი - 21,8 ათასი ტონას.

სააგენტოში არსებული 2018 წლის 10 თვის მონაცემებით დაკლული ფრინველის რაოდენობამ შეადგინა 9 439 685 ფრთა (*1 ფრთა ფრინველი X 1,2 კგ - საშუალო ფრინველის წონა*). 2018 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება 11 327 623 ფრთა ფრინველი. აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ფრინველის ხორცის რაოდენობა, რაც სავარაუდოდ შეადგენს რაც შეადგენს **13 593** ტონა ფრინველის ხორცს.

ამდენად, 2019 წელს ფრინველიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

✓ „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 100 ნიმუში, მ.შ. 10 ნიმუში - ცოცხალი ფრინველიდან და 90 ნიმუში - სურსათი (ფრინველის ხორცი);

✓ „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 100 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 30 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 30 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 10 ნიმუში, დანარჩენი 30 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წელს ფრინველიდან ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 190 ერთეული.**

- **ბოცვერი** - ყოველწლიურად დაკლული ბოცვრებიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 10 ნიმუშს წლიური წარმოების (დაკლული წონა) 300 ტონაზე წარმოების პირველ 3000 ტონაზე, ხოლო ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

**ა) ჯგუფი „ა“** – ნიმუშების საერთო რაოდენობის 30%, მათგან:

ა.ა) ნიმუშების 70% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ (6) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ა.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ სხვა ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

**ბ) ჯგუფი „ბ“** – ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%, მათგან:

ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მონაცემები წარმოდებული ბოცვრის ხორცის შესახებ ვერ მოიძებნა.

სააგენტოში არსებული 2018 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 15 050 სული ბოცვერი (1 სული ბოცვერი X 1,2 კგ - საშუალო ბოცვრის წონა/1000). აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ბოცვრების რაოდენობა, რაც სავარაუდოდ შეადგენს 18 060 სული ბოცვერს, **21,672 ტონას**.

ამდენად, 2019 წელს ბოცვერიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

✓ „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 3 ნიმუში (ბოცვერის ხორცი);

✓ „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 7 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 2 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 2 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 1 ნიმუში, დანარჩენი 2 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წელს ბოცვერიდან ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული.**

- **თევზი** - ფერმაში წარმოდებული თევზისათვის ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა, ყოველი 100 ტონა წლის განმავლობაში წარმოდებული პროდუქტიდან, შეადგენს არანაკლებ 1 ნიმუშს.

გამოსავლენი ნივთიერებები (სუბსტანციები) და საანალიზო ნიმუშები უნდა დაჯგუფდეს ამ ნივთიერებათა (სუბსტანციათა) სავარაუდო გამოყენების მიხედვით. ჯგუფები დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/3;

ა.ა) ნიმუშების აღება უნდა მოხდეს ფერმის დონეზე თევზის წარმოების/მოშენების ყველა სტადიაზე, მათ შორის, იმ თევზის ჩათვლით, რომელიც მზად არის მოხმარებისათვის ბაზარზე განსათავსებლად;

ა.ბ) ზღვის ფერმებში, ნიმუშის აღების სირთულის გამო თევზის ნაცვლად შესაძლებელია განხორციელდეს ცხოველის საკვების ნიმუშის აღება;

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 2/3, რომლის დროსაც ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს:

ბ.ა) უპირატესად ფერმაში, თევზისგან, რომელიც მზად არის მოხმარებისათვის ბაზარზე განსათავსებლად;

ბ.ბ) ნედლი თევზისგან, გადამამუშავებელ საწარმოში ან საბითუმო ბაზრიდან, იმ პირობით, რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს მიკვლევადობა ფერმამდე.

ყველა შემთხვევაში, ფერმის დონეზე ნიმუში აღება რეგისტრირებული საწარმოების საერთო რაოდენობის არა უმცირეს 10%-დან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანის მასშტაბით წყალსატევებში არსებული თევზის რაოდენობა 2017 წლის მდგომარეობით და შეადგენს 2 067 ტონა თევზს (ოჯახების მიხედვით).

სურსათის ეროვნულ სააგენტოში მოპოვებული (არაოფიციალური) ინფორმაციით 2018 წლის 10 თვის მდგომარეობით საქართველოს წყალსატევებში მოშენებული თევზის რაოდენობამ შეადგინა 2 042 ტონა თევზი.

ამდენად, 2019 წელს თევზიდან ასაღები ნიმუშების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა 20 ერთეული. ევროკავშირის ქვეყნებში თევზის საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ აღებული იქნება 30 ერთეული, განხორციელდება:

✓ „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 25 ნიმუში, ფერმის დონეზე;

✓ „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 30 სურსათის ნიმუში.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წელს თევზის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 30 ერთეული.**

- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რძე - ძროხის რძისათვის ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა შეადგენს ერთ ნიმუშს ყოველ 15 000 ტონა წლიურად წარმოებულ რძეზე, არანაკლებ 300 ნიმუშისა, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩატარდეს ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებზე. თითოეული ნიმუში გამოკვლეული უნდა იქნეს სულ მცირე, ოთხ სხვადასხვა ნივთიერებაზე (სუბსტანციაზე) – „ა“ ჯგუფიდან მე-6 პუნქტით განსაზღვრულ, (6), „ბ“ ჯგუფიდან პირველი პუნქტით განსაზღვრულ, (1), „ბ“ ჯგუფიდან (2.ა) და „ბ“ ჯგუფიდან (2.ე);

ბ) ნიმუშების 15%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩატარდეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენებზე;

გ) ნაშთი 15% უნდაგანაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით: 2017 წელს მიღებული იქნა 528 400 ტონა რძე. სააგენტოსათვის 2018 წლის მონაცემები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რძის რაოდენობაზე არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, სააგენტოს მიერ გამოყენებული იქნა ადგილობრივი წარმოების რძის 2017 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რაოდენობრივი მონაცემები (ჯამში 528 400 ტონა).

**ამდენად, 2019 წელს რძის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 300 ერთეული.**

- **კვერცხი** - ყოველწლიურად კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობა ყოველ 1000 ტონა მოხმარებისთვის განკუთვნილ წარმოებულ კვერცხზე შეადგენს 1 ნიმუშს, მაგრამ არანაკლებ 200 ნიმუშისა. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

- ნიმუშების არანაკლებ 30%-ისა აღებულ უნდა იქნეს იმ შესაფუთი საწარმოდან, რომელიც ბაზარზე ადამიანის მოხმარებისათვის ყველაზე მეტი რაოდენობით კვერცხს განათავსებს. მათგან:

ა) ნიმუშების 70% ლაბორატორიულად გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ა“ (6), ჯგუფი „ბ“ (1) და ჯგუფი „ბ“ (2. ბ), სულ მცირე, ერთ ნივთიერებაზე (სუბსტანციაზე) მაინც;

ბ) ნიმუშების 30% ლაბორატორიულად გამოკვლეული უნდა იქნეს არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყენაში წარმოებული ქათმის კვერცხის რაოდენობა 2017 წლის მდგომარეობით და იგი შეადგენს 600,1 მილიონ ცალს ( $600,1 \times 40 \text{ გრ} = 24000$  (1 კვერცხის საშუალო წონად აღებული იქნა 40 გრამი).

სააგენტოსათვის 2018 წლის ოთხივე კვარტლის მონაცემი ფრინველის კვერცხის რაოდენობაზე არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო 2018 წლის 3 კვარტლის მდგომარეობით წარმოებულია 464,9 მლნ ცალი კვერცხი. შესაბამისად, სააგენტოს მიერ გამოყენებული იქნა ადგილობრივი წარმოების კვერცხის 2017 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რაოდენობრივი მონაცემები.

**ამდენად, 2019 წელს ფრინველის კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული.**

**2019 წელს ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის მიზნით ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 1 469 ერთეული.**

#### **თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა**

- **თაფლი** - ყოველწლიურად თაფლისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობა, წლიური წარმოების პირველ 3000 ტონაზე, ყოველ 300 ტონისათვის შეადგენს 10 ნიმუშს. ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:



- ა) ჯგუფი „ბ“ (1) და ჯგუფ „ბ“ (2.გ)-ისთვის ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;
- ბ) ჯგუფი „ბ“ (3.ა), ჯგუფ „ბ“ (3.ბ) და ჯგუფი „ბ“ (3.გ)-ისთვის ნიმუშების საერთო რაოდენობის 40%;
- გ) ნაშთი 10% უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად. მათ შორის, მიკოტოქსინების შემცველობაზე გამოკვლევების ჩატარება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით: 2017 წელს მიღებული იქნა 2 500 ტონა თაფლი. სააგენტოსათვის 2018 წლის მონაცემები თაფლის წარმოების რაოდენობაზე არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, სააგენტოს მიერ გამოყენებული იქნა 2017 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რაოდენობრივი მონაცემები.

**ამდენად, 2019 წელს თაფლის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 100 ერთეული.**

### **გათვალისწინებელი ლაბორატორიული კვლევები**

სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათის მიღებასთან ასოცირებული დაავადებების შესახებ შეტყობინებები, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც პათოგენური, ასევე, პირობით პათოგენური, სანიტარიული მაჩვენებლების და გაფუჭების მიკროორგანიზმებით სურსათის დაბინძურებასთან დაკავშირებულ დარღვევებს. 2018 წლის განმავლობაში სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან შემოსული იქნა ინფორმაცია სურსათისა და სასმელი წყლის მიღებასთან ასოცირებული დაავადებების 32 შემთხვევის შესახებ.

ამდენად, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათისმიერი დაავადებების შესახებ შეტყობინებების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ განხორციელდება სავარაუდოდ სურსათის 70 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა, 4 ჯგუფის მიკროორგანიზმის (სანიტარიული-მაჩვენებლები, პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმები, პათოგენური მიკროორგანიზმები, გაფუჭების მიკროორგანიზმები) კონტროლის მიზნით.

ამასთან, 2019 წლიდან დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათისმიერი დაავადებების შესახებ შეტყობინებების გათვალისწინებით, საქართველოში პირველად განხორციელდება ჩამონარეცხების კვლევა პერსონალის ხელებიდან, აღჭურვილობიდან და ინვენტარიდან. სააგენტოს მიერ განხორციელდება სავარაუდოდ 100 ჩამონარეცხის ლაბორატორიული კვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2019 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 4 288 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (დანართი №1.4).

ქვეპროგრამა „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი“ 2019 წელი

ლაბორატორიული კვლევის დასახელება	ნიმუშების/ სინჯების სავარაუდო რაოდენობა
სურსათში სალმონელას კვლევა	800
სურსათში <i>Listeria monocytogenes</i> -ის კვლევა	200
სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	25
ჰისტამინი	117
ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე	220
სურსათში სანიტარიული მაჩვენებლების, პირობით პათოგენებისა და პათოგენების კვლევა	70
არაცხოველური წარმოშობის სურსათი	200
მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა	50
სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	150
სასმელი წყალი (მათ შორის დაფასოებული: ნატურალური მინერალური/წყაროს წყალი)	420
რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა	60
ყველში რძის ფხვნილის აღმოჩენა	42
ალკოჰოლური სასმელები	75
სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა	30
ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა	150
ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა (თაფლის გარდა)	1,469

თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	100
სურსათში საღებავების: Sudan I; Sudan II; Sudan III; Sudan IV; Sudan orange G; Sudan Red G; Sudan Red 7 B და Para Red კვლევა	10
ჩამონარეცხების კვლევა პერსონალის ხელიდან, აღჭურვილობის და ინვენტარიდან	100
<b>ლაბორატორიული კვლევები სულ:</b>	<b>4288</b>

## სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის პროგრამა

### მუხლი 1. შესავალი

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ბიზნესოპერატორთა მიმართ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების 2020 წლის სამოქმედო გეგმას.

2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის/სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

### მუხლი 2. პროგრამის განხორციელების საფუძვლები

პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილება, „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილება, „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება, „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება, „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №118 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და

მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №577 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება, „სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №262 დადგენილება, „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 29 ოქტომბრის №2-235 ბრძანება, „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესები და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №301/ნ ბრძანება, „მეცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №10 დადგენილება, „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილება, „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №510 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი - ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №508 დადგენილება, „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილება, „სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №497 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი - სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №547 დადგენილება, „ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზის და გამოკვლევის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის №195 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულებისა და წონის კონტროლის მიზნით რაციონის სრულად ჩანაცვლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის №370 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ხილის წვენისა და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის №536 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი - სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №554 დადგენილება, „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილება, „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №554 დადგენილება, „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილება, „თაფლის შესახებ“

ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №714 დადგენილება, „დაფასოებული მინერალური წყლისა და წყაროს წყლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №719 დადგენილება, „ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისი №340 დადგენილება, „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ ცხოველის სავებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №623 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 მაისის №236 დადგენილება, „ევროკავშირის სურსათის/ცხოველი საკვების სწრაფი განგამის სისტემაში (RASFF) ინტეგრაციის უზრუნველყოფის დონისძიებებათა შესახებ წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №578 დადგენილება, „საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების გადაზიდვისას გამოსაყენებელი ვეტერინარული მოწმობების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისი №325 დადგენილება, „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №442 დადგენილება, „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება, „სურსათის ფორტიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №63 დადგენილება, „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №111 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის №674 დადგენილება, „ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების გამოკვლევის ანალიზის მეთოდების განხორციელებისა და შედეგების ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №499 დადგენილება, „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების განსაზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილება, „ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ივლისი №323 დადგენილება, „ბიოწარმოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისი №198 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №72 დადგენილება, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №430 დადგენილება.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზანია:

ა) ბიზნესოპერატორების მიმართ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ) სურსათის წარმოების, ასევე პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ბიზნესოპერატორის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოფხვრა;

გ) მავნე/საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების შემცირება;

დ) მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

#### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტოს) უფლებამოსილი პირები.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს აღნიშნული კოდექსის 64-ე - 74<sup>3</sup>-ე მუხლების და „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 179<sup>4</sup>, 179<sup>6</sup>-179<sup>9</sup> მუხლების შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

#### **მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

##### **1. ინსპექტირება - გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება**

ა) სააგენტოს მიერ ადამიანური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით (**დანართი №1.1**) განისაზღვრა 2020 წელს ბიზნესოპერატორების მიმართ განსახორციელებელი გეგმური ინსპექტირების რაოდენობა:  $N = P \times 70$ .

სადაც:

• N - წლის განმავლობაში განხორციელებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა;

• P - უფლებამოსილი პირების რაოდენობა;

• რიცხვი 70 - წლის განმავლობაში ერთი უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა.

ბ) ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრისათვის შემუშავებული 4 კრიტერიუმის ქულების დაჯამებით მიღებული შედეგების მიხედვით ამ პროგრამის **დანართი №1.2-ის** შესაბამისად.

გ) ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის შედეგად მინიჭებული ქულების შესაბამისად, ქულების კლებადობის მიხედვით.

დ) იმ ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება, რომლებიც წარმოადგენენ სასმელი წყლის (დაფასოებული სასმელი წყლის გარდა) მიმწოდებელ ორგანიზაციებს, აგრარულ ბაზრებს, საბავშვო ბაგა-ბაღისა და სკოლის კვების ბლოკებს, ახორციელებენ თხილისა და დაფნის ექსპორტს, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტს, ცხოველის

დაკვლას ან/და ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის გარეშე შემდეგი სიხშირით:

დ.ა) სასმელი წყლის (დაფასოებული სასმელი წყლის გარდა) მიმწოდებელი ორგანიზაციების, აგრარული ბაზრების, საბავშვო ბაგა-ბაღისა და სკოლის კვების ბლოკების, თხილისა და დაფნის ექსპორტიორების, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტიორების, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ერთხელ;

დ.ბ) იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ორჯერ;

დ.გ) იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ცხოველის დაკვლას, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ოთხჯერ.

ე) კონკრეტული ბიზნესოპერატორისთვის ერთ კრიტერიუმში ჩამოთვლილი რამდენიმე პუნქტით განსაზღვრული ქულების შეჯამება არ ხდება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ბიზნესოპერატორს მიენიჭება მაქსიმალური ქულა.

ვ) კრიტერიუმების შემუშავებას საფუძვლად დაედო კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები“, (CAC/GLL 62-2007 “Working Principles for Risk Analysis for Food Safety for Application by Governments”), კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „მიკრობიოლოგიური რისკების მართვის (MRM) პრინციპები“, (CAC/GLL63-2007 – “Principles and Guidelines for The Conduct of Microbiological Risk Management), სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების კლასიფიკაცია რისკის ჯგუფებში“ (KT-2-1-D3 - “Classification of Food Handling Businesses Into Risk Groups” - ლიტვის სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის სამუშაო ინსტრუქცია).

ზ) არაგეგმური ინსპექტირება - განხორციელდება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №533 დადგენილების შესაბამისად.

## 2. მონიტორინგი

ა) ბიზნესოპერატორების მონიტორინგი განხორციელდება სურსათის ნიმუშების/სინჯების აღებისა და დოკუმენტური შემოწმების გზით.

ბ) მონიტორინგის ფარგლებში სურსათის ნიმუშების/სინჯების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრა განხორციელდა **დანართი №1.3**-ის შესაბამისად.

გ) სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2020 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 4 732 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (**დანართი №1.4**).

დ) დოკუმენტური შემოწმების დროს განხორციელდება:

დ.ა) სურსათის ეტიკეტირების (ნებისმიერი სიტყვა, მონაცემი, სავაჭრო ნიშანი, სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), გრაფიკული გამოსახულება, აღწერილობითი გამოსახულება ან სიმბოლო, რომელიც დაკავშირებულია სურსათთან და განთავსებულია სურსათის ნებისმიერ შეფუთვაზე, ეტიკეტზე, ბეჭედზე ან საყელოზე ან მოცემულია თანდართულ დოკუმენტში) შემოწმება;

დ.ბ) სურსათის, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, სურსათთან დაკავშირებული ტარისა და შესაფუთი მასალის მიკვლევადობის შემოწმება წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

დ.გ) ბიზნესოპერატორად რეგისტრაციისა და აღიარების შემოწმება;

დ.დ) ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტის შემოწმება;



დ.ე) სურსათის ვარგისიანობის მინიმალური ვადის შემოწმება.

### 3. ნიმუშის აღება

ა) ნიმუშის აღება ხორციელდება ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოსაკვლევად, რათა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი.

ბ) ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

### 4. დოკუმენტური შემოწმება

ა) დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად, ან სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტური შემოწმება.

ბ) დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს და ასევე, დამოუკიდებლად.

გ) შემოწმების პრიორიტეტი ენიჭება ხორცის სარეალიზაციო ობიექტებს და საბავშვო ბაგა-ბაღის კვების ბლოკებს, კერძოდ:

დ) ხორცის სარეალიზაციო ობიექტების, საბავშვო ბაგა-ბაღის კვების ბლოკების გეგმური დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება წელიწადში 2-ჯერ.

ე) არაგეგმური დოკუმენტური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს:

ე.ა) სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე;

ე.ბ) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოს შეტყობინების საფუძველზე;

ე.გ) სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, სურსათი/ცხოველის საკვები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს;

ე.დ) სააგენტოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც შემტყობინებელი პირისა და შეტყობინებით გათვალისწინებული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

ე.ე) სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

### 5. ზედამხედველობის დროს განხორციელდება დაკვირვება:

ა) სურსათის განადგურებაზე.

ბ) ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზრიდან და მომხმარებლისგან გამოთხოვაზე.

გ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

### მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგები

1. ბიზნესოპერატორებს მიეცემათ შესაბამისი რეკომენდაციები არსებული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით.

2. შემცირდება საფრთხის შემცველი სურსათის წარმოების და ბაზარზე განთავსების ფაქტები.

რეგიონი	ინსპექტორის რაოდენობა	წლის განმავლობაში ჩასატარებელი გეგმური ინსპექტირების რ-ბა (შესაბამისობის შეფასების აქტების რ-ბა)
---------	-----------------------	--

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე სურსათის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

თბილისის საქალაქო სამსახური	22	1540
აჭარის რეგიონული სამმართველო	10	700
გურიის რეგიონული სამმართველო	5	350
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველო	5	350
იმერეთის რეგიონული სამმართველო	12	840
რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველო	4	280
სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველო	5	350
შიდა ქართლის რეგიონული სამმართველო	6	420
ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველო	9	630
მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველო	6	420
კახეთის რეგიონული სამმართველო	9	630
სულ	93	6510

დანართი №1.2

**ბიზნესოპერატორების რისკის დონის კრიტერიუმები**

#	რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმი	ქულა
1.	<b>გადამუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები:</b>	
	<b>ა) ცხოველური წარმოშობის სურსათი:</b>	
	ა.ა) ხორცი და ხორცის პროდუქტები	35
	ა.ბ) რძე და რძის პროდუქტები	35
	ა.გ.) თევზი და თევზის პროდუქტები	35
	ა.დ) კვერცხი	20
	ა.ე) ცხოველური წარმოშობის სხვა სურსათი	25
	<b>ბ) მცენარეული წარმოშობის სურსათი:</b>	

	ბ.ა) ხილი, ბოსტნეული	15
	ბ.ბ) უალკოჰოლო სასმელები, წვენები	25
	ბ.გ) მარცვლეული, ფქვილი და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი	15
	ბ.დ) კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი	25
	ბ.ე) შაქარი, მარილი	15
	ბ.ვ) ჩაი, ყავა	15
	ბ.ზ) საკვებდანამატები, სანელებლები, საკაზმები	25
	ბ.თ) ალკოჰოლური სასმელები	15
	ბ.ი) სასმელი წყალი	25
	ბ.კ) მცენარეული წარმოშობის სხვა სურსათი (ზეთები, ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი და სხვ.)	15
	გ) ნახევარფაბრიკატები	25
	დ) საღებავი რეზინი	15
	ე) მზა კერძები	25
	ვ) კონსერვი	35
	ზ) ბავშვთა კვების პროდუქტები	35
	თ) ცხოველთა საკვები	25
	ი) სხვა დასახელების სურსათი	15
<b>2.</b>	<b>საქმიანობის ტიპი</b>	
	ა) წარმოება, გადამამუშავება, ცხოველთა დაკვლა	20
	ბ) პირველადი პროდუქტების წარმოება	5
	გ) შეფუთვა	5
	დ) რძის შეგროვება	15
	ე) საბითუმო ვაჭრობა, დასაწყობება, დისტრიბუცია	5
	ვ) საცალო ვაჭრობა მაღაზიებში	5
	ზ) საცალო ვაჭრობა ბაზრებში და მოძრავ ობიექტებში	5
	<b>თ) საზოგადოებრივი კვება:</b>	
	თ.ა) კაფე, რესტორანი, ბუფეტი, სასადილო და ა.შ.	10
	თ.ბ) ბუფეტი საკოლამდელი ბავშვებისათვის	15
	თ.გ) ბუფეტი სკოლის ასაკის ბავშვებისათვის	10
<b>3.</b>	<b>მეწარმის სტატუსი</b>	
	ა) 500 000 და მეტი	15
	გ) 0-დან 500 000-მდე	5
	დ) ახლად რეგისტრირებული მეწარმე	10
<b>4.</b>	<b>ბიზნესოპერატორის ისტორია:</b>	
	ა) სააგენტოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევა	
	ა.ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 64-ე მუხლით	30

ა.ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით	30
ა.გ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილით	10
ა.დ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით	20
ა.ე) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის პირველი, მე-3 და 3 <sup>1</sup> ნაწილებით	30
ა.ვ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 67-ე მუხლით	20
ა.ზ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით	20
ა.თ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით	30
ა.ი) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 70-ე მუხლით	20
ა.კ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით	10
ა.ლ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით	30
ა.მ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>2</sup> მუხლით	30
ა.ნ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>3</sup> მუხლით	10
ა.ო) სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით	20
ბ) შეტყობინება RASFF-დან	30
გ) სახელმწიფო კონტროლი არ განხორციელებულა	30
დ) სახელმწიფო კონტროლისას ჯარიმა არ განხორციელებულა	0

დანართი №1.3

მონიტორინგი - ნიმუშის აღება მეთოდოლოგია

1. მონიტორინგის დროს ასაღები სურსათის ნიმუშების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა:

1.1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები;

1.2. წინა წლებში მოსახლეობასა კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადების შემთხვევები;

1.3. სურსათის მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;

1.4. გარემოს დაბინძურების შემთხვევები;

1.5. მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;

1.6. სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

2. ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით გათვალისწინებული იქნა: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესისა“ და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილებით დამტკიცებული „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები.

### ქულების მინიჭების მატრიცა

ალბათობა	სიმძიმე		
	1	2	3
1	1	2	3
2	2	4	6
3	3	6	9

დაბალი რისკი -  $(1 - 3) = 0,05$  ქულა

საშუალო რისკი -  $(4) = 0,15$  ქულა

მაღალი რისკი -  $(6 - 9) = 0,5$  ქულა

### I. სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა

1. სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) მიკრობიოლოგიური საფრთხის კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);

ბ) წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი;

გ) მოსახლეობაში კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი:

2.1. კრიტერიუმი 1 - მიკრობიოლოგიური საფრთხის კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)

იდენტიფიცირებული იქნა 5 მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი: სალმონელა, *Listeria monocytogenes*, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი, ჰისტამინი, ბრუცელა.

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- სალმონელა - 0,05 ქულა;
- *Listeria monocytogenes* - 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი - 0,05 ქულა;
- ჰისტამინი - 0,5 ქულა;
- ბრუცელა - 0,5.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის ლაბორატორიული გამოცდის შედეგების ანალიზი *სააგენტოს 2019 წლის მონაცემებით:*

- სურსათში სალმონელას კვლევა: აღებული იქნა სურსათის 800 ნიმუში, სალმონელა აღმოჩნდა 4 ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 0,5%);

- სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა: აღებული იქნა სურსათის 200 ნიმუში, *Listeria monocytogenes* არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 0%);

- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: აღებული იქნა სურსათის 25 ნიმუში, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 0%);

- ჰისტამინი: აღებული იქნა სურსათის 117 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა (დარღვევის მაჩვენებელი 0%);

- ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე: აღებული იქნა ნედლი რძის 220 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 15 ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 6,8%).

*კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:*

- დარღვევები 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- დარღვევები 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- სალმონელა: 0,05 ქულა;
- *Listeria monocytogenes*: 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: 0,05 ქულა;
- ჰისტამინი: 0,05 ქულა;
- ბრუცელა: 0,5.

2.3. კრიტერიუმი 3 - მოსახლეობაში კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევები

*გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2019 წლის (17.12.2019 წელი) წინასწარი სტატისტიკური მონაცემები:*

- სალმონელოზი: 224 შემთხვევა;

- ლისტერიოზი: 0 შემთხვევა (ლისტერიოზზე ეპიდზედამხედველობა არ არის დამყარებული);

- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინით გამოწვეული მოშხამვა: მონაცემები არ არსებობს;
- ჰისტამინით გამოწვეული დაავადებები: მონაცემები არ არსებობს;
- ბრუცელოზი: 178 შემთხვევა.

*კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:*

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 300-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 300-ზე მეტი შემთხვევა.

შენიშვნა: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემების არარსებობის გამო - *Listeria monocytogenes* და სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი შეფასდა დაბალ რისკად, სალმონელა და ბრუცელა საშუალო რისკად, ხოლო თევზის საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, ჰისტამინი შეფასდა მაღალ რისკად.

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- სალმონელა: 0,15 ქულა;
- *Listeria monocytogenes*: 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: 0,05 ქულა;
- ჰისტამინი: 0,5 ქულა;
- ბრუცელა: 0,15 ქულა.

#### 2.4. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა.

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3	მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი
სალმონელა	0,05	0,05	0,15	0,25
<i>Listeria monocytogenes</i>	0,05	0,05	0,05	0,15
სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	0,05	0,05	0,05	0,15
ჰისტამინი	0,5	0,05	0,5	1,05
ბრუცელა	0,5	0,15	0,15	0,8

3. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული ანალიზისთვის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობის დადგენა:

3.1. სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2018 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 557 კგ. სურსათი.

- სურსათის დაყოფა მოხდა პირობითად 7 სახეობად: ხორცი და ხორცის პროდუქტები (მ.შ. ფრინველის ხორცი), თევზი და თევზის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი და კვერცხის პროდუქტები, ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვება, არაცხოველური წარმოშობის სურსათი.



3.2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების გათვალისწინებით:

3.2.1. სალმონელას ლაბორატორიული ანალიზი ხორციელდება ყველა სახეობის სურსათში.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობა (557 კილოგრამი).

3.2.2. *Listeria monocytogenes*-ის ლაბორატორიული ანალიზი ხორციელდება ჩვილ ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილ მზა სურსათში და ასევე მზა სურსათში.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისთვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობის 35%, რამაც შეადგინა 195 კილოგრამი.

3.2.3. სტაფილოკოკურ ენტეროტოქსინის ლაბორატორიული ანალიზი ხორციელდება ყველში, მშრალ რძესა და მშრალ შრატში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2018 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 178 კგ. რძე და რძის პროდუქტები.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული რძისა და რძის პროდუქტების საერთო რაოდენობის 20%, რამაც შეადგინა 35,6 კილოგრამი.

3.2.4. ჰისტამინის ლაბორატორიული გამოცდა ხორციელდება მხოლოდ თევზში.

- „საქსტატის“ (იმპორტი) და სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული (წარმოება) მონაცემებით 2018 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 5,2 კგ. თევზი და თევზის პროდუქტი.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული თევზისა და თევზის პროდუქტების საერთო რაოდენობა (5,2 კილოგრამი).

3.2.5. ბრუცელას ლაბორატორიული გამოცდა ხორციელდება ნედლ რძეში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2018 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 178 კგ. რძე და რძის პროდუქტები.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული რძე და რძის პროდუქტების საერთო რაოდენობა (178 კილოგრამი).

3.3. ზემოღნიშნულისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ გათვალისწინებით, წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A \times X \times n$

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა;

K – მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი;

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში;

n - მაჩვენებლის ტექნიკური რეგლამენტის ნიმუშის აღების გეგმის მიხედვით განსაზღვრული რაოდენობა.

3.4. 2020 წელს ასაღებმა სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

**3.4.1.სურსათში სალმონელას კვლევა:**  $N = K \times A \times X \times n = 0,25 \times 557 \times 5 = 696$  ნიმუში.

- ტექნიკური რეგლამენტის ნიმუშის აღების გეგმის მიხედვით, ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათის შემთხვევაში პარტიიდან გამოკვლევისათვის აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობა წარმოადგენს 30 ნიმუშს. აღებული იქნება ბავშვთა კვების 4 ნიმუში (120 ერთეული).

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:  $700+120=820$  ერთეული.

**3.4.2. სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა:**  $N = K \times A \times n = 0,15 \times 195 \times 5 = 146$  ნიმუში.

- ტექნიკური რეგლამენტის ნიმუშის აღების გეგმის მიხედვით, ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათის შემთხვევაში პარტიიდან გამოკვლევისათვის აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობა წარმოადგენს 10 ნიმუშს. აღებული იქნება ბავშვთა კვების 5 ნიმუში (50 ერთეული).

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:  $150+50=200$  ერთეული.

**3.4.3. სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი:**  $N = K \times A \times n = 0,15 \times 35,6 \times 5 = 26,7$  ნიმუში.

- რადგან წინა წლებში აღებულ ნიმუშებში დარღვევები არ გამოვლენილა, ასაღები ნიმუშების რაოდენობა განისაზღვრა 25 ერთეულით.

**3.4.4. ჰისტამინი:**  $N = K \times A \times n = 1,05 \times 5,2 \times 9 = 49$  ნიმუში.

- თევზის (შავი ზღვის ქაფშიას) ევროპის ქვეყნებში ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით და ევროკავშირის მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია აღებული იქნეს თევზის 90 ნიმუში.

**3.4.5. ნედლი რძის კვლევა ბრუცელაზაზე:**  $N = K \times A = 0,8 \times 178 = 142,4$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 142 ერთეული.

## II. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა, სურსათში პესტიციდების ნარჩენების და ტრანსცხიმების შემცველობის ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა

1. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა, სურსათში პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, პესტიციდებისა და ტრანსცხიმების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);

ბ) წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი;

გ) არამიკრობული ბუნების კვებითი მოშხამვები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდებისა და ტრანსცხიმების კოეფიციენტი:

2.1. კრიტერიუმი 1 - არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდებისა და ტრანსცხიმების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები: 0,15 ქულა;
- პესტიციდები: 0,15 ქულა;
- ტრანსცხიმები: 0,15.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის სურსათის ლაბორატორიული გამოცდის შედეგების ანალიზი

*სააგენტოს 2019 წლის მონაცემებით:*

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: აღებული იქნა სურსათის 622 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 57 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 9,2%;
  - სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა: აღებული იქნა სურსათის 62 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევამ შეადგინა 0%;
  - სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა: აღებული იქნა სურსათის 150 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 6 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 4%;
- კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:*
- დარღვევების 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
  - დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
  - მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: 0,15 ქულა;
- სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა: 0,05 ქულა;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა: 0,15 ქულა.

2.3. კრიტერიუმი 3 - არამიკრობული ბუნების კვებითი მოშხამვები

- მონაცემების არარსებობის გამო, ყველა მაჩვენებელი შეფასდა დაბალ რისკად.

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: 0,05;
- სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა: 0,05;
- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა: 0,05.

2.4. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა.

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3	მაჩვენებლის კოეფიციენტი
არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური	0,15	0,15	0,05	0,35

მაჩვენებლების განსაზღვრა				
სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა	0,15	0,05	0,05	<b>0,25</b>
სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	0,15	0,15	0,05	<b>0,35</b>

3. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების შემცველობაზე ლაბორატორიული გამოცდისთვის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობის დადგენა:

3.1 სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში. „საქსტატის“ მონაცემებით 2018 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 384 კგ. არაცხოველური წარმოშობის სურსათი.

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრისთვის პირობითად მიღებული იქნა 576 კგ. არაცხოველური წარმოშობის სურსათის 1 ადამიანის მიერ მოხმარება.

- არ იძებნება მონაცემები ისეთი არაცხოველური წარმოშობის სურსათის მოხმარების შესახებ, როგორცაა: მცენარეული კონსერვები, უალკოჰოლო სასმელები და თხილი.

- ასაღები არაცხოველური წარმოშობის სურსათის რაოდენობის განსაზღვრისთვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული არაცხოველური წარმოშობის სურსათის საერთო რაოდენობას (384კგ) დამატებული მისი 50%, რამაც ჯამში შეადგინა შეადგინა  $384+192=576$  კილოგრამი.

- სურსათში პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრისთვის პირობითად მიღებული იქნა 384 კგ. არაცხოველური წარმოშობის სურსათის 1 ადამიანის მიერ მოხმარება.

3.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A$ .

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა;

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი;

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

3.3. 2020 წელს ასაღებმა სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

**3.3.1. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა:**  $N = K \times A = 0,35 \times 576 = 201,6$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 202 ერთეული.

**3.3.2. სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა:**  $N = K \times A = 0,25 \times 384 = 96$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 96 ერთეული.

**3.3.3. სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა:**  $N = K \times A = 0,35 \times 384 = 134,4$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 134 ერთეული.

### III. სასმელი წყლის (მ.შ. დაფასოებული) ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების/სინჯების რაოდენობის განსაზღვრა

1. სასმელი წყლის (მ.შ. დაფასოებული) ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები სინჯების რაოდენობის დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით;

ბ) წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება;

გ) მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის კოეფიციენტი:

2.1 კრიტერიუმი 1 - სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- სასმელი წყალი: 0,15 ქულა.

2.2 კრიტერიუმი 2 - წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება

*2019 წლის მონაცემებით:*

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული): აღებული იქნა 572 ნიმუში/სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 230 სინჯში. დარღვევამ შეადგინა 40,2%;

*კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:*

- დარღვევების 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;

- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;

- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული): 0,5 ქულა.

2.3. კრიტერიუმი 3 - მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები

2.3.1. სასმელ წყალთან (მ.შ. დაფასოებული) დაკავშირებული დაავადებების შესახებ მონაცემების არარსებობის გამო, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შეტყობინებას დაქვემდებარებული ავადმყოფობებიდან გამოყოფილი იქნა დაავადებები, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს სასმელ წყალს კერძოდ, გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2019 წლის წინასწარი სტატისტიკური მონაცემები:

- სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების შემთხვევათა რაოდენობა: 34734 შემთხვევა;

- შიგელოზი: 321 შემთხვევა.

*კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:*

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;

- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 300-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;

- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 300-ზე მეტი შემთხვევა.

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული): 0,5 ქულა.

2.4. სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის კოეფიციენტის დადგენა:

- შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები: სასმელი წყალი (მ.შ. დაფასოებული):  $0,15 + 0,5 + 0,5 = 1,15$  ქულა.

3. ლაბორატორიული კვლევისათვის სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის დადგენა:

3.1. სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-2 მუხლის №7 ცხრილით მიმწოდებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში სასმელი წყლის გამოსაკვლევი სინჯების რაოდენობა. წინა წლების სასმელი წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევის შედეგებში მიკრობული დაბინძურების მაღალი მაჩვენებლისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სტატისტიკის გათვალისწინებით, შერჩეული იქნა 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა, რაც ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად შეადგენს 365 სინჯს.

3.2. არ იძებნება მონაცემები წარმოებული დაფასოებული სასმელი წყლის რაოდენობის შესახებ;

3.3. სასმელი წყლის ასაღები ნიმუშების/სინჯების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A$

სადაც, N არის ასაღები სინჯების რაოდენობა;

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი;

A – 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა.

3.4. 2020 წელს სასმელი წყლის ასაღები სინჯების რაოდენობამ შეადგინა:  $N = K \times A = 1,15 \times 365 = 419,75 = 420$  სინჯი.

- გარდა ამისა აღებული იქნება დაფასოებული სასმელი წყლის 30 ნიმუში.

- სულ 2020 წელს აღებული იქნება სასმელი წყლის (მ.შ დაფასოებული) 450 ნიმუში/სინჯი.

#### IV. სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის და სურსათში საღებავების შემცველობის ლაბორატორიული კვლევა

1. სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიისა და სურსათში საღებავების შემცველობის ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიისა და სურსათში საღებავების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);

ბ) წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება;

გ) მოსახლეობაში ტყვიითა და საღებავებით დაბინძურებული სურსათის მიღებით გამოწვეული დაავადებების შემთხვევები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტი:

2.1 კრიტერიუმი 1 - ტყვიისა და საღებავების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- ტყვია: 0,5 ქულა;
- საღებავები: 0,05 ქულა.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები

*სააგენტოს 2019 წლის მონაცემებით:*

- ტყვიის შემცველობაზე კვლევის მიზნით აღებული იქნა სურსათის (მშ ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) 338 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 1 ნიმუშში, დარღვევამ შეადგინა 0,2%;

- სურსათში საღებავების კვლევის მიზნით აღებული იქნა 10 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 9 ნიმუშში, დარღვევამ შეადგინა 90%;

*კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:*

- დარღვევების 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- სურსათში (მშ ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის კვლევა: 0,05 ქულა;

- სურსათში საღებავების შემცველობის კვლევა: 0,5 ქულა;

2.3 კრიტერიუმი 3 - მოსახლეობაში კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევები.

2.3.1 გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2018-2019 წლებში განხორციელებული ბავშვთა სისხლში ტყვიის შემცველობის ლაბორატორიული კვლევის მონაცემები.

2.3.2. ტყვიის მაღალი შემცველობა (ნორმატივებთან გადაჭარბება - სისხლში ტყვია  $\geq 5$ მკგ/დლ) დაფიქსირდა 646 შემთხვევაში;

2.3.3. საღებავებით სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევების შესახებ მონაცემები არ არსებობს.

*კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:*

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 300-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 300-ზე მეტი შემთხვევა.

*განხორციელდა ქულების მინიჭება:*

- ტყვია: 0,5 ქულა;
- საღებავები: 0,05 ქულა.

2.4. ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტის დადგენა

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3	ტყვისა და საღებავების კოეფიციენტი
სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვის შემცველობის განსაზღვრა	0,15	0,05	0,5	0,7
სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა	0,05	0,5	0,05	0,60

3. ტყვისა და საღებავების მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობის დადგენა:

3.1. სურსათში (მ.შ ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვის შემცველობაზე ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში:

- „საქსტატის“ მონაცემებით 2018 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 557 კგ. სურსათი (გარდა ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათისა);

- შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით საქართველოში 2018 წელს იმპორტირებული იქნა 1657 ტონა ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი:

- „საქსტატის“ 2018 წლის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობს 226 800 ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვი;

- 1 ბავშვის მიერ მოხმარებული სურსათის (ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვისთვის განკუთვნილი სურსათი) რაოდენობა 1 წლის განმავლობაში შეადგენს 6 კგ-ს.

- სულ სურსათის რაოდენობა შეადგენს  $557+6=563$ კგ.

3.2. სურსათში საღებავების შემცველობაზე ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2018 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 56 კგ სურსათი (ბოსტნეული) რაშიც ნორმირდება საღებავები.

3.3. წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A$

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა;

K – ტყვისა და საღებავების კოეფიციენტი;

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

3.4. 2020 წელს სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:



**3.4.1. სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის განსაზღვრა:**  $N = K \times A = 0.7 \times 563 = 394.1$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 394 ერთეული.

**3.4.2. სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა:**  $N = K \times A = 0.60 \times 56 = 33,6$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: 34 ერთეული.

## **V. სხვა ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა**

1. სურსათის ლაბორატორიული კვლევისათვის მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების გარდა, ახალი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული მაჩვენებლების კონტროლის, RASFF-ის შეტყობინებების, მომხმარებელთა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებისა და დაცვის (მ.შ. ფალსიფიკაცია) მიზნით, განსაზღვრული იქნა 6 პროგრამა:

- რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა;
- რძის ნაწარმში რძის ფხვნილის შემცველობის განსაზღვრა;
- ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა;
- სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა;
- ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა;
- გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა.

1.1. რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 40 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 14 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 35%;

- 2019 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 60 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 5 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 8,3 %;

- ამდენად, დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა 2018 წელთან შედარებით 2019 წელს იკლო.

1.2. რძის ნაწარმში რძის ფხვნილის აღმოჩენა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს აღებული იქნა რძის ნაწარმის 168 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 1,79%;

- 2019 წელს აღებული იქნა რძის ნაწარმის 42 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 1 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2,3%;

- ამდენად, ბოლო ორი წლის მონაცემებით დარღვევის პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით იგივეა.

1.3. ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 108 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2,78%.

- 2019 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 109 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 14 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 12.8%

- ამდენად, 2018 წელთან შედარებით 2019 წელს დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებლმა მოიმატა.

1.4. სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 1 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 1 %;

- 2019 წელს აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 10%;

- ამდენად, 2018 წელთან შედარებით 2019 წელს დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებლმა მოიმატა.

1.5. ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს დარღვევამ შეადგინა 24,29 %.

- 2019 წელს დარღვევამ შეადგინა 8 %.

- ამდენად, 2018 წელთან შედარებით 2019 წელს აღინიშნება დარღვევის პროცენტული მაჩვენებლის კლება.

- 1.6. გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა 2020 წელს განხორციელდება პირველად, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №340 დადგენილების შესაბამისად.

2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

- რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა: 60 ნიმუში;

- რძის ნაწარმში რძის ფხვნილის შემცველობის განსაზღვრა: 42 ნიმუში;

- ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: 150 ნიმუში;

- სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა: 50 ნიმუში;

- ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა: 140 ნიმუში;

- გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა: 150 ნიმუში.

## **VI. ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლისა და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა**

1. წარმოებული სურსათის შესახებ ინფორმაცია აღებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული მონაცემებიდან.

**1.1. მსხვილფეხა საქონელი:** მსხვილფეხა საქონლის მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ცხოველების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,4%-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,25%, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა.ა) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. გამონაკლისის სახით, დასაშვებია 25% ნიმუშებისა, „ა“ ჯგუფის (5) ნივთიერების (სუბსტანციის) გამოკვლევისათვის, განხორციელდეს ცხოველის საკვებში, წყალსა და სხვა მასალებში;

ა.ბ) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს სასაკლაოზე;

ა.გ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,15 %, რომელთაგან:

ბ.ა) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.1.1. სააგენტოში არსებული 2019 წლის 10 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 147 418 სული მსხვილფეხა საქონელი (1 მსხვილფეხა საქონელი × 180 კგ, დაახლოებით 26,54 ათასი ტონა), აღნიშნული მონაცემის გათვალისწინებით 2020 წელს სავარაუდოდ დაიკვლება 176 902 სული მსხვილფეხა საქონელი (31,8 ათასი ტონა ხორცი).

1.1.2. 2020 წელს ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 708 ერთეული (ცოცხალი ცხოველი და ხორცი), აქედან უნდა განხორციელდეს:

- „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 442 ნიმუში, მ.შ. 221 ნიმუში - სურსათი (ხორცი);

- „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 265 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 79 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 79 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე - 27 ნიმუში და დანარჩენი 80 ნიმუში უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

**1.1.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს მსხვილფეხა საქონლის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 486 ერთეული.**

**1.2. ღორი** - ღორების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ღორების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,02 %;

ა.ა) იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშების აღება ხდება სასაკლაოზე, აუცილებელია დამატებით, ფერმის დონეზე, ანალიზი ჩატარდეს:

ა.ა.ა) ცხოველისთვის განკუთვნილ სასმელ წყალს;

ა.ა.ბ) ცხოველის საკვებს;

ა.ა.გ) ექსკრემენტებს.

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში და ნაშთი განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,03%, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ.) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.2.1. სააგენტოში არსებული 2019 წლის 10 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 130 275 ღორი (1 სული ღორი × 90 კგ, დაახლოებით 11,7 ათასი ტონა). აღნიშნული მონაცემით 2019 წლის ბოლომდე სავარაუდოდ დაიკვლება 156 329 სული ღორი.

1.2.2. 2020 წელს ღორიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 78 ერთეული (ცოცხალი და ხორცი). აქედან, უნდა განხორციელდეს:

- „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 31 ნიმუში, მ.შ. 21 ნიმუში - სურსათი (ხორცი);

- „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 46 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 14 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 14 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე - 4 ნიმუში და დანარჩენი 14 ნიმუში - უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.2.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს ღორის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 67 ერთეული.

1.3. ცხვარი და თხა - ცხვრებისა და თხების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხვრებისა და თხების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ - 0,01 %, რომელთაგან:

ა.ა) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ა.ბ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

ბ) ჯგუფი „ბ“ - 0,04 %, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ.) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.3.1. სააგენტოში არსებული 2019 წლის 10 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 187 676 სული ცხვარი (1 ცხვარი × 15 კგ, დაახლოებით 2,8 ათასი ტონა). აღნიშნული მონაცემით, 2019 წლის ბოლომდე სავარაუდოდ დაიკვლება 225 220 სული ცხვარი.

1.3.2. 2020 წელს წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 112 ერთეული (ცოცხალი და ხორცი). აქედან, უნდა განხორციელდეს:

- „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 23 ნიმუში, მ.შ. 10 ნიმუში - სურსათი (ხორცი);

- „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 90 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 27 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 27 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 9 ნიმუში, დანარჩენი 27 ნიმუში - უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

**1.3.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს ცხვრისა და თხის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 100 ერთეული.**

**1.4. ფრინველი** - თითოეული კატეგორიის ფრინველისათვის (ბროილერი, ამორტიზებული კვერცხმდებელი ქათამი, ინდაური და სხვ.) ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს წლიური პროდუქციის (დაკლული წონა) ყოველ 200 ტონაზე, სულ მცირე, ერთ ნიმუშს და თუ გამოსაკვლევადი ფრინველის ცალკეული კატეგორიის წლიური პროდუქცია (დაკლული წონა) აღემატება 5 000 ტონას – სულ მცირე 100 ნიმუშს ნივთიერების (სუბსტანციის) თითოეულ ჯგუფზე. ჯგუფების დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;

ა.ა) ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს;

ა.ბ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად შემოწმებული და გამოკვლეული უნდა იქნეს „ა“ ჯგუფის ნივთიერებებისათვის (სუბსტანციებისათვის) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის არა უმცირეს 5%-ისა;

ა.გ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%, რომელთაგან:

ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

1.4.1. სააგენტოში არსებული 2019 წლის 10 თვის მონაცემებით დაკლული ფრინველის რაოდენობამ შეადგინა 7 075 919 ფრთა (1 ფრთა ფრინველი X 1,2 კგ - საშუალო ფრინველის წონა). 2019 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება 8 491 110 ფრთა ფრინველი. აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ფრინველის ხორცის რაოდენობა, რაც სავარაუდოდ შეადგენს 10 189 ტონა ფრინველის ხორცს.

1.4.2. 2020 წელს ფრინველის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული (ცოცხალი და ხორცი). აქედან, უნდა განხორციელდეს:

- „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 100 ნიმუში, მ.შ. 80 ნიმუში - სურსათი (ფრინველის ხორცი);

- „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 100 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 30 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 30 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 10 ნიმუში, დანარჩენი 30 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

**1.4.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს ფრინველიდან ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 180 ერთეული.**

**1.5. ბოცვერი** - ყოველწლიურად დაკლული ბოცვრებიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 10 ნიმუშს წლიური წარმოების (დაკლული წონა) 300 ტონაზე წარმოების

პირველ 3000 ტონაზე, ხოლო ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 30%, მათგან:

ა.ა) ნიმუშების 70% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ (6) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ა.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ სხვა ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%, მათგან:

ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

1.5.1. სააგენტოში არსებული 2019 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 24 984 სული ბოცვერი (1 სული ბოცვერი X 1,2 კგ - საშუალო ბოცვერის წონა/1000). აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ბოცვერების რაოდენობა, რაც სავარაუდოდ შეადგენს 29 984 სული ბოცვერს, 35 980 კგ.

1.5.2. 2020 წელს ბოცვერის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

- „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 3 ნიმუში (ბოცვერის ხორცი);

- „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 7 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 2 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 2 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 1 ნიმუში, დანარჩენი 2 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.5.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს ბოცვერიდან ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული.

1.6. რძე - ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა შეადგენს ერთ ნიმუშს ყოველ 15 000 ტონა წლიურად წარმოებულ რძეზე, არანაკლებ 300 ნიმუშისა, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩაუტარდეს ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებზე. თითოეული ნიმუში გამოკვლეული უნდა იქნეს სულ მცირე, ოთხ სხვადასხვა ნივთიერებაზე (სუბსტანციაზე) – „ა“ ჯგუფიდან მე-6 პუნქტით განსაზღვრულ, (6), „ბ“ ჯგუფიდან პირველი პუნქტით განსაზღვრულ, (1), „ბ“ ჯგუფიდან (2.ა) და „ბ“ ჯგუფიდან (2.ე);

ბ) ნიმუშების 15%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩაუტარდეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენებზე;

გ) ნაშთი 15% უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

1.6.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით: 2018 წელს წარმოებული იქნა 555 300 ტონა რძე, ხოლო წინასწარი მონაცემებით 2019 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებულია 455 200 ტონა რძე.

1.6.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს რძის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 300 ერთეული.

**1.7. ფრინველის კვერცხი** - ყოველწლიურად კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობა ყოველ 1000 ტონა მოხმარებისთვის განკუთვნილ წარმოებულ კვერცხზე შეადგენს 1 ნიმუშს, მაგრამ არანაკლებ 200 ნიმუშისა. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

- ნიმუშების არანაკლებ 30%-ისა აღებულ უნდა იქნეს იმ შესაფუთი საწარმოდან, რომელიც ბაზარზე ადამიანის მოხმარებისათვის ყველაზე მეტი რაოდენობით კვერცხს განათავსებს. მათგან:

ა) ნიმუშების 70% ლაბორატორიულად გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ა“ (6), ჯგუფი „ბ“ (1) და ჯგუფი „ბ“ (2. ბ), სულ მცირე, ერთ ნივთიერებაზე (სუბსტანციაზე) მაინც;

ბ) ნიმუშების 30% ლაბორატორიულად გამოკვლეული უნდა იქნეს არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.7.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანაში წარმოებული ქათმის კვერცხის რაოდენობა 2018 წლის მდგომარეობით და იგი შეადგენს 634,8 მილიონ ცალს ( $634\ 800\ 000 \times 40\text{ გრ} = 25\ 392\ \text{ტონა}$ , 1 კვერცხის საშუალო წონად აღებული იქნა 40 გრამი).

**1.7.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს ფრინველის კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული.**

2. 2020 წელს ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლისა და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის მიზნით ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა **1 343 ერთეული**.

## **VII. თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა**

1. **თაფლი** - ყოველწლიურად თაფლისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობა, წლიური წარმოების პირველ 3000 ტონაზე, ყოველ 300 ტონისათვის შეადგენს 10 ნიმუშს. ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ბ“ (1) და ჯგუფი „ბ“ (2.გ)-ისთვის ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;

ბ) ჯგუფი „ბ“ (3.ა), ჯგუფი „ბ“ (3.ბ) და ჯგუფი „ბ“ (3.გ)-ისთვის ნიმუშების საერთო რაოდენობის 40%;

გ) ნაშთი 10% უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად. მათ შორის, მიკოტოქსინების შემცველობაზე გამოკვლევების ჩატარება.

1.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით: 2018 წელს მიღებული იქნა 2 500 ტონა თაფლი. სააგენტოსათვის 2019 წლის მონაცემები თაფლის წარმოების რაოდენობაზე არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, სააგენტოს მიერ გამოყენებული იქნა 2018 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რაოდენობრივი მონაცემები.

**1.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს თაფლის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 100 ერთეული.**

## **VIII. თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა**

1. **თევზი** - ფერმაში წარმოებული თევზისათვის ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა, ყოველი 100 ტონა წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტიდან, შეადგენს არანაკლებ 1 ნიმუშს. გამოსავლენი ნივთიერებები (სუბსტანციები) და საანალიზო ნიმუშები უნდა დაჯგუფდეს ამ ნივთიერებათა (სუბსტანციათა) სავარაუდო გამოყენების მიხედვით. ჯგუფები დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/3;

ა.ა) ნიმუშების აღება უნდა მოხდეს ფერმის დონეზე თევზის წარმოების/მოშენების ყველა სტადიაზე, მათ შორის, იმ თევზის ჩათვლით, რომელიც მზად არის მოხმარებისათვის ბაზარზე განსათავსებლად;

ა.ბ) ზღვის ფერმებში, ნიმუშის აღების სირთულის გამო თევზის ნაცვლად შესაძლებელია განხორციელდეს ცხოველის საკვების ნიმუშის აღება;

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 2/3, რომლის დროსაც ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს:

ბ.ა) უპირატესად ფერმაში, თევზისგან, რომელიც მზად არის მოხმარებისათვის ბაზარზე განსათავსებლად;

ბ.ბ) ნედლი თევზისგან, გადამამუშავებელ საწარმოში ან საბითუმო ბაზრიდან, იმ პირობით, რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს მიკვლევადობა ფერმამდე. ყველა შემთხვევაში, ფერმის დონეზე ნიმუში აიღება რეგისტრირებული საწარმოების საერთო რაოდენობის არა უმცირეს 10%-დან.

1.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანის მასშტაბით წყალსატევებში წარმოებული თევზის რაოდენობა 2019 წლის მდგომარებით და შეადგენს 2 381 ტონა თევზს (ოჯახების მიხედვით).

1.2. 2020 წელს თევზიდან ასაღები ნიმუშების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა 20 ერთეული. ევროკავშირის ქვეყნებში თევზის საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ აღებული იქნება 30 ერთეული, საიდანაც განხორციელდება:

- „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 25 ნიმუში, ფერმის დონეზე;

- „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 30 სურსათის ნიმუში.

1.3. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს თევზის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 30 ერთეული.**

## IX. გაუთვალისწინებელი ლაბორატორიული კვლევები

1. სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათის დაკავშირებული სურსათისმიერი დაავადებების შესახებ შეტყობინებები, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც პათოგენური, ასევე, პირობით პათოგენური, სანიტარიული მაჩვენებლების და გაფუჭების მიკროორგანიზმებით სურსათის დაბინძურებასთან დაკავშირებულ დარღვევებს. 2019 წლის განმავლობაში სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან შემოსული იქნა ინფორმაცია სურსათისა და სასმელი წყლის მიღებასთან ასოცირებული დაავადებების 32 შემთხვევის შესახებ.

2. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათისმიერი დაავადებების შესახებ შეტყობინებების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ განხორციელდება სავარაუდოდ სურსათის 80 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა, 4 ჯგუფის მიკროორგანიზმის (სანიტარიული-მაჩვენებლები, პირობით-პათოგენური



მიკროორგანიზმები, პათოგენური მიკროორგანიზმები, გაფუჭების მიკროორგანიზმები) კონტროლის მიზნით.

3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2020 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 4 732 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (დანართი №1.4).

დანართი №1.4

ქვეპროგრამა „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი“ 2020წელი

ლაბორატორიული კვლევის დასახელება	ნიმუშების/ სინჯების სავარაუდო რაოდენობა
სურსათში სალმონელას კვლევა	820
სურსათში <i>Listeria monocytogenes</i> -ის კვლევა	200
სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	25
ჰისტამინი	90
ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე	142
სურსათში სანიტარიული მაჩვენებლების, პირობით პათოგენებისა და პათოგენების კვლევა	80
არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	202
სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა	96
სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	134
სასმელი წყალის (მათ შორის დაფასოებული) კვლევა	450
რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა	60
რძის ნაწარმში რზის ფხვნილის შემცველობის განსაზღვრა	42
ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	150
სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა	50
ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა	140
სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა	34
სურსათში (მ.შ. ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის განსაზღვრა	394

ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლისა და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	1343
თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	30
თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა (LMA)	100
გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა (LMA)	150
<b>ლაბორატორიული კვლევები სულ:</b>	<b>4 732</b>

## სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2021 წლის პროგრამა

### მუხლი 1. შესავალი

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2021 წლის პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ბიზნესოპერატორთა მიმართ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმას.

2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის/სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

### მუხლი 2. პროგრამის განხორციელების საფუძვლები

1. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდულირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილება, „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილება, „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილება, „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება, „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება, „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №118 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოტხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №577 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება, „სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №262 დადგენილება, „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 იანვრის №2-29 ბრძანება, „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესები და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №301/ნ ბრძანება, „მეცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №10 დადგენილება, „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილება, „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №510 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი - ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №508 დადგენილება, „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილება, „სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №497 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი -სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №547 დადგენილება, „ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზის და გამოკვლევის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის №195 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ჩვილის და ადრეული ასაკის ბავშვთათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულებისა და წონის კონტროლის მიზნით რაციონის სრულად ჩანაცვლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის №370 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - ხილის წვენისა და ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის №536 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი – სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №554 დადგენილება, „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილება, „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის – სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №554 დადგენილება, "თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილება, „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №714 დადგენილება, „დაფასობული მინერალური წყლისა და წყაროს წყლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №719 დადგენილება, „ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისი №340 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 მაისის №236 დადგენილება, „ევროკავშირის სურსათის/ცხოველი საკვების სწრაფი განგაშის სისტემაში (RASFF) ინტეგრაციის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან შესახებ წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №578 დადგენილება, „საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების გადაზიდვისას გამოსაყენებელი ვეტერინარული მოწმობების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისი №325 დადგენილება, „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №442 დადგენილება, „სურსათის ფორტიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №63 დადგენილება, „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №111 დადგენილება, „სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის №674 დადგენილება, „ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების გამოკვლევის ანალიზის მეთოდების განხორციელებისა და შედეგების ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №499 დადგენილება, „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების განსაზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილება, „ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ივლისის №323 დადგენილება, „ბიოწარმოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №198 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №72 დადგენილება, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №430 დადგენილება, „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის N376 დადგენილება.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზნები**

#### **1. პროგრამის მიზანია:**

ა) ბიზნესოპერატორების მიმართ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ) სურსათის წარმოების, ასევე პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ბიზნესოპერატორის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოფხვრა;

გ) მავნე/საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების შემცირება;

დ) მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტოს) უფლებამოსილი პირები.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს აღნიშნული კოდექსის 64-ე - 74<sup>3</sup>-ე მუხლების და

„სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 179<sup>4</sup>, 179<sup>6</sup>-179<sup>9</sup> მუხლების შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

## **მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

1. ინსპექტირება - გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება

ა) სააგენტოს მიერ ადამიანური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით განისაზღვრა 2021 წელს ბიზნესოპერატორების მიმართ განსახორციელებელი გეგმური ინსპექტირების რაოდენობა:  $N = P \times 70$ . სადაც:

N - წლის განმავლობაში განხორციელებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა;

P - უფლებამოსილი პირების რაოდენობა (ფაქტიურად დასაქმებული ინსპექტორთა რაოდენობა);

რიცხვი 70 - წლის განმავლობაში ერთი უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა;

ბ) ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრისათვის შემუშავებული 4 კრიტერიუმის ქულების დაჯამებით მიღებული შედეგების მიხედვით ამ პროგრამის **დანართი №1.1**-ის შესაბამისად;

გ) ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის შედეგად მინიჭებული ქულების შესაბამისად, ქულების კლებადობის მიხედვით;

დ) იმ ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება, რომლებიც წარმოადგენენ სასმელი წყლის (დაფასოებული სასმელი წყლის გარდა) მიმწოდებელ ორგანიზაციებს, აგრარულ ბაზრებს, საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკებს, ახორციელებენ თხილისა და დაფნის ექსპორტს, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტს, ცხოველის დაკვლას ან/და ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის გარეშე შემდეგი სიხშირით:

დ.ა) სასმელი წყლის (დაფასოებული სასმელი წყლის გარდა) მიმწოდებელი ორგანიზაციების, აგრარული ბაზრების, საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლის კვების ბლოკების, თხილისა და დაფნის ექსპორტიორების, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტიორების, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ერთხელ;

დ.ბ) იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ორჯერ;

დ.გ) იმ ბიზნესოპერატორების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ცხოველის დაკვლას, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება წელიწადში ოთხჯერ.

ე) კონკრეტული ბიზნესოპერატორისთვის ერთ კრიტერიუმში ჩამოთვლილი რამდენიმე პუნქტით განსაზღვრული ქულების შეჯამება არ ხდება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ბიზნესოპერატორს მიენიჭება მაქსიმალური ქულა;

ვ) კრიტერიუმების შემუშავებას საფუძვლად დაედო კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები“, (CAC/GLL 62-2007 “Working Principles for Risk Analysis for Food Safety for Application by Governments”), კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „მიკრობიოლოგიური რისკების მართვის (MRM) პრინციპები“, (CAC/GLL63-2007 – “Principles and Guidelines for The Conduct of Microbiological Risk Management), `სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების კლასიფიკაცია რისკის ჯგუფებში“ (KT-2-1-D3 - “Classification of Food Handling Businesses Into Risk Groups” - ლიტვის სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის სამუშაო ინსტრუქცია);

ზ) არაგეგმური ინსპექტირება - განხორციელდება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №533 დადგენილების შესაბამისად.

## 2. მონიტორინგი

ა) ბიზნესოპერატორების მონიტორინგი განხორციელდება სურსათის ნიმუშების/სინჯების აღებისა და დოკუმენტური შემოწმების გზით;

ბ) მონიტორინგის ფარგლებში სურსათის ნიმუშების/სინჯების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრა განხორციელდა **დანართი №1.2-ის** შესაბამისად;

გ) სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2021 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 4 673 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (**დანართი №1.3**);

დ) დოკუმენტური შემოწმების დროს განხორციელდება:

დ.ა) სურსათის ეტიკეტირების (ნებისმიერი სიტყვა, მონაცემი, სავაჭრო ნიშანი, სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), გრაფიკული გამოსახულება, აღწერილობითი გამოსახულება ან სიმბოლო, რომელიც დაკავშირებულია სურსათთან და განთავსებულია სურსათის ნებისმიერ შეფუთვაზე, ეტიკეტზე, ბეჭედზე ან საყელოზე ან მოცემულია თანდართულ დოკუმენტში) შემოწმება;

დ.ბ) სურსათის, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, სურსათთან დაკავშირებული ტარისა და შესაფუთი მასალის მიკვლევადობის შემოწმება წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

დ.გ) ბიზნესოპერატორად რეგისტრაციისა და აღიარების შემოწმება;

დ.დ) ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტის შემოწმება;



დ.ე) სურსათის ვარგისიანობის მინიმალური ვადის შემოწმება.

### 3. ნიმუშის აღება

ა) ნიმუშის აღება ხორციელდება ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოსაკვლევად, რათა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი;

ბ) ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

### 4. დოკუმენტური შემოწმება

ა) დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად, ან სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტური შემოწმება;

ბ) დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს და ასევე, დამოუკიდებლად;

გ) შემოწმების პრიორიტეტი ენიჭება ხორცის სარეალიზაციო ობიექტებს და საბავშვო ბაგა-ბაღების კვების ბლოკებს, კერძოდ:

დ) ხორცის სარეალიზაციო ობიექტების, საბავშვო ბაგა-ბაღების გეგმური დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება წელიწადში 2-ჯერ;

ე) არაგეგმური დოკუმენტური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს:

ე.ა) სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე;

ე.ბ) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოს შეტყობინების საფუძველზე;

ე.გ) სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, სურსათი/ცხოველის საკვები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს;

ე.დ) სააგენტოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც შემტყობინებელი პირისა და შეტყობინებით გათვალისწინებული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

ე.ე) სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

### 5. ზედამხედველობის დროს განხორციელდება დაკვირვება:

ა) სურსათის განადგურებაზე;

ბ) ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზრიდან და მომხმარებლისგან გამოთხოვაზე;

გ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

### მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგები

1. ბიზნესოპერატორებს მიეცემა შესაბამისი რეკომენდაციები არსებული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით.

2. შემცირდება საფრთხის შემცველი სურსათის წარმოების და ბაზარზე განთავსების ფაქტები.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე სურსათის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

### დანართი №1.1

#### ბიზნესოპერატორების რისკის დონის კრიტერიუმები

რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმი	ქულა
გადამუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები:	
ა) ცხოველური წარმოშობის სურსათი:	
ა.ა) ხორცი და ხორცის პროდუქტები	35
ა.ბ) რძე და რძის პროდუქტები	35
ა.გ.) თევზი და თევზის პროდუქტები	35
ა.დ) კვერცხი	20
ა.ე) ცხოველური წარმოშობის სხვა სურსათი	25
ბ) მცენარეული წარმოშობის სურსათი:	
ბ.ა) ხილი, ბოსტნეული	15
ბ.ბ) უალკოჰოლო სასმელები, წვენები	25
ბ.გ) მარცვლეული, ფქვილი და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი	15
ბ.დ) კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი	25
ბ.ე) შაქარი, მარილი	15
ბ.ვ) ჩაი, ყავა	15
ბ.ზ) საკვებდანამატები, სანელებლები, საკაზმები	25

	ბ.თ) ალკოჰოლური სასმელები	15
	ბ.ი) სასმელი წყალი	25
	ბ.კ) მცენარეული წარმოშობის სხვა სურსათი (ზეთები, ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი და სხვ.)	15
	გ) ნახევარფაბრიკატები	25
	დ) საღებავი რეზინი	15
	ე) მზა კერძები	25
	ვ) კონსერვი	35
	ზ) ბავშვთა კვების პროდუქტები	35
	თ) ცხოველთა საკვები	25
	ი) სხვა დასახელების სურსათი	15
.	საქმიანობის ტიპი	
	ა) წარმოება, გადამუშავება, ცხოველთა დაკვლა	20
	ბ) პირველადი პროდუქტების წარმოება	5
	გ) შეფუთვა	5
	დ) რძის შეგროვება	15
	ე) საბითუმო ვაჭრობა, დასაწყობება, დისტრიბუცია	5
	ვ) საცალო ვაჭრობა მაღაზიებში	5
	ზ) საცალო ვაჭრობა ბაზრებში და მოძრავ ობიექტებში	5
	თ) საზოგადოებრივი კვება:	
	თ.ა) კაფე, რესტორანი, ბუფეტი, სასადილო და ა.შ.	10
	თ.ბ) ბუფეტი საკოლამდელი ბავშვებისათვის	15
	თ.გ) ბუფეტი სკოლის ასაკის ბავშვებისათვის	10
.	მეწარმის სტატუსი	
	ა) 500 000 და მეტი	15
	გ) 0-დან 500 000-მდე	5
	დ) ახლად რეგისტრირებული მეწარმე	10
.	ბიზნესოპერატორის ისტორია:	
	ა) სააგენტოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევა	

ა.ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 64-ე მუხლით	30
ა.ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით	30
ა.გ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილით	10
ა.დ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით	20
ა.ე) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის პირველი, მე-3 და 3 <sup>1</sup> ნაწილებით	30
ა.ვ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 67-ე მუხლით	20
ა.ზ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით	20
ა.თ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით	30
ა.ი) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 70-ე მუხლით	20
ა.კ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით	10
ა.ლ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით	30
ა.მ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>2</sup> მუხლით	30
ა.ნ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74 <sup>3</sup> მუხლით	10
ა.ო) სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით	20
ბ) შეტყობინება RASFF-დან	30
გ) სახელმწიფო კონტროლი არ განხორციელებულა	30
დ) სახელმწიფო კონტროლისას ჯარიმა არ განხორციელებულა	0

**მონიტორინგი - ნიმუშის აღება მეთოდოლოგია**

1. მონიტორინგის დროს ასაღები სურსათის ნიმუშების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა:

1.1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები;

1.2. წინა წლებში მოსახლეობასა კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადების შემთხვევები;

1.3. სურსათის მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;

1.4. გარემოს დაბინძურების შემთხვევები;

1.5. მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;

1.6. სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

2. ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით გათვალისწინებული იქნა: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესისა“ და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილებით დამტკიცებული „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები.

**ქულების მინიჭების მატრიცა**

ალბათობა	სიმძიმე		
	1	2	3
1	1	2	3
2	2	4	6
3	3	6	9

დაბალი რისკი - (1 - 3) = 0,05 ქულა

საშუალო რისკი - (4) = 0,15 ქულა

მაღალი რისკი - (6 - 9) = 0,5 ქულა

1. სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა

1.1. სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) მიკრობიოლოგიური საფრთხის კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);

ბ) წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი;

გ) მოსახლეობაში კვებითი მომხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი:

2.1. კრიტერიუმი 1 - მიკრობიოლოგიური საფრთხის კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით) იდენტიფიცირებული იქნა 5 მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი: სალმონელა, *Listeria monocytogenes*, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი, ჰისტამინი, ბრუცელა.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სალმონელა - 0,05 ქულა;
- *Listeria monocytogenes* - 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი - 0,05 ქულა;
- ჰისტამინი - 0,5 ქულა;
- ბრუცელა - 0,5.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის ლაბორატორიული გამოცდის შედეგების ანალიზი სააგენტოს 2020 წლის მონაცემებით:

- სურსათში სალმონელას კვლევა: აღებული იქნა სურსათის 820 ნიმუში, სალმონელა აღმოჩნდა 13 ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 1.6%);

- სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა: აღებული იქნა სურსათის 200 ნიმუში, *Listeria monocytogenes* არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 0%);

- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: აღებული იქნა სურსათის 25 ნიმუში, სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი არ აღმოჩენილა არცერთ ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 0%);

- ჰისტამინი: აღებული იქნა სურსათის 90 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 8 ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 8.9%);

- ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე: აღებული იქნა ნედლი რძის 132 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 6 ნიმუშში (დარღვევის მაჩვენებელი 4.5%).

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევები 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- დარღვევები 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სალმონელა: 0,05 ქულა;
- *Listeria monocytogenes*: 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: 0,05 ქულა;
- ჰისტამინი: 0,15 ქულა;
- ბრუცელა: 0,15.

2.3. კრიტერიუმი 3 - მოსახლეობაში კვებითი მოშხამვების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევები გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2019 წლის სტატისტიკური მონაცემები (2020 წლის მონაცემები არ იძებნება):

- სალმონელოზი: 245 შემთხვევა;
- ლისტერიოზი: 0 შემთხვევა (ლისტერიოზზე ეპიდზედამხედველობა არ არის დამყარებული);
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინით გამოწვეული მოშხამვა: მონაცემები არ არსებობს;
- ჰისტამინით გამოწვეული დაავადებები: მონაცემები არ არსებობს;
- ბრუცელოზი: 185 შემთხვევა.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 300-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 300-ზე მეტი შემთხვევა.

შენიშვნა: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემების არარსებობის გამო

- *Listeria monocytogenes* და სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი შეფასდა დაბალ რისკად, ხოლო თევზის საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, ჰისტამინი შეფასდა მაღალ რისკად.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სალმონელა: 0,15 ქულა;
- *Listeria monocytogenes*: 0,05 ქულა;
- სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი: 0,05 ქულა;
- ჰისტამინი: 0,5 ქულა;
- ბრუცელა: 0,15 ქულა.

2.4. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა.

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3	მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი
სალმონელა	0,05	0,05	0,15	0,25
Listeria monocytogenes	0,05	0,05	0,05	0,15
სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	0,05	0,05	0,05	0,15
ჰისტამინი	0,5	0,15	0,5	1,15
ბრუცელა	0,5	0,15	0,15	0,80

3. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული ანალიზისთვის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობის დადგენა:

3.1. სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2019 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 684 კგ. სურსათი.

- სურსათის დაყოფა მოხდა პირობითად 7 სახეობად: ხორცი და ხორცის პროდუქტები (მ.შ. ფრინველის ხორცი), თევზი და თევზის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი და კვერცხის პროდუქტები, ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვება, არაცხოველური წარმოშობის სურსათი.

3.2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების გათვალისწინებით:

3.2.1. სალმონელას ლაბორატორიული ანალიზი ხორციელდება ყველა სახეობის სურსათში.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობა (684 კილოგრამი).

3.2.2. Listeria monocytogenes-ის ლაბორატორიული ანალიზი ხორციელდება ჩვილ ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილ მზა სურსათში და ასევე მზა სურსათში.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისთვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის საერთო რაოდენობის 35%, რამაც შეადგინა 239 კილოგრამი.



3.2.3. სტაფილოკოკურ ენტეროტოქსინის ლაბორატორიული ანალიზი ხორციელდება ყველში, მშრალ რძესა და მშრალ შრატში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2019 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 185 კგ. რძე და რძის პროდუქტები.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული რძისა და რძის პროდუქტების საერთო რაოდენობის 20%, რამაც შეადგინა 37 კილოგრამი.

3.2.4. ჰისტამინის ლაბორატორიული გამოცდა ხორციელდება მხოლოდ თევზში.

- „საქსტატის“ (იმპორტი) და სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული (წარმოება) მონაცემებით 2019 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 6.6 კგ. თევზი და თევზის პროდუქტი.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული თევზისა და თევზის პროდუქტების საერთო რაოდენობა (6.6 კილოგრამი).

3.2.5. ბრუცელას ლაბორატორიული გამოცდა ხორციელდება ნედლ რძეში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2019 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 151 კგ. რძე.

- ასაღები სურსათის რაოდენობის განსაზღვრისათვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული რძე (151 კილოგრამი).

3.3. ზემოლნიშნულისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ გათვალისწინებით, წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A \times n$

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა;

K – მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის კოეფიციენტი;

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში;

n - მაჩვენებლის ტექნიკური რეგლამენტის ნიმუშის აღების გეგმის მიხედვით განსაზღვრული რაოდენობა.

3.4. 2021 წელს ასაღებმა სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

3.4.1. სურსათში სალმონელას კვლევა:  $N = K \times A \times n = 0,25 \times 684 \times 5 = 855$  ნიმუში.

3.4.2. სურსათში *Listeria monocytogenes*-ის კვლევა:  $N = K \times A \times n = 0,15 \times 239 \times 5 = 179,25$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: **180 ერთეული.**

3.4.3. სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი:  $N = K \times A \times n = 0,15 \times 37 \times 5 = 27,75$  ნიმუში.

- რადგან წინა წლებში აღებულ ნიმუშებში დარღვევები არ გამოვლენილა, ასაღები ნიმუშების რაოდენობა განისაზღვრა **25 ერთეულით**.

**3.4.4. ჰისტამინი:**  $N = K \times A \times n = 1,15 \times 6.6 \times 9 = 68.31$  ნიმუში.

- თევზის (შავი ზღვის ქაფშიას) ევროპის ქვეყნებში ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირის მოთხოვნების გათვალისწინებით და 2020 წელს გამოვლენილი დარღვევებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღებული იქნეს თევზის **90 ნიმუში**.

**3.4.5. ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე:**  $N = K \times A = 0,80 \times 185 = 120.8$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა **121 ერთეული**.

II. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა, სურსათში პესტიციდების ნარჩენების და ტრანსცხიმების შემცველობის ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა

1. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა, სურსათში პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, პესტიციდებისა და ტრანსცხიმების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);

ბ) წინა წლის სურსათის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი;

გ) არამიკრობული ბუნების კვებითი მოშხამვები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდებისა და ტრანსცხიმების კოეფიციენტი:

2.1. კრიტერიუმი 1 - არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდებისა და ტრანსცხიმების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით)

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები: 0,5 ქულა;

- პესტიციდები: 0,15 ქულა;

- ტრანსცხიმები: 0,15.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის სურსათის ლაბორატორიული გამოცდის შედეგების ანალიზი

სააგენტოს 2020 წლის მონაცემებით:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: აღებული იქნა სურსათის 932 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 18 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 1.9%;

- სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა: აღებული იქნა სურსათის 96 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა. დარღვევამ შეადგინა 0%;

- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა: აღებული იქნა სურსათის 134 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 2 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 1.5%.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: 0,05 ქულა;

- სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა: 0,05 ქულა;

- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა: 0,05 ქულა.

### 2.3. კრიტერიუმი 3 - არამიკრობული ბუნების კვებითი მოშხამებები

- მონაცემების არარსებობის გამო, ყველა მაჩვენებელი შეფასდა დაბალ რისკად.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: 0,05;

- სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა: 0,05;

- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა: 0,05.

2.4. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების მაჩვენებლის კოეფიციენტის დადგენა.

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3	მაჩვენებლის კოეფიციენტი
არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	0,5	0,05	0,05	0,60
სურსათში პესტიციდების	0,15	0,05	0,05	0,25

ნარჩენების განსაზღვრა				
სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	0,15	0,05	0,05	0,25

3. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების, სურსათში პესტიციდების ნარჩენებისა და ტრანსცხიმების შემცველობაზე ლაბორატორიული გამოცდისთვის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობის დადგენა:

3.1 სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში. „საქსტატის“ მონაცემებით 2019 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 412 კგ. არაცხოველური წარმოშობის სურსათი.

- არ იძებნება მონაცემები ისეთი არაცხოველური წარმოშობის სურსათის მოხმარების შესახებ, როგორცაა: მცენარეული კონსერვები, უალკოჰოლო სასმელები, თხილი და არაცხოველური წარმოშობის მზა სურსათი.

- ასაღები არაცხოველური წარმოშობის სურსათის რაოდენობის განსაზღვრისთვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული არაცხოველური წარმოშობის სურსათის საერთო რაოდენობას (412 კგ) დამატებული მისი 50%, რამაც ჯამში შეადგინა  $412+206=618$  კგ.

- სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრისთვის პირობითად მიღებული იქნა 412 კგ. არაცხოველური წარმოშობის სურსათის 1 ადამიანის მიერ მოხმარება.

- სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრისთვის საორიენტაციოდ მიღებული იქნა 1 წლის განმავლობაში 1 ადამიანის მიერ მოხმარებული არაცხოველური წარმოშობის სურსათის საერთო რაოდენობას (412 კგ.) დამატებული მისი 20% (მზა არაცხოველური წარმოშობის სურსათი), რამაც ჯამში შეადგინა  $412+82=494$  კგ.

3.2. ზემოლნიშნულიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A$ . სადაც:

N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა;

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი;

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

3.3. 2021 წელს ასაღებმა სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

3.3.1. არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა:  $N = K \times A = 0,60 \times 618 = 370.8$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: **371 ერთეული.**

3.3.2. სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა:  $N = K \times A = 0,25 \times 412 = 103$  ნიმუში.

3.3.3. სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა:  $N = K \times A = 0,25 \times 494 = 123,5$

ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: **124 ერთეული.**

III. სასმელი წყლის (მ.შ. დაფასობული) ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების/სინჯების რაოდენობის განსაზღვრა.

1. სასმელი წყლის (მ.შ. დაფასობული) ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები სინჯების რაოდენობის დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით;

ბ) წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება;

გ) მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის კოეფიციენტი:

2.1 კრიტერიუმი 1 - სასმელი წყლის მიღებით გამოწვეული დაავადებების ალბათობა - მისი სიმძიმის გათვალისწინებით.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი: 0,15 ქულა.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება.

2020 წლის მონაცემებით:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასობული): აღებული იქნა 503 ნიმუში/სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 130 ნიმუშში/სინჯში. დარღვევამ შეადგინა 25.8%;

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;

- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;

- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასობული): 0,5 ქულა.

2.3. კრიტერიუმი 3 - მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები

2.3.1. სასმელ წყალთან (მ.შ. დაფასობული) დაკავშირებული დაავადებების შესახებ მონაცემების არარსებობის გამო, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შეტყობინებას დაქვემდებარებული ავადმყოფობებიდან გამოყოფილი იქნა დაავადებები, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს სასმელ წყალს კერძოდ, გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2019 წლის სტატისტიკური მონაცემები:

- სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების შემთხვევათა რაოდენობა: 15345

შემთხვევა;

- შიგელოზი: 332 შემთხვევა.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;

- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 300-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;

- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 300-ზე მეტი შემთხვევა.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სასმელი წყალი (მ.შ. დაფასობული): 0,5 ქულა.

2.4. სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის კოეფიციენტის დადგენა:

- შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები: სასმელი წყალი (მ.შ. დაფასობული):  $0,15 + 0,5 + 0,5 = 1,15$  ქულა.

3. ლაბორატორიული კვლევისათვის სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის დადგენა:

3.1. სასმელი წყლის სინჯების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-2 მუხლის №7 ცხრილით მიმწოდებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში სასმელი წყლის გამოსაკვლევი სინჯების რაოდენობა. წინა წლების სასმელი წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევის შედეგებში მიკრობული დაბინძურების მაღალი მაჩვენებლისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სტატისტიკის გათვალისწინებით, შერჩეული იქნა 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა, რაც ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად შეადგენს 365 სინჯს.

3.2. არ იძებნება მონაცემები წარმოებული დაფასობული სასმელი წყლის რაოდენობის შესახებ;

3.3. სასმელი წყლის ასაღები ნიმუშების/სინჯების რაოდენობა გამოსახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A$

სადაც, N არის ასაღები სინჯების რაოდენობა;

K – მაჩვენებლის კოეფიციენტი;

A – 100 000-ზე მეტ მოსახლეზე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის საკონტროლო სინჯების რაოდენობა.

3.4. 2021 წელს სასმელი წყლის ასაღები სინჯების რაოდენობამ შეადგინა:  $N = K \times A = 1,15 \times 365 = 419,75 = 420$  სინჯი.

- გარდა ამისა აღებული იქნება დაფასობული სასმელი წყლის 50 ნიმუში.

- სულ 2021 წელს აღებული იქნება სასმელი წყლის (მ.შ დაფასობული) **470 ნიმუში/სინჯი**.

IV. სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის და სურსათში საღებავების შემცველობის ლაბორატორიული კვლევა

1. სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიისა და სურსათში საღებავების შემცველობის ლაბორატორიული კვლევისათვის ასაღები ნიმუშების რაოდენობების დასადგენად განსაზღვრული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიისა და სურსათში საღებავების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით);

ბ) წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება;

გ) მოსახლეობაში ტყვიითა და საღებავებით დაბინძურებული სურსათის მიღებით გამოწვეული დაავადებების შემთხვევები.

2. თითოეული კრიტერიუმი შეფასდა შესაბამისი ქულით, რომელთა დაჯამებით მიღებული იქნა ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტი:

2.1 კრიტერიუმი 1 - ტყვიისა და საღებავების კლასიფიკაცია (საფრთხის გამოვლენის ალბათობა მისი სიმძიმის გათვალისწინებით) განხორციელდა ქულების მინიჭება:

- ტყვია: 0,15 ქულა;

- საღებავები: 0,05 ქულა.

2.2. კრიტერიუმი 2 - წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები სააგენტოს 2020 წლის მონაცემებით:

- ტყვიის შემცველობაზე კვლევის მიზნით აღებული იქნა სურსათის (მ.შ ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) 394 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლინდა არცერთ ნიმუშში, დარღვევამ შეადგინა 0%;

- სურსათში საღებავების კვლევის მიზნით აღებული იქნა 34 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 9 ნიმუშში, დარღვევამ შეადგინა 26.5%;

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- დარღვევების 0-დან 3%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;

- დარღვევების 3-ზე მეტი 10%-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;

- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 10%-ზე მეტი დარღვევები.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- სურსათში (მ.შ ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის კვლევა: 0,05 ქულა;

- სურსათში საღებავების შემცველობის კვლევა: 0,5 ქულა;

2.3 კრიტერიუმი 3 - მოსახლეობაში კვებითი მოშხამებების, სურსათით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევები.

2.3.1 გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2018-2019 წლებში განხორციელებული ბავშვთა სისხლში ტყვიის შემცველობის ლაბორატორიული კვლევის მონაცემები.

2.3.2. ტყვიის მაღალი შემცველობა (ნორმატივებთან გადაჭარბება - სისხლში ტყვია  $\geq 5\text{მკგ/დლ}$ ) დაფიქსირდა 646 შემთხვევაში;

2.3.3. საღებავებით სურსათისმიერი დაავადებების შემთხვევების შესახებ მონაცემები არ არსებობს.

კრიტერიუმის შეფასებისას პირობითად განსაზღვრული იქნა, რომ:

- შემთხვევების რაოდენობა 0-დან 150-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა დაბალ რისკად;
- შემთხვევების რაოდენობა 151-დან 300-ის ჩათვლით მიჩნეული იქნა საშუალო რისკად;
- მაღალ რისკად მიჩნეული იქნა 300-ზე მეტი შემთხვევა.

განხორციელდა ქულების მინიჭება:

- ტყვია: 0,5 ქულა;
- საღებავები: 0,05 ქულა.

2.4. ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტის დადგენა

შეკრებილი იქნა კრიტერიუმების შეფასებისას მინიჭებული ქულები:

მაჩვენებელი	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3	ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტი
სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის განსაზღვრა	0,15	0,05	0,5	0,70
სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა	0,05	0,5	0,05	0,60

3. ტყვიისა და საღებავების მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობის დადგენა:

3.1. სურსათში (მ.შ ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობაზე ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში:



- „საქსტატის“ მონაცემებით 2019 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ 684 კგ. სურსათი (გარდა ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათისა);

- შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით საქართველოში 2020 წელს იმპორტირებული იქნა 1691 ტონა ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი:

- „საქსტატის“ 2019 წლის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობს 223 600 ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვი;

- 1 ბავშვის მიერ მოხმარებული სურსათის (ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვისთვის განკუთვნილი სურსათი) რაოდენობა 1 წლის განმავლობაში შეადგენს 8 კგ-ს.

- სულ სურსათის რაოდენობა შეადგენს  $684+8=692$  კგ.

3.2. სურსათში საღებავების შემცველობაზე ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

- „საქსტატის“ მონაცემებით 2019 წელს 1 ადამიანის მიერ მოხმარებული იქნა საშუალოდ **55 კგ.** სურსათი (ბოსტნეული) რაშიც ნორმირდება საღებავები.

3.3. წლის განმავლობაში სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:  $N = K \times A$

სადაც, N არის ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა;

K – ტყვიისა და საღებავების კოეფიციენტი;

A – 1 ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათის რაოდენობა 1 წლის განმავლობაში.

3.4. 2021 წელს სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

3.4.1. სურსათში (მ.შ ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის განსაზღვრა:  $N = K \times A = 0.70 \times 692 = 484.4$  ნიმუში.

- ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა: **484 ერთეული.**

3.4.2. სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა:  $N = K \times A = 0.60 \times 55 = 33$  ნიმუში.

V. სხვა ლაბორატორიული კვლევისათვის სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობების განსაზღვრა

1. სურსათის ლაბორატორიული კვლევისათვის მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების გარდა, ახალი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული მაჩვენებლების კონტროლის, RASFF-ის შეტყობინებების, მომხმარებელთა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებისა და დაცვის (მ.შ. ფალსიფიკაცია) მიზნით, განსაზღვრული იქნა 6 პროგრამა:

- რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა;

- რძის ნაწარმში რძის ფხვნილის შემცველობის განსაზღვრა;

- ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა;

- სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა;
- ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა;
- გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა.

1.1. რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 40 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 14 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 35%;

- 2019 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 60 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 5 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 8,3 %;

- 2020 წელს აღებული იქნა რძისა და რძის ნაწარმის 60 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 8 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 13,3 %;

- ამდენად, დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა 2019 წელთან შედარებით 2020 წელს მოიმატა.

1.2. რძის ნაწარმში რძის ფხვნილის აღმოჩენა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს აღებული იქნა რძის ნაწარმის 168 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 1,79%;

- 2019 წელს აღებული იქნა რძის ნაწარმის 42 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 1 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2,3%;

- 2020 წელს აღებული იქნა რძის ნაწარმის 42 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა.

1.3. ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 108 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2,78%.

- 2019 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 109 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 14 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 12.8%.

- 2020 წელს აღებული იქნა ალკოჰოლიანი სასმელების 198 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 4 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 2%.

- ამდენად, 2018 და 2019 წლებთან შედარებით 2020 წელს დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა მოიკლო.

1.4. სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 1 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 1 %;

- 2019 წელს აღებული იქნა სურსათის 30 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში. დარღვევამ შეადგინა 10%;

- 2020 წელს აღებული იქნა სურსათის 50 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა.

1.5. ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

- 2018 წელს დარღვევამ შეადგინა 24,29%.
- 2019 წელს დარღვევამ შეადგინა 8 %.
- 2020 წელს დარღვევამ შეადგინა 23.6%
- ამდენად, 2019 წელთან შედარებით 2020 წელს დარღვევის პროცენტულმა მაჩვენებლმა მოიმატა.

1.6. გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა 2020 წელს განხორციელდა პირველად, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №340 დადგენილების შესაბამისად - მონიტორინგის შედეგების ანალიზით:

2020 წელს აღებული იქნა სურსათის 98 ნიმუში. დარღვევა არ გამოვლენილა.

2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს სურსათის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა:

- რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა: **80 ნიმუში**;
- რძის ნაწარმში რძის ფხვნილის შემცველობის განსაზღვრა: **20 ნიმუში**;
- ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა: **100**

**ნიმუში**;

- სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა: **30 ნიმუში**;
- ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა: **160 ნიმუში**;
- გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა: **75 ნიმუში**.

VI. ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლის და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

1. წარმოებული სურსათის შესახებ ინფორმაცია აღებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული მონაცემებიდან.

**1.1. მსხვილფეხა საქონელი:** მსხვილფეხა საქონლის მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ცხოველების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,4%-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,25%, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა.ა) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. გამონაკლისის სახით, დასაშვებია 25% ნიმუშებისა, „ა“ ჯგუფის (5) ნივთიერების (სუბსტანციის) გამოკვლევისათვის, განხორციელდეს ცხოველის საკვებში, წყალსა და სხვა მასალებში;

ა.ბ) ნიმუშების ნახევარი აღებული უნდა იქნეს სასაკლაოზე;

ა.გ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,15%, რომელთაგან:

ბ.ა) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) დანარჩენი 30% – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.1.1. სააგენტოში არსებული 2020 წლის 11 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 129 096 სული მსხვილფეხა საქონელი.

აღნიშნული მონაცემის გათვალისწინებით 2020 წელს სავარაუდოდ დაიკვლება 139 854 სული მსხვილფეხა საქონელი.

1.1.2. 2021 წელს მსხვილფეხა საქონლიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 560 ერთეული, აქედან უნდა განხორციელდეს:

- „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 350 ნიმუში, მ.შ. 175 ნიმუში - ცოცხალი ცხოველებიდან და 175 ნიმუში - სურსათი (ხორცი);

- „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 210 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 63 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 63 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე - 21 ნიმუში და დანარჩენი 63 ნიმუში უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.1.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს მსხვილფეხა საქონლის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 385 ერთეული.

**1.2. ღორი** - ღორების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს დაკლული ღორების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – 0,02 %;

ა.ა) იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშების აღება ხდება სასაკლაოზე, აუცილებელია დამატებით, ფერმის დონეზე, ანალიზი ჩატარდეს:

ა.ა.ა) ცხოველისთვის განკუთვნილ სასმელ წყალს;

ა.ა.ბ) ცხოველის საკვებს; ა.ა.გ) ექსკრემენტებს. „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად კონტროლი უნდა

განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში და ნაშთი განაწილდეს საჭიროების შესაბამისად.

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,03%, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე); ბ.დ.) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად

1.2.1.სააგენტოში არსებული 2020 წლის 11 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 151 683 სული ღორი.

აღნიშნული მონაცემით 2020 წლის ბოლომდე სავარაუდოდ დაიკვლება **164 323 სული ღორი.**

1.2.2. 2021 წელს ღორიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 82 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 33 ნიმუში, მ.შ. 10 ნიმუში - ცოცხალი ცხოველებიდან და 23 ნიმუში - სურსათი;

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 49 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 14 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 14 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე - 5 ნიმუში და დანარჩენი 16 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.2.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს ღორის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 72 ერთეული.

**1.3. ცხვარი და თხა** - ცხვრებისა და თხების მინიმალური რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაკონტროლდეს ყველა სახეობის ნარჩენებსა და ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე), უნდა შეადგენდეს წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხვრებისა და თხების საერთო რაოდენობის არანაკლებ 0,05 %-ს და დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ - 0,01 %, რომელთაგან:

ა.ა) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის, ყოველწლიურად კონტროლი უნდა განხორციელდეს ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში;

ა.ბ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

ბ) ჯგუფი „ბ“ – 0,04 %, რომელთაგან ნიმუშები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ.ა.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე); ბ.ბ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 30% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ.) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 10% უნდა გაკონტროლდეს „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ.) დანარჩენი 30 % – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.3.1. სააგენტოში არსებული 2020 წლის 11 თვის მონაცემებით დაკლული იქნა 18 264 სული ცხვარი.

აღნიშნული მონაცემით, 2020 წლის ბოლომდე სავარაუდოდ დაიკვლება 19 786 სული ცხვარი.

1.3.2. 2021 წელს წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 15 ერთეული, აქედან უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 7 ნიმუში, მ.შ. 5 ნიმუში - ცოცხალი წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიდან და 2 ნიმუში - სურსათი (ხორცი);

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 8 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 2 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 2 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 2 ნიმუში, დანარჩენი 2 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.3.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს ცხვრისა და თხის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული.

**1.4. ფრინველი** - თითოეული კატეგორიის ფრინველისათვის (ბროილერი, ამორტიზებული კვერცხმდებელი ქათამი, ინდაური და სხვ.) ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს წლიური პროდუქციის (დაკლული წონა) ყოველ 200 ტონაზე, სულ მცირე, ერთ ნიმუშს და თუ გამოსაკვლევი ფრინველის ცალკეული კატეგორიის წლიური პროდუქცია (დაკლული წონა) აღემატება 5 000 ტონას – სულ მცირე 100 ნიმუშს ნივთიერების (სუბსტანციის) თითოეულ ჯგუფზე. ჯგუფების დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;

ა.ა) ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს;

ა.ბ) „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის ყოველწლიურად შემოწმებული და გამოკვლეული უნდა იქნეს „ა“ ჯგუფის ნივთიერებებისათვის (სუბსტანციებისათვის) აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის არა უმცირეს 5%-ისა;

ა.გ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად; ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%, რომელთაგან: ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე); ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (2)

ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე); ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე); ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად;

1.4.1. სააგენტოში არსებული 2020 წლის 11 თვის მონაცემებით დაკლული ფრინველის რაოდენობამ შეადგინა 11 641 079 ფრთა (1 ფრთა ფრინველი X 1,2 კგ - საშუალო ფრინველის წონა).

2020 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება 12 611 168 ფრთა ფრინველი. აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ფრინველის ხორცის რაოდენობა, რაც სავარაუდოდ შეადგენს 15 133 ტონა ფრინველის ხორცს.

1.4.2. 2021 წელს ფრინველიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 100 ნიმუში, მ.შ. 25 ნიმუში - ცოცხალი ფრინველიდან და 75 ნიმუში - სურსათი (ფრინველის ხორცი);

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 100 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 30 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 30 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 10 ნიმუში, დანარჩენი 30 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.4.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს ფრინველის ხორცის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 175 ერთეული.

**1.5. ბოცვერი** - ყოველწლიურად დაკლული ბოცვრებიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 10 ნიმუშს წლიური წარმოების (დაკლული წონა) 300 ტონაზე წარმოების პირველ 3000 ტონაზე, ხოლო ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 30%, მათგან:

ა.ა) ნიმუშების 70% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ (6) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ა.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ა“ სხვა ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%, მათგან:

ბ.ა) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (1) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.ბ) ნიმუშების 30% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (2) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.გ) ნიმუშების 10% გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფ „ბ“ (3) ნივთიერებებზე (სუბსტანციებზე);

ბ.დ) ნაშთი უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მონაცემები წარმოებული ბოცვრის ხორცის შესახებ ვერ მოიძებნა.

1.5.1.სააგენტოში არსებული 2020 წლის 11 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - **36 591** სული ბოცვერი (*1 სული ბოცვერი X 1,2 კგ - საშუალო ბოცვრის წონა*). აღნიშნული მონაცემი იძლევა შესაძლებლობას, რომ დათვლილი იქნას წლის განმავლობაში დაკლული ბოცვრების რაოდენობა, რაც სავარაუდოდ შეადგენს 39 640 სულ ბოცვერს (47 568 კგ).

1.5.2. 2021 წელს ბოცვერიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული. აქედან, უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 3 ნიმუში (ბოცვრის ხორცი); მათ შორის: „ა“ (6) ჯგუფზე - 2 ნიმუში, „ა“ ჯგუფის სხვა ნივთიერებებზე - 1 ნიმუში;

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 7 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 2 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 2 ნიმუში და "ბ" (3) ჯგუფზე - 1 ნიმუში, დანარჩენი 2 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.5.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს ბოცვერიდან ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული.

**1.6. რძე** - ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა შეადგენს ერთ ნიმუშს ყოველ 15 000 ტონა წლიურად წარმოებულ რძეზე, არანაკლებ 300 ნიმუშისა, რომელიც დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) ნიმუშების საერთო რაოდენობის 70%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩატარდეს ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებზე. თითოეული ნიმუში გამოკვლეული უნდა იქნეს სულ მცირე, ოთხ სხვადასხვა ნივთიერებაზე (სუბსტანციაზე) – „ა“ ჯგუფიდან მენ პუნქტით განსაზღვრულ, (6), „ბ“ ჯგუფიდან პირველი პუნქტით განსაზღვრულ, (1), „ბ“ ჯგუფიდან (2.ა) და „ბ“ ჯგუფიდან (2.ე);

ბ) ნიმუშების 15%-ს ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩატარდეს ჯგუფი „ბ“ (3) ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენებზე; გ) ნაშთი 15% უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად

1.6.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით: 2019 წელს მიღებული იქნა 561 800 ტონა რძე.

1.6.2. ამდენად, 2021 წელს რძის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 300 ერთეული, აქედან უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 170 ნიმუში: მათ შორის: „ა“ (6) ჯგუფზე 170 ნიმუში;

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 130 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 20 ნიმუში, "ბ" (2.ა.) ჯგუფზე - 10 ნიმუში და "ბ" (2.ე.) ჯგუფზე - 10 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე 45



ნიმუში, დანარჩენი 45 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.6.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს რძის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 300 ერთეული.

**1.7. ფრინველის კვერცხი** - ყოველწლიურად კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობა ყოველ 1000 ტონა მოხმარებისთვის განკუთვნილ წარმოებულ კვერცხზე შეადგენს 1 ნიმუშს, მაგრამ არანაკლებ 200 ნიმუშისა. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

- ნიმუშების არანაკლებ 30%-ისა აღებულ უნდა იქნეს იმ შესაფუთი საწარმოდან, რომელიც ბაზარზე ადამიანის მოხმარებისათვის ყველაზე მეტი რაოდენობით კვერცხს განათავსებს. მათგან:

ა) ნიმუშების 70% ლაბორატორიულად გამოკვლეული უნდა იქნეს ჯგუფი „ა“ (6), ჯგუფი „ბ“ (1) და ჯგუფი „ბ“ (2. ბ), სულ მცირე, ერთ ნივთიერებაზე (სუბსტანციაზე) მაინც;

ბ) ნიმუშების 30% ლაბორატორიულად გამოკვლეული უნდა იქნეს არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.7.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანაში წარმოებული ქათმის კვერცხის რაოდენობა 2019 წლის მდგომარეობით და იგი შეადგენს 661,2 მილიონ ცალს (26 448 ტონა კვერცხი. კვერცხის საშუალო წონად აღებული იქნა 40 გრამი).

1.7.2. 2021 წელს ფრინველის კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული, აქედან უნდა განხორციელდეს:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 100 ნიმუში: მათ შორის: „ა“ (6) ჯგუფზე 100 ნიმუში;

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 40 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 20 ნიმუში, "ბ" (2.ბ.) ჯგუფზე - 20 ნიმუში, დანარჩენი 60 ნიმუში – უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.7.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს კვერცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 200 ერთეული.

**1.8.** 2021 წელს ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლის და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის მიზნით ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა **1 152 ერთეული მათ შორის:**

- მსხვილფეხა საქონლის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **385 ერთეული;**
- ღორის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **72 ერთეული;**
- ცხვრისა და თხის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **10 ერთეული;**
- ფრინველის ხორციდან ასაღები ნიმუშები რაოდენობა - **175 ერთეული;**
- ბოცვერის ხორციდან ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **10 ერთეული;**
- რძის ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **300 ერთეული;**

- ფრინველის კვრცხის ასაღები ნიმუშების რაოდენობა - **200 ერთეული**.

VII. თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

**1. თაფლი** - ყოველწლიურად თაფლისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობა, წლიური წარმოების პირველ 3000 ტონაზე, ყოველ 300 ტონისათვის შეადგენს 10 ნიმუშს. ყოველ მომდევნო 300 ტონაზე დამატებით 1 ნიმუშს. აღებული ნიმუშების დაყოფა ხდება შემდეგნაირად:

ა) ჯგუფი „ბ“ (1) და ჯგუფ „ბ“ (2.გ)-ისთვის ნიმუშების საერთო რაოდენობის 50%;

ბ) ჯგუფი „ბ“ (3.ა), ჯგუფ „ბ“ (3.ბ) და ჯგუფი „ბ“ (3.გ)-ისთვის ნიმუშების საერთო რაოდენობის 40%; გ) ნაშთი 10% უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად. მათ შორის, მიკოტოქსინების შემცველობაზე გამოკვლევების ჩატარება.

1.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით: 2019 წელს მიღებული იქნა **2 500** ტონა თაფლი. სააგენტოსათვის 2020 წლის მონაცემები თაფლის წარმოების რაოდენობაზე არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, სააგენტოს მიერ გამოყენებული იქნა 2019 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რაოდენობრივი მონაცემები.

1.2. 2021 წელს თაფლის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 100 ერთეული.

VIII. თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

**1. თევზი** - ფერმაში წარმოებული თევზისათვის ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა, ყოველი 100 ტონა წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტიდან, შეადგენს არანაკლებ 1 ნიმუშს. გამოსავლენი ნივთიერებები (სუბსტანციები) და საანალიზო ნიმუშები უნდა დაჯგუფდეს ამ ნივთიერებათა (სუბსტანციათა) სავარაუდო გამოყენების მიხედვით. ჯგუფები დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/3;

ა.ა) ნიმუშების აღება უნდა მოხდეს ფერმის დონეზე თევზის წარმოების/მოშენების ყველა სტადიაზე, მათ შორის, იმ თევზის ჩათვლით, რომელიც მზად არის მოხმარებისათვის ბაზარზე განსათავსებლად;

ა.ბ) ზღვის ფერმებში, ნიმუშის აღების სირთულის გამო თევზის ნაცვლად შესაძლებელია განხორციელდეს ცხოველის საკვების ნიმუშის აღება;

ბ) ჯგუფი „ბ“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 2/3, რომლის დროსაც ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს:

ბ.ა) უპირატესად ფერმაში, თევზისგან, რომელიც მზად არის მოხმარებისათვის ბაზარზე განსათავსებლად;

ბ.ბ) ნედლი თევზისგან, გადამამუშავებელ საწარმოში ან საბითუმო ბაზრიდან, იმ პირობით, რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს მიკვლევადობა ფერმამდე. ყველა შემთხვევაში, ფერმის დონეზე ნიმუში აიღება რეგისტრირებული საწარმოების საერთო რაოდენობის არა უმცირეს 10%-დან.

1.1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანის მასშტაბით წყალსატევებში წარმოებული თევზის რაოდენობა 2019 წლის მდგომარებით და შეადგენს 2 464,7 ტონა თევზს, (ოჯახების მიხედვით) მათ შორის ორაგულისებრი თევზის (ცისარტყელა კალმახი, მდინარის კალმახი, ტბის კალმახი, კიჟური) რაოდენობა შეადგენს 1 339,8 ტონას.

1.2. 2021 წელს თევზიდან ასაღები ნიმუშების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა 20 ერთეული. ევროკავშირის ქვეყნებში თევზის საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ აღებული იქნება 30 ერთეული, საიდანაც განხორციელდება:

„ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 25 ნიმუში, ფერმის დონეზე;

„ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 30 სურსათის ნიმუში.

1.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს თევზის ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 30 ერთეული.

## IX. გაუთვალისწინებელი ლაბორატორიული კვლევები

1. სურსათის ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათის დაკავშირებული სურსათისმიერი დაავადებების შესახებ შეტყობინებები, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც პათოგენური, ასევე, პირობით პათოგენური, სანიტარიული მაჩვენებლების და გაფუჭების მიკროორგანიზმებით სურსათის დაბინძურებასთან დაკავშირებულ დარღვევებს. 2019 წლის განმავლობაში სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან შემოსული იქნა ინფორმაცია სურსათისა და სასმელი წყლის მიღებასთან ასოცირებული დაავადებების 32 შემთხვევის შესახებ, ხოლო 2020 წელს შემოსულია 25 შეტყობინება.

2. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული სურსათისმიერი დაავადებების შესახებ შეტყობინებების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ განხორციელდება სავარაუდოდ სურსათის 70 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა, 4 ჯგუფის მიკროორგანიზმის (სანიტარიული-მაჩვენებლები, პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმები, პათოგენური მიკროორგანიზმები, გაფუჭების მიკროორგანიზმები) კონტროლის მიზნით.

3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2021 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 4 673 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (დანართი №1.3).

დანართი №1.3

ქვეპროგრამა „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი“ 2021 წელი

ლაბორატორიული კვლევის დასახელება	ნიმუშების/ სინჯების სავარაუდო რაოდენობა
სურსათში სალმონელას კვლევა	855
სურსათში Listeria monocytogenes-ის კვლევა	180
სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	25
ჰისტამინი	90
ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე	121
სურსათში სანიტარიული მაჩვენებლების, პირობით პათოგენებისა და პათოგენების კვლევა	70
არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	371
სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა	103
სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	124
სასმელი წყალის (მათ შორის დაფასოებული) კვლევა	470
რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა	80
რძის ნაწარმში რზის ფხვნილის შემცველობის განსაზღვრა	20
ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	100
სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა	30
ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა	160
სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა	33
სურსათში (მ.შ. ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის განსაზღვრა	484

ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლისა და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	1152
თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	30
თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	100
გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა	75
ლაბორატორიული კვლევები სულ:	4 673

## ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა

### მუხლი I. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის სამოქმედო გეგმას.
2. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დაავადებების ლაბორატორიულ კონტროლს (დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს), მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის კონტროლს, ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომ შემოწმებაზე კონტროლს, ფერმებში ცოცხალი ცხოველებიდან აღებულ ნიმუშებში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) გამოყენებაზე კონტროლს, ვეტერინარულ-ფარმაციის სფეროში ბიზნესოპერატორების საქმიანობის კონტროლს, ცოცხალი ცხოველებით მოვაჭრე აგრარული ბაზრების/ბაზრობების კონტროლს და სხვა ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლს.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ცხოველთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ინფექციური დაავადებების გამოვლენისა და უმოკლეს ვადებში ლიკვიდაციისათვის, მოსახლეობის ზოონოზური დაავადებებისაგან დაცვისათვის, ასევე დაკმაყოფილდეს მომხმარებელთა მოთხოვნილება უვნებელ ცხოველურ პროდუქტებსა და ხარისხიან ვეტერინარულ პრეპარატებზე.

### მუხლი II. პროგრამის საფუძვლები

1. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია: „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ კოდექსი“.

„საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის და სახელმწიფო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის № 327 დადგენილება.

„მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომების დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის № 764 დადგენილება.

„წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომების დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის № 228 დადგენილება.

„ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №548 დადგენილება.

„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის № 348 დადგენილება.

„სეზონურ სამოვრებზე ცხოველთა გადარეკვის ვეტერინარულ-სანიტარიული წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №422 დადგენილება.

„აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება.

„ფრინველის გრიპის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №637 დადგენილება.

„ღორის აფრიკული ჭირის (ცხელების) დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №496 დადგენილება.

„ღორის კლასიკური ჭირის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №498 დადგენილება.

„პროფილაქტიკური კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის №59 დადგენილება.

თევზები №636 „თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურებისთვის ნიმუშის აღების გეგმებისა და დიაგნოსტიკის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №636 დადგენილება.

„ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება და სხვა ნორმატიული აქტები.

2. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

### **მუხლი III. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზნებია:

- ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა გადამდები დაავადებების შემოჭრისა და გავრცელებისაგან;
- ბ) ცხოველთა ჯანმრთელობის (ვეტერინარული კეთილსაიმედოობის) მიღწევა/შენარჩუნება;
- გ) ზოონოზური დაავადებებისგან ადამიანთა დაცვა და მათი გამოვლენის მინიმუმამდე შემცირება;
- დ) ფერმერულ მეურნეობებსა და ოჯახურ წარმოებაში ცხოველთა ინფექციური დაავადების გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის და საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვების თავიდან აცილება;
- ე) საქართველოს ვეტერინარულ-ფარმაცევტულ ბაზარზე ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევის (წარმოების, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენების) მდგომარეობის შესწავლა, დარღვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა;
- ვ) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის დანერგვა. სადგომის/დროებითი სადგომის შესახებ არსებული სიტუაციის შესწავლა. მონაცემთა ელექტრონული ბაზის სრულყოფა-მონაცემების განახლება, ცხოველთა მიკვლევადობის გაუმჯობესება;
- ზ) ცოცხალ ცხოველებში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) გამოყენების დადგენა, ნარჩენების არსებობის მიზეზების გამოვლენა და შესწავლა-გამოკვლევა;



თ) მომხმარებლისათვის ცხოველური წარმოშობის უვნებელი სურსათის მიწოდების უზრუნველყოფა;

ი) ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლის განხორციელება, მათ შორის გადაადგილების დროს მათზე ზედამხედველობა.

#### **მუხლი IV. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. ვეტერინარულ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირები (ვეტერინარი).

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას საქართველოს კანონით „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს აღნიშნული კოდექსის 64-ე - 74<sup>2</sup>-ე მუხლების შესაბამისად სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოიწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

#### **მუხლი V. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

##### **1. ინსპექტირება განხორციელდება:**

ა) ვეტერინარული პრეპარატების დამამზადებელ საწარმოში;

ბ) ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტში;

გ) ვეტერინარულ აფთიაქში;

დ) ვეტერინარულ სამკურნალოში (კლინიკა);

ე) ვეტერინარულ-კოსმეტიკურ კაბინეტში;

ვ) მსხვილფეხა, წვრილფეხა საქონლის და ღორის სადგომში/დროებით სადგომში;

ზ) ცოცხალი ცხოველებით მოვაჭრე აგრარულ ბაზრებში/ბაზრობებში.

**2. მონიტორინგის დროს განხორციელდება:** ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების დასადგენად, ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების აღება, ვეტერინარული პრეპარატების მარკირების შემოწმება, ცხოველის ჯანმრთელობის დადგენა, რისკის შეფასება, ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალური კონტროლისადმი დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენების წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმება.

**3. ზედამხედველობა განხორციელდება:** ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომ პროცესებზე; საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაზე; გადამდები დაავადებებისა

და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე; არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე; ცხოველური ნარჩენების შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე; ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე) მიმდინარეობაზე; უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე; ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

**4. დოკუმენტური შემოწმება** განხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს, ასევე, დამოუკიდებლად.

**5. ნიმუშის აღების დროს** განხორციელდება ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოკვლევა, რათა განისაზღვროს ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი. ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

## **მუხლი VI. სახელმწიფო კონტროლის განხორციელება**

**1. ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების კვლევა** - კვლევა პირველად განხორციელდა 2013 წელს, როდესაც კვლევას დაექვემდებარა დარეგისტრირებული პრეპარატების საერთო რაოდენობის 25%. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ ლაბორატორიული კვლევისას პრეპარატებში ხარისხის დარღვევების შემთხვევები მცირეა, შესაბამისად, შემდგომ წლებში უფრო მეტად ყურადღება გამახვილდა ბიზნესოპერატორების ინსპექტირებაზე. 2013 წლამდე სულ დარეგისტრირებული იქნა 711 პრეპარატი, შესაბამისად, 2014 წლისათვის დაიგემა 180 პრეპარატის (25%) ხარისხის ლაბორატორიული მონიტორინგი, აქედან, დარღვევა აღმოჩნდა მხოლოდ 5 პრეპარატში (3%). 2014 წლამდე სულ დარეგისტრირებული იქნა 991 პრეპარატი, შესაბამისად 2015 წლისათვის დაიგემა 200 პრეპარატის (20%) ხარისხის ლაბორატორიული მონიტორინგი. აქედან დარღვევა აღმოჩნდა მხოლოდ 2 პრეპარატში (1%). 2015 წლის 1 სექტემბრამდე სულ დარეგისტრირებული იქნა 1175 პრეპარატი, შესაბამისად 2016 წლისათვის დაიგემა 200 პრეპარატის (17%) ხარისხის ლაბორატორიული მონიტორინგი, აქედან დარღვევა აღმოჩნდა 5 პრეპარატში (2,5%) და დაჯარიმდა 2 ობიექტი ბიზნესოპერატორად დაურეგისტრირებლობის გამო. 2017 წლის

განმავლობაში განხორციელდა 250 ობიექტის ინსპექტირება (ვეტ-აფთიაქები, ვეტ სამკურნალოები, ვეტ-პრეპარატის დამამზადებელი საწარმოები, საბითუმო ვაჭრობის ობიექტები და სხვა), რაც არსებული კონტროლქვემდებარე ობიექტების 53% შეადგენს; რეგიონებში არსებული ობიექტების თანაფარდობის მიხედვით განხორციელდა ვეტერინარული პრეპარატების 227 ნიმუშის (მათ შორის 2 ნიმუში არაგეგმიური ინსპექტირებისას) აღება და ლაბორატორიული გამოკვლევა, რაც დარეგისტრირებული პრეპარატების 20%-ს შეადგენს; აქედან დარღვევა აღმოჩნდა 4 პრეპარატში. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეპარატების გამოყენების წესის დაცვაზე შემოწმებული იქნა 12 სამონიტორინგო ობიექტი. რეგისტრაციის გარეშე ბიზნესოპერატორად საქმიანობის გამო დაჯარიმდა 3 ობიექტი. მათ შორის 2 ობიექტი 500-500 ლარის ოდენობით, ხოლო მე-3 მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე 100 ლარის ოდენობით.

2018 წლის განმავლობაში განხორციელდება სავარაუდოდ 267 ობიექტის შემოწმება (ვეტ-აფთიაქები, ვეტ სამკურნალოები, ვეტ-პრეპარატის დამამზადებელი საწარმოები, საბითუმო ვაჭრობის ობიექტები და სხვა), რაც არსებული კონტროლქვემდებარე ობიექტების 55% შეადგენს; რეგიონებში არსებული ობიექტების თანაფარდობის მიხედვით გეგმურად განხორციელდება 228 ნიმუშის შესყიდვა და ლაბორატორიული გამოკვლევა, რაც დარეგისტრირებული პრეპარატების 20%-ს შეადგენს; არაგეგმიური ინსპექტირების განხორციელების საჭიროების შემთხვევისათვის გათვალისწინებულია სავარაუდოდ 5 ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატის ნიმუშის შესყიდვა და ლაბორატორიული გამოკვლევა. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეპარატების გამოყენების წესის დაცვაზე შემოწმებული იქნება ყველა დარეგისტრირებული სამონიტორინგო ობიექტები (100%).

**2. მონიტორინგი ცხოველთა ჯანმრთელობაზე (ვაქცინაცია, ნიმუშების აღება) - მონიტორინგი ეტაპობრივად განხორციელდება ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის, დაცვის და რისკის შეფასების მიზნით შემდეგ დაგეგმილ ღონისძიებებზე:**

- ბრუცელოზის პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 700 ნიმუში;
- ცოფზე პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა – 300 ნიმუში;
- თურქულის არასტრუქტურული პროტეინის (NSP ანტისხეული) აღმოჩენა – 5,000 ნიმუში;
- თურქულის სტრუქტურული პროტეინის (SP ანტისხეული) აღმოჩენა – სავარაუდოდ 1,000 ნიმუში;

- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 100 ნიმუში.

ა) თურქული (Food and Mouth Disease) - წყვილჩლიქიანი შინაური და გარეული ცხოველების მაღალკონტაგიოზური, განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ცურის, კანის და ჩლიქთაშორის ნაპრალის აფტოზური დაზიანებით. თურქული ფიქსირდება საქართველოს სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში. გასულ წლებში ახალი ეპიდემიებით გამოწვეული კერები დაფიქსირდა თურქეთსა და სომხეთის რესპუბლიკაში. ამასთანავე საქართველოში თურქულის დაავადების შემოჭრა/გავრცელების რისკი მაღალია ქვეყნის, სატრანზიტო ფუნქციიდან და მეცხოველეობის გაძღოლის არსებული მომთაბარე სისტემიდან გამომდინარე. საზღვრისპირა ტერიტორიებზე არსებულ ზამთრისა და ზაფხულის სამოვრებზე ცხოველთა მიგრაციის პერიოდში ასობით ათასი პირუტყვი გადაადგილდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორიების გავლით რამოდენიმე ასეულ კილომეტრზე, რა დროსაც ხდება მათი უშუალო კონტაქტირება აბორიგენ პირუტყვთან. ასევე რისკის კატეგორიას მიეკუთვნება დროებით ოკუპირებული არაკონტროლირებადი ტერიტორიები, (2011 წელს სამაჩაბლოს, ე.წ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე დაფიქსირებული იყო თურქულის შემთხვევა). ქვეყანაში ვირუსის ცირკულაციაზე მიუთითებს წინა წლებში ჩატარებული არასტრუქტურულ (NSP) ცილებზე კვლევების შედეგები. ვინაიდან დაავადება არის მაღალკონტაგიოზური ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე მისი შემოჭრისა და დაავადების ამთვისებელ არაიმუნიზირებული ცხოველების შემთხვევაში სწრაფი და ფართო გავრცელების რეალური საშიშროება, რაც მნიშვნელოვან ეკონომიურ ზარალს მიაყენებს ცხოველთა მეპატრონეებს, ფერმერებს და გამოიწვევს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ შემცირებას. ამასთანავე ქვეყანას საერთაშორისო და ქვეყნის კანონმდებლობით დაეკისრება ვალდებულება გაატაროს საკარანტინო-შემზღუდავი და სალიკვიდაციო ღონისძიებები, რაც დაკავშირებული იქნება დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. დაავადების აღმოფხვრამდე შეიზღუდება ექსპორტი და ტრანზიტი, რაც შეაფერხებს საერთაშორისო ვაჭრობას. ყოველივე

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე თურქულის რისკზე დაფუძნებული სტრატეგიის (RBSP) შესაბამისად რისკის ზონებში, ვაქცინის ინსტრუქციის თანახმად წლის პირველ და მეორე ნახევარში ვაქცინირებული (მათ შორის მოზარდი პირუტყვის რევაქცინაციის ჩათვლით) იქნება სავარაუდოდ 1 200 000 სული მსხვილფეხა და 1 380 000 სული წვრილფეხა პირუტყვი.

ბ) ჯილეხი (Anthrax) - განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ზოონოზური ინფექციური დაავადებაა. ჯილეხით ავადდება მრავალი სახის შინაური და გარეული ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 12 შემთხვევა, 2010 წელს-8, 2011 წელს-31, 2012 წელს-36, 2013 წელს - 40, 2014 წელს-19, 2015 წელს-29, 2016 წელს-17, ხოლო 2017 წელს 12 თვის არასრული მონაცემებით-15 შემთხვევა. ჯილეხით დაავადდა: 2009 წელს 38 ადამიანი, 2010 წელს-28, 2011 წელს-81, 2012 წელს-142, 2013 წელს-143, 2014 წელს-57, 2015 წელს-57, 2016 წელს-27, ხოლო 2017 წელს პირველადი მონაცემებით-33 ადამიანი (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით). ცხოველის დაავადების ყოველი ახალი შემთხვევა ქმნის ახალ ნიადაგობრივ კერას, რომელიც რისკის მატარებლად რჩება ათეულობით წელი. დაავადება იწვევს დიდ ეკონომიურ ზარალს ცხოველთა მეპატრონეებსა და ფერმერებში, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით, დაავადების კერებში სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებაზე გაწეული ხარჯებით (იძულებითი აცრები, დეზინფექციები, დაცემული ცხოველების განადგურება და ა.შ.). დაავადებული ცხოველების და მათგან მიღებული ცხოველური პროდუქტებით ასევე შესაძლებელია დაავადდნენ ადამიანებიც. ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლიდან განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებსა და ადამიანებში შეინიშნება დაავადების გამოვლინების კლების ტენდენცია, თუმცა 2017 წელს საქართველოს რიგ რაიონებში აღინიშნა დაავადების გამოვლინებები ისეთ, ტერიტორიებზე, სადაც წინა წლებში იგი არ ფიქსირდებოდა. ცხოველების და შესაბამისად, ადამიანების დაავადების პრევენციის მიზნით და მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით (ჯილეხზე ისტორიულად არაკეთილსაიმედო ტერიტორიები, ჯანდაცვის ორგანოების მონაცემებით ადამიანების დაავადების ფაქტების არსებობა, გადასარეკი ტრასის და მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში/ფერმებში არსებული ცხოველები, მუნიციპალიტეტებში სადაც ეპიზოოტიური სიტუაცია გართულებულია) 2018 წელს ჩატარდება სავარაუდოდ 360 000 სული მსხვილფეხა, 575 000 სული წვრილფეხა პირუტყვისა

და 3 500 სული კენტკლიქიანი ცხოველის ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (მათ შორის ვაქცინის ინსტრუქციის თანახმად მოზარდის რევაქცინაციის ჩათვლით).

გ) ცოფი (Rabies) – ზოონოზური, უკურნებელი ვირუსული ინფექციური დაავადებაა. ცოფით ავადდება ყველა თბილისხლიანი ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. ინფექციის გავრცელების ძირითადი წყაროა: ძაღლი, კატა და სხვა სახეობის ხორცისმჭამელი ცხოველები, ამიტომ მნიშვნელოვანია ცოფთან ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება, მათ შორის ცოფის ამთვისებელი შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ვაქცინაცია. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიული გამოკვლევებით დაფიქსირდა: 2009 წელს ცოფით დაავადების 153 შემთხვევა, 2010 წელს-97 შემთხვევა, 2011 წელს-69 შემთხვევა, 2012 წელს-135 შემთხვევა, 2013 წელს-116 შემთხვევა, 2014 წელს-119 შემთხვევა, 2015 წელს-103 შემთხვევა, 2016 წელს-53 შემთხვევა, ხოლო 2017 წლის 12 თვის არასრული მონაცემებით-40 შემთხვევა. ცოფით (ჰიდროფობიით) გარდაცვლილია: 2009 წელს - 6 ადამიანი, 2010 წელს - 5, 2011 წელს - 3, 2012 წელს - 3, 2013 წელს - 4, 2014 წელს - 4, ხოლო 2015-2017 წლებში ადამიანის გარდაცვალების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. დაავადებას აქვს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მნიშვნელობა. 2014 წლიდან განხორციელებული ინტენსიური სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად აღინიშნება პოზიტიური შედეგებისა და ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. 2018 წელს ცოფის დაავადებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ვაქცინაცია (ინსტრუქციის შესაბამისად) ჩატარდება ქვეყნის მაშტაბით სავარაუდოდ 260 000 სულ ძაღლსა და კატას. აგრეთვე განხორციელდება ცხოველების მიერ ადამიანის ცხოველების დაკბენის შემთხვევაში, დამკბენ ცხოველზე 10 დღიანი ვეტერინარული ზედამხედველობა.

დ) მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი (Lumpy Skin Disease) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. 2014 წელს დაავადების შემთხვევები აღინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში. უკანასკნელ პერიოდში ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი დაფიქსირებულია საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის რესპუბლიკებში და რუსეთში მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. ხოლო 2015-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის

გამოვლინების არეალი და მან მოიცვა აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები: საბერძნეთი, მაკედონია, ალბანეთი, ბულგარეთი, მონტენეგრო, სერბეთი. 2017 წელს დაავადების გამოვლინებებს ადგილი ქონდა ასევე აფხაზეთის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზეც. აღნიშნულმა ვითარებამ გარკვეულწილად ზეგავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის ჩრდილო და დასავლეთ რეგიონების რიგ სოფლებზე. დაავადებას ახასიათებს დიდი ეკონომიკური ზარალი, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით და ცხოველური პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებით და რაოდენობრივი კლებით. ამ ეტაპზე არსებული ეპიზოოტიური სიტუაციიდან და მოსალოდნელი საფრთხიდან გამომდინარე მაღალი რისკის ზონებში (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი და ეპიზოოტიური სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში შესაბამისი რეგიონები) 2018 წელს განხორციელდება სავარაუდოდ 150 000 სული მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია (ინსტრუქციის შესაბამისად). აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა, საიდანაც გარკვეული რაოდენობის ვაქცინები შესაძლებელია გადაცემული იქნას ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე პირუტყვის ვაქცინაციის მიზნით.

ე) ცხვრისა და თხის ყვავილი (Sheep and Goat Pox) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს, რაც გამოიხატება პროდუქტიულობის დაქვეითებით, სიკვდილიანობით, განსაკუთრებით მოზარდ ცხოველებში და დაავადებული ცხოველების მკურნალობაზე გაწეულ ხარჯებში. ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლიდან განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებში დავადების კლინიკური გამოვლინება ამ ეტაპისთვის აღარ შეინიშნება. 2018 წელს შეიქმნება ვაქცინის რეზერვი, რომელიც (ინსტრუქციის თანახმად) გამოყენებული იქნება რისკების შესაბამისად.

ვ) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი (Peste des Petits Ruminants – PPR) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს სწრაფი გავრცელება და მაღალი სიკვდილიანობა (დაახლოებით 50-100%) განსაკუთრებით მოზარდში, რის გამოც მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს. ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაავადება დაფიქსირებულია თურქეთის და ირანის რესპუბლიკაში. დაავადება ქვეყანაში დაფიქსირდა 2016 წელს თბილისის მიმდებარე სოფლებში (ვარკეთილის მეურნეობა, პატარა ლილო). დაავადების მაღალკონტაგიოზურობიდან გამომდინარე 2016 წელს ჩატარებული იქნა

წვრილფეხა პირუტყვის მასიური ვაქცინაცია და მოზარდის რევაქცინაცია ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში. დაავადების განმეორებითი ეპიდემიების თავიდან აცილების მიზნით 2017 წელს ვაქცინაცია ჩატარდა მოზარდ წვრილფეხა პირუტყვს ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში, სადაც ინტენსიურად განვითარებულია მეცხვარეობა და მისი გაძლიერების მომთაბარე სისტემა, 2018 წელს ვაქცინირებული იქნება 300 000 სული წვრილფეხა (ძირითადად მოზარდი) პირუტყვი, საჭიროების შემთხვევაში (ინსტუქციის შესაბამისად) აგრეთვე ჩატარდება პირუტყვის რევაქცინაცია.

ზ) ბრუცელოზი (Brucellosis) - ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ცხოველებში ხასიათდება აბორტებით, მომყოლის შეჩერებით, ენდომეტრიტებით და აღწარმოებითი უნარის მოშლით. ბრუცელოზით ავადდება მრავალი სახის ცხოველი, აგრეთვე ადამიანიც, შესაბამისად დაავადებას გააჩნია სოციალური მნიშვნელობა. ადამიანებში ეს დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და რთულად განკურნებადია. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 173 შემთხვევა, 2010 წელს -199, 2011 წელს-166, 2012 წელს-134, 2013 წელს-179, 2014 წელს -246, 2015 წელს -204, ხოლო 2016 წელს 189 შემთხვევა.

2018 წელს ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (ინსტუქციის შესაბამისად) ჩატარდება სავარაუდოდ 400 000 სულ მსხვილფეხა და 200 000 სულ წვრილფეხა პირუტყვს. ღონისძიებები განხორციელდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

თ) ტუბერკულოზი (Tuberculosis) - მრავალი სახის ცხოველისა და ფრინველის ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, ავადდება ადამიანიც. დაავადებას აქვს როგორც ეკონომიური ასევე სოციალური მნიშვნელობა. 2008 წლის შემდგომ მიმდინარე წელს პირველად განხორციელდა ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონის რიგ მუნიციპალიტეტებში მსხვილფეხა პირუტყვის ტუბერკულინიზაცია. 12 თვის არასრული ინფორმაციით დადებითად მორეაგირე გამოვლინდა 18 სული. უცხოელი ექსპერტების რჩევით, ამ ეტაპზე დაავადებაზე ზედამხედველობა გაგრძელდება ცხოველთა სასაკლაოებში, ტუბერკულოზზე საექვო ცხოველების ნიმუშები გამოკვლეული იქნება ლაბორატორიულად. დაავადებული ცხოველების მიკვლევადობის შემდგომ მოხდება საექვო ნახირების ალერგიული მეთოდით კვლევა (ტუბერკულინიზაცია).



ი) ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება (Crimean Congo Hemorrhagic Fever) -ცხოველისა და ადამიანის ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადამიანებში მძიმედ მიმდინარეობს. ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელებით დაავადებულ ცხოველს კლინიკური ნიშნები არ აღენიშნება, მაგრამ ვირემიის პერიოდში დაავადების გამავრცელებელია. დაავადება ძირითადად ვრცელდება ტკიპების (Hyalomma სახეობა) საშუალებით, რომელთაც შეხება ჰქონდათ დაავადებულ ცხოველთან. ტკიპამ ჯერ უნდა უკბინოს დაავადებულ ცხოველს (მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვი და სხვა) რომლებიც ინფექციის ძირითად რეზერვუარს წარმოადგენენ და შემდეგ ადამიანს. ადამიანებში ლეტალობა 40% აღწევს. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2012 წელს 1 შემთხვევა, 2013 წელს-13, 2014 წელს-25 (მათ შორის 3 ლეტალური შედეგით), 2015 წელს-8 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2016 წელს -4 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), ხოლო 2017 წელს-5 შემთხვევა (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით). როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს ყოველწლიურად ფიქსირდება ადამიანის დაავადების შემთხვევები. სააგენტოს მიერ 2015 წელს ჩატარებული ღონისძიება შეიძლება ჩაითვალოს ადამიანებში დაავადების გამოვლინების კლების ერთ-ერთ მიზეზად (დაავადების შემთხვევებმა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით იკლო 43,4%-ით, ხოლო ლეტალობამ 25 %-ით). ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდაფეთქების მართვისა და პრევენციის მიზნით შეიქმნება ინსექტო-აკაროციდული პრეპარატის რეზერვი და ადამიანებში დაავადების დაფიქსირების შემთხვევებში ჩატარდება მსხვილფეხა პირუტყვისა და მათი სადგომების დამუშავება.

**3. ცხოველთა გარეგან პარაზიტებზე დამუშავება** - 2016 წლიდან დაიწყო სეზონურ სამოვრებზე ცხოველთა გადასარეკ ტრასებზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ცხოველების გასაბანებელი პუნქტების, სარწყულელებების და სხვა), სადაც ჩატარებული იქნა გადასარეკი პირუტყვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა და ექტო-პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება. 2016 წელს არსებულ პუნქტებზე მოხდა გაზაფხულზე 16,071 მსხვილფეხა და 44,500 წვრილფეხა პირუტყვის დამუშავება, ხოლო შემოდგომით 17,231 მსხვილფეხა და 299,410 წვრილფეხა პირუტყვის. 2017 წელს არსებულ პუნქტებზე დამუშავდა გაზაფხულოზე 6,418 მსხვილფეხა და 247,373 წვრილფეხა პირუტყვი, ხოლო შემოდგომაზე წინასწარი მონაცემით 6,844 მსხვილფეხა და 368,755 წვრილფეხა პირუტყვი. 2018 წელს აღნიშნულ პუნქტებზე საგაზაფხულოდ და საშემოდგომოთ მოხდება მომთაბარე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ექტო-პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება.

**4. ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია - 2018 წელს გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია, დაიწყება ღორების იდენტიფიკაცია, მოხდება იდენტიფიცირებული ცხოველების და მათი სადგომების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაცია, ასევე განხორციელდება მსხვილფეხა, წვრილფეხა საქონლისა და ღორების სადგომის/დროებითი სადგომის ინსპექტირება იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ელექტრონულ ბაზაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით:**

ა) მსხვილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1%-ისა,

სადგომის/დროებითი სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე.

ბ) წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1%-ისა და იდენტიფიცირებული წვრილფეხა საქონლის სულადობის არანაკლებ 1,5%-ისა. სადგომის/დროებითი სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე.

გ) ღორის სადგომის არანაკლებ 1%-ისა. სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე.

**5. სადეზინფექციო სამუშაოები, ვაქცინების, საწვავის, და სხვა მატერიალური ფასეულობების რეზერვი-მუშაკების დაქირავება:** დაავადებული და დაავადებით დაცემული ცხოველი წარმოადგენს ინფექციის გავრცელების რისკს. აღმძვრელის გარემოში მოსპობის მიზნით ასეთი ცხოველების სადგომებისა და დაცემის ადგილებში განხორციელდება შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოები.

განსაზღვრულ დაავადებებზე (თურქული, ჯილეხი, ცოფი, ნოდულარული დერმატიტი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი, წვრილფეხა პირუტყვის ბრუცელოზი და სხვა) შეიქმნება ვაქცინების, დიაგნოსტიკუმის, საყურე ნიშნების, ინსექტო-აკარიციდის საწვავის, და სხვა დამხმარე მასალების რეზერვი.

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების ჩასატარებლად მოხდება მუშაკების დროებით ხელშეკრულებით დაქირავება.

6. ფერმაში ცოცხალი ცხოველებიდან ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების განსასაზღვრად ნიმუშების კვლევა - 2017 წელს „ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი“-ს ქვეპროგრამის ფარგლებში ცოცხალ ცხოველებში (ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები) პირველად განხორციელდა ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებების, აკრძალული ნივთიერებების, ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების მონიტორინგი. გეგმის შესაბამისად აღებული იქნა 320 ნიმუში, მათ შორის 279 მსხვილფეხა პირუტყვისა და 10 წვრილფეხა პირუტყვის სისხლი, 20 ღორის სისხლი და შარდი, 10 თევზისა და 1 ფრინველის ქსოვილი. მონიტორინგის გეგმის მიხედვით ცხოველთა სახეობების შესაბამისად გამოკვლეული იქნა შვიდამდე მაჩვენებელი (ზერანოლი, ქლორამფენიკოლი, დიმეტრიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი და ნიტროფურანტონი). მიღებული შედეგებით ყველა სინჯში (სულ 775 სინჯი) დაფიქსირდა საკვლევი ერთერთი მაჩვენებლების არსებობა კერძოდ: 320 შემთხვევაში აღმოჩნდა ქლორამფენიკოლი (41.3%), 25 შემთხვევაში - დიმეტრიდაზოლი (3.22%), 306 შემთხვევაში - ზერანოლი (39.48%), 31 შემთხვევაში - ფურაზოლიდონი (4%), 31 შემთხვევაში - ფურალტადონი (4%), 31 შემთხვევაში - ნიტროფურაზოლიდონი (4%) და 31 შემთხვევაში ნიტროფურანტოილი (4%).

2018 წელს მონიტორინგი ჩატარდება „ა“ ჯგუფის პრეპარატებზე (ლაბორატორიული შესაძლებლობების შესაბამისად):

მსხვილფეხა საქონლის ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს დაკლული ცხოველების საერთო რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2017 წლის 10 თვის მონაცემებით დაიკლა - 168 547 სული, აღნიშნული მონაცემით, 2017 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 202 255 სული მრპ). სულ გამოკვლეული უნდა იქნას არანაკლებ 0,4% (821 ნიმუში). აქედან ჯგუფი „ა“ - 0,25% (513 ნიმუში), რომელის ნახევარი (257 ნიმუში) აღებული უნდა იქნეს ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესაძლებლობებიდან შესაბამისად) სულ გამოკვლეული იქნება 272 ნიმუში.

ღორების ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს დაკლული ღორების საერთო რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 96 057 სული ღორი. აღნიშნული მონაცემით, 2017 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 115 884 სული

ლორი) სულ გამოკვლეული უნდა იქნას არანაკლებ 0,05 % (58 ნიმუში). აქედან ჯგუფი „ა“ – 0,02% (23 ნიმუში). „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესაძლებლობებიდან შესაბამისად) სულ სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით გამოკვლეული იქნება 20 ნიმუში;

ცხვრებისა და თხების ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხვრებისა და თხების საერთო რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 344 000 სული წვრილფეხა პირუტყვი. აღნიშნული მონაცემით, 2017 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 412 800 წრპ) სულ გამოკვლეული უნდა იქნას არანაკლებ 0,05 % (207 ნიმუში). აქედან ჯგუფი „ა“ – 0,01 % (41 ნიმუში). „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესაძლებლობებიდან შესაბამისად). სულ სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით გამოკვლეული იქნება 10 ნიმუში;

ფრინველის ნიმუშების რაოდენობა - ყოველ 200 ტონა წლიურ პროდუქციაზე (დაკლული წონა) სულ მცირე 1 ნიმუში. სააგენტოში არსებული 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 3 117 034 სული ფრინველი, 2017 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება 3 740 502 ფრთა. ერთი ფრთის დაკლული წონის (1,2 კილოგრამი) გადაანგარიშებით დაკლული წონა დამრგვალებულად შეადგენს 4 488 ტონას, შესაბამისად სულ გამოკვლეული უნდა იქნას 23 ნიმუში. აქედან ჯგუფი „ა“ – საერთო რაოდენობის 50% (11 ნიმუში). ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს (2 ნიმუში); „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესაძლებლობებიდან შესაბამისად). სულ გამოკვლეული იქნება 3 ნიმუში;

ფერმაში წარმოებული თევზის ნიმუშების რაოდენობა - ყოველი 100 ტონა წარმოებული პროდუქტიდან არანაკლებ 1 ნიმუში. ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით 2016 წელს სულ ფერმებში თევზის წლიური წარმოება შეადგენს დაახლოებით 1,000 ტონას, სულ გამოკვლეული უნდა იქნას შესაბამისად 8 ნიმუში. აქედან ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო

რაოდენობის 1/3; (3 ნიმუში). თუმცა ამავდროულად გამოკვლეული უნდა იქნას რეგისტრირებული მეურნეობების არანაკლებ 10%. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით სულ რეგისტრირებულია 70 მეურნეობა, შესაბამისად 7 ნიმუში. გამოვლენილი ნივთიერებები (სუბსტანციები) და საანალიზო ნიმუშები უნდა დაჯგუფდეს ამ ნივთიერებათა (სუბსტანციათა) სავარაუდო გამოყენების მიხედვით (ლაბორატორიული შესაძლებლობებიდან შესაბამისად). სულ გამოკვლეული იქნება 10 ნიმუში.

**7. ნიმუშების აღება (დაავადების დასადგენად)** - ნიმუშების აღება მოხდება ცხოველთა ჯანმრთელობის საექვო სტატუსის შემთხვევებში მათი გამოკვლევის მიზნით პასიური ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ფარგლებში, სავარაუდოდ შემდეგ დაავადებებზე:

- ა) ბრუცელოზი- გამოვლენა და დადასტურება;
- ბ) ბრუცელოზი -დაავადების აღმძვრელის ტიპირება;
- გ) Q ცხელება- დაავადების/ანტისხეულების აღმოჩენა;
- დ) ცოფი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ე) ტუბერკულოზი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- ვ) ჯილეხი-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ქსოვილოვანი მასალა);
- ზ) ჯილეხი-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ნიადაგი, სხვა);
- თ) თურქული დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ი) ფრინველის გრიპი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა ;
- კ) ნიუკასლის დაავადება- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ლ) პიროპლაზმიდოზები- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- მ) ღორის აფრიკული ცხელება- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ნ) ღორის აფრიკული ცხელება- დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- ო) ღორის კლასიკური ცხელება-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- პ) ღორის წითელი ქარი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჟ) პასტერელოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- რ) ლეიშმანიოზი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ს) მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ტ) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- უ) ცხვრისა და თხის ყვავილი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;

- ფ) ცხვრისა და თხის კონტაგიოზური ექტიმა- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ქ) აუესკის დაავადება -დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ღ) ნეკრობაქტერიოზი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ყ) ბრადზოტი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- შ) ენტეროტოქსემია- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ც) ემფიზემატოზური კარბუნკული-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ძ) ლეპტოსპიროზი;
- წ) ტრიქომონოზი;
- ჭ) თევზის პარაზიტული დაავადებები (პროტოზოები, არაქნოზები, ჰელმინთები);
- ხ) თევზის აერომონოზი;
- ჯ) ნოზემატოზი;
- 3) აკარაპიდოზი;
- 3<sup>1</sup>) ამერიკული სიდამპლე;
- 3<sup>2</sup>) ევროპული სიდამპლე;
- 3<sup>3</sup>) ფუტკრის ჰემორაგიული სეპტიცემია.

3<sup>4</sup>) აქტიური ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ფარგლებში დაიწყება თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიის (VHS) და სისხლმბადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურებისთვის თევზის ფერმების აღრიცხვა, კლინიკური შემოწმება, ზონის ან აუდიარებელი ზონის ფერმის აღიარების სტატუსის შენარჩუნების მიზნით ნიმუშების აღება.

#### **8. ცოცხალი ცხოველებით მოვაჭრე აგრარული ბაზრების/ბაზრობების კონტროლი.**

2018 წლიდან ცოცხალი ცხოველებით მოვაჭრე ბაზრებსა და ბაზრობებში განხორციელდება: მათ მოწყობასთან, ცხოველთა ჯანმრთელობასთან, ჩანაწერების წარმოებასა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

#### **მუხლი VII. მოსალოდნელი შედეგები.**

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებას, ცხოველის, ცხოველისა და ადამიანისათვის საერთო

დაავადებების პრევენციასა და კონტროლს, ცხოველთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მიკვლევადობის განხორციელებას, ეკონომიკური ზიანის მინიმიზირებას, სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსებას, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს ვეტერინარულ-ფარმაცევტულ ბაზარზე არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატების გამოვლენასა და რეალიზაციის აღკვეთას - შესაბამისად ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევას, ასევე ვეტერინარული ფარმაციის სფეროში ბიზნესოპერატორების მიერ საქმიანობის მართებულად წარმართვას. მავნე სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების მინიმიზირებას. პირველად წარმოებაში (ფერმებში), ცოცხალ ცხოველებში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების არსებობის მიზეზების გამოვლენა, შესწავლა - გამოკვლევა შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით. ცხოველების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომებში დარღვევების მინიმიზება.

## ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის პროგრამა

### მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის სამოქმედო გეგმას.

2. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დაავადებების ლაბორატორიულ კონტროლს (დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს), მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის ინსპექტირებას, ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომ შემოწმებაზე ზედამხედველობას, ფერმებში ცოცხალი ცხოველებიდან აღებულ ნიმუშებში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) გამოყენებაზე მონიტორინგს, ვეტერინარიის სფეროში ბიზნესოპერატორის საქმიანობის ინსპექტირებას, აგრარული ბაზრების/ბაზრობების ინსპექტირებას, რომლებიც ახორციელებენ ცოცხალი ცხოველების რეალიზაციას, შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული საკვების მწარმოებელი ბიზნესოპერატორის ინსპექტირებას და სხვა ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლს.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ცხოველთა და შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ინფექციური დაავადებების გამოვლენისა და უმოკლეს ვადებში ლიკვიდაციისათვის, მოსახლეობის ზოონოზური დაავადებებისაგან დაცვისათვის, ასევე მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უვნებელ ცხოველურ პროდუქტებსა და ხარისხიან ვეტერინარულ პრეპარატებზე.

### მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები

1. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია:

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი



ბიზნესოპერატორებისა და აგრარული ბაზრების/ბაზრობების, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველის რეალიზაცია, ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის № 338 დადგენილება, „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 345 დადგენილება, „ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის №2-107 ბრძანება, „ტექნიკური რეგლამენტის-აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 417 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის-ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება, „მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომების დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის № 764 დადგენილება, „წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომების/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის № 228 დადგენილება, „ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №548 დადგენილება, „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის № 348 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის-სეზონურ საძოვრებზე ცხოველთა გადარეკვის ვეტერინარულ-სანიტარიული წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №422 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის – აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის“

დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის-ფრინველის გრიპის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №637 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის-ლორის აფრიკული ჭირის (ცხელების) დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №496 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის-ლორის კლასიკური ჭირის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №498 დადგენილება, „პროფილაქტიკური კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის №59 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის – თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურებისთვის ნიმუშის აღების გეგმებისა და დიაგნოსტიკის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №636 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბერი N 605 დადგენილება და სხვა ნორმატიული აქტები.

2.სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია:

ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა გადამდები დაავადებების შემოჭრისა და გავრცელებისაგან;

ბ) ცხოველთა ჯანმრთელობის (ვეტერინარული კეთილსაიმედოობის) მიღწევა/შენარჩუნება;

გ) ზოონოზური დაავადებებისგან ადამიანთა დაცვა და მათი გამოვლენის შემცირება;

დ) ფერმერულ მეურნეობებსა და ოჯახურ წარმოებაში ცხოველთა ინფექციური დაავადების გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის და საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვების თავიდან აცილება;

ე) ვეტერინარიის სფეროში ბიზნესოპერატორის საქმიანობის კონტროლი, დარღვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა;

ვ) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის დანერგვა. სადგომის/დროებითი სადგომის შესახებ არსებული სიტუაციის შესწავლა. მონაცემთა ელექტრონული ბაზის სრულყოფა-მონაცემების განახლება, ცხოველთა მიკვლევადობის გაუმჯობესება;

ზ) ცოცხალ ცხოველებში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) გამოყენების დადგენა, ნარჩენების არსებობის მიზეზების გამოვლენა და შესწავლა-გამოკვლევა;

თ) მომხმარებლისათვის ცხოველური წარმოშობის უვნებელი სურსათის მიწოდების უზრუნველყოფა;

ი) ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლის განხორციელება, მათ შორის გადაადგილების დროს მათზე ზედამხედველობა.

#### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. ვეტერინარულ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირი (ვეტერინარი).

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს აღნიშნული კოდექსის 64-ე - 74<sup>3</sup>-ე მუხლების შესაბამისად სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

#### **მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

##### **1. ინსპექტირება განხორციელდება:**

ა) ვეტერინარული პრეპარატების დამამზადებელ საწარმოში;

- ბ) ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტში;
- გ) ვეტერინარულ აფთიაქში;
- დ) ვეტერინარულ სამკურნალოში (კლინიკა);
- ე) ვეტერინარულ-კოსმეტიკურ კაბინეტში;
- ვ) მსხვილფეხა, წვრილფეხა საქონლის და ღორის სადგომში/დროებით სადგომში;
- ზ) ცოცხალი ცხოველებით მოვაჭრე აგრარულ ბაზრებში/ბაზრობებში;
- თ) ფსიქოტროპული პრეპარატების მომხმარებელ ობიექტში (ცხოველთა თავმესაფარი, თბილისის ზოოლოგიური პარკი, ვეტ. კლინიკა);
- ი) შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული საკვების საწარმოში.

**2. მონიტორინგის დროს განხორციელდება:** პირველადი წარმოების ობიექტებში, ცოცხალ ცხოველებში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების (ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებები (სუბსტანციები) და აკრძალული ნივთიერებების (სუბსტანციები) დასადგენად გამოკვლეული იქნება ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები სხვადასხვა მაჩვენებელზე. ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დასადგენად მოხდება ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების აღება, ვეტერინარული პრეპარატების ეტიკეტების შემოწმება, ცხოველის ჯანმრთელობის დადგენა, რისკის შეფასება. ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალური კონტროლისადმი დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენების წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმება.

**3. ზედამხედველობა განხორციელდება:** ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომ პროცესებზე; საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაზე; გადამდები დაავადებებისა და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე; არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე; ცხოველური ნარჩენების განკარგვაზე; ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე) მიმდინარეობაზე; უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე; ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

**4. დოკუმენტური შემოწმება** განხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს, ასევე, დამოუკიდებლად.

**5. ნიმუშის აღების დროს** განხორციელდება ორგანოლექტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოკვლევა, რათა განისაზღვროს ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი. ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

## **მუხლი 6. სახელმწიფო კონტროლის განხორციელება**

### **1. ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ობიექტების კონტროლი:**

**2014** წლის დაიგემა 220 ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ობიექტის კონტროლი და განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის ინსპექტირება (ვეტერინარული აფთიაქი-189, ვეტერინარული კლინიკა-4, ზოომდაზია-15, ზოომდაზია/ვეტაფთიაქი-5, ზოომდაზია/ვეტკლინიკა-2, საბითუმო ბაზა-4, ვეტერინარული პრეპარატების საწარმო-1). **2015** წელს დაიგემა 230 ბიზნესოპერატორის კონტროლი (ვეტერინარული აფთიაქი-199, ვეტერინარული კლინიკა-6, ვეტაფთიაქი/ვეტ.კლინიკა-3 ზოომდაზია-4, ზოომდაზია/ვეტაფთიაქი-1, ზოომდაზია/ვეტკლინიკა-12, საბითუმო ბაზა-3, ვეტერინარული პრეპარატების საწარმო-1) და განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის ინსპექტირება. არაგეგმიური ინსპექტირებით აღიკვეთა არარეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატის რეალიზაცია. **2016** წელს დაიგემა 230 ბიზნესოპერატორის ინსპექტირება და განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ობიექტების ინსპექტირება (ვეტერინარული აფთიაქი-199, ვეტერინარული კლინიკა-3, ზოომდაზია-6, ზოომდაზია/ვეტაფთიაქი-14, ზოომდაზია/ვეტკლინიკა-5, საბითუმო ბაზა-2, ვეტერინარული პრეპარატების საწარმო-1). დაჯარიმდა 2 ობიექტი ბიზნესოპერატორად დაურეგისტრირებლობის გამო. **2017** წლის განმავლობაში განხორციელდა 250 ობიექტის ინსპექტირება (ვეტ-აფთიაქები, ვეტ. სამკურნალოები, ვეტ-პრეპარატის დამამზადებელი საწარმოები, საბითუმო ვაჭრობის ობიექტები და სხვა), რაც არსებული კონტროლქვემდებარე ობიექტების 53% შეადგენს.

რეგისტრაციის გარეშე ბიზნესოპერატორად საქმიანობის გამო დაჯარიმდა 3 ობიექტი. მათ შორის 2 ობიექტი 500-500 ლარის ოდენობით, ხოლო 3 მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე-100 ლარის ოდენობით.

**2018 წლის** განმავლობაში განხორციელდა 316 ობიექტის შემოწმება, აქედან 174 ვეტერინარული აფთიაქი, 43 ზოომალაზია/ვეტერინარული აფთიაქი, 10 ზოომალაზია/ვეტერინარული კლინიკა, 1 ვეტერინარული აფთიაქი/ვეტერინარული კლინიკა, 3 ზოომალაზია/ვეტერინარული კლინიკა/კოსმეტიკური კაბინეტი, 1 ვეტერინარული კლინიკა/ვეტერინარული აფთიაქი/ზოომალაზია, 6 ზოომალაზია და 2 ვეტერინარული კლინიკა (რაც არსებული კონტროლქვემდებარე ობიექტების 55% შეადგენს). შემოსული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა არაგეგმიური ინსპექტირება 1 ბათუმში, 2 თბილისში, 1 ქუთაისში და 3 ხაშურში.

**2019 წელს** განხორციელდება 400 ობიექტის (ვეტ-აფთიაქები, ვეტ სამკურნალოები, ზოომალაზიები, ვეტ-პრეპარატის დამამზადებელი საწარმოები, საბითუმო ვაჭრობის ობიექტები, ვეტერინარული სამსახური და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტები, აგრარული ბაზრები/ბაზრობები, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველების რეალიზაცია და სხვა) ინსპექტირება, რაც შეადგენს 2018 წლისთვის დარეგისტრირებული 680 ბიზნესოპერატორის (680 კონტროლქვემდებარე ობიექტი) 60%-ს.

### **2. აგრარული ბაზრები/ბაზრობები, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველების რეალიზაციის ობიექტების კონტროლი:**

აგრარული ბაზრების/ბაზრობების სახელმწიფო კონტროლი, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველების რეალიზაცია დაიწყო **2018 წელს**. ინსპექტირებისას შემოწმდა კანონმდებლობით მოთხოვნილ პირობებთან შესაბამისობის დადგენა და ასევე განხორციელდა დოკუმენტური შემოწმება.

**2019 წელს** განხორციელდება 2018 წელს დარეგისტრირებული აგრარული ბაზრების/ბაზრობების 100%-ის (30 ობიექტი) შემოწმება: მათ მოწყობასთან, ცხოველთა ჯანმრთელობასთან, კეთილდღეობასთან, ჩანაწერების წარმოებასა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით .

### **3. ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების კვლევა:**

2013 წლამდე სულ დარეგისტრირებული იქნა 711 პრეპარატი, შესაბამისად, 2014 წლისათვის დაიგეგმა 180 პრეპარატის (25%) ხარისხის ლაბორატორიული მონიტორინგი, აქედან, დარღვევა აღმოჩნდა მხოლოდ 5 პრეპარატში (3%). 2014 წლამდე სულ დარეგისტრირებული იქნა 991 პრეპარატი, შესაბამისად 2015 წლისათვის დაიგეგმა 200 პრეპარატის (20%) ხარისხის ლაბორატორიული მონიტორინგი. აქედან, დარღვევა აღმოჩნდა მხოლოდ 2 პრეპარატში (1%). 2015 წლის 1 სექტემბრამდე სულ დარეგისტრირებული იქნა 1175 პრეპარატი. შესაბამისად, 2016 წლისათვის დაიგეგმა 200 პრეპარატის (17%) ხარისხის ლაბორატორიული მონიტორინგი. აქედან, დარღვევა აღმოჩნდა 5 პრეპარატში (2,5%). 2016 წელს ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ლაბორატორიაში გამოკვლეული იქნა ვეტერინარული პრეპარატის 200 ნიმუში. ლაბორატორიული გამოკვლევით უვარგისად მიჩნეული იყო საქართველოში წარმოებული 3 პრეპარატი - ჯარიმა შეადგენს შესაბამისად 3000 ლარს (1.5%). 2017 წელს რეგიონებში არსებული ობიექტების თანაფარდობის მიხედვით განხორციელდა ვეტერინარული პრეპარატების 227 ნიმუშის (მათ შორის 2 ნიმუში არაგემიური ინსპექტირებისას) აღება და ლაბორატორიული გამოკვლევა, რაც დარეგისტრირებული პრეპარატების 20%-ს შეადგენს; აქედან, დარღვევა აღმოჩნდა 4 პრეპარატში (1.7%). თითოეული მწარმოებელი დაჯარიმდა 1000 ლარის ოდენობით. 2018 წელს რეგიონებში არსებული ობიექტების თანაფარდობის მიხედვით გეგმურად განხორციელდა 231 ნიმუშის (228 გეგმიური+3 არაგემიური) შესყიდვა და ლაბორატორიული გამოკვლევა, რაც დარეგისტრირებული პრეპარატების 20%-ს შეადგენს. ლაბორატორიული გამოკვლევით უვარგისად მიჩნეული იქნა, საქართველოში (თბილისში) წარმოებული 1 პრეპარატი (0,43%), მწარმოებლები დაჯარიმდნენ 1000 ლარის ოდენობით.

**2019 წელს** ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დადგენის მიზნით განხორციელდება 210 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშის გეგმიურად აღება ლაბორატორიული კვლევისთვის, რაც 2018 წლის ბოლო პერიოდისათვის უკვე დარეგისტრირებული დარეგისტრაციის პროცესში არსებული 1400-მდე ვეტერინარული პრეპარატის 15%-ს შეადგენს. წელს დაგეგმილ გეგმიურად ასაღები ნიმუშები 18-ით ნაკლებია 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რაც გამომდინარეობს წინა წლებიდან მიღებული შედეგების ანალიზით და ობიექტური მიზეზებით (2014 წელს ლაბორატორიულად

შესწავლილი 183 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან უვარგისი აღმოჩნდა მხოლოდ 5 პრეპარატი, ხოლო ერთი ფალსიფიცირებული. 2015 წელს შესაბამისად შესწავლილი 201 ნიმუშიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 3 ვეტერინარული პრეპარატი, 2016 წელს შესაბამისად შესწავლილი ნიმუშებიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 4 ვეტერინარული პრეპარატი, 2017 წლის მონაცემების შესაბამისად 227 ნიმუშიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 4 ვეტერინარული პრეპარატი, ხოლო 2018 წელს 231 ნიმუშიდან უვარგისად მიჩნეული იქნა ერთი პრეპარატი). შედეგების ანალიზის საფუძველზე შეფასებული იქნა, რომ უფრო მნიშვნელოვანია ვაკონტოლოთ ვეტერინარული პრეპარატის საწარმოების მუშაობა და სარიელიზაციო ობიექტებში ვეტერინარული პრეპარატების შენახვის და რეალიზაციის პირობები (პრეპარატების შენახვის ტემპერატურის და რეჟიმის დაცვა, ანტიმიკრობული პრეპარატების არაგეგმაზომიერ გამოყენებაზე კონტროლი, რაც ანტიმიკრობული რეზისტენტობის სტრატეგიის მოსამზადებელ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია). სწორედ ამით არის განსაზღვრული გეგმიურად ასაღები ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების რაოდენობის შემცირება 18 ნიმუშით და არაგეგმიურად ასაღები ნიმუშების 20-მდე გაზრდა (შარშან 5 არაგეგმური). ეს გამომდინარეობს, იმით რომ ასევე ვგეგმავთ გავზარდოთ მოსახლეობის, მათ შორის ფერმერების და დაინტერესებული პირების ცნობიერება.

წლის განმავლობაში ასაღები და გამოსაკვლევი ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დადგენის მიზნით რეგიონული განაწილების წინასწარი საორიენტაციო გეგმა შედგა სულ არსებული შესაბამისი ვეტერინარულ კონტროლს ქვემდებარე ობიექტების (ვეტერინარული აფთიაქის (საცალო ვაჭრობის ობიექტი)/ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტის) რაოდენობის და რეგიონული დისტრიბუციის შესაბამისად.

ნიმუშების წინასწარი საორიენტაციო თანაფარდობა პრეპარატების ფორმების მიხედვით გადანაწილებულია დარეგისტრირებული პრეპარატების შესაბამის ფორმების მიხედვით არსებული რაოდენობის შესაბამისად. შენიშვნა: შესასყიდი ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა პრეპარატების ფორმების მიხედვით არის პირობითი და მოსალოდნელია მათი ცვლილება კონტროლქვემდებარე ობიექტებში ადგილზე არსებული სიტუაციის მიხედვით.



ვეტერინარული პრეპარატების ლაბორატორიული კვლევის თანხა მიღებულია შესასყიდი და გამოსაკვლევი ნიმუშების შესაბამისი სავარაუდო რაოდენობის (გეგმური და არაგეგმური ერთად -230 ნიმუში) გადამრავლებით ერთი ნიმუშის გამოკვლევის სავარაუდო ღირებულებაზე, რომელიც ბაზრის წინასწარი მოკვლევის შედეგად შეფასებულია 410 ლარით (ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ნიმუშებისათვის).

ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების შესასყიდი თანხა, რომელიც მიღებულია შესასყიდი ნიმუშების სავარაუდო რაოდენობის ( $210+20=230$  ნიმუში) გადამრავლებით ერთი ნიმუშის შესყიდვის საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე (30 ლარი). შესასყიდი ნიმუშების საშუალო სავარაუდო ღირებულება არის პირობითი და მოსალოდნელია მათი ცვლილება კონტროლქვემდებარე ობიექტებში არსებული პრეპარატების სარეალიზაციო ფასის მიხედვით.

#### **4.სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ვეტერინარული პრეპარატების კონტროლი:**

2016 წელს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეპარატების გამოყენების წესის დაცვაზე შემოწმებული იქნა 3 სამონიტორინგო ობიექტი. 2017 წელს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეპარატების გამოყენების წესის დაცვაზე შემოწმებული იქნა 12 სამონიტორინგო ობიექტი. 2018 წელს ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო, საქართველოში სპეციალური კონტროლისადმი დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენების წესის დაცვაზე შემოწმებული იქნა ყველა 19 დარეგისტრირებული სამონიტორინგო ობიექტი 100% (19 ობიექტი). დარღვევის გამო 3 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა თითოეული 1000 ლარის ოდენობით. ამავე წესის 1 წლის განმავლობაში განმეორებით დარღვევის გამო ბიზნესოპერატორი (ქ. ქუთაისში) დაჯარიმდა 2000 ლარის ოდენობით.

**2019 წელს** სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების წესის დაცვაზე შემოწმებული იქნება დარეგისტრირებული სამონიტორინგო ობიექტების 100% - სულ დღეის მდგომარეობით 22 ობიექტი.

#### **5.ფერმაში ცოცხალი ცხოველებიდან ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების განსასაზღვრად ნიმუშების კვლევა**

**2017 წელს** „ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი“-ს ქვეპროგრამის ფარგლებში ცოცხალ ცხოველებში (ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები) პირველად

განხორციელდა ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებების, აკრძალული ნივთიერებების, ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების მონიტორინგი. გეგმის შესაბამისად აღებული იქნა 320 ნიმუში (279 მრკ, 10 წრკ, 20 ღორი, 10 თევზი და 1 ფრინველი). მონიტორინგის გეგმის მიხედვით ცხოველთა სახეობების შესაბამისად გამოკვლეული იქნა შვიდამდე მაჩვენებელი (ზერანოლი, ქლორამფენიკოლი, დიმეტრიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი და ნიტროფურანტონი). მიღებული შედეგები - დაბინძურებული აღმოჩნდა ნიმუშების 100%, შესაბამისად: ქლორამფენიკოლი - 320-დან დადებითი 320 (100%), დიმეტრიდაზოლი - 31 დან 31 (100%), ზერანოლი - 300-დან 300 (100%), ფურაზოლიდონი - 31-დან 31 (100%), ფურალტადონი - 31-დან 31 (100%), ნიტროფურაზონი - 31-დან 31 (100%), ნიტროფურანტონი - 31-დან 31 (100%).

**2018 წელს** „ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი“-ს ქვეპროგრამის ფარგლებში ცოცხალ ცხოველებში ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების და სხვა დამაბინძურებლების ლაბორატორიული კვლევის მიზნით 315 ცხოველიდან (მრკ -272, წრკ-10, ღორი-20, ფრინველი-3 და თევზი-10) აღებული და 7 მაჩვენებელზე (ქლორამფენიკოლი, ზერანოლი, დიმეტრიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი) გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა ბიოლოგიური სითხეებისა და ქსოვილების 775 ნიმუში. მიღებული შედეგებით სულ 775 ნიმუშში დარღვევა დაფიქსირდა 630 შემთხვევაში (81,63%), აქედან, ქლორამფენიკოლი 315 ნიმუშიდან დარღვევა დაფიქსირდა 315 შემთხვევაში (100%), დიმეტრიდაზოლი 33 შემთხვევაში დარღვევა დაფიქსირდა 0 შემთხვევაში (0%), ზერანოლი 293 ნიმუშიდან დარღვევა დაფიქსირდა 224 შემთხვევაში (76,5%), ფურაზოლიდონი 33 ნიმუშიდან დარღვევა დაფიქსირდა 0 შემთხვევაში (0%), ფურალტადონი 33 ნიმუშიდან დარღვევა დაფიქსირდა 33 შემთხვევაში (100%), ნიტროფურაზონის 33 შემთხვევიდან დარღვევა დაფიქსირდა 31 შემთხვევაში (93,9%), ნიტროფურანტონის 33 შემთხვევიდან დარღვევა დაფიქსირდა 19 შემთხვევაში (57,6%).

**2019 წელს** „ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი“-ს ქვეპროგრამის ფარგლებში პირველად საწარმოებში (ფერმა) ცოცხალ ცხოველებში ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების და სხვა დამაბინძურებლების ლაბორატორიული კვლევის მიზნით 350 ცხოველიდან (მრკ-280, წრკ-25, ღორი-10, ფრინველი-10 და თევზი-25) აღებული და 7

მაჩვენებელზე (ქლორამფენიკოლი, ზერანოლი, დიმეტრონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი) გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნება ბიოლოგიური სითხეებისა და ქსოვილების 875 ნიმუში. ნიმუშების რეგიონალური განაწილების დროს გათვალისწინებული იქნება 2018 წელს ცხოველური წარმოშობის სურსათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

**მსხვილფეხა საქონლის** ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს დაკლული ცხოველების საერთო რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2018 წლის 10 თვის მონაცემებით დაიკლა - 160,785 სული. აღნიშნული მონაცემით, 2018 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 192,942 სული მრკ) სულ გამოკვლეული უნდა იქნას არანაკლებ 0,4% (772 ნიმუში). აქედან ჯგუფი „ა“ - 0,25% (482 ნიმუში), რომლის ნახევარი (241 ნიმუში) აღებული იქნება ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბ. შესამღებლობების შესაბამისად) სულ გამოკვლეული იქნება 280 ნიმუში.

**ცხვრებისა და თხების** ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხვრებისა და თხების საერთო რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2018 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 350,766 სული წვრილფეხა საქონელი. აღნიშნული მონაცემით, 2018 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 420,919 წრკ) სულ გამოკვლეული უნდა იქნეს არანაკლებ 0,05 % (210 ნიმუში). აქედან ჯგუფი „ა“ - 0,01 % (42 ნიმუში). „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესამღებლობებიდან შესაბამისად). სულ სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით გამოკვლეული იქნება 25 ნიმუში;

**ღორების** ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს დაკლული ღორების საერთო რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2018 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 120,250 სული ღორი. აღნიშნული მონაცემით, 2018 წელს სავარაუდოდ დაკლული იქნება 144,300 სული ღორი) სულ გამოკვლეული უნდა იქნას არანაკლებ 0,05 % (72 ნიმუში). აქედან ჯგუფი „ა“ - 0,02% (29 ნიმუში). „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში. (ლაბორატორიული

შესაძლებლობებიდან შესაბამისად) სულ სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით გამოკვლეული იქნება 10 ნიმუში;

**თევზის** ნიმუშების რაოდენობა - ფერმაში წარმოებული თევზის ნიმუშების რაოდენობა - ყოველი 100 ტონა წარმოებული პროდუქტიდან არანაკლებ 1 ნიმუში. საქსტატის ინფორმაციაზე დაყრდნობით 2018 წელს სულ ფერმებში თევზის წლიური წარმოება შეადგენს 2,042 ტონას, სულ გამოკვლეული უნდა იქნას შესაბამისად 20 ნიმუში. აქედან ჯგუფი „ა“ – ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/3 (7 ნიმუში). თუმცა ამავდროულად გამოკვლეული უნდა იქნას რეგისტრირებული მეურნეობების არანაკლებ 10%. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით სულ ოპერირებს 100 მეურნეობა, შესაბამისად 10 ნიმუში. გამოვლენილი ნივთიერებები (სუბსტანციები) და საანალიზო ნიმუშები უნდა დაჯგუფდეს ამ ნივთიერებათა (სუბსტანციათა) სავარაუდო გამოყენების მიხედვით (ლაბორატორიული შესაძლებლობებიდან შესაბამისად). სულ სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით გამოკვლეული იქნება 25 ნიმუში.

**ფრინველის** ნიმუშების რაოდენობა - ყოველ 200 ტონა წლიურ პროდუქციაზე (დაკლული წონა) სულ მცირე 1 ნიმუში. სააგენტოში არსებული 2018 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 9,439,685 სული ფრინველი. აღნიშნული მონაცემით, 2018 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება 11,327,00 ფრთა. ერთი ფრთის დაკლული წონის (1,2 კილოგრამი) გადაანგარიშებით დაკლული წონა შეადგენს 13,593 ტონას, შესაბამისად სულ გამოკვლეული უნდა იქნას 68 ნიმუში, მაგრამ თუ შესაბამის კატეგორიაში წლიური დაკვლა 5,000 ტონაზე მეტია, მაშინ ყოველ 200 ტონა წლიურ პროდუქტზე შეადგენს სულ მცირე 100 ნიმუშს, შესაბამისად, სულ გამოკვლეულ უნდა იქნას 100 ნიმუში. აქედან ჯგუფი „ა“ – საერთო რაოდენობის 50% (50 ნიმუში). ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს (10 ნიმუში); „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბ. შესაძლებლობებიდან შესაბამისად). სულ გამოკვლეული იქნება 10 ნიმუში.

**6. მონიტორინგი ცხოველთა ჯანმრთელობაზე (ვაქცინაცია, ნიმუშების აღება) -**  
მონიტორინგი ეტაპობრივად განხორციელდება ცხოველთა ჯანმრთელობის

მდგომარეობის შესწავლის, დაცვის და რისკის შეფასების მიზნით შემდეგ დაგეგმილ ღონისძიებებზე:

- ბრუცელოზის პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 700 ნიმუში;
- ცოფზე პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა – 300 ნიმუში;
- თურქულის არასტრუქტურული პროტეინის (NSP ანტისხეული) აღმოჩენა – 5,000 ნიმუში;
- თურქულის სტრუქტურული პროტეინის (SP ანტისხეული) აღმოჩენა – სავარაუდოდ 1,000 ნიმუში;
- წვრილფეხა საქონლის ჭირის დაავადების/პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 199 ნიმუში.

ა) თურქული (Food and Mouth Disease) - წყვილჩლიქიანი შინაური და გარეული ცხოველების მაღალკონტაგიოზური, განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ცურის, კანის და ჩლიქთაშორის ნაპრალის აფტოზური დაზიანებით. თურქული ფიქსირდება საქართველოს სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში. გასულ წლებში ახალი ეპიდემიებით გამოწვეული კერები დაფიქსირდა თურქეთსა და სომხეთის რესპუბლიკაში. ამასთანავე საქართველოში თურქულის დაავადების შემოჭრა/გავრცელების რისკი მაღალია ქვეყნის, სატრანზიტო ფუნქციიდან და მეცხოველეობის გაძღოლის არსებული მომთაბარე სისტემიდან გამომდინარე. საზღვრისპირა ტერიტორიებზე არსებულ ზამთრისა და ზაფხულის სამოვრებზე ცხოველთა მიგრაციის პერიოდში ასობით ათასი პირუტყვი გადაადგილდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორიების გავლით რამოდენიმე ასეულ კილომეტრზე, რა დროსაც ხდება მათი უშუალო კონტაქტირება აბორიგენ პირუტყვთან. ასევე რისკის კატეგორიას მიეკუთვნება დროებით ოკუპირებული არაკონტროლირებადი ტერიტორიები, (2011 წელს სამაჩაბლოს, ე.წ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე დაფიქსირებული იყო თურქულის შემთხვევა). ქვეყანაში ვირუსის ცირკულაციაზე მიუთითებს წინა წლებში ჩატარებული არასტრუქტურულ (NSP) ცილებზე კვლევების შედეგები. ვინაიდან დაავადება არის მაღალკონტაგიოზური, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს

საქართველოს ტერიტორიაზე მისი შემოჭრისა და დაავადების ამთვისებელ არაიმუნიზირებული ცხოველების შემთხვევაში სწრაფი და ფართო გავრცელების რეალური საშიშროება, რაც მნიშვნელოვან ეკონომიურ ზარალს მიაყენებს ცხოველთა მეპატრონეებს, ფერმერებს და გამოიწვევს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ შემცირებას. ამასთანავე ქვეყანას საერთაშორისო და ქვეყნის კანონმდებლობით დაეკისრება ვალდებულება გაატაროს საკარანტინო-შემზღუდავი და სალიკვიდაციო ღონისძიებები, რაც დაკავშირებული იქნება დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. დაავადების აღმოფხვრამდე შეიზღუდება ექსპორტი და ტრანზიტი, რაც შეაფერხებს საერთაშორისო ვაჭრობას. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე თურქულის რისკზე დაფუძნებული სტრატეგიის (RBSP) შესაბამისად რისკის ზონებში წლის პირველ და მეორე ნახევარში ვაქცინირებული (მათ შორის მოზარდი პირუტყვის რევაქცინაციის ჩათვლით) იქნება სავარაუდოდ 1 100 000 სული მსხვილფეხა და 1 300 000 სული წვრილფეხა პირუტყვი.

ბ) ჯილეხი (Anthrax) - განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ზოონოზური ინფექციური დაავადებაა. ჯილეხით ავადდება მრავალი სახის შინაური და გარეული ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 12 შემთხვევა, 2010 წელს-8, 2011 წელს-31, 2012 წელს-36, 2013 წელს -40, 2014 წელს-19, 2015 წელს-29, 2016 წელს-17, 2017 წელს-15, 2018 წლის პირველადი მონაცემებით-11 შემთხვევა. ჯილეხით ადამიანი დაავადდა: 2009 წელს -38 , 2010 წელს-28, 2011 წელს-81, 2012 წელს-110, 2013 წელს-144, 2014 წელს-57, 2015 წელს-57, 2016 წელს-27, 2017 წელს-34 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), ხოლო 2018 წელს პირველადი მონაცემებით-24 ადამიანი. ცხოველის დაავადების ყოველი ახალი შემთხვევა ქმნის ახალ ნიადაგობრივ კერას, რომელიც რისკის მატარებლად რჩება ათეულობით წელი. დაავადება იწვევს დიდ ეკონომიურ ზარალს ცხოველთა მეპატრონეებსა და ფერმერებში, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით, დაავადების კერებში სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებაზე გაწეული ხარჯებით (იძულებითი აცრები, დეზინფექციები, დაცემული ცხოველების განადგურება და ა.შ.). დაავადებული ცხოველების და მათგან მიღებული ცხოველური პროდუქტებით ასევე შესაძლებელია დაავადდნენ ადამიანებიც. ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლიდან განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებსა და ადამიანებში

შეინიშნება დაავადების გამოვლინების კლების ტენდენცია, თუმცა 2017-2018 წლებში საქართველოს რიგ რაიონებში აღინიშნა დაავადების გამოვლინებები ისეთ ტერიტორიებზე, სადაც წინა წლებში იგი არ ფიქსირდებოდა. ცხოველების და შესაბამისად, ადამიანების დაავადების პრევენციის მიზნით და მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით (ჯილენზე ისტორიულად არაკეთილსაიმედო ტერიტორიები, ჯანდაცვის ორგანოების მონაცემებით ადამიანების დაავადების ფაქტების არსებობა, გადასარეკი ტრასის და მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში/ფერმებში არსებული ცხოველები, მუნიციპალიტეტებში სადაც ეპიზოოტიური სიტუაცია გართულებულია) 2019 წელს ჩატარდება სავარაუდოდ 420 000 სული მსხვილფეხა, 690 000 სული წვრილფეხა პირუტყვისა და 4 902 სული კენტჩლიქიანი ცხოველის ჯილენის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (მათ შორის ვაქცინაციის ინსტრუქციის თანახმად მოზარდის რევაქცინაციის ჩათვლით).

გ) ცოფი (Rabies) – ზოონოზური, უკურნებელი ვირუსული ინფექციური დაავადებაა. ცოფით ავადდება ყველა თბილისხლიანი ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. ინფექციის გავრცელების ძირითადი წყაროა: ძაღლი, კატა და სხვა სახეობის ხორცისმჭამელი ცხოველები, ამიტომ მნიშვნელოვანია ცოფთან ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება, მათ შორის ცოფის ამთვისებელი შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ვაქცინაცია. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიული გამოკვლევებით დაფიქსირდა: 2009 წელს ცოფით დაავადების 153 შემთხვევა, 2010 წელს-97 შემთხვევა, 2011 წელს-69 შემთხვევა, 2012 წელს-135 შემთხვევა, 2013 წელს-116 შემთხვევა, 2014 წელს-119 შემთხვევა, 2015 წელს-103 შემთხვევა, 2016 წელს-53 შემთხვევა, 2017 წელს - 40 შემთხვევა, ხოლო 2018 წელის პირველადი მონაცემებით-46 შემთხვევა. ცოფით (ჰიდროფობიით) გარდაცვლილია: 2009 წელს - 6 ადამიანი, 2010 წელს - 5, 2011 წელს - 3, 2012 წელს - 3, 2013 წელს - 4, 2014 წელს - 4, 2015-2017 წლებში ადამიანის გარდაცვალების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, ხოლო 2018 წელს გარდაიცვალა 2 ადამიანი. დაავადებას აქვს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მნიშვნელობა. 2014 წლიდან განხორციელებული ინტენსიური სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად აღინიშნება პოზიტიური შედეგებისა და ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. 2019 წელს ცოფის დაავადებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ვაქცინაცია ჩატარდება ქვეყნის მასშტაბით სავარაუდოდ 260 000 სულ ძაღლსა

და კატას. აგრეთვე, განხორციელდება ცხოველების მიერ ადამიანის ცხოველების დაკბენის შემთხვევაში, დამკბენ ცხოველზე 10 დღიანი ვეტერინარული ზედამხედველობა.

დ) მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი (Lumpy Skin Disease) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. 2014 წელს დაავადების შემთხვევები აღინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში. უკანასკნელ პერიოდში ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი დაფიქსირებულია საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის რესპუბლიკებში და რუსეთში მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. ხოლო 2015-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის გამოვლინების არეალი და მან მოიცვა აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები: საბერძნეთი, მაკედონია, ალბანეთი, ბულგარეთი, მონტენეგრო, სერბეთი. 2017 წელს დაავადების გამოვლინებებს ადგილი ქონდა ასევე აფხაზეთის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზეც. აღნიშნულმა ვითარებამ გარკვეულწილად ზეგავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის ჩრდილო და დასავლეთ რეგიონების რიგ სოფლებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა დაავადების გამოვლინებებს. დაავადებაზე კონტროლის განხორციელებაში ასევე დახმარება აღმოგვიჩინა ევროკავშირმა (გრანტის სახით გადმოცემული იქნა 200 000 დოზა ვაქცინა). დაავადებას ახასიათებს დიდი ეკონომიკური ზარალი, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით და ცხოველური პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებით და რაოდენობრივი კლებით. ამ ეტაპზე არსებული ეპიზოოტიური სიტუაციიდან და მოსალოდნელი საფრთხიდან გამომდინარე და ეპიზოოტიური სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში (შესაბამისი რეგიონები) 2019 წელს განხორციელდება სავარაუდოდ 450 000 სული მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია ინსტრუქციის შესაბამისად. აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა, საიდანაც გარკვეული რაოდენობის ვაქცინები შესაძლებელია გადაცემული იქნას ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე პირუტყვის ვაქცინაციის მიზნით.

ე) ცხვრისა და თხის ყვავილი (Sheep and Goat Pox) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს, რაც გამოიხატება



პროდუქტიულობის დაქვეითებით, სიკვდილიანობით, განსაკუთრებით მოზარდ ცხოველებში და დაავადებული ცხოველების მკურნალობაზე გაწეულ ხარჯებში. ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლიდან განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებში დაავადების კლინიკური გამოვლინება ამ ეტაპისთვის აღარ შეინიშნება. 2019 წელს გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვი, რომელიც (ინსტრუქციის თანახმად) გამოყენებული იქნება რისკების შესაბამისად.

ვ) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი (Peste des Petits Ruminants – PPR) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს სწრაფი გავრცელება და მაღალი სიკვდილიანობა (დაახლოებით 50-100%) განსაკუთრებით მოზარდში, რის გამოც მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს. ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაავადება დაფიქსირებულია თურქეთის და ირანის რესპუბლიკაში. დაავადება ქვეყანაში დაფიქსირდა 2016 წელს თბილისის მიმდებარე სოფლებში (ვარკეთილის მეურნეობა, პატარა ლილო). დაავადების მაღალკონტაგიოზურობიდან გამომდინარე 2016 წელს ჩატარებული იქნა წვრილფეხა პირუტყვის მასიური ვაქცინაცია და მოზარდის რევაქცინაცია ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში. დაავადების განმეორებითი ეპიდემიუტების თავიდან აცილების მიზნით 2017 და 2018 წელს ვაქცინაცია ჩატარდა მოზარდ წვრილფეხა პირუტყვს ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში, სადაც ინტენსიურად განვითარებულია მეცხვარეობა და მისი გაძღოლის მომთაბარე სისტემა, 2019 წელს ვაქცინირებული იქნება 300 000 სული წვრილფეხა (ძირითადად მოზარდი) პირუტყვი, საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე ჩატარდება პირუტყვის რევაქცინაცია ინსტრუქციის შესაბამისად.

ზ) ბრუცელოზი (Brucellosis) - ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ცხოველებში ხასიათდება აბორტებით, მომყოლის შეჩერებით, ენდომეტრიტებით და აღწარმოებითი უნარის მოშლით. ბრუცელოზით ავადდება მრავალი სახის ცხოველი, აგრეთვე ადამიანიც, შესაბამისად დაავადებას გააჩნია სოციალური მნიშვნელობა. ადამიანებში ეს დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და რთულად განკურნებადია. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 173 შემთხვევა, 2010 წელს -198, 2011 წელს-165, 2012 წელს-133,

2013 წელს-186, 2014 წელს -282, 2015 წელს -205, 2016 წელს -203, 2017 წელს - 202, ხოლო 2018 წელს პირველადი მონაცემებით-159 შემთხვევა.

2019 წელს ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ინსტრუქციის შესაბამისად ჩატარდება სავარაუდოდ 185 000 სულამდე მსხვილფეხა და 242 000 სულამდე წვრილფეხა პირუტყვს. ღონისძიებები განხორციელდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

თ) ტუბერკულოზი (Tuberculosis) - მრავალი სახის ცხოველისა და ფრინველის ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, ავადდება ადამიანიც. დაავადებას აქვს როგორც ეკონომიური, ასევე სოციალური მნიშვნელობა. 2008 წლის შემდგომ 2017 წელს პირველად განხორციელდა მსხვილფეხა პირუტყვის ტუბერკულინიზაცია, გამოკვლეული იქნა 7 020 სული, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 24 სული მსხვილფეხა პირუტყვი. 2018 წელს პირველადი მონაცემებით გამოკვლეული იქნა 10 000 სულიზე მეტი, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 18 სული მსხვილფეხა პირუტყვი. უცხოელი ექსპერტების რჩევით, დაავადებაზე ზედამხედველობა გაგრძელდება ცხოველთა სასაკლაოებში, ტუბერკულოზზე საექვო ცხოველების ნიმუშები გამოკვლეული იქნება ლაბორატორიულად. დაავადებული ცხოველების მიკვლევადობის შემდგომ მოხდება საექვო ნახირების ალერგიული მეთოდით კვლევა (ტუბერკულინიზაცია).

ი) ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება (Crimean Congo Hemorrhagic Fever) - ცხოველისა და ადამიანის ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადამიანებში მძიმედ მიმდინარეობს. ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელებით დაავადებულ ცხოველს კლინიკური ნიშნები არ აღენიშნება, მაგრამ ვირემიის პერიოდში დაავადების გამავრცელებელია. დაავადება ძირითადად ვრცელდება ტკიპების (Hyalomma სახეობა) საშუალებით, რომელთაც შეხება ჰქონდათ დაავადებულ ცხოველთან. ტკიპამ ჯერ უნდა უკბინოს დაავადებულ ცხოველს (მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვი და სხვა) რომლებიც ინფექციის ძირითად რეზერვუარს წარმოადგენს და შემდეგ ადამიანს. ადამიანებში ლეტალობა 40%-ს აღწევს. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2012 წელს 1 შემთხვევა, 2013 წელს-13, 2014 წელს-24 (მათ შორის 3 ლეტალური შედეგით), 2015 წელს-9 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2016 წელს -6 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2017 წელს-5 შემთხვევა (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2018 წელს პირველადი მონაცემებით 12 შემთხვევა (მათ შორის 1 ლეტალური).

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ყოველწლიურად ფიქსირდება ადამიანის დაავადების შემთხვევები. სააგენტოს მიერ 2015 წელს ჩატარებული ღონისძიება შეიძლება ჩაითვალოს ადამიანებში დაავადების გამოვლინების კლების ერთ-ერთ მიზეზად (დაავადების შემთხვევებმა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით იკლო 43,4%-ით, ხოლო ლეტალობამ 25 %-ით). ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდაფეთქების მართვისა და პრევენციის მიზნით შეიქმნება ინსექტო-აკაროციდული პრეპარატის რეზერვი და ადამიანებში დაავადების დაფიქსირების შემთხვევებში ჩატარდება მსხვილფეხა პირუტყვისა და მათი სადგომების დამუშავება.

**7. ცხოველთა გარეგან პარაზიტებზე დამუშავება** - 2016 წლიდან დაიწყო სეზონურ სამოვრებზე ცხოველთა გადასარეკ ტრასებზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ცხოველების გასაბანებელი პუნქტების, სარწყულელების და სხვა), სადაც ჩატარებული იქნა გადასარეკი პირუტყვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა და ექტო-პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება. 2016 წელს არსებულ პუნქტებზე მოხდა გაზაფხულზე 16,071 მსხვილფეხა და 44,500 წვრილფეხა პირუტყვის დამუშავება, ხოლო შემოდგომით- 17,231 მსხვილფეხა და 299,410 წვრილფეხა პირუტყვის დამუშავება. 2017 წელს პუნქტებზე დამუშავდა გაზაფხულზე 6,418 მსხვილფეხა და 247,373 წვრილფეხა პირუტყვი, ხოლო შემოდგომაზე 6,464 მსხვილფეხა და 383,026 წვრილფეხა პირუტყვი. 2018 წელს პირველადი მონაცემებით პუნქტებზე დამუშავდა გაზაფხულზე 5,861 მსხვილფეხა და 349,238 წვრილფეხა პირუტყვი, ხოლო შემოდგომაზე 2,604 მსხვილფეხა და 363,930 წვრილფეხა პირუტყვი. 2019 წელს აღნიშნულ პუნქტებზე საგაზაფხულოდ და საშემოდგომოდ მოხდება მომთაბარე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ექტო-პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება.

**8. ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია** - 2019 წელს გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია და ღორების საპილოტე იდენტიფიკაცია, მოხდება იდენტიფიცირებული ცხოველების და მათი სადგომების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაცია. ასევე, განხორციელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისა და ღორების სადგომის/დროებითი სადგომებზე სახელმწიფო კონტროლი მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

ა) მსხვილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1%-ის, სადგომის/დროებითი სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე.

ბ) წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1%-ის და იდენტიფიცირებული წვრილფეხა საქონლის სულადობის არანაკლებ 1,5%-ის, სადგომის/დროებითი სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე.

გ) ღორის სადგომის არანაკლებ 1%-ის სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე.

**9. სადეზინფექციო სამუშაოები, ვაქცინების, საწვავის, სხვა მატერიალური ფასეულობების რეზერვი და მუშაკების დაქირავება** - დაავადებული და დაავადებით დაცემული ცხოველი წარმოადგენს ინფექციის გავრცელების რისკს. აღმძვრელის გარემოში მოსპობის მიზნით ასეთი ცხოველების სადგომებისა და დაცემის ადგილებში განხორციელდება შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოები.

განსაზღვრულ დაავადებებზე (თურქული, ჯილეხი, ცოფი, ნოდულარული დერმატიტი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი, წვრილფეხა პირუტყვის ბრუცელოზი და სხვა) შეიქმნება ვაქცინების, დიაგნოსტიკუმის, საყურე ნიშნების, ინსექტო-აკარიციდის, საწვავის და სხვა დამხმარე მასალების რეზერვი.

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების ჩასატარებლად მოხდება მუშაკების დროებით ხელშეკრულებით დაქირავება.

**10. ნიმუშების აღება (დაავადების დასადგენად)** - ნიმუშების აღება მოხდება ცხოველთა ჯანმრთელობის საექვო სტატუსის შემთხვევებში მათი გამოკვლევის მიზნით, პასიური ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ფარგლებში, სავარაუდოდ შემდეგ დაავადებებზე:

ა) ბრუცელოზი- გამოვლენა და დადასტურება;

ბ) ბრუცელოზი -დაავადების აღმძვრელის ტიპირება;

გ) Q ცხელება- დაავადების აღმძვრელის/ანტისხეულების აღმოჩენა;

- დ) ცოფი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ე) ტუბერკულოზი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- ვ) პარატუბერკულოზი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა (ჰისტოლოგია);
- ზ) ლეიკოზი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა (ჰისტოლოგია);
- თ) ჯილეხი-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ქსოვილოვანი მასალა);
- ი) ჯილეხი-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ნიადაგი, სხვა);
- კ) თურქული დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ლ) ფრინველის გრიპი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- მ) ნიუკასლის დაავადება- იმუნური სტატუსის განსაზღვრა / დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ნ) ფრინველის ინფექციური ბრონქიტი - მორფოლოგიური ცვლილების დადგენა (ჰისტოლოგია);
- ო) მარეკის დაავადება - მორფოლოგიური ცვლილების დადგენა (ჰისტოლოგია);
- პ) პიროპლაზმიდოზები- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჟ) პროტოზოები - პარაზიტის იდენტიფიცირება;
- რ) ღორის აფრიკული ცხელება- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ს) ღორის აფრიკული ცხელება- დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- ტ) ღორის კლასიკური ცხელება-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- უ) ღორის წითელი ქარი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ფ) პასტერელოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ქ) ტემენის დაავადება - მორფოლოგიური ცვლილების დადგენა (ჰისტოლოგია);
- ღ) სალმონელოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- ყ) კოლიბაქტერიოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- შ) სტაფილოკოკოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- ც) დერმატომიკოზი (ტრიქოფიტოზი, მალაცეზია, მიკროსპორია) - მიკოზების იდენტიფიცირება;
- ძ) ლეიშმანიოზი- დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- წ) მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;

- ჰ) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ბ) ცხვრისა და თხის ყვავილი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჯ) ანაერობული დიზინტერია - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3) ცხვრისა და თხის კონტაგიოზური ექტიმა- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>1</sup>) აუესკის დაავადება -დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>2</sup>) ნეკრობაქტერიოზი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>3</sup>) ჩლიქების სიდამპლე - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>4</sup>) ბრადზოტი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>5</sup>) ენტეროტოქსემია - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>6</sup>) ემფიზემატოზური კარბუნკული-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>7</sup>) ლეპტოსპიროზი - დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- 3<sup>8</sup>) ლისტერიოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა.
- 3<sup>9</sup>) აქტინომიკოზი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა.
- 3<sup>10</sup>) ტრიქომონოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>11</sup>) არაქნოიდები (სარკოპტოზი, დემოდეკოზი და სხვა) - ტკიპების იდენტიფიცირება;
- 3<sup>12</sup>) თევზის პარაზიტული დაავადებები (პროტოზოები, არაქნოზები, ჰელმინთები);
- 3<sup>13</sup>) თევზის აერომონოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- 3<sup>14</sup>) ფუტკრის პარაზიტული დაავადებები - პარაზიტის იდენტიფიცირება (პროტოზოები/არაქნოზები);
- 3<sup>15</sup>) ამერიკული სიდამპლე - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა ;
- 3<sup>16</sup>) ევროპული სიდამპლე - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა ;
- 3<sup>17</sup>) ფუტკრის ჰემორაგიული სეპტიცემია - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა.
- 3<sup>18</sup>) ჰელმინთაბი (კოპროლოგია) - ჰელმინთების და პროტოზოების იდენტიფიცირება;
- 3<sup>19</sup>) ძაღლის ჭირი - დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა
- 3<sup>20</sup>) ვირუსული გასტროენტერიტი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა (ჰისტოლოგია).
- 3<sup>21</sup>) დეზინფექციის ხარისხის განსაზღვრა.

თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიის (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) ზედამხედველობის ფარგლებში ჩატარდება თევზის

ფერმების აღრიცხვა, კლინიკური შემოწმება და ლაბორატორიული გამოკვლევების მიზნით ნიმუშების აღება.

### **მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები.**

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედობის შენარჩუნებას, ცხოველის, ცხოველისა და ადამიანისათვის საერთო დაავადებების პრევენციასა და კონტროლს, ცხოველთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მიკვლევადობის განხორციელებას, ეკონომიკური ზიანის შემცირებას, სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსებას, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს ვეტერინარულ-ფარმაცევტულ ბაზარზე არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატების გამოვლენასა და რეალიზაციის აღკვეთას - შესაბამისად ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევას, ასევე ვეტერინარული ფარმაციის სფეროში ბიზნესოპერატორების მიერ საქმიანობის მართებულად წარმართვას. მავნე სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების შემცირებას. პირველად წარმოებაში (ფერმებში), ცოცხალ ცხოველებში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების არსებობის მიზეზების გამოვლენა, შესწავლა - გამოკვლევა შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით და აკრძალული პრეპარატების გამოყენების აკრძალვას და ანტიმიკრობული საშუალებების არამიზნობრივ გამოყენების შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს ცხოველების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომებში დარღვევების შემცირებას და აღმოფხვრას.

## ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის პროგრამა

### მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის სამოქმედო გეგმას.

2. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დაავადებების ლაბორატორიულ კონტროლს (დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს), ცხოველთა სადგომის/დროებითი სადგომის ინსპექტირებას, ფერმებში ცოცხალი ცხოველებიდან აღებულ ნიმუშებში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) გამოყენებაზე მონიტორინგს, ვეტერინარიის სფეროში ბიზნესოპერატორების საქმიანობის ინსპექტირებას, ცოცხალი ცხოველების ბაზრების/ბაზრობების ინსპექტირებას, შინაური ბინადარი ცხოველის გადამმუშავებული, ნედლი, დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლის, ტყავის და კანის, მატყლისა და თევზის ფქვილის საწარმოების ინსპექტირებას, არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის (მ. შ. მეფუტკრეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი) განკარგვაზე, უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე, ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე ზედამხედველობას, ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგს, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლს კერძოდ: ვაქცინაცია, გამოკვლევები, დამუშავება ვექტორების საწინააღმდეგოდ და სხვა ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლს.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ცხოველთა დაავადებების თავიდან აცილების ან/და გამოვლინებების შემცირებისკენ, ზოონოზური დაავადებებისგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისკენ, დაავადებების უმოკლეს ვადებში ლოკალიზაცია/ლიკვიდაციისკენ, ხარისხიანი ვეტერინარული



პრეპარატებით და მე-3 კატეგორიის მასალიდან მიღებული შინაური ბინადარი ცხოველის უვნებელი საკვებით მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისკენ, ასევე ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესებისაკენ.

## **მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები**

პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია:

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“; „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორებისა და აგრარული ბაზრების/ბაზრობების, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველის რეალიზაცია, ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №338 დადგენილება; „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №345 დადგენილება; „ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის №2-107 ბრძანება; „ტექნიკური რეგლამენტის - აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება; „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N430 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება; „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომების/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის №483 დადგენილება; „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო

ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - სეზონურ სამოვრებზე ცხოველთა გადარეკვის ვეტერინარულ-სანიტარიული წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №422 დადგენილება; „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტებისა და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილება; „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ფრინველის გრიპის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №637 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ღორის აფრიკული ჭირის (ცხელების) დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №496 დადგენილება.

„ტექნიკური რეგლამენტის - ღორის კლასიკური ჭირის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №498 დადგენილება; „პროფილაქტიკური კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის №59 დადგენილება; „თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურებისთვის ნიმუშის აღების გეგმებისა და დიაგნოსტიკის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №636 დადგენილება; „ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეპალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 დეკემბრის №600 დადგენილება; „ბლუთანგის აღმოფხვრისა და კონტროლთან დაკავშირებული

სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს №398 დადგენილება.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზნებია:

- ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა გადამდები დაავადებების შემოჭრა/შემოტანა და გავრცელებისაგან;
- ბ) ცხოველთა ჯანმრთელობის (ვეტერინარული კეთილსაიმედოობის) მიღწევა/შენარჩუნება;
- გ) ზოონოზური დაავადებებისგან ადამიანების დაცვა და მათი გამოვლენის შემცირება;
- დ) ფერმერულ მეურნეობებსა და ოჯახურ წარმოებაში ცხოველთა ინფექციური დაავადების გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის და საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვების თავიდან აცილება;
- ე) ვეტერინარიის სფეროში ბიზნესოპერატორების საქმიანობის კონტროლი, დარღვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა;
- ვ) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის დანერგვა. სადგომის/დროებითი სადგომის შესახებ არსებული სიტუაციის შესწავლა. მონაცემთა ელექტრონული ბაზის სრულყოფა-მონაცემების განახლება, ცხოველთა მიკვლევადობის გაუმჯობესება;
- ზ) ცოცხალ ცხოველებში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) გამოყენების დადგენა, ნარჩენების არსებობის მიზეზების გამოვლენა და შესწავლა-გამოკვლევა;
- თ) ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლის განხორციელება, მათ შორის გადაადგილების დროს;
- ი) შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი, დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლის, ტყავის და კანის, მატყლისა და თევზის ფქვილის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი;
- კ) მეფუტკრეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სპეციალურ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და განკარგვა/განთავსების კონტროლი.

#### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. ვეტერინარულ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სააგენტოს უფლებამოსილი პირი (ვეტერინარი).
2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-თ დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს აღნიშნული კოდექსის 64-ე - 74<sup>3</sup>-ე მუხლების შესაბამისად სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

#### **მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

##### **1. ინსპექტირება ხორციელდება:**

- ა) ვეტერინარული პრეპარატების დამამზადებელ საწარმოში;
- ბ) ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტში;
- გ) ვეტერინარულ აფთიაქში;
- დ) ვეტერინარულ სამკურნალოში (კლინიკა);
- ე) ვეტერინარულ-კოსმეტიკურ კაბინეტში;
- ვ) ცხოველთა სადგომში/დროებით სადგომებში (მათ შორის საკარანტინო სადგომი, პირველადი წარმოება);
- ზ) ცოცხალი ცხოველებით მოვაჭრე აგრარულ ბაზარში/ბაზრობაში;
- თ) ფსიქოტროპული პრეპარატების გამომყენებელ ობიექტში;
- ი) ცხოველთა თავშესაფარში;
- კ) შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი, დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლის, ტყავის და კანის, მატყლის, თევზის ფქვილის საწარმოებში;
- ლ) საზღვარგარეთიდან საქართველოში ექსპორტის განმახორციელებელ ვეტერინარულ კონტროლ ქვემდებარე ობიექტებში.

##### **2. მონიტორინგი მოიცავს:**

- ა) რისკის შესაფასებლად პირველადი წარმოების ობიექტებში, „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილების

დანართი №1-ით „ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებები (სუბსტანციები), აკრძალული ნივთიერებები (სუბსტანციები), ვეტერინარული პრეპარატები და დამაბინძურებლები“ განსაზღვრული ნივთიერებებისა (სუბსტანცია) და მათი ნარჩენების ცოცხალ ცხოველებში, ცხოველის ბიოლოგიურ სითხესა და ქსოვილში დადგენას აკრძალული მკურნალობის (გამოყენების) აღკვეთის მიზნით;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი და დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლის, ასევე თევზის ფქვილის გამოკვლევას სალმონელასა და ენტერობაქტერიებზე;

გ) ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დასადგენად ნიმუშის აღებას;

დ) ვეტერინარული პრეპარატების ეტიკეტების შემოწმებას;

ე) ცხოველის საცხოვრებელი გარემოს დათვალიერებას და ინფორმაციის შეგროვებას;

ვ) ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად ვაქცინაციის, ცხოველთა დამუშავების, გამოკვლევების შესრულების შესახებ მონაცემების მოპოვებას, ასევე რისკის შეფასებას.

### **3. ზედამხედველობა ხორციელდება:**

ა) საკარანტინო ღონისძიებების მიმდინარეობაზე;

ბ) გადამდები დაავადებებისა და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე;

გ) არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე;

დ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის, მათ შორის მადუ-ს განკარგვა/განთავსებაზე;

ე) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის მიმდინარეობაზე (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე); ვ) უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე;

ზ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

### **4. დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება დამოუკიდებლად ან სახელმწიფო**

კონტროლის სხვა მექანიზმებთან (ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა) ერთად, ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმების მიზნით.

5. ნიმუშის აღება ხორციელდება ორგანოლექტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოსაკვლევად, რათა განისაზღვროს ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი.

ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

## **მუხლი 6. სახელმწიფო კონტროლის განხორციელება**

### **1. ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ობიექტების ინსპექტირება:**

2020 წელს განხორციელდება 450 ობიექტის ინსპექტირება, რაც შეადგენს 2019 წლისთვის დარეგისტრირებული 744 (მათ შორის ვეტერინარული კლინიკა, ზოომდაზია, ვეტერინარული პრეპარატების საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტი, ცხოველთა თავშესაფარი, ვეტერინარული პრეპარატების საწარმო, ცოცხალი ცხოველების ბაზარი, ვეტერინარული კოსმეტიკური კაბინეტი, პირველადი წარმოების ბიზნესოპერატორის 60,5%-ს.) სულ დაიგეგმა 450 კონტროლქვემდებარე ობიექტების ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი.

2020 წელს 2019 წლისთვის დარეგისტრირებული აგრარული ბაზრების/ბაზრობების 100%-ში (24 ობიექტი) განხორციელდება ინსპექტირება: მათ მოწყობასთან, ტერიტორიაზე ჰიგიენის წესებთან, ცხოველთა ჯანმრთელობასთან, ჩანაწერების წარმოებასა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. ინსპექტირება ასევე განხორციელდება ცხოველთა საკარანტინო სადგომებში, შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი და დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლისა და თევზის ფქვილის გადამამუშავებელ საწარმოებში.

2020 წელს მოთხოვნებიდან გამომდინარე ინსპექტირება განხორციელდება საზღვარგარეთიდან საქართველოში იმპორტის განმახორციელებელ ვეტერინარულ კონტროლ ქვემდებარე ობიექტებში.

2020 წელს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან

გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენების წესის დაცვაზე შემოწმებული იქნება სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამის რეესტრში დარეგისტრირებული ობიექტების 100% - სულ 27 ობიექტი.

#### **ინსპექტირების პრიორიტეტული ობიექტები იქნება:**

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამომყენებელი ობიექტები (ცხოველთა თავშესაფრები) - წელიწადში არანაკლებ ორჯერ;

შინაური ბინადარი ცხოველების გადამუშავებული საკვების მწარმოებელი საწარმოები, რომელთა პროდუქციაც განკუთვნილია საექსპორტოდ - წელიწადში არანაკლებ ორჯერ;

ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მწარმოებელი საწარმოები - წელიწადში არანაკლებ ორჯერ;

თევზის ფქვილის საწარმოები - წელიწადში არანაკლებ ორჯერ.

#### **2. 2020 წელს ზედამხედველობა განხორციელდება:**

ა) საკარანტინო ღონისძიებების მიმდინარეობაზე;

ბ) გადამდები დაავადებებისა და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე;

გ) არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე;

დ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის, მათ შორის მადპ-ს განკარგვა/განთავსებაზე;

ე) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის მიმდინარეობაზე (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე); ვ) უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე;

ზ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

თ) საექსპორტოდ განკუთვნილი ცოცხალი ცხოველების და არასასურსათო დანიშნულების ცხოველური წარმოშობის პროდუქტის სერტიფიცირებაზე.

#### **3. მონიტორინგი ცხოველთა ჯანმრთელობაზე (ვაქცინაცია, ნიმუშების აღება)**

ა) მონიტორინგი ეტაპობრივად განხორციელდება ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის, დაცვის და რისკის შეფასების მიზნით შემდეგ დაგეგმილ ღონისძიებებზე:

- ბრუცელოზის პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 300 ნიმუში;
- ცოფზე პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა – 100 ნიმუში;
- თურქულის არასტრუქტურული პროტეინის (NSP ანტისხეული) აღმოჩენა – 4,000 ნიმუში;
- თურქულის სტრუქტურული პროტეინის (SP ანტისხეული) აღმოჩენა – სავარაუდოდ 500 ნიმუში;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის დაავადების/პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 100 ნიმუში;
- ცხვრის კატარალური ცხელება ანტისხეულის აღმოჩენა (მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის)-500 ნიმუში.

ბ) თურქული (Food and Mouth Disease) - წყვილჩლიქიანი შინაური და გარეული ცხოველების მაღალკონტაგიოზური, განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ცურის, კანის და ჩლიქთაშორის ნაპრალის აფტოზური დაზიანებით. თურქული ფიქსირდება საქართველოს სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში. გასულ წლებში ახალი ეპიდემიებით გამოწვეული კერები დაფიქსირდა თურქეთსა და სომხეთის რესპუბლიკაში. ამასთანავე საქართველოში თურქულის დაავადების შემოჭრა/გავრცელების რისკი მაღალია ქვეყნის, სატრანზიტო ფუნქციიდან და მეცხოველეობის გაძღოლის არსებული მომთაბარე სისტემიდან გამომდინარე. საზღვრისპირა ტერიტორიებზე არსებულ ზამთრისა და ზაფხულის სამოვრებზე ცხოველთა მიგრაციის პერიოდში ასობით ათასი პირუტყვი გადაადგილდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორიების გავლით რამოდენიმე ასეულ კილომეტრზე, რა დროსაც ხდება მათი უშუალო კონტაქტირება აბორიგენ პირუტყვთან. ასევე რისკის კატეგორიას მიეკუთვნება დროებით ოკუპირებული არაკონტროლირებადი ტერიტორიები, (2011 წელს სამაჩაბლოს, ე.წ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე



დაფიქსირებული იყო თურქულის შემთხვევა). ქვეყანაში ვირუსის ცირკულაციაზე მიუთითებს წინა წლებში ჩატარებული არასტრუქტურულ (NSP) ცილებზე კვლევების შედეგები. ვინაიდან დაავადება არის მაღალკონტაგიოზური ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე მისი შემოჭრისა და დაავადების ამთვისებელ არაიმუნიზირებული ცხოველების შემთხვევაში სწრაფი და ფართო გავრცელების რეალური საშიშროება, რაც მნიშვნელოვან ეკონომიურ ზარალს მიაყენებს ცხოველთა მეპატრონეებს, ფერმერებს და გამოიწვევს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ შემცირებას. ამასთანავე ქვეყანას საერთაშორისო და ქვეყნის კანონმდებლობით დაეკისრება ვალდებულება გაატაროს საკარანტინო-შემზღუდავი და სალიკვიდაციო ღონისძიებები, რაც დაკავშირებული იქნება დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. დაავადების აღმოფხვრამდე შეიზღუდება ექსპორტი და ტრანზიტი, რაც შეაფერხებს საერთაშორისო ვაჭრობას. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე თურქულის რისკზე დაფუძნებული სტრატეგიის (RBSP) შესაბამისად რისკის ზონებში წლის პირველ და მეორე ნახევარში ვაქცინირებული (მათ შორის მოზარდი პირუტყვის რევაქცინაციის ჩათვლით) იქნება სავარაუდოდ 850 000 სული მსხვილფეხა და 1 150 000 სული წვრილფეხა პირუტყვი (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე).

გ) ჯილეხი (Anthrax) - განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ზოონოზური ინფექციური დაავადებაა. ჯილეხით ავადდება მრავალი სახის შინაური და გარეული ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 12 შემთხვევა, 2010 წელს-8, 2011 წელს-31, 2012 წელს-36, 2013 წელს -40, 2014 წელს-19, 2015 წელს-29, 2016 წელს-17, 2017 წელს-15, 2018 -წელს 11 შემთხვევა, 2019-წლის პირველადი მონაცემებით-5 შემთხვევა. ჯილეხით ადამიანი დაავადდა: 2009 წელს -38 , 2010 წელს-28, 2011 წელს-81, 2012 წელს-110, 2013 წელს-144, 2014 წელს-57, 2015 წელს-57, 2016 წელს-27, 2017 წელს-34 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2018 წელს 25 ადამიანი, ხოლო 2019 წელს (არასრული მონაცემი) 9 ადამიანი. ცხოველის დაავადების ყოველი ახალი შემთხვევა ქმნის ახალ ნიადაგობრივ კერას, რომელიც რისკის მატარებლად რჩება ათეულობით წელი. დაავადება იწვევს დიდ ეკონომიურ ზარალს ცხოველთა მეპატრონეებსა და ფერმერებში, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით, დაავადების კერებში სალიკვიდაციო

ლონისძიებების გატარებაზე გაწეული ხარჯებით (იძულებითი აცრები, დეზინფექციები, დაცემული ცხოველების განადგურება და ა.შ.). დაავადებული ცხოველების და მათგან მიღებული ცხოველური პროდუქტებით ასევე შესაძლებელია დაავადდნენ ადამიანებიც. ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლიდან განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებსა და ადამიანებში შეინიშნება დაავადების გამოვლინების კლების ტენდენცია, თუმცა 2017-2018 წლებში საქართველოს რიგ რაიონებში აღინიშნა დაავადების გამოვლინებები ისეთ, ტერიტორიებზე, სადაც წინა წლებში იგი არ ფიქსირდებოდა. ცხოველების და შესაბამისად, ადამიანების დაავადების პრევენციის მიზნით და მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით (ჯილეხზე ისტორიულად არაკეთილსაიმედო ტერიტორიები, ჯანდაცვის ორგანოების მონაცემებით ადამიანების დაავადების ფაქტების არსებობა, გადასარეკი ტრასის და მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში/ფერმებში არსებული ცხოველები, მუნიციპალიტეტებში სადაც ეპიზოოტიური სიტუაცია გართულებულია) 2020 წელს ჩატარდება სავარაუდოდ 420 000 სული მსხვილფეხა, 575 000 სული წვრილფეხა პირუტყვისა და 4 500 სული კენტჩლიქიანი ცხოველის ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (მათ შორის მოზარდის რევაქცინაციის ჩათვლით. (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე) .

დ) ცოფი (Rabies) – ზოონოზური, უკუწრებელი ვირუსული ინფექციური დაავადებაა. ცოფით ავადდება ყველა თბილსისხლიანი ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. ინფექციის გავრცელების ძირითადი წყაროა: ძაღლი, კატა და სხვა სახეობის ხორცისმჭამელი ცხოველები, ამიტომ მნიშვნელოვანია ცოფთან ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება, მათ შორის ცოფის ამთვისებელი შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ვაქცინაცია. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიული გამოკვლევებით დაფიქსირდა: 2009 წელს ცოფით დაავადების 153 შემთხვევა, 2010 წელს-97 შემთხვევა, 2011 წელს-69 შემთხვევა, 2012 წელს-135 შემთხვევა, 2013 წელს-116 შემთხვევა, 2014 წელს-119 შემთხვევა, 2015 წელს-103 შემთხვევა, 2016 წელს-53 შემთხვევა, 2017 წელს - 40 შემთხვევა, 2018 წელს -47 შემთხვევა, ხოლო 2019 წელის პირველადი მონაცემებით-43 შემთხვევა. ცოფით (ჰიდროფობიით) გარდაცვლილია: 2009 წელს - 6 ადამიანი, 2010 წელს - 5, 2011 წელს - 3, 2012 წელს - 3, 2013 წელს - 4, 2014 წელს - 4, 2015-2017 წლებში ადამიანის გარდაცვალების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, 2018 წელს გარდაიცვალა 2 ადამიანი, 2019 წელს გარდაიცვალა 1 ადამიანი. დაავადებას აქვს როგორც ეკონომიკური, ასევე

სოციალური მნიშვნელობა. 2014 წლიდან განხორციელებული ინტენსიური სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად აღინიშნება პოზიტიური შედეგებისა და ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. 2020 წელს ცოფის დაავადებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ვაქცინაცია ჩაუტარდება ქვეყნის მაშტაბით სავარაუდოდ 260 000 სულ ძაღლსა და კატას (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე). აგრეთვე განხორციელდება ცხოველების მიერ ადამიანის ცხოველების დაკბენის შემთხვევაში, დამკბენ ცხოველზე 10 დღიანი ვეტერინარული ზედამხედველობა

ე) მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი (Lumpy Skin Disease) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. 2014 წელს დაავადების შემთხვევები აღინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში. უკანასკნელ პერიოდში ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი დაფიქსირებულია საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის რესპუბლიკებში და რუსეთში მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. ხოლო 2015-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის გამოვლინების არეალი და მან მოიცვა აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები: საბერძნეთი, მაკედონია, ალბანეთი, ბულგარეთი, მონტენეგრო, სერბეთი. 2017 წელს დაავადების გამოვლინებებს ადგილი ქონდა ასევე აფხაზეთის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზეც. აღნიშნულმა ვითარებამ გარკვეულწილად ზეგავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის ჩრდილო და დასავლეთ რეგიონების რიგ სოფლებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა დაავადების გამოვლინებებს. დაავადებაზე კონტროლის განხორციელებაში ასევე დახმარება აღმოგვიჩინა ევროკავშირმა (გრანტის სახით გადმოცემული იქნა 200 000 დოზა ვაქცინა). დაავადებას ახასიათებს დიდი ეკონომიკური ზარალი, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით და ცხოველური პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებით და რაოდენობრივი კლებით. ამ ეტაპზე არსებული ეპიზოოტიური სიტუაციიდან და მოსალოდნელი საფრთხიდან გამომდინარე 2020 წელს განხორციელდება სავარაუდოდ 350 000 სული მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია.

აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა, (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე) .

ვ) ცხვრისა და თხის ყვავილი (Sheep and Goat Pox) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს, რაც გამოიხატება პროდუქტიულობის დაქვეითებით, სიკვდილიანობით, განსაკუთრებით მოზარდ ცხოველებში და დაავადებული ცხოველების მკურნალობაზე გაწეულ ხარჯებში. ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლიდან განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებში დავადების კლინიკური გამოვლინება ამ ეტაპისთვის აღარ შეინიშნება. 2020 წელს გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვი, რომელიც გამოყენებული იქნება რისკების შესაბამისად.

ზ) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი (Peste des Petits Ruminants – PPR) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს სწრაფი გავრცელება და მაღალი სიკვდილიანობა (დაახლოებით 50-100%) განსაკუთრებით მოზარდში, რის გამოც მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს. ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაავადება დაფიქსირებულია თურქეთის და ირანის რესპუბლიკაში. დაავადება ქვეყანაში დაფიქსირდა 2016 წელს თბილისის მიმდებარე სოფლებში (ვარკეთილის მეურნეობა, პატარა ლილო). დაავადების მაღალკონტაგიოზურობიდან გამომდინარე 2016 წელს ჩატარებული იქნა წვრილფეხა პირუტყვის მასიური ვაქცინაცია და მოზარდის რევაქცინაცია ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში. დაავადების განმეორებითი ეპიდემიების თავიდან აცილების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების (OIE, FAO) ექსპერტების რეკომენდაციით 2017, 2018 და 2019 წლებში ვაქცინაცია უტარდებოდა დაახლოებით 300 000 სულამდე მოზარდ წვრილფეხა პირუტყვს ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში, სადაც ინტენსიურად განვითარებულია მომთაბარე მეცხვარეობის ინდუსტრია. ასევე უნდა აღინიშნოს რომ საქართველო ამ ეტაპზე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (OIE) მჭიდრო თანამშრომლობით არის წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე საგზაო რუქის მე-3 საფეხურზე, ხოლო 2022 წლისთვის OIE-ში თავისუფალი სტატუსის განაცხადის გასაკეთებლად, საჭიროა შესაბამისი სამუშაოების წარმოება, მათ შორის ამთვისებული ცხოველების ჯანმრთელობაზე მონიტორინგის და გადაადგილებაზე კონტროლის გაძლიერება.

ქვეყანაში ამ ეტაპზე არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე 2020 წლისთვის არ იგეგმება პირუტყვის პრევენციული ვაქცინაცია და შეიქმნება ვაქცინის რეზერვი, რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე იქნება საფრთხის ადეკვატურად გამოყენებული.

თ) ბრუცელოზი (Brucellosis) - ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ცხოველებში ხასიათდება აბორტებით, მომყოლის შეჩერებით, ენდომეტრიტებით და აღწარმოებითი უნარის მოშლით. ბრუცელოზით ავადდება მრავალი სახის ცხოველი, აგრეთვე ადამიანიც, შესაბამისად დაავადებას გააჩნია სოციალური მნიშვნელობა. ადამიანებში ეს დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და რთულად განკურნებადია. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 173 შემთხვევა, 2010 წელს -198, 2011 წელს-165, 2012 წელს-133, 2013 წელს-186, 2014 წელს -282, 2015 წელს -205, 2016 წელს -203, 2017 წელს - 202, 2018 წელს 177 შემთხვევა, ხოლო 2019 წელს პირველადი მონაცემებით 140 შემთხვევა.

2020 წელს ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარდება სავარაუდოდ 117 000 სულამდე მსხვილფეხა და 90 000 სულამდე წვრილფეხა პირუტყვს. (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე) .

ი) ტუბერკულოზი (Tuberculosis) - მრავალი სახის ცხოველისა და ფრინველის ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, ავადდება ადამიანიც. დაავადებას აქვს როგორც ეკონომიური ასევე სოციალური მნიშვნელობა. 2008 წლის შემდგომ 2017 წელს წელს პირველად განხორციელდა მსხვილფეხა პირუტყვის ტუბერკულინიზაცია, გამოკვლეული იქნა 7 064 სული, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 18 სული მსხვილფეხა პირუტყვი. 2018 წელს გამოკვლეული იქნა 10 095 სულზე მეტი, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 43 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ხოლო 2019 წელს არასრული ინფორმაციით გამოკვლეული იქნა 9 000 სულამდე პირუტყვი, დადებითად მორეაგირე გამოვლინდა 26 სული მსხვილფეხა პირუტყვი. უცხოელი ექსპერტების რჩევით, 2020 წელს დაავადებაზე ზედამხედველობა გაგრძელდება ცხოველთა სასაკლაოებში, ტუბერკულოზზე საექვო ცხოველების ნიმუშები გამოკვლეული იქნება ლაბორატორიულად, ასევე გამოყენებული იქნება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ადამიანებში ფილტვის ტუბერკულოზის შემთხვევებთან დაკავშირებით,

რის შემდგომ მოხდება საექვო ნახირების ალერგიული მეთოდით კვლევა (ტუბერკულინიზაცია) სავარაუდოდ 10 000 სული მსხვილფეხა პირუტყვის.

კ) ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება (Crimean Congo Hemorrhagic Fever) - ცხოველისა და ადამიანის ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადამიანებში მძიმედ მიმდინარეობს. ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელებით დაავადებულ ცხოველს კლინიკური ნიშნები არ აღენიშნება, მაგრამ ვირემიის პერიოდში დაავადების გამავრცელებელია. დაავადება ძირითადად ვრცელდება ტკიპების (Hyalomma სახეობა) საშუალებით, რომელთაც შეხება ჰქონდათ დაავადებულ ცხოველთან. ტკიპამ ჯერ უნდა უკბინოს დაავადებულ ცხოველს (მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვი და სხვა) რომლებიც ინფექციის ძირითად რეზერვუარს წარმოადგენენ და შემდეგ ადამიანს. ადამიანებში ლეტალობა 40% აღწევს. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2012 წელს 1 შემთხვევა, 2013 წელს-13, 2014 წელს-24 (მათ შორის 3 ლეტალური შედეგით), 2015 წელს-9 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2016 წელს -6 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2017 წელს-5 შემთხვევა (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2018 წელს 12 შემთხვევა (მათ შორის 1 ლეტალური), ხოლო 2019 წლის პირველადი მონაცემებით 8 შემთხვევა (მათ შორის 3 ლეტალური), როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს ყოველწლიურად ფიქსირდება ადამიანის დაავადების შემთხვევები. სააგენტოს მიერ 2015 წელს ჩატარებული ღონისძიება შეიძლება ჩაითვალოს ადამიანებში დაავადების გამოვლინების კლების ერთ-ერთ მიზეზად (დაავადების შემთხვევებმა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით იკლო 43,4%-ით, ხოლო ლეტალობამ 25 %-ით). 2020 წლისთვის ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდეფეთქების მართვისა და პრევენციის მიზნით შეიქმნება ინსექტო-აკაროციდული პრეპარატის რეზერვი და ადამიანებში დაავადების დაფიქსირების შემთხვევებში ჩატარდება მსხვილფეხა პირუტყვისა და მათი სადგომების დამუშავება.

ლ) ბლუთანგის დაავადებაზე მეზობელ ქვეყნებში (თურქეთი, რუსეთი) არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან და ბლუთანგის აღმოფხვრისა და კონტროლთან დაკავშირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს №398 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით 2020 წლიდან ქვეყანაში დაიწყება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის კვლევები და ვექტორების იდენტიფიცირება.

მ) ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეპალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 დეკემბრის №600 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით 2020 წლიდან ქვეყანაში დაიწყება დაინფიცირებაზე საექვო ცხოველის კვლევები.

**4. 2020 წელს დოკუმენტური შემოწმება,** ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის კომერციული დოკუმენტი, ჯანმრთელობის სერტიფიკატი) შემოწმების მიზნით, განხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს, ასევე, დამოუკიდებლად.

#### **5. ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების კვლევა:**

**2020 წელს** ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დადგენის მიზნით განხორციელდება 190 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშის გეგმიურად აღება ლაბორატორიული გამოკვლევისთვის რაც 2019 წლის ბოლო პერიოდისათვის უკვე დარეგისტრირებული და რეგისტრაციის პროცესში არსებული 1267-მდე ვეტერინარული პრეპარატის 15%-ს. წელს გეგმიურად ასაღები ნიმუშები 20-ით ნაკლებია 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რაც გამომდინარეობს წინა წლებიდან მიღებული შედეგების ანალიზით და ობიექტური მიზეზებით (2014 წელს ლაბორატორიულად შესწავლილი 183 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან უვარგისი აღმოჩნდა მხოლოდ 5 პრეპარატი, ხოლო ერთი ფალსიფიცირებული. 2015 წელს შესაბამისად შესწავლილი 201 ნიმუშიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 3 ვეტერინარული პრეპარატი, 2016 წელს შესაბამისად შესწავლილი ნიმუშებიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 4 ვეტერინარული პრეპარატი, 2017 წლის მონაცემები შესაბამისად 227 ნიმუშიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 4 ვეტერინარული პრეპარატი, ხოლო 2018 წელს 231 ნიმუშიდან უვარგისად მიჩნეული იქნა ერთი პრეპარატი, 2019 წელს 228 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან (მათ შორის 18 არაგეგმური ნიმუში) უვარგისად მიჩნეული არ იქნა არცერთი ვეტერინარული პრეპარატი). შედეგების ანალიზის საფუძველზე შეფასებული იქნა, რომ უფრო მნიშვნელოვანია ვაკონტოლოთ ვეტერინარული პრეპარატის საწარმოებში, სარიელიზაციო ობიექტებში და ვეტერინარულ დაწესებულებებში ვეტერინარული პრეპარატების შენახვის, რეალიზაციისა და გამოყენების პირობები (პრეპარატების შენახვის და ტემპერატურის რეჟიმის დაცვა, ანტიმიკრობული პრეპარატების არაგეგმაზომიერ გამოყენებაზე კონტროლი ჩატარებულ ღონისძიებებზე წარმოებული

ჩანაწერების შემოწმებით, რაც ანტიმიკრობული რეზისტენტობის სტრატეგიის მოსამზადებელ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია). სწორედ ამით არის განსაზღვრული გეგმურად ასაღები ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების რაოდენობის შემცირება 20 ნიმუშით. არაგეგმურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა განისაზღვრა 5- ით.

2020 წლის განმავლობაში ასაღები და გამოსაკვლევი ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დადგენის მიზნით რეგიონული განაწილების წინასწარი საორიენტაციო გეგმა შედგა სულ არსებული შესაბამისი ვეტერინარულ კონტროლს ქვემდებარე ობიექტების (ვეტერინარული აფთიაქის (საცალო ვაჭრობის ობიექტი)/ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტის) რაოდენობის და რეგიონული დისტრიბუციის შესაბამისად.

ნიმუშების წინასწარი საორიენტაციო თანაფარდობა პრეპარატების ფორმების მიხედვით გადანაწილებულია დარეგისტრირებული პრეპარატების შესაბამის ფორმების მიხედვით არსებული რაოდენობის შესაბამისად. შენიშვნა: შესასყიდი ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა პრეპარატების ფორმების მიხედვით არის პირობითი და მოსალოდნელია მათი ცვლილება კონტროლქვემდებარე ობიექტებში ადგილზე არსებული სიტუაციის მიხედვით.

## **6. ფერმაში ცოცხალი ცხოველებიდან ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების განსასაზღვრად ნიმუშების კვლევა**

ფერმაში ცოცხალი ცხოველებიდან ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების განსასაზღვრად ნიმუშების კვლევა ხორციელდება „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის საფუძველზე.

**მსხვილფეხა საქონლის** ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს დაკლული ცხოველების საერთო რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2019 წლის 11 თვის მონაცემებით დაიკლა - 177, 000 სული) არანაკლებ 0,4% (708 ნიმუში). აქედან ჯგუფი „ა“ - 0,25% (443 ნიმუში),



რომელის ნახევარი (221 ნიმუში) აღებული უნდა იქნეს ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბ. შესაძლებლობების შესაბამისად). სულ გამოკვლეული იქნება 245 მსხვილფეხა პირუტყვიდან აღებული 490 ნიმუში.

**ცხვრებისა და თხების** ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს 3 თვეზე მეტი ასაკის დაკლული ცხვრებისა და თხების საერთო რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2019 წლის 11 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 225,220 სული წვრილფეხა პირუტყვი.) არანაკლებ 0,05 % (113 ნიმუში). აქედან ჯგუფი „ა“ - 0,01 % (23 ნიმუში). „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესაძლებლობებიდან შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება 10 წვრილფეხა პირუტყვიდან აღებული 20 ნიმუში;

**ღორების** ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს დაკლული ღორების საერთო რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2019 წლის 11 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა - 157,000 სული ღორი.) არანაკლებ 0,05 % (79 ნიმუში). აქედან ჯგუფი „ა“ - 0,02% (31 ნიმუში). „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესაძლებლობების შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება 20 ღორიდან აღებული 140 ნიმუში;

**ფრინველის** ნიმუშების რაოდენობა - ყოველ 200 ტონა წლიურ პროდუქციაზე (დაკლული წონა) სულ მცირე 1 ნიმუში. სააგენტოში არსებული 2019 წლის 11 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 7,769,921 სული ფრინველი. აღნიშნული მონაცემით, 2019 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება 8,000,000 ფრთა. ერთი ფრთის დაკლული წონის (საშუალოდ 1,2 კილოგრამი) გადაანგარიშებით დაკლული წონა შეადგენს 10.200 ტონას, შესაბამისად სულ გამოკვლეული უნდა იქნას 51 ნიმუში, მაგრამ თუ შესაბამის კატეგორიაში წლიური დაკვლა 5,000 ტონაზე მეტია, მაშინ თითოეულ ნივთიერებაზე

(სუბსტანციაზე) ყოველ 900 ტონა წლიურ პროდუქტზე შეადგენს სულ მცირე 100 ნიმუშს, შესაბამისად სულ გამოკვლეულ უნდა იქნას 100 ნიმუში. აქედან ჯგუფი „ა“ – საერთო რაოდენობის 50% (50 ნიმუში). ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს შეადგენს (10 ნიმუში); „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბ. შესაძლებლობების შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება 20 ფრინველიდან აღებული 140 ნიმუში.

ჯამში 2020 წელს ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის მიზნით 295 ცხოველიდან გამოკვლეული იქნება 790 ნიმუში 7 მაჩვენებელზე (ქლორამფენიკოლი, ზერანოლი, დიმეტრიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონი).

### **7. ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის (შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფქვილის) სალმონელასა და ენტერობაქტერიაზე გამოკვლევა**

შინაური ბინადარი ცხოველის საკვების გადამამუშავებელი საწარმოს აღიარების შემდგომი სახელმწიფო კონტროლი და შინაური ბინადარი ცხოველის საკვების ნიმუშის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბერის N605 დადგენილების - ტექნიკური რეგლამენტი „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესები“ შესაბამისად. გადამამუშავებელი საწარმო (საამქრო), რომელიც იყენებს მეორე და მესამე კატეგორიის მასალებს განეკუთვნება მაღალ რისკს და მისი სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება წელიწადში სულ მცირე 2-ჯერ.

**2020 წელს** განხორციელდება შინაური ბინადარი ცხოველების საკვებისა და თევზის ფქვილის გადამამუშავებელი აღიარებული საწარმოების 100%-ის სახელმწიფო კონტროლი, რაც დღეისათვის შეადგენს 5 საწარმოს. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბერის #605 დადგენილების 141-ე-142-ე, 162-ე და 211-ე მუხლების შესაბამისად

2020 წელს განხორციელდება ზემოაღნიშნული საწარმოების გეგმური ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი. შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფქვილის აღებული ნიმუშების სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სალმონელასა და ენტერობაქტერიების კვლევისთვის აღებული და გამოკვლეული იქნება შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული საკვების 1 საწარმოდან 5-5 ნიმუში წელიწადში 3 ჯერ (სულ 30 ნიმუში) , ხოლო თევზის ფქვილის 4 საწარმოდან 5-5 ნიმუში წელიწადში ერთხელ (სულ 40 ნიმუში). ასევე წლის განმავლობაში ახალი საწარმოების შესაძლო აღიარების ან აღიარებული საწარმოს არაგეგმური ინსპექტირების და სალმონალასა და ენტერობაქტერიების გამოკვლევის მიზნით განხორციელდება 10-10 ნიმუშის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში გამოკვლევა.

**8. ნიმუშების აღება (დაავადების დასადგენად)** - ნიმუშების აღება მოხდება ცხოველთა ჯანმრთელობის საექვო სტატუსის შემთხვევებში მათი გამოკვლევის მიზნით პასიური ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ფარგლებში, სავარაუდოდ შემდეგ დაავადებებზე:

- ა) ბრუცელოზი- გამოვლენა და დადასტურება;
- ბ) ბრუცელოზი -დაავადების აღმძვრელის ტიპირება;
- გ) Q ცხელება- დაავადების აღმძვრელის/ანტისხეულების აღმოჩენა;
- დ) ცოფი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ე) ტუბერკულოზი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- ვ) პარატუბერკულოზი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა (ჰისტოლოგია);
- ზ) ლეიკოზი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა (ჰისტოლოგია);
- თ) ჯილეხი-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ქსოვილოვანი მასალა და პჯრ (PCR));
- ი) ჯილეხი-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ნიადაგი, სხვა);
- კ) თურქული დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ლ) ფრინველის გრიპი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- მ) ნიუკასლის დაავადება- იმუნური სტატუსის განსაზღვრა / დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ნ) ფრინველის ინფექციური ბრონქიტი - მორფოლოგიური ცვლილების დადგენა (ჰისტოლოგია);
- ო) მარეკის დაავადება - მორფოლოგიური ცვლილების დადგენა (ჰისტოლოგია);

- პ) პიროპლაზმიდოზები- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჟ) პროტოზოები - პარაზიტის იდენტიფიცირება;
- რ) ღორის აფრიკული ცხელება- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ს) ღორის აფრიკული ცხელება- დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- ტ) ღორის კლასიკური ცხელება-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- უ) ღორის წითელი ქარი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ფ) პასტერელოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ქ) ტემენის დაავადება - მორფოლოგიური ცვლილების დადგენა (ჰისტოლოგია);
- ღ) სალმონელოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა/ტიპირება (ბაქტერიოლოგია);
- ყ) კოლიბაქტერიოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- შ) სტაფილოკოკოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- ჩ) დერმატომიკოზი (ტრიქოფიტოზი, მალაცეზია, მიკროსპორია) - მიკოზების იდენტიფიცირება;
- ც) ლეიშმანიოზი- დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- ძ) მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- წ) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჭ) ცხვრისა და თხის ყვავილი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ხ) ანაერობული დიზინტერია - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჯ) ცხვრისა და თხის კონტაგიოზური ექტიმა- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჰ) აუესკის დაავადება -დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჰ<sup>1</sup>) ნეკრობაქტერიოზი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჰ<sup>2</sup>) ჩლიქების სიდამპლე - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჰ<sup>3</sup>) ბრადზოტი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჰ<sup>4</sup>) ენტეროტოქსემია - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჰ<sup>5</sup>) ემფიზემატოზური კარბუნკული-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჰ<sup>6</sup>) ლეპტოსპიროზი - დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- ჰ<sup>7</sup>) ლისტერიოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა.
- ჰ<sup>8</sup>) აქტინომიკოზი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა.

- 3<sup>9</sup>) ტრიქომონოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>10</sup>) არაქნოიდები (სარკოპტოზი, დემოდეკოზი და სხვა) - ტკიპების იდენტიფიცირება;
- 3<sup>11</sup>) თევზის პარაზიტული დაავადებები (პროტოზოვები, არაქნოზები, ჰელმინთები);
- 3<sup>12</sup>) თევზის აერომონოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- 3<sup>13</sup>) ფუტკრის პარაზიტული დაავადებები - პარაზიტის იდენტიფიცირება (პროტოზოვები/არაქნოზები);
- 3<sup>14</sup>) ამერიკული სიდამპლე - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა ;
- 3<sup>15</sup>) ევროპული სიდამპლე - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა ;
- 3<sup>16</sup>) ფუტკრის ჰემორაგიული სეპტიცემია - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა.
- 3<sup>17</sup>) ჰელმინთაზი (კოპროლოგია) - ჰელმინთების და პროტოზოვების იდენტიფიცირება;
- 3<sup>18</sup>) ძაღლის ჭირი - დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- 3<sup>19</sup>) ვირუსული გასტროენტერიტი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა (ჰისტოლოგია);
- 3<sup>20</sup>) დეზინფექციის ხარისხის განსაზღვრა;
- 3<sup>21</sup>) მოწამვლები (თუთიის ფოსფიდი);
- 3<sup>22</sup>) ცხვრის კატარალური ცხელება (ბლუთანგი) ვექტორების იდენტიფიცირება;
- 3<sup>23</sup>) ცხვრის კატარალური ცხელება (ბლუთანგი) ვირუსის იდენტიფიცირება;
- 3<sup>24</sup>) ზოგიერთი ღრუბლისებრი ენცელოპათია დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა.

თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიის (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურების ფარგლებში ჩატარდება თევზის ფერმების აღრიცხვა, კლინიკური შემოწმება და ლაბორატორიული გამოკვლევების მიზნით აღებულ ნიმუშებზე ზედამხედველობა.

**9. ცხოველთა გარეგან პარაზიტებზე დამუშავება** - 2016 წლიდან დაიწყო სეზონურ სამოვრებზე ცხოველთა გადასარეკ ტრასებზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ცხოველების გასაბანებელი პუნქტების, სარწყულებლების და სხვა), სადაც ჩატარებული იქნა გადასარეკი პირუტყვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა და ექტო-პარაზიტების საწინაარმდეგოდ დამუშავება. 2016 წელს არსებულ პუნქტებზე მოხდა 33302 მსხვილფეხა და 343910 წვრილფეხა პირუტყვის დამუშავება. 2017 წელს პუნქტებზე დამუშავდა 12882 მსხვილფეხა და 630399 წვრილფეხა პირუტყვი. 2018 წელს დამუშავდა 8465 სული

მსხვილფეხა და 713168 სული წვრილფეხა პირუტყვი. 2019 წელს პუნქტებზე 11659 მსხვილფეხა და 708780 წვრილფეხა პირუტყვი. 2020 წელს აღნიშნულ პუნქტებზე გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ექტო-პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება. ასევე დაგეგმილია ერთი პუნქტის მშენებლობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კავკასიონზე მომთაბარე პირუტყვის დასამუშავებლად.

**10. ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია** - 2020 წელს გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია და ღორების იდენტიფიკაცია, მოხდება იდენტიფიცირებული ცხოველების და მათი სადგომების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაცია, ასევე, განხორციელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისა და ღორების სადგომის/დროებითი სადგომებზე სახელმწიფო კონტროლი მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

ა) მსხვილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1%-ისა, სადგომის/დროებითი სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე.

ბ) წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1%-ისა და იდენტიფიცირებული წვრილფეხა საქონლის სულადობის არანაკლებ 1,5%-ისა. სადგომის/დროებითი სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე.

გ) ღორის სადგომის არანაკლებ 1%-ისა. სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის საფუძველზე.

**11. სადეზინფექციო სამუშაოები** - დაავადებული და დაავადებით დაცემული ცხოველი წარმოადგენს ინფექციის გავრცელების რისკს. აღმძვრელის გარემოში მოსპობის მიზნით ცხოველების სადგომებისა და დაცემის ადგილებში განხორციელდება შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოები.

## **მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები.**

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებას, ცხოველის, ცხოველისა და ადამიანისათვის საერთო დაავადებების პრევენციასა და კონტროლს, ცხოველთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მიკვლევადობის განხორციელებას, ეკონომიკური ზიანის მინიმიზირებას,

სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფქვილის განთავსებას, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს ვეტერინარულ-ფარმაცევტულ ბაზარზე არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატების გამოვლენასა და რეალიზაციის აღკვეთას - შესაბამისად ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევას, ასევე ვეტერინარული ფარმაციის სფეროში ბიზნესოპერატორების მიერ საქმიანობის მართებულად წარმართვას. მავნე სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების მინიმუმირებას. პირველად წარმოებაში (ფერმებში), ცოცხალ ცხოველებში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების არსებობის მიზეზების გამოვლენა, შესწავლა - გამოკვლევა შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით და აკრძალული პრეპარატების გამოყენების აკრძალვას და ანტიმიკრობული საშუალებების არამიზნობრივ გამოყენების შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს ცხოველების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომებში დარღვევების მინიმუმირებას და აღმოფხვრას. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეპარატების მიმოქცევის მოწესრიგებას.

ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2021 წლის პროგრამა

მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2021 წლის სამოქმედო გეგმას.

2. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დაავადებების ლაბორატორიულ კონტროლს (დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს), ცხოველთა სადგომის/დროებითი სადგომის ინსპექტირებას, პირველადი წარმოების სახელმწიფო კონტროლს, მათ შორის ფერმებში ცოცხალი ცხოველებიდან (ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები) და ცხოველის საკვებიდან აღებულ ნიმუშებში ანაბოლური მოქმედების მქონე, აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების და დამაბინძურებლების მონიტორინგს, აგრეთვე ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგს, შინაური ბინადარი ცხოველების საკვების უვნებლობის მონიტორინგს, ვეტერინარული კონტროლისადმი დაქვემდებარებული ბიზნესოპერატორების საქმიანობის ინსპექტირებას, არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის (მ.შ. მეფუტკრეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი) განკარგვაზე, უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე, ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე ზედამხედველობას, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლს კერძოდ: ვაქცინაცია, გამოკვლევები, ვექტორების საწინააღმდეგოდ დამუშავება და სხვა ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლს.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ცხოველთა დაავადებების თავიდან აცილების ან/და გამოვლინებების შემცირებისკენ, ზოონოზური დაავადებებისგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისკენ, დაავადებების უმოკლეს ვადებში ლოკალიზაცია/ლიკვიდაციისკენ, ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატებით და მე-3 კატეგორიის მასალიდან მიღებული შინაური ბინადარი ცხოველის უვნებელი საკვებით მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისკენ, ასევე ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესებისაკენ.



## **მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები:**

პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია:

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“; „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორებისა და აგრარული ბაზრების/ბაზრობების, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველის რეალიზაცია, ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №338 დადგენილება; „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №345 დადგენილება; „ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის №2-107 ბრძანება; „ტექნიკური რეგლამენტის - აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №417 დადგენილება; „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N430 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება; „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომების/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის №483 დადგენილება; „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - სეზონურ სამოვრებზე ცხოველთა გადარეკვის ვეტერინარულ-სანიტარიული წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №422 დადგენილება; „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტებისა და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილება;

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ფრინველის გრიპის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №637 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ღორის აფრიკული ჭირის (ცხელების) დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №496 დადგენილება. „ტექნიკური რეგლამენტის - ღორის კლასიკური ჭირის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №498 დადგენილება; „პროფილაქტიკური კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის №59 დადგენილება; „თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურებისთვის ნიმუშის აღების გეგმებისა და დიაგნოსტიკის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №636 დადგენილება; „ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეპალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 დეკემბრის №600 დადგენილება; „ბლუთანგის აღმოფხვრისა და კონტროლთან დაკავშირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს №398 დადგენილება; „მცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №10 დადგენილება.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზნებია:

ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა გადამდები დაავადებების შემოჭრა/შემოტანა და გავრცელებისაგან;

ბ) ცხოველთა ჯანმრთელობის (ვეტერინარული კეთილსაიმედოობის) მიღწევა/შენარჩუნება;

გ) ზოონოზური დაავადებებისგან ადამიანების დაცვა და მათი გამოვლენის შემცირება;

დ) ფერმებსა და ოჯახურ წარმოებაში ცხოველთა ინფექციური დაავადების გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის და საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვების თავიდან აცილება;

ე) ვეტერინარული კონტროლისადმი დაქვემდებარებული, მათ შორის პირველადი წარმოების, ბიზნესოპერატორების საქმიანობის შეფასება, დარღვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა;

ვ) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის დანერგვა. სადგომის/დროებითი სადგომის შესახებ არსებული სიტუაციის შესწავლა. მონაცემთა ელექტრონული ბაზის სრულყოფა-მონაცემების განახლება, ცხოველთა მიკვლევადობის გაუმჯობესება;

ზ) ცოცხალ ცხოველებში (ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები) და ცხოველის საკვებში ანაბოლური მოქმედების მქონე, აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების და დამაბინძურებლების გამოვლენა და მათი არსებობის მიზეზების დადგენა;

თ) ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლის განხორციელება, მათ შორის გადაადგილების დროს;

ი) ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევის ხელშეწყობა და ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების უვნებელი პროდუქტის (მე-3 კატეგორიის მასალიდან დამზადებული შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი, დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლის, ტყავის და კანის, მატყლისა და თევზის ფქვილის) წარმოება/გადამუშავება და ბაზარზე განთავსება.

#### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. ვეტერინარულ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სააგენტოს უფლებამოსილი პირი (ვეტერინარი). სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-თ დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს აღნიშნული კოდექსის 64-ე - 74<sup>3</sup>-ე მუხლების შესაბამისად სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

#### **მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

1. ინსპექტირება ხორციელდება:

ა) ვეტერინარული პრეპარატების დამამზადებელ საწარმოში;

- ბ) ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტში;
- გ) ვეტერინარული პრეპარატების საცალო ვაჭრობის ობიექტში;
- დ) ვეტერინარულ სამკურნალოში (კლინიკა);
- ე) ვეტერინარულ-კოსმეტიკურ კაბინეტში;
- ვ) პირველად წარმოებაში: ცხოველთა სადგომში/დროებით სადგომებში (მათ შორის საკარანტინო სადგომი, აკვაკულტურის ფერმებში, მეფუტკრეობაში;
- ზ) ცოცხალი ცხოველებით სარეალიზაციო აგრარულ ბაზარში/ბაზრობაში;
- თ) ფსიქოტროპული პრეპარატების გამომყენებელ ობიექტში;
- ი) ცხოველთა თავშესაფარში;
- კ) შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი, დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლის, ტყავის და კანის, მატყლის, თევზის ფქვილის საწარმოებში;
- ლ) ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორატორების, რომლებიც ახორციელებენ საზღვარგარეთიდან ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე პროდუქციის საქართველოში იმპორტს.

## 2. მონიტორინგი მოიცავს:

ა) რისკის შესაფასებლად პირველადი წარმოების ობიექტებში, „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილების დანართი №1-ით „ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებები (სუბსტანციები), აკრძალული ნივთიერებები (სუბსტანციები), ვეტერინარული პრეპარატები და დამაბინძურებლები“ განსაზღვრული ნივთიერებებისა (სუბსტანცია) და მათი ნარჩენების ცოცხალ ცხოველებში, ცხოველის ბიოლოგიურ სითხესა და ქსოვილში დადგენას აკრძალული მკურნალობის (გამოყენების) აღკვეთის მიზნით;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი და დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლის, ასევე თევზის ფქვილის გამოკვლევას სალმონელასა და ენტერობაქტერიებზე;

- გ) ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დასადგენად ნიმუშის აღებას;
- დ) ვეტერინარული პრეპარატების ეტიკეტირების შემოწმებას;
- ე) ცხოველის საცხოვრებელი გარემოს დათვალიერებას და ინფორმაციის შეგროვებას;

ვ) ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად ვაქცინაციის, ცხოველთა დამუშავების, გამოკვლევების შესრულების შესახებ მონაცემების მოპოვებას, ასევე რისკის შეფასებას.

3. ზედამხედველობა ხორციელდება:

ა) საკარანტინო ღონისძიებების მიმდინარეობაზე;

ბ) გადამდები დაავადებებისა და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე;

გ) არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე;

დ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის, მათ შორის მადპ-ს განკარგვა/განთავსებაზე;

ე) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის მიმდინარეობაზე (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე);

ვ) უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე;

ზ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

4. დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება დამოუკიდებლად ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმებთან (ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა) ერთად, ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმების მიზნით.

5. ნიმუშის აღება ხორციელდება ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოსაკვლევადა, რათა განისაზღვროს ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი. ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

## **მუხლი 6. სახელმწიფო კონტროლის განხორციელება**

1. ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ობიექტების ინსპექტირება:

2021 წელს განხორციელდება 600 ობიექტის ინსპექტირება, რაც შეადგენს 2020 წლისთვის დარეგისტრირებული 1170 (626+544) (მათ შორის ვეტერინარული კლინიკა, ზოომაღაზია, ვეტერინარული პრეპარატების საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტი, ცხოველთა თავშესაფარი, ვეტერინარული პრეპარატების საწარმო, ცოცხალი ცხოველების ბაზარი/ბაზრობა, ვეტერინარული კოსმეტიკური კაბინეტი, პირველადი წარმოების (აკვაკულტურა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა) ბიზნესოპერატორის

51%-ს. 2021 წელს 2020 წლისთვის რეგისტრირებული ცოცხალი ცხოველების აგრარული ბაზრების/ბაზრობების 100%-ში (25 ობიექტი) განხორციელდება ინსპექტირება: მათ მოწყობასთან, ტერიტორიაზე ჰიგიენის წესებთან, ცხოველთა ჯანმრთელობასთან, ჩანაწერების წარმოებასა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. ინსპექტირება ასევე განხორციელდება ცხოველთა საკარანტინო სადგომებში, შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული, ნედლი და დაკონსერვებული საკვების, ძაღლის საღრღნელი ძვლისა და თევზის ფქვილის გადამამუშავებელ საწარმოებში. 2021 წელს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენების წესის დაცვაზე შემოწმებული იქნება სურსათის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული და შესაბამის რეესტრში შეყვანილი 33 (100%-ში) ობიექტი. ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება განხორციელდება რისკის დონის განსაზღვრის შედეგად. რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

ა) ბიზნესოპერატორის წარმადობა და სტატუსი;

ბ) საქმიანობის ტიპი;

გ) ბიზნესოპერატორის საქმიანობის ისტორია (საქართველოს მთავრობის N22 დადგენილების შესაბამისად განხორციელებული კვლევების შედეგები, სააგენტოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევა, წინა წლის სახელმწიფო კონტროლის შედეგები და მითითებების შესრულება).

**გეგმური ინსპექტირების პრიორიტეტული ობიექტები იქნება:**

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენებელი ობიექტები (ცხოველთა თავშესაფრები, ვეტერინარული კლინიკები), შინაური ბინადარი ცხოველების გადამამუშავებული საკვების მწარმოებელი საწარმოები, ვეტერინარული პრეპარატების მწარმოებელი საწარმოები, თევზის ფქვილის გადამამუშავებელი საწარმოები - წელიწადში ორჯერ.

**2. 2021 წელს ზედამხედველობა განხორციელდება:**

ა) საკარანტინო ღონისძიებების მიმდინარეობაზე;

ბ) გადამდები დაავადებებისა და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე;

გ) არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე;

დ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის, მათ შორის მადპ-ს განკარგვა/განთავსებაზე;

ე) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის მიმდინარეობაზე (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე);

ვ) უვარგისად მიჩნეული ცხოველის საკვების განადგურებაზე;

ზ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

თ) საექსპორტოდ განკუთვნილი ცოცხალი ცხოველების და არასასურსათო დანიშნულების ცხოველური წარმოშობის პროდუქტის სერტიფიცირებაზე.

### **3. მონიტორინგი ცხოველთა ჯანმრთელობაზე (ვაქცინაცია, ნიმუშების აღება):**

ა) მონიტორინგი ეტაპობრივად განხორციელდება ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის, დაცვის და რისკის შეფასების მიზნით შემდეგ დაგეგმილ ღონისძიებებზე:

- ბრუცელოზზე პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 250 ნიმუში; ცოფზე პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა – 100 ნიმუში;

- თურქულზე არასტრუქტურული პროტეინის (NSP ანტისხეული) აღმოჩენა –4,000 ნიმუში;

- თურქულზე სტრუქტურული პროტეინის (SP ანტისხეული) აღმოჩენა – სავარაუდოდ 500 ნიმუში;

- წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე დაავადების/პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 100 ნიმუში;

- ცხვრის კატარალური ცხელებაზე ანტისხეულის აღმოჩენა (მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი)-500 ნიმუში;

- ჯილეხზე ანტისხეულების აღმოჩენა-200 ნიმუში;

ბ) თურქული (Food and Mouth Disease) - წყვილჩლიქიანი შინაური და გარეული ცხოველების მაღალკონტაგიოზური, განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ცურის, კანის და ჩლიქთაშორის ნაპრალის აფტოზური დაზიანებით. თურქული ფიქსირდება საქართველოს სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში. გასულ წლებში ახალი ეპიდემიებით გამოწვეული კერები დაფიქსირდა თურქეთსა და სომხეთის რესპუბლიკაში. ამასთანავე საქართველოში თურქულის დაავადების შემოჭრა/გავრცელების რისკი მაღალია ქვეყნის, სატრანზიტო ფუნქციიდან და მეცხოველეობის გაძღოლის არსებული მომთაბარე სისტემიდან გამომდინარე. საზღვრისპირა ტერიტორიებზე არსებულ ზამთრისა და ზაფხულის სამოვრებზე ცხოველთა მიგრაციის პერიოდში ასობით ათასი პირუტყვი გადაადგილდება

სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორიების გავლით რამოდენიმე ასეულ კილომეტრზე, რა დროსაც ხდება მათი უშუალო კონტაქტირება აბორიგენ პირუტყვთან. ასევე რისკის კატეგორიას მიეკუთვნება დროებით ოკუპირებული არაკონტროლირებადი ტერიტორიები, (2011 წელს სამაჩაბლოს, ე.წ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე დაფიქსირებული იყო თურქულის შემთხვევა). ქვეყანაში ვირუსის ცირკულაციაზე მიუთითებს არასტრუქტურულ (NSP) ცილებზე ჩატარებული კვლევების შედეგები. ვინაიდან დაავადება არის მაღალკონტაგიოზური ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე მისი შემოჭრისა და დაავადების ამთვისებელ არაიმუნიზირებული ცხოველების შემთხვევაში სწრაფი და ფართო გავრცელების რეალური საშიშროება, რაც მნიშვნელოვან ეკონომიურ ზარალს მიაყენებს ცხოველთა მეპატრონეებს, ფერმერებს და გამოიწვევს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ შემცირებას. ამასთანავე ქვეყანას საერთაშორისო და ქვეყნის კანონმდებლობით დაეკისრება ვალდებულება გაატაროს საკარანტინო-შემზღუდავი და სალიკვიდაციო ღონისძიებები, რაც დაკავშირებული იქნება დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. დაავადების აღმოფხვრამდე შეიზღუდება ექსპორტი და ტრანზიტი, რაც შეაფერხებს საერთაშორისო ვაჭრობას. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე თურქულის რისკზე დაფუძნებული სტრატეგიის (RBSP) შესაბამისად რისკის ზონებში წლის პირველ და მეორე ნახევარში ვაქცინირებული (მათ შორის მოზარდი პირუტყვის რევაქცინაციის ჩათვლით) იქნება სავარაუდოდ 850 000 სული მსხვილფეხა და 1 150 000 სული წვრილფეხა პირუტყვი აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე);

გ) ჯილეხი (Anthrax) - განაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ზოონოზური ინფექციური დაავადებაა. ჯილეხით ავადდება მრავალი სახის შინაური და გარეული ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 12 შემთხვევა, 2010 წელს-8, 2011 წელს-31, 2012 წელს-36, 2013 წელს -40, 2014 წელს-19, 2015 წელს-29, 2016 წელს-17, 2017 წელს-15, 2018 -წელს 11, 2019 წელს 6 შემთხვევა, 2020-წელს (არასრული მონაცემი) 17 შემთხვევა. ჯილეხით ადამიანი დაავადდა: 2009 წელს -38 , 2010 წელს-28, 2011 წელს-81, 2012 წელს-110, 2013 წელს-144, 2014 წელს-57, 2015 წელს-57, 2016 წელს-27, 2017 წელს-34 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2018 წელს 25 ადამიანი, 2019 წელს 10 ხოლო, 2020 წელს (არასრული მონაცემი) 30 ადამიანი. ცხოველის დაავადების ყოველი ახალი შემთხვევა ქმნის ახალ ნიადაგობრივ კერას,რომელიც რისკის მატარებლად რჩება ათეულობით წელი. დაავადება იწვევს დიდ ეკონომიურ ზარალს ცხოველთა მეპატრონეებსა და



ფერმერებში, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით, დაავადების კერებში სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებაზე გაწეული ხარჯებით (იძულებითი აცრები, დეზინფექციები, დაცემული ცხოველების განადგურება და ა.შ.). დაავადებული ცხოველების და მათგან მიღებული ცხოველური პროდუქტებით ასევე შესაძლებელია დაავადდნენ ადამიანებიც. ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის მეორე ნახევრიდან განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებსა და ადამიანებში შეინიშნება დაავადების გამოვლინების კლების ტენდენცია, თუმცა 2017-2018 წლებში საქართველოს რიგ რაიონებში აღინიშნა დაავადების გამოვლინებები ისეთ, ტერიტორიებზე, სადაც წინა წლებში იგი არ ფიქსირდებოდა. ცხოველების და შესაბამისად, ადამიანების დაავადების პრევენციის მიზნით და მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით (ჯილახზე ისტორიულად არაკეთილსაიმედო ტერიტორიები, ჯანდაცვის ორგანოების მონაცემებით ადამიანების დაავადების ფაქტების არსებობა, გადასარეკი ტრასის და მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში/ფერმებში არსებული ცხოველები, მუნიციპალიტეტებში სადაც ეპიზოოტიური სიტუაცია გართულებულია) 2021 წელს ჩატარდება სავარაუდოდ 420 000 სული მსხვილფეხა, 575 000 სული წვრილფეხა პირუტყვისა და 4 600 სული კენტჩლიქიანი ცხოველის ჯილახის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (მათ შორის მოზარდის რევაქცინაციის ჩათვლით, აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე);

დ) ცოფი (Rabies) – ზოონოზური, უკურნებელი ვირუსული ინფექციური დაავადებაა. ცოფით ავადდება ყველა თბილისხლიანი ცხოველი, აგრეთვე ადამიანი. ინფექციის გავრცელების ძირითადი წყაროა: ძაღლი, კატა და სხვა სახეობის ხორცისმჭამელი ცხოველები, ამიტომ მნიშვნელოვანია ცოფთან ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება, მათ შორის ცოფის ამთვისებელი შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ვაქცინაცია. გასულ წლებში ცხოველებში ლაბორატორიული გამოკვლევებით დაფიქსირდა: 2009 წელს ცოფით დაავადების 153 შემთხვევა, 2010 წელს- 97 შემთხვევა, 2011 წელს-69 შემთხვევა, 2012 წელს-135 შემთხვევა, 2013 წელს-116 შემთხვევა, 2014 წელს-119 შემთხვევა, 2015 წელს-103 შემთხვევა, 2016 წელს-53 შემთხვევა, 2017 წელს - 40 შემთხვევა, 2018 წელს -47 შემთხვევა, 2019 წელს 50 , ხოლო 2020 წელის პირველადი მონაცემებით 50 შემთხვევა. ცოფით (ჰიდროფობიით) გარდაცვლილია: 2009 წელს - 6 ადამიანი, 2010 წელს- 5, 2011 წელს - 3, 2012 წელს - 3, 2013 წელს - 4, 2014 წელს - 4, 2015-2017 წლებში ადამიანის გარდაცვალების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, 2018 წელს გარდაიცვალა 2 ადამიანი, 2019 წელს გარდაიცვალა 1 ადამიანი, 2020 წელს (არასრული მონაცემი) ადამიანის გარდაცვალების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

დაავადებას აქვს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მნიშვნელობა. 2014 წლიდან განხორციელებული ინტენსიური სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად აღინიშნება პოზიტიური შედეგები და ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. 2021 წელს ცოფის დაავადებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ვაქცინაცია ჩატარდება ქვეყნის მაშტაბით სავარაუდოდ 260 000 სულ ძალსა და კატას (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე). გათვალისწინებულია ასევე ვაქცინის რეზერვის შექმნა. აგრეთვე განხორციელდება ცხოველების ცხოველების მიერ ადამიანის დაკბენის შემთხვევაში, დამკბენ ცხოველზე 10 დღიანი ვეტერინარული ზედამხედველობა;

ე) მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი (Lumpy Skin Disease) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. 2014 წელს დაავადების შემთხვევები აღინიშნა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში. უკანასკნელ პერიოდში ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი დაფიქსირებულია საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის რესპუბლიკებში და რუსეთში მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. ხოლო 2015-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის გამოვლინების არეალი და მან მოიცვა აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები: საბერძნეთი, მაკედონია, ალბანეთი, ბულგარეთი, მონტენეგრო, სერბეთი. 2017 წელს დაავადების გამოვლინებებს ადგილი ქონდა ასევე აფხაზეთის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზეც. აღნიშნულმა ვითარებამ გარკვეულწილად ზეგავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის ჩრდილო და დასავლეთ რეგიონების რიგ სოფლებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა დაავადების გამოვლინებებს. დაავადებაზე კონტროლის განხორციელებაში ასევე დახმარება აღმოგვიჩინა ევროკავშირმა (გრანტის სახით გადმოცემული იქნა 200 000 დოზა ვაქცინა). დაავადებას ახასიათებს დიდი ეკონომიკური ზარალი, რაც გამოიხატება დაავადებული ცხოველების სიკვდილიანობით და ცხოველური პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებით და რაოდენობრივი კლებით. ამ ეტაპზე არსებული ეპიზოოტიური სიტუაციიდან და მოსალოდნელი საფრთხიდან გამომდინარე 2021 წელს განხორციელდება სავარაუდოდ 250 000 სული მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია. აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა, (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე);

ვ) ცხვრისა და თხის ყვავილი (Sheep and Goat Pox) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა. მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს, რაც გამოიხატება პროდუქტიულობის დაქვეითებით, სიკვდილიანობით, განსაკუთრებით მოზარდ

ცხოველებში და დაავადებული ცხოველების მკურნალობაზე გაწეულ ხარჯებში. ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლიდან განხორციელებული სპეციფიკური ღონისძიებების შედეგად ცხოველებში დაავადების კლინიკური გამოვლინება ამ ეტაპისთვის აღარ შეინიშნება. 2021 წელს გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვი, რომელიც გამოყენებული იქნება რისკების შესაბამისად;

ზ) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი (Peste des Petits Ruminants – PPR) - ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს სწრაფი გავრცელება და მაღალი სიკვდილიანობა (დაახლოებით 50-100%) განსაკუთრებით მოზარდში, რის გამოც მეცხვარეობაში იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს. ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაავადება დაფიქსირებულია თურქეთის და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. დაავადება ქვეყანაში დაფიქსირდა 2016 წელს. დაავადების მაღალკონტაგიოზურობიდან გამომდინარე 2016 წელს ჩატარებული იქნა წვრილფეხა პირუტყვის მასიური ვაქცინაცია და მოზარდის რევაქცინაცია, ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში. დაავადების განმეორებითი ეპიდემიების თავიდან აცილების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების (OIE, FAO) ექსპერტების რეკომენდაციით 2017-2020 წლებში ვაქცინაცია უტარდებოდა დაახლოებით 300 000 სულამდე მოზარდ წვრილფეხა პირუტყვს ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში, სადაც ინტენსიურად განვითარებულია მომთაბარე მეცხვარეობის ინდუსტრია. ასევე უნდა აღინიშნოს რომ დაავადებაზე კონტროლის განხორციელებაში დახმარება აღმოგვიჩინა ევროკავშირმა, გრანტის სახით გადმოცემული იქნა 400 000 დოზა ვაქცინა, რაც გამოყენებული იქნება 2021 წლისათვის და ქვეყანაში მოხდება საორიენტაციოდ 650 000 სული წვრილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა, (აღნიშნული გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე);

თ) ბრუცელოზი (Brucellosis) - ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ცხოველებში ხასიათდება აბორტებით, მომყოლის შეჩერებით, ენდომეტრიტებით და აღწარმოებითი უნარის მოშლით. ბრუცელოზით ავადდება მრავალი სახის ცხოველი, აგრეთვე ადამიანიც, შესაბამისად დაავადებას გააჩნია სოციალური მნიშვნელობა. ადამიანებში ეს დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და რთულად განკურნებადია. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2009 წელს 173 შემთხვევა, 2010 წელს -198, 2011 წელს-165, 2012 წელს-133, 2013 წელს-186, 2014 წელს -282, 2015 წელს -205, 2016 წელს -203, 2017 წელს - 202, 2018 წელს 177 შემთხვევა, 2019 წელს 188 შემთხვევა, ხოლო 2020 წელს პირველადი მონაცემებით 84 შემთხვევა. 2021 წელს ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარდება

სავარაუდოდ 172 000 სულამდე მსხვილფეხა (ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად მოზარდი პირუტყვის რევაქცინაციის ჩათვლით) და 90 000 სულამდე წვრილფეხა პირუტყვს. აგრეთვე გათვალისწინებულია ვაქცინის რეზერვის შექმნა, (აღნიშნული საორიენტაციო გეგმის შესრულების შესაძლო ცდომილებით  $\pm 15\%$ -მდე);

ი) ტუბერკულოზი (Tuberculosis) - მრავალი სახის ცხოველისა და ფრინველის ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, ავადდება ადამიანიც. დაავადებას აქვს როგორც ეკონომიური ასევე სოციალური მნიშვნელობა. 2008 წლის შემდგომ 2017 წელს პირველად განხორციელდა მსხვილფეხა პირუტყვის ტუბერკულოზიზაცია, გამოკვლეული იქნა 7 064 სული, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 18 სული მსხვილფეხა პირუტყვი. 2018 წელს გამოკვლეული იქნა 10 095 სულზე მეტი, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 43 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ხოლო, 2019 წელს არასრული ინფორმაციით გამოკვლეული იქნა 10 040 სულამდე პირუტყვი, დადებითად მორეაგირე გამოვლინდა 26 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 2020 წელს არასრული ინფორმაციით გამოკვლეული იქნა 6 500 სულამდე პირუტყვი, დადებითად მორეაგირე არ არის გამოვლენილი. უცხოელი ექსპერტების რჩევით, 2021 წელს დაავადებაზე ზედამხედველობა გაგრძელდება ცხოველთა სასაკლაოებში, ტუბერკულოზზე საექვო ცხოველების ნიმუშები გამოკვლეული იქნება ლაბორატორიულად, სავარაუდოდ 10 000 სული მსხვილფეხა პირუტყვის;

კ) ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება (Crimean Congo Hemorrhagic Fever) ცხოველისა და ადამიანის ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადამიანებში მძიმედ მიმდინარეობს. ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელებით დაავადებულ ცხოველს კლინიკური ნიშნები არ აღენიშნება, მაგრამ ვირემიის პერიოდში დაავადების გამავრცელებელია. დაავადება ძირითადად ვრცელდება ტკიპების (Hyalomma სახეობა) საშუალებით, რომელთაც შეხება ჰქონდათ დაავადებულ ცხოველთან. ტკიპამ ჯერ უნდა უკბინოს დაავადებულ ცხოველს (მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვი და სხვა) რომლებიც ინფექციის ძირითად რეზერვუარს წარმოადგენენ და შემდეგ ადამიანს. ადამიანებში ლეტალობა 40% აღწევს. გასულ წლებში ადამიანებში ლაბორატორიულად დაფიქსირდა: 2012 წელს 1 შემთხვევა, 2013 წელს-13, 2014 წელს-24 (მათ შორის 3 ლეტალური შედეგით), 2015 წელს-9 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2016 წელს -6 (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2017 წელს-5 შემთხვევა (მათ შორის 2 ლეტალური შედეგით), 2018 წელს 12 შემთხვევა (მათ შორის 1 ლეტალური), 2019 წელს 8 შემთხვევა (მათ შორის 3 ლეტალური), ხოლო 2020 წლის პირველადი მონაცემებით 12 შემთხვევა (მათ შორის 4 ლეტალური), როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს ყოველწლიურად ფიქსირდება ადამიანის დაავადების შემთხვევები. სააგენტოს მიერ 2015 წელს ჩატარებული ღონისძიება შეიძლება

ჩაითვალოს ადამიანებში დაავადების გამოვლინების კლების ერთ-ერთ მიზეზად (დაავადების შემთხვევებმა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით იკლო 43,4%-ით, ხოლო ლეტალობამ 25 %-ით). 2021 წლისთვის ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდეფეთქების მართვისა და პრევენციის მიზნით შეიქმნება ინსექტო-აკაროციდული პრეპარატის რეზერვი და ადამიანებში დაავადების დაფიქსირების შემთხვევებში ეპიდემიოლოგიურ კერებში ჩატარდება მსხვილფეხა პირუტყვისა და მათი სადგომების დამუშავება;

ლ) ბლუთანგის დაავადებაზე მეზობელ ქვეყნებში (თურქეთი, რუსეთი) არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან და ბლუთანგის აღმოფხვრისა და კონტროლთან დაკავშირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს №398 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით 2021 წელს ქვეყანაში გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის კვლევები და დაიწყება ვექტორების იდენტიფიცირება;

მ) ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეპალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 დეკემბრის №600 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით 2021 წელს ქვეყანაში გაგრძელდება დაინფიცირებაზე საექვო პირუტყვის კვლევები.

4. 2021 წელს დოკუმენტური შემოწმება, ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის კომერციული დოკუმენტი, ჯანმრთელობის სერტიფიკატი) შემოწმების მიზნით, განხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს, ასევე, დამოუკიდებლად.

#### **დოკუმენტური შემოწმება:**

ა) დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს და ასევე, დამოუკიდებლად;

ბ) შემოწმების პრიორიტეტი ენიჭება ვეტერინარული პრეპარატებით მოვაჭრე საცალო (ვეტერინარული აფთიაქი) და საბითუმო ვაჭრობის ობიექტებს კერძოდ:

ბ.ა) ვეტერინარული პრეპარატებით მოვაჭრე საცალო (ვეტერინარული აფთიაქი) და საბითუმო ვაჭრობის ობიექტების გეგმური დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება წელიწადში ერთხელ;

გ) არაგეგმური დოკუმენტური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს:

გ.ა) სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე;

გ.ბ) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოს შეტყობინების საფუძველზე;

გ.გ) სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე;

გ.დ) სააგენტოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც შემტყობინებელი პირისა და შეტყობინებით გათვალისწინებული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

გ.ე) სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

#### **5. ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების კვლევა:**

2021 წელს ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დადგენის მიზნით განხორციელდება 198 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშის გეგმურად აღება ლაბორატორიული გამოკვლევისთვის, რაც 2020 წლისთვის უკვე დარეგისტრირებული და რეგისტრაციის პროცესში არსებული 1325 მდე ვეტერინარული პრეპარატის 15%-ია. 2021 წელს გეგმურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა არ შეცვლილა 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რაც გამომდინარეობს მიმდინარე წელს რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების რაოდენობიდან (2014 წელს ლაბორატორიულად შესწავლილი 183 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან უვარგისი აღმოჩნდა მხოლოდ 5 პრეპარატი, ხოლო ერთი ფალსიფიცირებული. 2015 წელს შესაბამისად შესწავლილი 201 ნიმუშიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 3 ვეტერინარული პრეპარატი, 2016 წელს შესაბამისად შესწავლილი ნიმუშებიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 4 ვეტერინარული პრეპარატი, 2017 წლის მონაცემები შესაბამისად 227 ნიმუშიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 4 ვეტერინარული პრეპარატი, 2018 წელს 231 ნიმუშიდან უვარგისად მიჩნეული იქნა 1 პრეპარატი, 2019 წელს 228 ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან (მათ შორის 18 არაგეგმური ნიმუში) უვარგისად არ იქნა არცერთი ვეტერინარული პრეპარატი მიჩნეული), 2020 წელს 195 (მ.შ.192 გეგმური, 3 არაგეგმური) ვეტერინარული პრეპარატის ნიმუშიდან არცერთი არ იქნა უვარგისად მიჩნეული. შედეგების ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანია ვაკონტოლოთ ვეტერინარული პრეპარატის საწარმოებში, სარიელიზაციო ობიექტებში და ვეტერინარულ დაწესებულებებში ვეტერინარული პრეპარატების შენახვის, რეალიზაციისა და გამოყენების პირობები (პრეპარატების შენახვის და ტემპერატურის რეჟიმის დაცვა, ანტიმიკრობული პრეპარატების არაგეგმაზომიერ გამოყენებაზე კონტროლი ჩატარებულ ღონისძიებებზე წარმოებული ჩანაწერების შემოწმებით, რაც ანტიმიკრობული რეზისტენტობის სტრატეგიის და ფარმაკოზედამხედველობის სისტემის მოსამზადებელ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია). არაგეგმურად ასაღები ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების რაოდენობა განისაზღვრა 5- ით.

2021 წლის განმავლობაში ასაღები და გამოსაკვლევი ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის დადგენის მიზნით რეგიონული განაწილების წინასწარი საორიენტაციო გეგმა შედგა სულ არსებული შესაბამისი ვეტერინარულ კონტროლს ქვემდებარე ობიექტების (ვეტერინარული აფთიაქის (საცალო ვაჭრობის ობიექტი)/ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტის) რაოდენობის და რეგიონული დისტრიბუციის შესაბამისად. ნიმუშების წინასწარი საორიენტაციო თანაფარდობა ვეტერინარული პრეპარატების ფორმების მიხედვით გადანაწილებულია რეგისტრირებული პრეპარატების შესაბამის ფორმების მიხედვით არსებული რაოდენობის მიხედვით. შენიშვნა: შესასყიდი ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა პრეპარატების ფორმების არის პირობითი და მოსალოდნელია მათი ცვლილება კონტროლქვემდებარე ობიექტებში ადგილზე არსებული სიტუაციის მიხედვით.

#### **6. ფერმაში ცოცხალი ცხოველებიდან ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების განსასაზღვრად ნიმუშების კვლევა**

ფერმაში ცოცხალი ცხოველებიდან (ბიოლოგიური სითხეები და ქსოვილები) და ცხოველის საკვებში ანაბოლური მოქმედების მქონე, აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების და დამაბინძურებლების გამოსავლენად ნიმუშების კვლევა ხორციელდება „ტექნიკური რეგლამენტის- ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის“ საფუძველზე. საკონტროლო ნიმუშების რაოდენობა, რომელიც აღებული უნდა იქნეს წინა წლებში დაკლულ შემსაბამისი სახეობის ცხოველის რაოდენობის მიხედვით.

- მსხვილფეხა საქონელი- მსხვილფეხა საქონლის ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს დაკლული ცხოველების სავარაუდო რაოდენობის 140,103 სულის ( სააგენტოში არსებული 2020 წლის 10 თვის მონაცემებით საშუალოდ დაიკლა 116,753 სული) არანაკლებ 0,4% (560 ნიმუში), აქედან ჯგუფი „ა“ – 0,25% (-350-ნიმუში), რომელის ნახევარი 175 ნიმუში აღებული უნდა იქნეს ცოცხალი ცხოველებისგან, მათი შენახვის ადგილზე. „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაზ. შესაძლებლობების შესაბამისად). სულ გამოკვლეული იქნება 175 მსხვილფეხა პირუტყვიდან აღებული საკვლევი 1,050 ნიმუში.

- **ცხვარი და თხა** - ცხვრებისა და თხების ნიმუშების რაოდენობა წინა წელს დაკლული ცხოველების სავარაუდო რაოდენობის 20,298 სულის (სააგენტოში არსებული 2020 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 16,918 სული წვრილფეხა პირუტყვი.) არანაკლებ - 0.05% (10 ნიმუში), აქედან ჯგუფი „ა“ – 0,01 % (4 ნიმუში). „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესაძლებლობების შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება 5 წვრილფეხაპირუტყვიდან აღებული საკვლევი 30 ნიმუში.

- **ღორი** - ღორების ნიმუშების რაოდენობა - წინა წელს დაკლული ღორების სავარაუდო 164,462 სული რაოდენობის (სააგენტოში არსებული 2020 წლის 11 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 137052 სული ღორი.) არანაკლებ 0,05 % (82 ნიმუში), აქედან ჯგუფი „ა“ – 0,02% (33 ნიმუში). აქედან ფერმაში ნიმუში აღებული უნდა იქნას 10 სული ღორიდან. „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბორატორიული შესაძლებლობების შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება 10 ღორიდან აღებული საკვლევი 120 ნიმუში;

- **ფრინველი**- სააგენტოში არსებული 2020 წლის 10 თვის მონაცემებით, დაკლული იქნა 10.520.346 ფრთა ფრინველი. 2020 წლის განმავლობაში სავარაუდოდ დაკლული იქნება -**12.624.441** ფრთა. ერთი ფრთის დაკლული წონის (საშუალოდ 1,2 კილოგრამი) გადაანგარიშებით დაკლული წონა შეადგენს 15,149 ტონას. თითოეული კატეგორიის ფრინველისათვის (ბროილერი, ამორტიზებული კვერცხმდებელი ქათამი, ინდაური და სხვ.) ყოველწლიურად ასაღები ნიმუშების რაოდენობა უნდა შეადგენდეს წლიური პროდუქციის (დაკლული წონა) ყოველ 200 ტონაზე, სულ მცირე, ერთ ნიმუშს და თუ გამოსაკვლევი ფრინველის ცალკეული კატეგორიის წლიური პროდუქცია (დაკლული წონა) აღემატება 5 000 ტონას – სულ მცირე 100 ნიმუშს ნივთიერების (სუბსტანციის) თითოეულ ჯგუფზე, სულ გამოკვლეულ უნდა იქნეს **200** ნიმუში. აქედან ჯგუფი „ა“ – საერთო რაოდენობის 50% (125 ნიმუში). ფერმის დონეზე აღებული ნიმუშების რაოდენობა ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/5-ს შეადგენს (25 ნიმუში); „ა“ ჯგუფის ნივთიერებების (სუბსტანციების) თითოეული ქვეჯგუფისათვის კონტროლი განხორციელდება ამ ჯგუფისათვის განსაზღვრული ნიმუშების საერთო რაოდენობის არანაკლებ 5%-ში (ლაბ. შესაძლებლობების შესაბამისად). სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება 25 ფრინველიდან აღებული საკვლევი 300 ნიმუში.



სააგენტოში არსებული მონაცემებით სულ რეგისტრირებულია 200 აკვაკულტურის ობიექტი. ფერმის დონეზე ნიმუში აიღება რეგისტრირებული საწარმოების საერთო რაოდენობის არაუმცირეს 10%-დან, საიდანაც ნიმუშების საერთო რაოდენობის 1/3 არის „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კვლევისთვის განსაზღვრული ნიმუშები. მაგრამ თუ ფერმაში წარმოებული თევზისათვის ყოველწლიურად ასადები ნიმუშების რაოდენობა ყოველ 100 ტონა წარმოებული პროდუქტიდან შეადგენს არანაკლებ 1 ნიმუშს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულია ქვეყანის მასშტაბით წყალსატევებში წარმოებული თევზის რაოდენობა 2019 წლის მდგომარებით და შეადგენს 2 464,7 ტონა თევზს, (ოჯახების მიხედვით) მათ შორის ორაგულისებრი თევზის (ცისარტყელა კალმახი, მდინარის კალმახი, ტბის კალმახი, კიჟუჩი) რაოდენობა შეადგენს 1 339,8 ტონას. შესაბამისად სულ გამოკვლეული უნდა იქნას 25 თევზის ნიმუში, საიდანაც „ა“ ჯგუფი 8 ნიმუში. სურსათის დეპარტამენტთან შეთანხმებით სულ გამოკვლეული იქნება 20 თევზის საკვლევი 240 ნიმუში; 2020 წლის აკვაკულტურის პროდუქტებში და წყალში მალაქიტის მწვანე/ლუეკომალაქიტის მწვანეზე კვლევის შედეგების გათვალისწინებით 2021 წელს თევზის 50 ნიმუში გამოკვლეული იქნება მალაქიტის მწვანის და ლუეკომალაქიტის მწვანის ჯამურ მაჩვენებელზე.

ასევე ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებების და აკრძალული ნივთიერებების კვლევა განხორციელდება ცხოველის საკვების 10 ნიმუშში 8 მაჩვენებელზე (მედროქსიპროგესტერონი, 17-ბეტა-ესტრადიოლი, ქლორამფენიკოლი, ზერანოლი, მეტრონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურანტონინი). სულ გამოკვლეული იქნება ცხოველის საკვების 10 ნიმუშიდან საკვლევი 80 ნიმუში.

ჯამში 2021 წელს ანაბოლური მოქმედების მქონე, აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების, დამაბინძურებლების და მათი ნარჩენების მონიტორინგის მიზნით 275 ნიმუშიდან გამოკვლეული იქნება 1870 საკვლევი ნიმუში 13 მაჩვენებელზე (მედროქსიპროგესტერონი, პროგესტერონი, 17-ბეტა-ესტრადიოლი, ტესტოსტერონი, ქლორამფენიკოლი, ზერანოლი, დიმეტრიდაზოლი, მეტრონიდაზოლი, ფურაზოლიდონი, ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, ნიტროფურანტონინი, მალაქიტის მწვანე/ლუეკომალაქიტის მწვანე).

**7. ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის (შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფქვილის) სალმონელასა და ენტერობაქტერიაზის გამოკვლევა**

შინაურ ბინადარი ცხოველის საკვების გადამამუშავებელი საწარმოს აღიარების შემდგომი სახელმწიფო კონტროლი და შინაური ბინადარი ცხოველის საკვების ნიმუშის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბერის N605 დადგენილების - ტექნიკური რეგლამენტი „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესები“ შესაბამისად. გადამამუშავებელი საწარმო (საამქრო), რომელიც იყენებს მეორე და მესამე კატეგორიის მასალებს განეკუთვნება მაღალ რისკს და მისი სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება წელიწადში 2-ჯერ. 2021 წელს განხორციელდება შინაური ბინადარი ცხოველების საკვებისა და თევზის ფქვილის გადამამუშავებელი აღიარებული საწარმოების 100%-ის სახელმწიფო კონტროლი, რაც დღეისათვის შეადგენს 5 საწარმოს. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბერის #605 დადგენილების 141-ე-142-ე, 162-ე და 211-ე მუხლების შესაბამისად 2021 წელს განხორციელდება ზემოაღნიშნული საწარმოების გეგმური ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი. შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფქვილის აღებული ნიმუშების სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სალმონელას და ენტერობაქტერიების კვლევისთვის აღებული და გამოკვლეული იქნება შინაური ბინადარი ცხოველის გადამამუშავებული საკვების 1 საწარმოდან 5 ნიმუში წელიწადში 2 -ჯერ (სულ 10 ნიმუში) , ხოლო თევზის ფქვილის 4 საწარმოდან 5-ნიმუში წელიწადში 2-ჯერ (სულ 40 ნიმუში). ასევე წლის განმავლობაში ახალი საწარმოების შესაძლო აღიარების ან აღიარებული საწარმოს არაგეგმური ინსპექტირების და სალმონელასა და ენტერობაქტერიების კვლევის მიზნით განხორციელდება 20-20 ნიმუშის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში გამოკვლევა.

**8. ნიმუშების აღება (დაავადების დასადგენად)** - ნიმუშების აღება მოხდება ცხოველთა ჯანმრთელობის საექვო სტატუსის შემთხვევებში მათი გამოკვლევის მიზნით პასიური ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ფარგლებში, სავარაუდოდ შემდეგ დაავადებებზე:

- ა) ბრუცელოზი- გამოვლენა და დადასტურება;
- ბ) ბრუცელოზი -დაავადების აღმძვრელის ტიპირება;
- გ) Q ცხელება- დაავადების აღმძვრელის/ანტისხეულების აღმოჩენა;
- დ) ცოფი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ე) ტუბერკულოზი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- ვ) პარატუბერკულოზი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა (ჰისტოლოგია);
- ზ) ლეიკოზი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა (ჰისტოლოგია);

- თ) ჯილეხი-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ქსოვილოვანი მასალა და პჯრ (PCR));
- ი) ჯილეხი-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ნიადაგი, სხვა);
- კ) თურქული დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ლ) ფრინველის გრიპი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- მ) ნიუკასლის დაავადება- იმუნური სტატუსის განსაზღვრა/დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ნ) ფრინველის ინფექციური ბრონქიტი - მორფოლოგიური ცვლილების დადგენა (ჰისტოლოგია);
- ო) მარეკის დაავადება - მორფოლოგიური ცვლილების დადგენა (ჰისტოლოგია);
- პ) პიროპლაზმიდოზები- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჟ) პროტოზოები - პარაზიტის იდენტიფიცირება;
- რ) ღორის აფრიკული ცხელება- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ს) ღორის აფრიკული ცხელება- დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- ტ) ღორის კლასიკური ცხელება-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- უ) ღორის წითელი ქარი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა
- ფ) პასტერელოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ქ) ტემენის დაავადება - მორფოლოგიური ცვლილების დადგენა (ჰისტოლოგია);
- ღ) სალმონელოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა/ტიპირება (ბაქტერიოლოგია);
- ყ) კოლიბაქტერიოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- შ) სტაფილოკოკოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- ჩ) დერმატომიკოზი (ტრიქოფიტოზი, მალაცეზია, მიკროსპორია) - მიკოზების იდენტიფიცირება;
- ც) ლეიშმანიოზი- დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- ძ) მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- წ) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჭ) ცხვრისა და თხის ყვავილი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ხ) ანაერობული დიზინტერია - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჯ) ცხვრისა და თხის კონტაგიოზური ექტიმა - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჰ) აუესკის დაავადება -დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- ჰ<sup>1</sup>) ნეკრობაქტერიოზი- დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;

- 3<sup>2</sup>) ჩლიქების სიდამპლე - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>3</sup>) ბრადზოტი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>4</sup>) ენტეროტოქსემია - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>5</sup>) ემფიზემატოზური კარბუნკული-დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>6</sup>) ლეპტოსპიროზი - დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- 3<sup>7</sup>) ლისტერიოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა.
- 3<sup>8</sup>) აქტინომიკოზი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა.
- 3<sup>9</sup>) ტრიქომონოზი - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>10</sup>) არაქნოიდები (სარკოპტოზი, დემოდეკოზი და სხვა) - ტკიპების იდენტიფიცირება;
- 3<sup>11</sup>) თევზის პარაზიტული დაავადებები (პროტოზოები, არაქნოზები, ჰელმინთები);
- 3<sup>12</sup>) თევზის აერომონოზი -დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია);
- 3<sup>13</sup>) ფუტკრის პარაზიტული დაავადებები - პარაზიტის იდენტიფიცირება (პროტოზოები/არაქნოზები);
- 3<sup>14</sup>) ამერიკული სიდამპლე - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>15</sup>) ევროპული სიდამპლე - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა;
- 3<sup>16</sup>) ფუტკრის ჰემორაგიული სეპტიცემია - დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა.
- 3<sup>17</sup>) ჰელმინთაზი (კოპროლოგია) - ჰელმინთების და პროტოზოების იდენტიფიცირება;
- 3<sup>18</sup>) ძალის ჭირი - დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;
- 3<sup>19</sup>) ვირუსული გასტროენტერიტი - მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა (ჰისტოლოგია);
- 3<sup>20</sup>) დეზინფექციის ხარისხის განსაზღვრა;
- 3<sup>21</sup>) მოწამვლები;
- 3<sup>22</sup>) ცხვრის კატარალური ცხელება (ბლუთანგი) ვექტორების იდენტიფიცირება;
- 3<sup>23</sup>) ცხვრის კატარალური ცხელება (ბლუთანგი) ვირუსის იდენტიფიცირება;
- 3<sup>24</sup>) ზოგიერთი ღრუბლისებრი ენცელოპათია დაავადების აღმძვრელის აღმოჩენა.
- თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიის (VHS) და სისხლმბადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურების ფარგლებში ჩატარდება თევზის ფერმების რეესტრის განახლება, კლინიკური შემოწმება და ლაბორატორიული გამოკვლევების მიზნით აღებულ ნიმუშებზე ზედამხედველობა.

**9. ცხოველთა გარეგან პარაზიტებზე დამუშავება - 2016 წლიდან დაიწყო სეზონურ სამოვრებზე ცხოველთა გადასარეკ ტრასებზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება**

(ცხოველების გასაბანებელი პუნქტების, სარწყულელების და სხვა), სადაც ჩატარებული იქნა გადასარეკი პირუტყვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა და ექტო-პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება. 2016 წელს არსებულ პუნქტებზე მოხდა 33302 მსხვილფეხა და 343910 წვრილფეხა პირუტყვის დამუშავება. 2017 წელს პუნქტებზე დამუშავდა 12882 მსხვილფეხა და 630399 წვრილფეხა პირუტყვი. 2018 წელს დამუშავდა 8465 სული მსხვილფეხა და 713168 სული წვრილფეხა პირუტყვი. 2019 წელს პუნქტებზე 11649 მსხვილფეხა და 709750 წვრილფეხა პირუტყვი, 2020 წელს 15415 მსხვილფეხა და 785892 წვრილფეხა პირუტყვი. 2021 წელს აღნიშნულ პუნქტებზე (რასაც დაემატება ერთი პუნქტი მცხეთა მთიანეთის რეგიონში) გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ექტო-პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება.

**10. ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია** - 2021 წელს გაგრძელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია და ღორების იდენტიფიკაცია, მოხდება იდენტიფიცირებული ცხოველების და მათი სადგომების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაცია, ასევე, განხორციელდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომებზე სახელმწიფო კონტროლი მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

ა) მსხვილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1%-ისა, სადგომის/დროებითი სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე;

ბ) წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის არანაკლებ 1%-ისა და იდენტიფიცირებული წვრილფეხა საქონლის სულადობის არანაკლებ 1,5%-ისა. სადგომის/დროებითი სადგომის შერჩევა განხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე.

**11. სადეზინფექციო სამუშაოები** - დაავადებული და დაავადებით დაცემული ცხოველი წარმოადგენს ინფექციის გავრცელების რისკს. აღმძვრელის გარემოში მოსპობის მიზნით ცხოველების სადგომებისა და დაცემის ადგილებში განხორციელდება შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოები.

## **მუხლი 7. ცნობიერების ამაღლება**

პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული იქნება ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია (ბიზნესოპერატორებისთვის და ყველა დაინტერესებული კერძო თუ იურიდიული პირებისთვის), რისთვის დაიბეჭდება და გავრცელდება ბუკლეტები, ფლაერები, პლაკატები.

## **მუხლი 8. მოსალოდნელი შედეგები**

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებას, ცხოველის, ცხოველისა და ადამიანისათვის საერთო დაავადებების გამოვლენის მინიმიზირებას, პრევენციასა და კონტროლს, ცხოველთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მიკვლევადობის განხორციელებას, ეკონომიკური ზიანის მინიმიზირებას, სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და თევზის ფქვილის განთავსებას, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს ვეტერინარულ-ფარმაცევტულ ბაზარზე არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატების გამოვლენასა და რეალიზაციის აღკვეთას - შესაბამისად ხარისხიანი ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევას, ასევე ვეტერინარული ფარმაციის სფეროში ბიზნესოპერატორების მიერ საქმიანობის მართებულად წარმართვას. მავნე სურსათის ბაზარზე განთავსების ფაქტების მინიმიზირებას. პირველად წარმოებაში (ფერმებში), ცოცხალ ცხოველებში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების არსებობის მიზეზების გამოვლენა, შესწავლა - გამოკვლევა შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით და აკრძალული პრეპარატების გამოყენების აკრძალვას და ანტიმიკრობული საშუალებების არამიზნობრივ გამოყენების შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს ცხოველების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომებში დარღვევების მინიმიზირებას და აღმოფხვრას. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეპარატების მიმოქცევის მოწესრიგებას.

**ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის  
პროგრამა**

**მუხლი I. შესავალი**

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსისა“ და „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის სამოქმედო გეგმას.

2. ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მცენარეთა საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების კონტროლს, ლაბორატორიულ გამოკვლევებს, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანასთან, მარკირებასთან, შენახვასთან, წარმოებასთან (დაფასობასთან), რეალიზაციასთან, გამოყენებასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის კონტროლს, პესტიციდების ხარისხის კონტროლს, შესაფუთი ხის მასალის მარკირების უფლების მქონე პირების კონტროლს.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შესწავლასა და შეფასებას, ქვეყანაში „სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ დანერგვას, მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას, ქვეყნის მოსახლეობის უვნებელი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

**მუხლი II. პროგრამის საფუძვლები**

1. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი; FAO-ს „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი“; „როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“; „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონი; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; „ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; „ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება; „საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების შეღწევისა და გავრცელებისაგან საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული დაცვის წესების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 იანვრის საერთო ბრძანება 2-7-33; ტექნიკური რეგლამენტი „ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №447 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის- „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის- „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №451

დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის- „პესტიციდების წვრილი დაფასოების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №437 დადგენილება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 წლის 29 ივლისის № 2-139 ბრძანება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 29 ოქტომბრის № 2-235 ბრძანება; საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესი“; ტექნიკური რეგლამენტი „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის №305 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტი სიმინდის დასავლეთის ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №11 დადგენილება; „კარტოფილის ცისტანი ნემატოდების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №302 დადგენილება“, ტექნიკური რეგლამენტი „კარტოფილის რგოლური სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტი „კარტოფილის მურა სიდამპლის მურა სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის №602 დადგენილება და სხვა ნორმატიული აქტები.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი განხორციელდება ქიმიური და ბიოლოგიური მცენარეთა დაცვისა და აგროქიმიური საშუალებების მწარმოებელ (დამფასოებელ), შემნახველ საწარმოში, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ქსელში.

3. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

### **მუხლი III. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზანია:

ა) საქართველოში წარმოებული მცენარეების, მცენარეული პროდუქტის საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობის მიზნით, წარმოებისა და დასაწყობების ადგილებში ქვეყანაში არარეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების პრევენციისათვის მათი არსებობის და ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის დადგენა;

ბ) ქვეყნის ტერიტორიაზე საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების მონიტორინგი და პროგნოზირება;

გ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგულირება მათი მიმოქცევისა და გამოყენებისას. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოების (დაფასოების), შემნახველი და სარეალიზაციო ობიექტების, ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის, მარკირების სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელება მაღალი, ხარისხიანი და უვნებელი მოსავლის მიღების და მოქმედი წესების დარღვევების აღმოფხვრის მიზნით;

დ) FAO-ს მონაცემებით მავნე ორგანიზმებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგები ყოველწლიურად შეადგენს 25-40 %-ს. მათ წინააღმდეგ მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მწვანე საფარის შენარჩუნებისა და მოსავლიანობის გაზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. ”მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით”, FAO-ს „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსით“ და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით გათვალისწინებულია მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარება მაღალ მეცნიერულ დონეზე, სოფლის მეურნეობის მდგრადი



განვითარების და კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯის მისაღწევად, რაც განაპირობებს საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის გაზრდას;

#### **მუხლი IV. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე, 71-ე მუხლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 98<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოწერს საჯარიმო ქვითარს.

#### **მუხლი V. განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობა და მონიტორინგი**

1. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-10 დანართით განსაზღვრულია საქართველოსათვის საკარანტინო მავნე ორგანიზმების (საქართველოში არარეგისტრირებული და საქართველოში შეზღუდულად გავრცელებული) ნუსხა, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს ფიტოსანიტარიული კონტროლი მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისას, ასევე ქვეყნის შიგნით, იმპორტიორი ქვეყნებისათვის საკარანტინო მნიშვნელობის მქონე მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონების, ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის, დადგენისათვის, რაც ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების პროცესში.

2. საექსპორტო პოტენციალის მქონე მცენარეული პროდუქციის ექსპორტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, იმპორტიორი მხარის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების შესაბამისად, მოყვანისა და დასაწყობების ადგილებში პროდუქციის სახეებისა და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიური საკარანტინო და სხვა რეგულირებადი მავნე ორგანიზმების გამოსავლენად, ასევე ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასებისათვის განხორციელებული კონტროლისას აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევები.

3. წლის განმავლობაში განხორციელდება:

ა) გამოსაკვლევ ზონაში მავნე ორგანიზმების არსებობის დადგენის მიზნით მონაცემების შეგროვება, გამოკითხვა, საჭიროებისას ნიმუშის აღება;

ბ) მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტის მოყვანისა და დასაწყობების ადგილებში საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გამოვლენისათვის, დიაგნოსტიკისათვის, აგრეთვე მათი გავრცელების არეალში პოპულაციის განვითარების შესწავლისა და პროგნოზირებისათვის ფიტოსანიტარიული მონიტორინგი და ზედამხედველობა.

4. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ფიტოსანიტარიის სფეროში ლაბორატორიული გამოკვლევების შესაძლებლობა დღეისათვის შეზღუდულია, განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიზნით კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ.თბილისის ტერიტორიებზე განთავსდება 400 ცალი ფერომონიანი სქესმჭერი (მწერების ხაფანგები, ენტომოლოგიური გამოკვლევებისათვის); მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკისათვის (ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური,

ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური) ანალიზი (ლაბორატორიული გამოკვლევა) ჩატარდება სავარაუდოდ 732 ნიმუშს. (დანართი 3.1)

ფიტოსანიტარიული კონტროლის ღონისძიებებისას მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენისას შესაძლებელია სხვა მავნე ორგანიზმების კვლევა მათი იდენტიფიცირების მიზნით ან 3.1 დანართით გათვალისწინებული კვლევების რაოდენობის გაზრდა.

## მუხლი VI. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლი

1. წლის განმავლობაში განხორციელდება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დაფასოების, მარკირების, შენახვის, რეალიზაციის და გამოყენების კონტროლი და ზედამხედველობა. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი.

2. მონიტორინგის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება:

ა) წინა წლების უხარისხო, ვადაგასული, არარეგისტრირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგების შემთხვევები;

ბ) სააგენტოსათვის მომხმარებლის მიმართვის შემთხვევები;

გ) წინა წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;

დ) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

3. საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტები განლაგებულია ქვეყნის მასშტაბით. საერთაშორისო პრაქტიკით ყოველწლიურად მიმდინარეობს ბიზნესოპერატორების შერჩევითი კონტროლი, რომელიც ეფუძნება წინა წელს განხორციელებული კონტროლის შედეგებს. მიმდინარე წელს არსებული 200 ობიექტიდან შემოწმდება 150 ობიექტი წინა წლების მონაცემებზე დაყრდნობითა და შერჩევითობის პრინციპით. გათვალისწინებულია ერთ კომპონენტური და ორ კომპონენტური პესტიციდების (300 ნიმუში-400 ანალიზი) ერთ კომპონენტური, ორ კომპონენტური და სამ კომპონენტური აგროქიმიკატების (48 ნიმუში-94 ანალიზი) ნიმუშის აღება. ვინაიდან ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი აკრედიტირებული ლაბორატორია რომელსაც გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობები, მოწმდება პესტიციდების 55 მოქმედი ნივთიერება და აგროქიმიკატების ძირითადი კვებითი მაკრო ელემენტები. შესაბამისად, არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული, გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, მონიტორინგისას 2018 წელს სულ შესყიდული და გამოკვლეული იქნება სხვადასხვა დასახელების პესტიციდების სავარაუდოდ 300 ნიმუში (400 ანალიზი), აგროქიმიკატების სავარაუდოდ – 48 ნიმუში (94 ანალიზი). მათ შორის:

1. პესტიციდები - 300 ნიმუში (400 ანალიზი);

ა) ერთკომპონენტური - 200 ნიმუში (200 ანალიზი);

ბ) ორკომპონენტური - 100 ნიმუში (200 ანალიზი),

2. აგროქიმიკატები - 48 ნიმუში (94 ანალიზი);

ა) ერთკომპონენტური (აზოტი - N) – 20 ნიმუში (20 ანალიზი);

ბ) ორკომპონენტური (აზოტი - N + ფოსფორი - P) – 10 ნიმუში (20 ანალიზი);

გ) სამკომპონენტური (აზოტი - N + ფოსფორი - P + კალიუმი - K) – 18 ცალი (54 ანალიზი).

4. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნიმუშები აღებული იქნება კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის, მცხეთა - მთიანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში და ქ.თბილისში.

**მუხლი VII. შესაფუთი ხის მასალის (შხმ) დამუშავებაზე, დამზადებაზე, შეკეთებასა და მარკირებაზე სახელმწიფო კონტროლი**

2018 წელს შხმ დამზადებაზე, დამუშავებაზე, შეკეთებასა და მარკირებაზე სახელმწიფო კონტროლი ჩატარდება ინსპექტირებისა და დოკუმენტური შემოწმების გზით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესის“ შესაბამისად.

**მუხლი VIII. მოსალოდნელი შედეგები**

1. გამოკვლეული იქნება საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მდგომარეობა შესაბამისი ფიტოსანიტარიული ზომების მისაღებად და მცენარეული პროდუქციის ექსპორტის ხელშესაწყობად.

2. შემოწმებული იქნება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მწარმოებელი (დამფასოებელი), შემნახველი, სარეალიზაციო ობიექტები და მათი საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

3. შემცირებული იქნება ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, აკრძალული, ვადაგასული და უვარგისი პესტიციდებითა და აგროქიმიკატებით ვაჭრობის და მათი გამოყენების ფაქტები.

დანართი 3.1

ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევები:

№	მცენარეთა მავნე ორგანიზმი	ნიმუშის რაოდენობა ცალი (სულ 732)
<b>1. მავნებლები (ენტომოლოგიური კვლევა) - 400 ნიმუში;</b>		
1	Bactrocera dorsalis - აღმოსავლური ხილის ბუზი	200
2	Ceratitis capitata - ხმელთაშუაზღვის ნაყოფის ბუზი	200
<b>2. ბაქტერიები (ბაქტერიოლოგიური კვლევები)- 110 ნიმუში;</b>		
3	Erwinia amylovora - ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე	40
4	Clavibacter michiganensis subsp sependonicus - კარტოფილის რგოლური სიდამპლე	20
5	Ralstonia solanacearum - კარტოფილის მურა სიდამპლე	20
6	Pseudomona syringae pv actinidiae - კივის ბაქტერიული კიბო	30
<b>3. ვირუსები(ვირუსოლოგიური კვლევები) - 70 ნიმუში;</b>		
7	Peach rosette mosaic virus - ატმის მოზაიკის ვირუსი	10
8	Plum pox poty virus - ქლიავის ჩოფურა (შარკა)	20
9	Citrus mosaic virus - ციტრუსოვანთა მოზაიკური ვირუსი	20
10	Citrus tristeza closterovirus - ციტრუსოვანთა ტრისტეზა კლოსტეროვირუსი	20
<b>4. სოკოები(მიკოლოგიური კვლევები) - 62 ნიმუში;</b>		
11	Guignardia citricarpa - ციტრუსოვანთა შავი სიდამპლე	22
12	Synchytrium endobioticum - კარტოფილის კიბო	40
<b>5. ნემატოდები (ჰელმინთოლოგიური კვლევები) - 60 ნიმუში;</b>		
13	Globodera palida - კარტოფილის მკრთალი ნემატოდა	30

14	Globodera rostochiensis - კარტოფილის ოქროსფერი ნემატოდა	30
<b>6. სარეველები(ჰერბოლოგიური კვლევები) - 30 ნიმუში;</b>		
15	Ambrosia phsilostachya - ამბროზია მრავალწლიანი	10
16	Emex spinosa - ემექსი ეკლიანი	10
17	Euphorbia dentata - რძიანა დაკბილული	10
<b>7. მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენასთან დაკავშირებული კვლევები</b>		
18	ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური კვლევები საჭიროების შემთხვევაში	

ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის  
პროგრამა

**მუხლი 1. შესავალი**

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსისა“ და „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის სამოქმედო გეგმას.

2. ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მცენარეთა მავნე ორგანიზმების (მათ შორის საკარანტინო და არა საკარანტინო მავნე ორგანიზმების) კონტროლს, ლაბორატორიულ გამოკვლევებს, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანასთან, მარკირებასთან, შენახვასთან, წარმოებასთან (დაფასობასთან), რეალიზაციასთან, გამოყენებასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის კონტროლს, პესტიციდების ხარისხის კონტროლს, შესაფუთი ხის მასალის მარკირების უფლების მქონე პირების კონტროლს.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შესწავლასა და შეფასებას, ქვეყანაში „სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ დანერგვას, მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას, ქვეყნის მოსახლეობის უვნებლი სურსათით უზრუნველყოფას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

**მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები**

1. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი; FAO-ს „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი“; „როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“; „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; „ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; „ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება; „საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების შემოჭრისა და გავრცელებისაგან საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული დაცვის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 იანვრის N2-7-N33 ერთობლივი ბრძანება;

ტექნიკური რეგლამენტის - „ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №447 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის- „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის-„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №451 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდების წვრილი დაფასოების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №437 დადგენილება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 წლის 29 ივლისის № 2-139 ბრძანება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 29 ოქტომბრის № 2-235 ბრძანება; ტექნიკური რეგლამენტის - „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №477 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის - „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის №305 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის - „სიმინდის დასავლეთის ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №11 დადგენილება; „კარტოფილის ცისტანი ნემატოდების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №302 დადგენილება“, ტექნიკური რეგლამენტის - „კარტოფილის რგოლური სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის N553 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის - „კარტოფილის მურა სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №602 დადგენილება და სხვა ნორმატიული აქტები.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი განხორციელდება ქიმიური და ბიოლოგიური მცენარეთა დაცვისა და აგროქიმიური საშუალებების მწარმოებელ (დამფასოებელ), შემნახველ საწარმოში, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ქსელში.

3. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზანია:

ა) საქართველოში წარმოებული მცენარეების, მცენარეული პროდუქტის საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობის მიზნით, წარმოებისა და დასაწყობების ადგილებში ქვეყანაში არარეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების პრევენციისათვის მათი არსებობის და ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის დადგენა;

ბ) ქვეყნის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნე ორგანიზმების ( მათ შორის საკარანტინო და არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების) მონიტორინგი და პროგნოზირება;

გ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგულირება მათი მიმოქცევისა და გამოყენებისას. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოების (დაფასოების), შემნახველი და სარეალიზაციო ობიექტების, ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის, მარკირების სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელება მაღალი, ხარისხიანი და უვნებელი მოსავლის მიღების და მოქმედი წესების დარღვევების აღმოფხვრის მიზნით;

დ) FAO-ს მონაცემებით მავნე ორგანიზმებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგები ყოველწლიურად შეადგენს 25-40 %-ს. მათ წინააღმდეგ მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მწვანე საფარის შენარჩუნებისა და მოსავლიანობის გაზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. "მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით", FAO-ს „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსით“ და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით გათვალისწინებულია მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარება მაღალ მეცნიერულ დონეზე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების და კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯის მისაღწევად, რაც განაპირობებს საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის გაზრდას;

#### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირი.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 98<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოწერს საჯარიმო ქვითარს.

#### **მუხლი 5. მცენარეთა მავნე ორგანიზმების ( მათ შორის საკარანტინო და არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების) ზედამხედველობა და მონიტორინგი**

1. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-10 დანართით განსაზღვრულია საქართველოსათვის საკარანტინო მავნე ორგანიზმების (საქართველოში არარეგისტრირებული და საქართველოში შეზღუდულად გავრცელებული) ნუსხა, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს ფიტოსანიტარიული კონტროლი მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისას, ასევე ქვეყნის შიგნით, იმპორტიორი ქვეყნებისათვის საკარანტინო მნიშვნელობის მქონე მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონების, ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის, დადგენისათვის, რაც ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების პროცესში.

2.საექსპორტო პოტენციალის მქონე მცენარეული პროდუქტების ექსპორტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, იმპორტიორი მხარის ფიტოსანიტარიული

მოთხოვნების შესაბამისად, მოყვანისა და დასაწყობების ადგილებში პროდუქტების სახეებისა და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიური საკარანტინო და სხვა რეგულირებადი მავნე ორგანიზმების გამოსავლენად, ასევე ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასებისათვის განხორციელებული კონტროლისას აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევები.

### 3. წლის განმავლობაში განხორციელდება:

ა) გამოსაკვლევ ზონაში მავნე ორგანიზმების არსებობის დადგენის მიზნით მონაცემების შეგროვება, გამოკითხვა, საჭიროებისას ნიმუშის აღება;

ბ) მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტის მოყვანისა და დასაწყობების ადგილებში მცენარეთა მავნე ორგანიზმების (მათ შორის საკარანტინო და არა საკარანტინო მავნე ორგანიზმების) გამოვლენისათვის, დიაგნოსტიკისათვის, აგრეთვე მათი გავრცელების არეალში პოპულაციის განვითარების შესწავლისა და პროგნოზირებისათვის ფიტოსანიტარიული მონიტორინგი და ზედამხედველობა.

4. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ფიტოსანიტარიის სფეროში ლაბორატორიული გამოკვლევების შესაძლებლობა დღეისათვის შეზღუდულია, მცენარეთა მავნე ორგანიზმების (მათ შორის საკარანტინო და არა საკარანტინო მავნე ორგანიზმების) ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიზნით კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ.თბილისის ტერიტორიებზე განთავსდება 1400 ცალი მწერების ხაფანგები ენტომოლოგიური გამოკვლევებისათვის; მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკისათვის (ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური) ანალიზი (ლაბორატორიული გამოკვლევა) ჩატარდება სავარაუდოდ 1950 ნიმუშს. (დანართი 3.1)

ფიტოსანიტარიული კონტროლის ღონისძიებებისას მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენისას შესაძლებელია სხვა მავნე ორგანიზმების კვლევა მათი იდენტიფიცირების მიზნით ან 3.1 დანართით გათვალისწინებული კვლევების რაოდენობის გაზრდა.

## მუხლი 6. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლი

1. წლის განმავლობაში განხორციელდება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დაფასოების, მარკირების, შენახვის, რეალიზაციის და გამოყენების კონტროლი და ზედამხედველობა. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი.

2. მონიტორინგის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება:

ა) წინა წლების უხარისხო, ვადაგასული, არარეგისტრირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგების შემთხვევები;

ბ) სააგენტოსათვის მომხმარებლის მიმართვის შემთხვევები;

გ) წინა წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;

დ) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

3. საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტები განლაგებულია ქვეყნის მასშტაბით. საერთაშორისო პრაქტიკით ყოველწლიურად მიმდინარეობს ბიზნესოპერატორების შერჩევითი კონტროლი, რომელიც ეფუძნება წინა წელს განხორციელებული კონტროლის შედეგებს. მიმდინარე წელს არსებული 200 ობიექტიდან შემოწმდება 150 ობიექტი წინა წლების მონაცემებზე დაყრდნობითა და შერჩევითობის



პრინციპით. გათვალისწინებულია ერთ კომპონენტური და ორ კომპონენტური პესტიციდების (316 ნიმუში-416 ანალიზი) ერთ კომპონენტური, ორ კომპონენტური და სამ კომპონენტური აგროქიმიკატების (44 ნიმუში-84 ანალიზი) ნიმუშის აღება. ვინაიდან ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი აკრედიტირებული ლაბორატორია რომელსაც გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობები, მოწმდება პესტიციდების 55 მოქმედი ნივთიერება და აგროქიმიკატების ძირითადი კვებითი მაკრო ელემენტები. შესაბამისად, არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული, გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, მონიტორინგისას 2019 წელს სულ შესყიდული და გამოკვლეული იქნება სხვადასხვა დასახელების პესტიციდების სავარაუდოდ 316 ნიმუში (416 ანალიზი), აგროქიმიკატების სავარაუდოდ – 44 ნიმუში (84 ანალიზი). მათ შორის:

1. პესტიციდები - 316 ნიმუში (416 ანალიზი);
  - ა) ერთკომპონენტური - 216 ნიმუში (216 ანალიზი);
  - ბ) ორკომპონენტური - 100 ნიმუში (200 ანალიზი).
2. აგროქიმიკატები - 48 ნიმუში (84 ანალიზი);
  - ა) ერთკომპონენტური (აზოტი - N) – 20 ნიმუში (20 ანალიზი);
  - ბ) ორკომპონენტური (აზოტი - N + ფოსფორი - P) – 8 ნიმუში (16 ანალიზი);
  - გ) სამკომპონენტური (აზოტი - N + ფოსფორი - P + კალიუმი - K) – 16 ცალი (48 ანალიზი).

4. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნიმუშები აღებული იქნება კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის, მცხეთა - მთიანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქ. თბილისში.

**მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები**

1. გამოკვლეული იქნება საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მდგომარეობა, შესაბამისი ზომების მისაღებად და მცენარეული პროდუქტების ექსპორტის ხელშესაწყობად.
2. შემოწმებული იქნება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მწარმოებელი (დამფასოებელი), შემნახველი, სარეალიზაციო ობიექტები და მათი საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.
3. შემცირებული იქნება ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, აკრძალული, ვადაგასული და უვარგისი პესტიციდებითა და აგროქიმიკატებით ვაჭრობის და მათი გამოყენების ფაქტები.

**დანართი 3.1**

ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევები:

№	მცენარეთა მავნე ორგანიზმი	ნიმუშის რაოდენობა ცალი (სულ 1950)
1. მავნებლები (ენტომოლოგიური კვლევა) - 400 ნიმუში;		

1.1	Bactrocera dorsalis - აღმოსავლური ხილის ბუზი	200
1.2	Ceratitis capitata - ხმელთაშუაზღვის ნაყოფის ბუზი	400
1.3	Aleurocanthus woglumi Ashby - შავი ფრთათეთრა	150
1.4	Diabrotica virgifera virgifera - სიმინდის დასავლური ხოჭო	400
1.5	Frankliniella occidentalis - დასავლეთის ყვავილის თრიფსი	100
1.6	Paysandisia archon - პალმის ჩრჩილი	50
1.7	Rhynchophorus ferrugineus - პალმის წითელი ცხვირგრძელა	100
<b>2. ბაქტერიები (ბაქტერიოლოგიური კვლევები) - 110 ნიმუში;</b>		
2.1	Erwinia amylovora - ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე	40
2.2	Clavibacter michiganensis subsp sependonicus - კარტოფილის რგოლური სიდამპლე	20
2.3	Ralstonia solanacearum - კარტოფილის მურა სიდამპლე	20
2.4	Pseudomonas syringae pv actinidiae - კივის ბაქტერიული კიბო	30
2.5	Xylella fastidiosa - პირსის დაავადება (ვაზის ბაქტერიოზი)	30
2.6	Xylophilus ampelinus - ვაზის ბაქტერიული ჭკნობა	30
2.7	Xanthomonas fragariae - ხენდროს კუთხოვანი ლაქიანობა	30
<b>3. ვირუსები(ვირუსოლოგიური კვლევები) - 70 ნიმუში;</b>		
3.1	Peach rosette mosaic virus - ატმის მოზაიკის ვირუსი	10
3.2	Plum pox poty virus - ქლიავის ჩოფურა (შარკა)	20
3.3	Citrus mosaic virus - ციტრუსოვანთა მოზაიკური ვირუსი	20
3.4	Citrus tristeza closterovirus - ციტრუსოვანთა ტრისტეზა კლოსტეროვირუსი	20
<b>4. სოკოები(მიკოლოგიური კვლევები) - 62 ნიმუში;</b>		
4.1	Guignardia citricarpa - ციტრუსოვანთა შავი სიდამპლე	20
4.2	Synchytrium endobioticum - კარტოფილის კიბო	40
4.3	Stenocarpella maydis	50
<b>5. ნემატოდები (ჰელმინთოლოგიური კვლევები) - 60 ნიმუში;</b>		
5.1	Globodera palida - კარტოფილის მკრთალი ნემატოდა	30
5.2	Globodera rostochiensis - კარტოფილის ოქროსფერი ნემატოდა	30
5.3	Bursaphelenchus xylophilus - ფიჭვის ღეროს ნემატოდა	50
5.4	Meloidogyne chitwoodi - კოლუმბიური მეგაღე ნემატოდა	30
<b>6. სარეველები(ჰერბოლოგიური კვლევები) - 30 ნიმუში;</b>		
6.1	Ambrosia phsilostachya - ამბროზია მრავალწლიანი	10
6.2	Emex spinosa - ემექსი ეკლიანი	10
6.3	Euphorbia dentata - რძიანა დაკბილული	10

**7. მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენასთან დაკავშირებული კვლევები**

7.1	ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური კვლევები საჭიროების შემთხვევაში	
-----	---	--

## ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის პროგრამა

### მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“, „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ და „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის სამოქმედო გეგმას.

2. ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მცენარეთა საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების („განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმი“ - ორგანიზმი, რომელსაც ახასიათებს მასობრივი გავრცელება ან გამრავლება დიდ ტერიტორიაზე, მაღალი მავნეობა, და მოაქვს უდიდესი ზარალი სოფლის მეურნეობისათვის ან გარემოსათვის, ასევე, შეუძლია გამოიწვიოს საგანგებო მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის საგრძნობი დანაკარგების შედეგად) კონტროლს, ლაბორატორიულ გამოკვლევებს, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანასთან, მარკირებასთან, შენახვასთან, წარმოებასთან (დაფასობასთან), რეალიზაციასთან, გამოყენებასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის კონტროლს, პესტიციდების ხარისხის კონტროლს და შესაფუთი ხის მასალის მარკირების უფლების მქონე პირების კონტროლს.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შესწავლასა და შეფასებას, ქვეყანაში „სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ დანერგვას, მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას, ქვეყნის მოსახლეობის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

### მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები

1. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი; FAO-ს „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი“; „როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“; „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონი; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; „ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; „ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო

კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №463 დადგენილება; „საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების შემოჭრისა და გავრცელებისაგან საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული დაცვის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 იანვრის №2-7- №33 ერთობლივი ბრძანება; ტექნიკური რეგლამენტი „ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №447 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის- „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის-„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №451 დადგენილება; „იმ ბიზნესოპერატორის აღიარების წესი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №590 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდების წვრილი დაფასოების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №437 დადგენილება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 ოქტომბრის №2-1008 ბრძანება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 იანვრის № 2-29 ბრძანება; „ტექნიკური რეგლამენტი - „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე; საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №477 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტი - „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის №305 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტი - „სიმინდის დასავლეთის ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №11 დადგენილება; „კარტოფილის ცისტინი ნემატოდების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №302 დადგენილება“; „ტექნიკური რეგლამენტი - „კარტოფილის რგოლური სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის №553 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - „კარტოფილის მურა სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის №602 დადგენილება და სხვა ნორმატიული აქტები.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი განხორციელდება ქიმიური და ბიოლოგიური მცენარეთა დაცვისა და აგროქიმიური საშუალებების მწარმოებელ (დამფასოებელ), შემნახველ საწარმოში, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ქსელში.

3. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზანია:

ა) საქართველოში წარმოებული მცენარეების, მცენარეული პროდუქტის საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობის მიზნით, წარმოებისა და დასაწყობების ადგილებში ქვეყანაში არარეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების პრევენციისათვის მათი არსებობის და ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის დადგენა;

ბ) ქვეყნის ტერიტორიაზე მავნე ორგანიზმების მონიტორინგი, მათი მასობრივი გავრცელებით გამოწვეული მცენარის სიჯანსაღის საფრთხისა და სოფლის მეურნეობაში დიდი ეკონომიკური ზარალის თავიდან ასაცილებლად;

გ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგულირება მათი მიმოქცევისა და გამოყენებისას. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოების (დაფასოების), შემნახველი და სარეალიზაციო ობიექტების, ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის, მარკირების სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელება მაღალი, ხარისხიანი და უვნებელი მოსავლის მიღების და მოქმედი წესების დარღვევების აღმოფხვრის მიზნით;

#### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 98<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოწერს საჯარიმო ქვითარს.

#### **მუხლი 5. განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობა და მონიტორინგი**

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №463 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ დანართი №10-ით განსაზღვრულია საქართველოსათვის საკარანტინო მავნე ორგანიზმების (საქართველოში არარეგისტრირებული და საქართველოში შეზღუდულად გავრცელებული) მავნე ორგანიზმების ნუსხა, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს ფიტოსანიტარიული კონტროლი მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისას, ასევე ქვეყნის შიგნით, იმპორტიორი ქვეყნებისათვის საკარანტინო მნიშვნელობის მქონე მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონების, ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის, დადგენისათვის, რაც ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების პროცესში.

2. საექსპორტო პოტენციალის მქონე მცენარეული პროდუქტის ექსპორტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, იმპორტიორი მხარის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების შესაბამისად, მოყვანისა და დასაწყობების ადგილებში პროდუქტის სახეებისა და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიური საკარანტინო და სხვა რეგულირებადი მავნე

ორგანიზმების გამოსავლენად, ასევე ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასებისათვის განხორციელებული კონტროლისას აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევები.

3. წლის განმავლობაში განხორციელდება:

ა) გამოსაკვლევ ზონაში მავნე ორგანიზმების არსებობის დადგენის მიზნით, მონაცემების შეგროვება, გამოკითხვა, საჭიროებისას ნიმუშის აღება;

ბ) მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტის მოყვანისა და დასაწყობების ადგილებში, საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გამოვლენისა და დიაგნოსტიკისათვის, ფიტოსანიტარიული მონიტორინგი და ზედამხედველობა.

4. განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიზნით კახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ.თბილისის ტერიტორიებზე განთავსდება სავარაუდოდ 1194 ცალი მწერსაჭერი ენტომოლოგიური გამოკვლევებისათვის; მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკისათვის (ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური) ანალიზი (ლაბორატორიული გამოკვლევა) ჩატარდება სავარაუდოდ 1624 ნიმუშს. (დანართი №3.1)

5. ფიტოსანიტარიული კონტროლის პროგრამის გახორციელების პროცესში, ფიტოსანიტარიული რისკების გათვალისწინებით, მცენარეთა სიჯანსაღისთვის საფრთხის შემცველი მავნე ორგანიზმების ან ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენისას განხორციელდება მავნე ორგანიზმების კვლევა, მათი იდენტიფიცირების მიზნით, დანართი №3.1-ის მიხედვით.

## **მუხლი 6. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლი**

1. წლის განმავლობაში განხორციელდება წარმოების პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დაფასების, მარკირების, შენახვის, რეალიზაციის და გამოყენების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემოწმება (ზედამხედველობა) და პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი - ნიმუშების აღება.

2. 2019 წლის მონაცემებით აღიარებულია, მათ შორის, დროებითი აღიარება მინიჭებული აქვს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების 525 სარეალიზაციო ობიექტს. 2020 წელს განხორციელდება მათი კონტროლი, ასევე, დაინტერესებული ბიზნესოპერატორების მომართვის შემთხვევაში, განხორციელდება კონტროლი აღიარების მინიჭების მიზნით.

3. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მონიტორინგის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია:

ა) წინა წლების უხარისხო, ვადაგასული, არარეგისტრირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგების შემთხვევები;

ბ) სააგენტოსათვის მომხმარებლის მიმართვის შემთხვევები;

გ) წინა წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;

დ) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

4. ვინაიდან, ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი აკრედიტირებული ლაბორატორია, რომელსაც გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობები - მოწმდება პესტიციდების 55 მოქმედი ნივთიერება და აგროქიმიკატების ძირითადი კვებითი მაკრო ელემენტები, შესაბამისად, არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული, გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, მონიტორინგისას 2020 წელს აღებული და გამოკვლეული იქნება სხვადასხვა დასახელების ერთკომპონენტური და ორკომპონენტური პესტიციდების სავარაუდოდ 330 ნიმუში (430 ანალიზი) და ერთკომპონენტური, ორკომპონენტური და სამკომპონენტური აგროქიმიკატების სავარაუდოდ – 50 ნიმუში (90 ანალიზი), სულ, 380 ნიმუში (520 ანალიზი), მათ შორის:

ა) პესტიციდები:

ა.ა) ერთკომპონენტური - 230 ნიმუში ( 230 ანალიზი);

ა.ბ) ორკომპონენტური - 100 ნიმუში (200 ანალიზი),

ბ) აგროქიმიკატები:

ბ.ა) ერთკომპონენტური (აზოტი - N) – 26 ნიმუში (26 ანალიზი);

ბ.ბ) ორკომპონენტური (აზოტი - N + ფოსფორი - P) – 8 ნიმუში (16 ანალიზი);

ბ.გ) სამკომპონენტური (აზოტი - N + ფოსფორი - P + კალიუმი - K) – 16 ცალი (48 ანალიზი).

## **მუხლი 7. ინსპექტირება**

დაინტერესებული პირების მომართვის შემთხვევაში განხორციელდება მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის ვიზუალური შემოწმება (დახედვა) მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპორტისა და რეექსპორტის დროს.

## **მუხლი 8. მოსალოდნელი შედეგები**

1. შესწავლილ იქნება საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მდგომარეობა, საჭიროებისას დროული ფიტოსანიტარიული ზომების დასაგეგმად და ქვეყნიდან მცენარეული პროდუქტის ექსპორტის ხელშესაწყობად.

2. შემოწმებული იქნება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მწარმოებელი (დამფასოებელი), შემნახველი, სარეალიზაციო ობიექტები და მათი საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

3. გამოვლენილი იქნება ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, აკრძალული, ვადაგასული და უვარგისი პესტიციდებითა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსების და გამოყენების ფაქტები.



ნიმუშების ლაბორატორილი გამოკვლევები:

№	მცენარეთა მავნე ორგანიზმი	ნიმუშის რაოდენობა, ცალი (სულ 1624)
<b>1. მავნებლები (ენტომოლოგიური კვლევა) - 1194 ნიმუში;</b>		
1	Bactrocera dorsalis - აღმოსავლური ხილის ბუზი	276
2	Ceratitis capitata - ხმელთაშუაზღვის ნაყოფის ბუზი	18
3	Aleurocanthus woglumi - შავი ფრთათეთრა	150
4	Diabrotica virgifera virgifera - სიმინდის დასავლეთის ხოჭო	300
5	Frankliniella occidentalis - დასავლეთის ყვავილის თრიფსი	50
6	Paysandisi archon - პალმის ჩრჩილი	50
7	Rhynchophorus ferrugineus - პალმის წითელი ცხვირგრძელა	50
8	Anoplopora Grablipenis - აზიური ხარაბუზა	50
9	Rhagoletis pomonella - ვაშლის ბუზი	50
10	Spodoptera litoralis - ეგვიპტური ბამბის ხვატარი	50
11	Bemisia tabaci - ბამბის ფრთათეთრა	100
12	Carposina Sasakii - ატმის ნაყოფჭამია	50
<b>2. ბაქტერიები (ბაქტერიოლოგიური კვლევები) - 150 ნიმუში;</b>		
13	Erwinia amylovera - ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე	30
14	Clavibacter michiganensis subsp sependonicus - კარტოფილის რგოლური სიდამძლე	20
15	Ralstonia solanacearum - კარტოფილის მურა სიდამძლე	20
16	Pseudomonas syringae pv actinidiae - კივის ბაქტერიული სიდამძლე	20
17	Xylella fastidiosa - პირსის დაავადება (ვაზის ბაქტერიოზი)	20
18	Xylophilus ampelinus - ვაზის ბაქტერიული ჭკნობა	20
19	Xanthomonas fragariae - ხენდროს კუთხოვანი ლაქიანობა	20
<b>3. ვირუსები(ვირუსოლოგიური კვლევები) - 40 ნიმუში;</b>		
20	Peach rosette mosaic virus - ატმის მოზაიკის ვირუსი	10
21	Plum pox poty virus - ქლიავის ჩოფურა (შარკა)	10

1		
2 2	Citrus mosaic virus - ციტრუსოვანთა მოზაიკური ვირუსი	10
2 3	Citrus tristeza closterovirus - ციტრუსოვანთა ტრისტეზა კლოსტეროვირუსი	10
<b>4. სოკოები(მიკოლოგიური კვლევები) - 90 ნიმუში;</b>		
2 4	Guignardia citricarpa - ციტრუსოვანთა შავი სიდამპლე	30
2 5	Synchytrium endobioticum - კარტოფილის კიბო	30
2 6	Stenocarpella maydis - სიმინდის ტაროს მშრალი სიდამპლე	30
<b>5. ნემატოდები (ჰელმინთოლოგიური კვლევები) - 120 ნიმუში;</b>		
2 7	Globodera palida - კარტოფილის მკრთალი ნემატოდა	30
2 8	Globodera rostochiensis - კარტოფილის ოქროსფერი ნემატოდა	30
2 9	Bursaphelenchus xylophilus - ფიჭვის ღეროს ნემატოდა	30
3 0	Meloidogyne chitwoodi - კოლუმბიური მეგაღე ნემატოდა	30
<b>6. სარეველები(ჰერბოლოგიური კვლევები) - 30 ნიმუში;</b>		
3 1	Ambrosia phisilostachya - ამბროზია მრავალწლიანი	10
3 2	Emex spinosa - ემექსი ეკლიანი	10
3 3	Euphorbia dentata - რძიანა დაკბილული	10
<b>7. მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენასთან დაკავშირებული კვლევები</b>		
3 4	ენტომოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, მიკოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური კვლევები საჭიროების შემთხვევაში	

ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის  
2021 წლის პროგრამა

**მუხლი 1. შესავალი**

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“, „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ და „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2021 წლის სამოქმედო გეგმას.

2. მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების კონტროლს, ლაბორატორიულ გამოკვლევებს, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანასთან, მარკირებასთან, შენახვასთან, წარმოებასთან (დაფასობასთან), რელიზაციასთან, გამოყენებასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის კონტროლს, პესტიციდების ხარისხის კონტროლს და შესაფუთი ხის მასალის მარკირების უფლების მქონე პირების კონტროლს.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შესწავლასა და შეფასებას, ქვეყანაში „სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ დანერგვას, მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას, ქვეყნის მოსახლეობის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

**მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები**

1. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი; FAO-ს „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი“; „როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის

პროცედურის შესახებ“; „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონი; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; „ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის და რეექპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; „ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №463 დადგენილება; „საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების შეღწევისა და გავრცელებისაგან საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული დაცვის წესების შესახებ“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 იანვრის N2-7-N33 საერთო ბრძანება; ტექნიკური რეგლამენტი „ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №447 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის-„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის-„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №451 დადგენილება; „იმ ბიზნესოპერატორის აღიარების წესი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №590 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდების წვრილი დაფასობის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №437 დადგენილება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 ოქტომბრის N 2-1008 ბრძანება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 იანვრის №2-29 ბრძანება; საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესი“; ტექნიკური რეგლამენტი „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს

მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის №305 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტი „სიმინდის დასავლეთის ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლის წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №11 დადგენილება; „კარტოფილის ცისტანი ნემატოდების კონტროლის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №302 დადგენილება“, ტექნიკური რეგლამენტი „კარტოფილის რგოლური სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის N 553 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტი „კარტოფილის მურა სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №602 დადგენილება და სხვა ნორმატიული აქტები.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი განხორციელდება ქიმიური და ბიოლოგიური მცენარეთა დაცვისა და აგროქიმიური საშუალებების მწარმოებელ (დამფასოებელ), შემნახველ საწარმოში, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ქსელში.

3. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

### **მუხლი 3. პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზანია:

ა) საქართველოში წარმოებული მცენარეების, მცენარეული პროდუქტის საექსპორტო

პოტენციალის ხელშეწყობის მიზნით, წარმოებისა და დასაწყობების ადგილებში ქვეყანაში არარეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების პრევენციისათვის მათი არსებობის და ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის დადგენა;

ბ) ქვეყნის ტერიტორიაზე მავნე ორგანიზმების მონიტორინგი, მათი მასობრივი გავრცელებით გამოწვეული მცენარის სიჯანსაღის საფრთხისა და სოფლის მეურნეობაში დიდი ეკონომიკური ზარალის თავიდან ასაცილებლად;

გ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგულირება მათი მიმოქცევისა და გამოყენებისას. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოების (დაფასოების), შემნახველი და სარეალიზაციო ობიექტების, ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და

აგროქიმიკატების ხარისხის, მარკირების სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელება მაღალი, ხარისხიანი და უვნებელი მოსავლის მიღების და მოქმედი წესების დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

#### **მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება**

1. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირები.
2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 981-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოწერს საჯარიმო ქვითარს.

#### **მუხლი 5. საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების ზედამხედველობა და მონიტორინგი**

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №463 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-10 დანართით განსაზღვრულია საქართველოსათვის საკარანტინო მავნე ორგანიზმების (საქართველოში არარეგისტრირებული და საქართველოში შეზღუდულად გავრცელებული) ნუსხა, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს ფიტოსანიტარიული კონტროლი მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისას, ასევე ქვეყნის შიგნით, იმპორტიორი ქვეყნებისათვის საკარანტინო მნიშვნელობის მქონე მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონების, ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის, დადგენისათვის, რაც ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების პროცესში.

2. საექსპორტო პოტენციალის მქონე მცენარეული პროდუქციის ექსპორტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, იმპორტიორი მხარის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების შესაბამისად, მოყვანისა და დასაწყობების ადგილებში პროდუქციის სახეებისა და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიური საკარანტინო და სხვა რეგულირებადი მავნე ორგანიზმების გამოსავლენად, ასევე ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასებისათვის განხორციელებული კონტროლისას აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევები.

3. წლის განმავლობაში განხორციელდება:

ა) გამოსაკვლევ ზონაში მავნე ორგანიზმების არსებობის დადგენის მიზნით, მონაცემების შეგროვება, გამოკითხვა, საჭიროებისას ნიმუშის აღება;

ბ) მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტის მოყვანისა და დასაწყობების

ადგილებში, საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების გამოვლენისა და დიაგნოსტიკისათვის, ფიტოსანიტარიული მონიტორინგი და ზედამხედველობა.

4. საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიზნით კახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ.თბილისის ტერიტორიებზე, მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკისათვის (ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური) ანალიზი (ლაბორატორიული გამოკვლევა) ჩაუტარდება სავარაუდოდ 1410 ნიმუშს. (დანართი №3.1)

5. მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის გახორციელების პროცესში, ფიტოსანიტარიული რისკების გათვალისწინებით, მცენარეთა სიჯანსაღისთვის საფრთხის შემცველი მავნე ორგანიზმების ან ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენისას განხორციელდება მავნე ორგანიზმების კვლევა, მათი იდენტიფიცირების მიზნით, ანალიზი ჩაუტარდება სავარაუდოდ 100 ნიმუშს, დანართი №3.1-ის მიხედვით.

## **მუხლი 6. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლი**

1. წლის განმავლობაში განხორციელდება წარმოების პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დაფასოების, მარკირების, შენახვის, რეალიზაციის და გამოყენების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემოწმება (ზედამხედველობა) და პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი - ნიმუშების აღება.

2. 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით აღრიცხულია 660 ობიექტი, მათ შორის, უვადო ღიარება მინიჭებული აქვს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების 512 სარეალიზაციო ობიექტს. 2021 წელს განხორციელდება მათი კონტროლი, ასევე, დაინტერესებული ბიზნესსუბიექტების მომართვის შემთხვევაში, განხორციელდება კონტროლი აღიარების მინიჭების მიზნით.

3. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მონიტორინგის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია:

ა) წინა წლების უხარისხო, ვადაგასული, არარეგისტრირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგების შემთხვევები;

ბ) სააგენტოსათვის მომხმარებლის მიმართვის შემთხვევები;

გ) წინა წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;

დ) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

4. ვინაიდან, ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი აკრედიტირებული ლაბორატორია, რომელსაც გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობები - მოწმდება პესტიციდების 73 მოქმედი ნივთიერება და აგროქიმიკატების ძირითადი კვებითი მაკრო ელემენტები, შესაბამისად, არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული, გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, მონიტორინგისას 2021 წელს აღებული და გამოკვლეული იქნება სხვადასხვა დასახელების ერთკომპონენტური და ორკომპონენტური პესტიციდების სავარაუდოდ 330 ნიმუში (430 ანალიზი) და ერთკომპონენტური, ორკომპონენტური და სამკომპონენტური აგროქიმიკატების სავარაუდოდ – 50 ნიმუში (90 ანალიზი), სულ, 380 ნიმუში (520 ანალიზი), მათ შორის:

ა) პესტიციდები:

ა.ა) ერთკომპონენტური - 230 ნიმუში ( 230 ანალიზი);

ა.ბ) ორკომპონენტური - 100 ნიმუში (200 ანალიზი),

ბ) აგროქიმიკატები:

ბ.ა) ერთკომპონენტური (აზოტი - N) – 26 ნიმუში (26 ანალიზი);

ბ.ბ) ორკომპონენტური (აზოტი - N + ფოსფორი - P) – 8 ნიმუში (16 ანალიზი);

ბ.გ) სამკომპონენტური (აზოტი - N + ფოსფორი - P + კალიუმი - K) – 16 ცალი (48 ანალიზი).

## მუხლი 7. ინსპექტირება

დაინტერესებული პირების მომართვის შემთხვევაში განხორციელდება მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის ვიზუალური შემოწმება (დახედვა) მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და



ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპორტისა და რეექსპორტის დროს.

**მუხლი 8. მოსალოდნელი შედეგები**

1. შესწავლილ იქნება საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მდგომარეობა, საჭიროებისას დროული ფიტოსანიტარიული ზომების დასაგეგმად და ქვეყნიდან მცენარეული პროდუქციის ექსპორტის ხელშესაწყობად.

2. შემოწმებული იქნება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მწარმოებელი (დამფასოებელი), შემნახველი, სარეალიზაციო ობიექტები და მათი საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

3. გამოვლენილი იქნება ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, აკრძალული, ვადაგასული და უვარგისი პესტიციდებითა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსების და გამოყენების ფაქტები.

**დანართი №3.1**

**ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევები:**

	მცენარეთა მავნე ორგანიზმი	ნიმუშის რაოდენობა, ცალი (სულ 1510)
<b>1. მავნებლები (ენტომოლოგიური კვლევა) - 1040 ნიმუში;</b>		
	Bactrocera dorsalis - აღმოსავლური ხილის ბუზი	50
	Ceratitis capitata - ხმელთაშუაზღვის ნაყოფის ბუზი	50
	Aleurocanthus woglumi - შავი ფრთათეთრა	150
	Diabrotica virgifera virgifera - სიმინდის დასავლური ხოჭო	200
	Frankliniella occidentalis - დასავლეთის ყვავილის თრიფსი	150

	Paysandisi archon - პალმის ჩრჩილი	50
	Rhynchophorus ferrugineus - პალმის წითელი ცხვირგრძელა	50
	Anoplopora Grablipenis - აზიური ხარაბუზა	50
	Rhagoletis pomonella - ვაშლის ბუზი	50
0	Bemisia tabaci - ზამზის ფრთათეთრა	150
1	Carposina Sasakii - ატმის ნაყოფჭამია	50
2	Lopholeucaspis japonica (Cockerell) იაპონური ჩხირისებრი ფარიანა	20
3	Aonidiella citrina – ნარინჯოვანთა ყვითელი ფარიანა	20
<b>2. ბაქტერიები (ბაქტერიოლოგიური კვლევები) - 150 ნიმუში;</b>		
4	Erwinia amylovera -ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე	30
5	Clavibacter michiganensis subsp sependonicus - კარტოფილის რგოლური სიდამპლე	20
6	Ralstonia solanacearum - კარტოფილის მურა სიდამპლე	20
7	Pseudomona syringae pv actinidiae - კივის ბაქტერიული სიდამპლე	20
8	Xylella fastidiosa - პირსის დაავადება (ვაზის ბაქტერიოზი)	10
9	Xylophilus ampelinus - ვაზის ბაქტერიული ჭკნობა	30

0	Xanthomonas fragariae - ხენდროს კუთხოვანი ლაქიანობა	20
<b>3. ვირუსები(ვირუსოლოგიური კვლევები) - 40 ნიმუში;</b>		
1	Peach rosette mosaic virus - ატმის მოზაიკის ვირუსი	10
2	Plum pox poty virus - ქლიავის ჩოფურა (შარკა)	10
3	Apple mosaic virus - ვაშლის მოზაიკური ვირუსი	10
4	Citrus tristeza closterovirus - ციტრუსოვანთა ტრისტეზა კლოსტეროვირუსი	10
<b>4. სოკოები(მიკოლოგიური კვლევები) - 55 ნიმუში;</b>		
5	Guignardia citricarpa - ციტრუსოვანთა შავი სიდამპლე	15
6	Synchytrium endobioticum - კარტოფილის კიბო	30
7	Stenocarpella maydis - სიმინდის ტაროს მშრალი სიდამპლე	10
<b>5. ნემატოდები (ჰელმინთოლოგიური კვლევები) – 95 ნიმუში;</b>		
8	Globodera palida - კარტოფილის მკრთალი ნემატოდა	20
9	Globodera rostochiensis - კარტოფილის ოქროსფერი ნემატოდა	20
0	Bursaphelenchus xylophilus - ფიჭვის ღეროს ნემატოდა	15

1	Meloidogyne chitwoodi - კოლუმბიური მეგაღე ნემატოდა	20
2	Ditylenchus destructor – კარტოფილის ღეროს ნემატოდა	20
<b>6. სარეველები(ჰერბოლოგიური კვლევები) - 30 ნიმუში;</b>		
3	Ambrosia phsilostachya - ამბროზია მრავალწლიანი	10
4	Emex spinosa - ემექსი ეკლიანი	10
5	Euphorbia dentata - რძიანა დაკბილული	10
<b>7. მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენასთან დაკავშირებული კვლევები -100 ნიმუში;</b>		
6	ენტომოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, მიკოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური კვლევები საჭიროების შემთხვევაში	100

## 2018 წელს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა

### დაცვის სფეროებში გატარებული ღონისძიებები

#### სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, რაც რისკის საფუძველზე შემდეგი მექანიზმებით ხორციელდება: ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი, ნიმუშის აღება, დოკუმენტური შემოწმება.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით, სააგენტო ინსპექტირებას ახორციელებს გაფრთხილების გარეშე, გეგმურად და არაგეგმურად.

**გეგმური ინსპექტირება** არის სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი, რომლის დროსაც ბიზნესოპერატორებთან მოწმდება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა სურსათის წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება რისკზე დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად.

2018 წელს ჩატარდა 5530 გეგმური ინსპექტირება, მათ შორის:

384 - სასაკლაოებში;

275 - ხორცისა და ხორცპროდუქტების საწარმო-სარეალიზაციო ობიექტებში;

137 - რძისა და რძის პროდუქტების (მათ შორის, 41 ყველის) საწარმოებში;

1310 - საზოგადოებრივი კვების ობიექტებში;

1486 - საბავშვო ბაგა-ბაღის კვების ბლოკებში და 137 - სკოლის ბუფეტებში;

35 - თევზისა და თევზის პროდუქტების საწარმოსა და სარეალიზაციო ობიექტებში;

58 - აგრარულ ბაზრებში;

37 - ნახევარფაბრიკატების საწარმოებში;

542 - პურფუნთუშეულის/ფქვილოვანი პროდუქციის საწარმოებსა და საკონდიტროებში;

95 - ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების საწარმოებში;

608 - მარკეტებში.

გარდა ამისა, გეგმური ინსპექტირება ჩატარდა თაფლის მწარმოებელ-რეალიზატორებთან, თხილისა და მზესუმზირის გადამამუშავებელ საწარმოებში, მცენარეული ცხიმის (ზეთი, მარგარინი), კვერცხის, ნაყინის, დაფასოებული სასმელი წყლის, სანელებლების, საკვებდანამატების, შაქრის, ჩიფსის, საკონსერვო, ჩაისა და ყავის საწარმოებში, სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტებზე, ხილ-ბოსტნეულის სარეალიზაციო, სადისტრიბუციო, საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტებში, წისქვილებში, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობებში.


არაგეგმური ინსპექტირება არის წინასწარი დაგეგმვის გარეშე ჩატარებული სახელმწიფო კონტროლი, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის შედეგების, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე. არაგეგმური ინსპექტირების საფუძველი შესაძლოა გახდეს მოსახლეობის ან სხვადასხვა უწყების შეტყობინება და ა.შ.

2018 წელს ჩატარდა 830 არაგეგმური ინსპექტირება, არაგეგმური ინსპექტირება აღიარების მინიჭების მიზნით - 219.

გადამოწმება - 6181.


✓ 2018 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სულ განახორციელა 12 760 ინსპექტირება.

2012-2018 წლების ინსპექტირებების სტატისტიკა



**დოკუმენტური შემოწმება** არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის, ჩანაწერებისა და სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების შემოწმება.

2018 წელს განხორციელდა 7155 დოკუმენტური შემოწმება საზოგადოებრივი კვების (რესტორანი, მზა კერძები, საშაურმე, სწრაფი კვება) ობიექტებში, საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულოებსა და სკოლის ბუფეტებში, სასურსათო მაღაზიებსა და მარკეტებში, აგრარულ ბაზრებში, სადისტრიბუციო და სარეალიზაციო ქსელში, საცხოვებელში, ხორცის სარეალიზაციო ობიექტებსა და სურსათის მწარმოებელ სხვა პროფილის ბიზნესოპერატორებთან.




### **მონიტორინგი**

მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის ფარგლებში ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების შესაბამისობის შესაფასებლად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მონიტორინგის ფარგლებში ხდება სარეალიზაციო ობიექტებიდან სურსათის ნიმუშების აღება და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევა.

### **ნიმუშის აღება**

2018 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა სათანადო წესით აიღეს და ლაბორატორიაში ჩააბარეს სურსათის (მათ შორის, სასმელი წყლის) 5000 ნიმუში/სინჯი. დარღვევა გამოვლინდა 797-ში (16%).



**ზედამხედველობა**

ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება მიმდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნასთან შეუსაბამო სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზარზე უკვე განთავსებულის ამოღება/გამოთხოვაზე, სააგენტოს მიერ გაცემული მითითებების შესრულებასა და სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებაზე. 2018 წელს განხორციელდა 791 ზედამხედველობა.

ვადაგასული სურსათის გამოყენებისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის შედეგად სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით განადგურდა:

ხორცი და ხორცპროდუქტები	107 162კგ.
სხვა მყარი სურსათი	6 903 კგ.
თხევადი სურსათი	16 645ლ.
კვერცხი	23 825ც.
ხორცი ფორმა N2-ის გარეშე	5 844კგ.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევა** (ჯარიმა): „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს შესაბამისად, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლინდა **2851** ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

დეპარტამენტში მიმდინარეობს მონაცემთა ელექტრონული აღრიცხვა მოქმედ სასაკლაოებზე დაკლულ ცხოველთა და ფრინველთა რაოდენობის შესახებ. 2018 წლის ბოლო მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებს ცხოველთა 103 და ფრინველთა 13 სასაკლაო, სადაც 2018 წლის



განმავლობაში დაიკლა 771 660 ცხოველი (მრპ - 193 355, წრპ - 414 133, ღორი - 146 350, ბოცვერი - 17 614, ცხენი - 208) და 10 746 209 ფრთა ფრინველი.

სულ გაიცა 373 454 ცალი ვეტერინარული მოწმობა ფორმა N2.

### გაცემული სერტიფიკატები


2018 წელს გაიცა 1538 ჰიგიენური, 41 შესაბამისობის შეფასების, 28 - აღიარების და 824 ვეტერინარული სერტიფიკატი.

### გაწეული კონსულტაციები

უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა 338 კონსულტაცია.

2018 წელს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტში შემოვიდა 1176 შეტყობინება (მოქალაქეთა სატელეფონო შეტყობინება - 1120, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან - 33, სხვა უწყებებიდან - 23), რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. დეპარტამენტში განხორციელდა აღნიშნული შეტყობინებებისა და შესაბამისი რეაგირებებისას მიღებული შედეგების ელექტრონული აღრიცხვა.

### შემოსული შეტყობინებების პროცენტული გადანაწილება სურსათის სახეობების მიხედვით



სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის ფარგლებში, შეფასდა და გაანალიზდა ბიზნესოპერატორების ინსპექტირების, დოკუმენტური შემოწმების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის შედეგები, შემუშავდა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის პროგრამა და განისაზღვრა პრიორიტეტები.

### მიღწეული შედეგები

სამომხმარებლო ბაზარზე მდგომარეობა წლიდან წლამდე უმჯობესდება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის მეტად დაცულობას; ამადღებულა სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობადობა, რასაც მოწმობს ცხელ ხაზსა და სოციალურ ქსელში შემოსულ შეტყობინებათა რაოდენობის მკვეთრი ზრდა; მომხმარებელი მეტად არის ინფორმირებული და ჩართული, ვიდრე გასულ წლებში. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც ბაზრის გაჯანსაღებისკენ არის მიმართული, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ურთიერთობა სახელმწიფოს, ბიზნესსა და

მომხმარებელს შორის, რის შედეგადაც გაიზარდა სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობა, ამალდა მოსახლეობის ცნობიერება და ბიზნესისთვის გაჩნდა კონკურენტული გარემო.

## ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა

ვეტერინარიის დეპარტამენტი ზრუნავს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებასა და კონტროლზე; ახორციელებს ეპიზოოტიური მდგომარეობის რისკის ანალიზს, ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციას; ადგენს ცხოველებისა და ადამიანების საერთო საშიში მასობრივი, გადამდები დაავადებების გაჩენა-გავრცელების მიზეზებს და იღებს საჭირო ზომებს ამ დაავადებების პრევენციის, პროფილაქტიკის, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად. ვეტერინარიის დეპარტამენტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მიმოქცევის კონტროლი, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის უზრუნველყოფა და კონტროლი, ბიზნესოპერატორებისთვის ვეტერინარული მომსახურება, ცხოველთა სნეულებების დიაგნოსტიკა; ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვაზე, ბიოლოგიური ნარჩენების შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე ზედამხედველობა.

### 2018 წელს ჩატარებული ვაქცინაციები:

- ✓ თურქულის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებული/რევაქცინირებულია 2 463 487 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, მათ შორის, 1 280 392 სული მსხვილფეხა და 1 183 095 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ ჯილეხის საწინააღმდეგოდ: 1 100 385 სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი, მათ შორის, 364 025 სული მსხვილფეხა, 731 519 სული წვრილფეხა პირუტყვი და 4 841 სული კენტკლიქიანი ცხოველი;
- ✓ ცოფის საწინააღმდეგოდ: 259 458 სული ძაღლი და კატა;
- ✓ ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ: 154 736 სული მსხვილფეხა და 6 104 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგოდ: 23 999 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგოდ: 339 655 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ: 738 180 სული მსხვილფეხა პირუტყვი;

### გამოკვლეულია:

- ✓ ბრუცელოზზე 8 355 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ✓ ალერგიული მეთოდით ტუბერკულოზზე - 10 095 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ✓ თურქულის არასტრუქტურულ ცილებზე (NSP) - 5 000 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ თურქულის სტრუქტურულ ცილებზე (SP) - 1 000 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე (პოსტვაქცინალური კვლევები) - 100 სული წვრილფეხა პირუტყვი;

- ✓ ცოფზე (პოსტვაქცინალური კვლევები) - 300 სული ძაღლი;
- ✓ ბრუცელოზზე (პოსტვაქცინალური კვლევები) - 50 სული წვრილფეხა პირუტყვი.

**დამუშავებულია:**

- ✓ ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების საწინააღმდეგოდ 6 459 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და ქვეყნის კეთილსაიმედოობისთვის ხორციელდება შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტები. 2018 წელს ქვემო ქართლის რეგიონში - ბოლნისის მუნიციპალიტეტში ცხოველთა გადასარეკ ტრასაზე აშენდა და დაემატა 1 ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტი (ბიოუსაფრთხოების პუნქტი). ქვეყნის მასშტაბით სულ ფუნქციონირებს 6 პუნქტი (3 ქვემო ქართლისა და 3 კახეთის რეგიონში), სადაც ხორციელდება ვეტერინარული ზედამხედველობა ცხოველების გადარეკვაზე და პარაზიტების საწინააღმდეგოდ მათი უფასო დამუშავება. 2018 წელს დამუშავდა 8 465 სული მსხვილფეხა და 713 168 სული წვრილფეხა პირუტყვი.

გატარებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად, მინიმუმამდე შემცირდა დაავადებების გავრცელების რისკი და ზოონოზური დაავადების შემთხვევების გამოვლინება ადამიანებში.

**ცოფის შემთხვევები**

2018 წელს დაფიქსირდა ცოფის 46 შემთხვევა, მათ შორისაა 23 ძაღლი, 1 კატა, 16 მსხვილფეხა პირუტყვი, 1 ღორი, 5 გარეული ცხოველი. 2018 წელს, 2013 წელთან შედარებით, ცოფის შემთხვევები ცხოველებში შემცირებულია 60 %-ით.

**ჯილეხის შემთხვევები**

2018 წელს სულ დაფიქსირებულია ჯილეხის 11 შემთხვევა, აქედან 9 მსხვილფეხა პირუტყვში, 1 ცხენსა და ხორცის ერთ ნიმუშში.

2018 წელს, 2013 წელთან შედარებით, ჯილეხის დაავადების შემთხვევები შემცირებულია 72,5 %-ით.

**ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია**

ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლის, აღრიცხვიანობის, მიკვლევადობის უზრუნველყოფის, ასევე, ეტიკეტირებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარეობს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, რაც პირუტყვის ვაქცინაციის თანმდევი პროცესია.


- პირველადი მონაცემებით, 2018 წელს იდენტიფიცირებულია 420 661 სული მსხვილფეხა, 70 571 სული წვრილფეხა პირუტყვი და 1 800 სული ღორი
- მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირდა 375 023 სული მსხვილფეხა, 72 763 სული წვრილფეხა პირუტყვი
- მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომოს/დროებითი სადგომის კონტროლის დროს შეუსაბამობა გამოვლინდა მსხვილფეხა საქონლის 29 (1,4%) და წვრილფეხა საქონლის 7 (6,1%) სადგომზე

- სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ვეტერინარული ქმედება დაურეგისტრირდა 1 074 676 სულ პირუტყვს
- ბრუცელოზის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ვაქცინაციასთან ერთად 152 351 სულ მსხვილფეხა საქონელზე გაიცა პასპორტი
- მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომოს/დროებითი სადგომის კონტროლის დროს შეუსაბამობა გამოვლინდა მსხვილფეხა საქონლის 29 (1,4%) და წვრილფეხა საქონლის 7 (6,1%) სადგომზე.

### ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია და კონტროლი

2018 წელს სარეგისტრაციოდ შემოვიდა 320 ვეტერინარული პრეპარატი. რეგისტრაციაში გატარდა 324 ვეტპრეპარატი (სარეგისტრაციო ვეტპრეპარატების გარკვეული ნაწილი გადმოვიდა 2017 წლიდან, ვინაიდან რეგისტრაციის პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს რამდენიმე თვე). რეგისტრირებული 324 ვეტპრეპარატიდან ეროვნული რეჟიმით დარეგისტრირდა 102 ვეტპრეპარატი, I რიგის ცვლილებით - 111, II რიგის ცვლილებით - 1, ეროვნული რეჟიმის ხელახალი რეგისტრაციით - 45, აღიარებითი რეჟიმით - 41, აღიარებითი რეჟიმის ცვლილებით - 22, აღიარებითი რეჟიმის ხელახალი რეგისტრაციით - 2. განუხილველი დარჩა - 25 ვეტპრეპარატის სარეგისტრაციო დოკუმენტები.

ვეტპრეპარატების სარეგისტრაციოდ მომსახურების გაწევის საფასურის სახით 2018 წელს სახელმწიფო ხაზინაში შეტანილია 186 825 ლარი.



2018 წელს:

- ინსპექტირებულია 316 ვეტერინარული ობიექტი. მათ შორისაა ვეტერინარული აფთიაქი, ვეტკლინიკა, ზოომდაზღია და ა. შ.
- ხარისხის მონიტორინგის მიზნით, ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა ვეტპრეპარატის 231 ნიმუშს. უვარგისად იქნა მიჩნეული საქართველოში წარმოებული 1 პრეპარატი. გამოვლინდა ასევე ვადაგასული პრეპარატის რეალიზაციის ფაქტი.

**მიღებული შედეგი:** გაიზარდა ქვეყანაში მაღალი ხარისხის პრეპარატების რეალიზაცია.

### **ექსპორტი**

სააგენტოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ქართულ პროდუქციაზე, მნიშვნელოვნად მოიმატა დაკლული ცხვრის ტანხორცის ექსპორტმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილზე შეიქმნა დამატებითი ღირებულება და ქვეყანამ მეტი შემოსავალი მიიღო.

2018 წელს საქართველოდან ექსპორტზე გავიდა:

- ✓ 127 139 სული მსხვილფეხა პირუტყვი
- ✓ 66 231 სული წვრილფეხა პირუტყვი და 249 375 ცხვრის დაკლული ტანხორცი
- ✓ მსხვილფეხა პირუტყვის 2 139 534 კგ დამარილებული ტყავი
- ✓ წვრილფეხა პირუტყვის 890 987 კგ დამარილებული ტყავი
- ✓ 1 163 977 კგ მატყლი
- ✓ 2 169 280 ფრთა ფრინველი
- ✓ 885 000 კგ მანგანუმის ოქსიდი
- ✓ 10 048 189 კგ თევზის ზეთი
- ✓ 15 513 961 კგ თევზის ფქვილი
- ✓ 152 030 კგ სოიოს ზეთი
- ✓ 56 00 კგ ხორბლის ქატო
- ✓ 3 442 512 ცალი საინკუბაციო კვერცხი.

### **ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობა**

ცხოველთა ჯანმრთელობასა და სეზონურ სამოვრებზე გადაადგილებაზე კონტროლის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ვეტერინარული ზედამხედველობის (ბიოუსაფრთხოების) პუნქტების ფუნქციონირება, სადაც 2018 წელს ინსექტოაკარიციდული პრეპარატებით დამუშავდა 8 465 სული მსხვილფეხა და 713 168 სული წვრილფეხა პირუტყვი.

## ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა

მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის ფუნქციაა ქვეყანაში საკარანტინო ღონისძიებების განხორციელება, მავნე ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელებისაგან ქვეყნის ტერიტორიის დაცვა. დეპარტამენტი ზრუნავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფიტოსანიტარიულ დიაგნოსტიკაზე, მავნე ორგანიზმების გავრცელების პროგნოზირებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებაზე, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის ფიტოსანიტარიულ საკარანტინო შემოწმებაზე.

მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით ახორციელებს მცენარეული წარმოშობის პროდუქციის, სატრანსპორტო საშუალებების, საწყობების და ობიექტის გაუსნებოვნების ორგანიზებას, არეგისტრირებს პესტიციდებსა და აგროქიმიკატებს, ახორციელებს ფიტოსანიტარიულ მონიტორინგსა და რისკის მართვას, პასუხისმგებელია ფიტოსანიტარიულ და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემაზე, ევალება ბიზნესოპერატორების ფიტოსანიტარიული მომსახურება.

### განსაკუთრებით საშიშ და საკარანტინო მავნებლებთან ბრძოლა

სააგენტო საკუთარი ძალებით ყოველწლიურად ახორციელებს ბრძოლის ღონისძიებებს განსაკუთრებით საშიშ და საკარანტინო მავნე ორგანიზმების (კალიები, ამერიკული თეთრი პეპელა, ბზის ალურა) წინააღმდეგ. გატარებული ღონისძიებების შედეგად მინიმუმამდე მცირდება მავნე ორგანიზმების საზიანო ზემოქმედება სასოფლო სამეურნეო კულტურებზე და მთლიანად მწვანე საფარზე.

#### 2018 წელს

- ✓ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამუშავდა **790 000** ჰექტარი ფართობი
- ✓ აზიური ფაროსანას მონიტორინგის მიზნით განთავსდა **8000** ფერომონიანი დამჭერი მთელი ქვეყნის მასშტაბით და **100 ათასი** ფერომონი „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურებისთვის ტყისა და სოფლების გარე პერიმეტრებზე
- ✓ კალიების და კუტკალიების წინააღმდეგ დამუშავდა **14 826** ჰექტარი
- ✓ ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ დამუშავდა **2 460** ჰექტარი.

### პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი

მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი სისტემატურად ახორციელებს სარეალიზაციო ქსელში განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის სახელმწიფო კონტროლს.

2018 წელს აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეულია პესტიციდის 300 და აგროქიმიკატის 48 (სულ 348) ნიმუში.

შემოწმდა ასევე პესტიციდების სარეალიზაციო 136 ობიექტი.

## მცენარეთა მავნე ორგანიზმების (მათ შორის საკარანტინო და არასაკარანტინო) ზედამხედველობა და მონიტორინგი

2018 წლის ფიტოსანიტარიული კონტროლის პროგრამით, განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიზნით, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე განთავსდა 400 ცალი ფერომონიანი სქესმჭერი ენტომოლოგიური გამოკვლევებისთვის; მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკისათვის (ენტომოლოგიური, ფიტოპათოლოგიური, ვირუსოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური) კვლევა ჩატარდა 734 ნიმუშს. მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმების გამოჩენისას შესაძლებელია სხვა მავნე ორგანიზმების კვლევა მათი იდენტიფიცირების მიზნით. ფიტოსანიტარიული კონტროლის დროს გათვალისწინებული იყო დამატებით 67 ნიმუშის აღება. კონტროლის პროგრამის მიმდინარეობისას ლაბორატორიიდან მიღებული 50 გამოცდის ოქმის საფუძველზე გამოვლინდა საქართველოსათვის საკარანტინო შემდეგი მავნე ორგანიზმები:

**ხეხილის ბაქტერიული სიღამწვრე** (*Erwinia amylovora*) – 6 (ქვემო ქართლი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი);

**კარტოფილის ოქროსფერი ნემატოდა** (*Globodera rostochiensis*) – 2 (ქვემო ქართლი);

**კარტოფილის კიბო** (*Synchytrium endobioticum*) – 5 (აჭარა);

**ციტრუსოვანთა შავი ფრთათეთრა** - 8 (აჭარა);

**ხმელთაშუა ზღვის ნაყოფის ბუზი** - (*Ceratitis capitata*) -29 (სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, გურია).

## ფიტოსანიტარიული ექსპორტის სერტიფიცირება

2018 წლის განმავლობაში სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამმართველოების მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მიერ მცენარეული წარმოშობის პროდუქციაზე გაცემულია 10 363 ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, მათ შორის, 10 046 ექსპორტის და 312 რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი.

ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ჩატარდა და გაცემული სერტიფიკატების საფუძველზე საქართველოდან ექსპორტირებულია 166 399 ტონა მცენარეული პროდუქცია, მათ შორის:

თხილი - 14 360 ტონა

დაფნა - 4 788 ტონა

ხე-მასალა - 333 107.19 მ<sup>3</sup>

ჩაი - 1 725 ტონა

ხურმა - 3 885 ტონა

ატამი - 4 119 ტონა

ვაშლატამა - 6 743 ტონა

სხვა ხილი - 3 449 ტონა

ბოსტნეული - 2 748 ტონა

მწვანილი - 3 693 ტონა

კარტოფილი - 16 981 ტონა

სამკურნალო მცენარეები - 8 932 ტონა.



## 2019 წელს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა

### დაცვის სფეროებში გატარებული ღონისძიებები

#### სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, რაც რისკის საფუძველზე შემდეგი მექანიზმებით ხორციელდება: ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი, ნიმუშის აღება, დოკუმენტური შემოწმება.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით, სააგენტო ინსპექტირებას ახორციელებს გაფრთხილების გარეშე, გეგმურად და არაგეგმურად.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის პროგრამიდან გამომდინარე, პრიორიტეტი მიენიჭა და რისკის დონის განსაზღვრის გარეშე განხორციელდა იმ ბიზნესოპერატორების გეგმური ინსპექტირება, რომლებიც წარმოადგენენ აგრარულ ბაზრებს, საბავშვო ბაღების კვების ბლოკებს, ახორციელებენ თხილისა და დაფნის ექსპორტს, ევროკავშირში თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტს, ცხოველის/ფრინველის დაკვლას ან/და ნედლი რძის თერმულ დამუშავებას.

გეგმური დოკუმენტური შემოწმებისას პრიორიტეტი მიენიჭა საბავშვო-ბაღების, სკოლების ბუფეტებისა და ხორცის სარეალიზაციო ობიექტების შემოწმებას.

**გეგმური ინსპექტირება** არის სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი, რომლის დროსაც ბიზნესოპერატორებთან მოწმდება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა სურსათის წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება რისკზე დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად.

2019 წელს ჩატარდა **6798** გეგმური ინსპექტირება, მათ შორის:

**403** - სასაკლაოებში;

**285** - ხორცისა და ხორცპროდუქტების საწარმო-სარეალიზაციო ობიექტებში;

**182** - რძისა და რძის პროდუქტების საწარმოებში (მათ შორის ნაყინი - 21);

**1452** - საზოგადოებრივი კვების ობიექტებში;

**1759** - საბავშვო ბაგა-ბაღის კვების ბლოკებში (მ.შ. 200 კერძო ბაღი) და **160** - სკოლის ბუფეტებში;

**49** - თევზისა და თევზის პროდუქტების საწარმოსა და სარეალიზაციო ობიექტებში;

**77** - აგრარულ ბაზრებში;

**61** - ნახევარფაბრიკატების საწარმოებში;

**434** - პურფუნთუშეულის/ფქვილოვანი პროდუქციის საწარმოებსა და საკონდიტროებში;

**61** - ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების საწარმოებში;

**1488** - მარკეტებში.

**50** - თხილის გადამამუშავებელ საწარმოებში.

გარდა ამისა, გეგმური ინსპექტირება ჩატარდა თავლის მწარმოებელ-რეალიზატორებთან, მცენარეული ცხიმის (ზეთი, მარგარინი), საკონსერვო წარმოებებში, კვერცხის, დაფასოებული სასმელი წყლის, სანელებლების, საკვებდანამატების, შაქრის, ჩიფსის, საკონსერვო, ჩაისა და ყავის საწარმოებში, სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტებზე, ხილ-ბოსტნეულის სარეალიზაციო, სადისტრიბუციო, საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტებში, წისქვილებში, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობებში.


**არაგეგმური ინსპექტირება** არის წინასწარი დაგეგმვის გარეშე ჩატარებული სახელმწიფო კონტროლი, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის შედეგების, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე. არაგეგმური ინსპექტირების საფუძველი შესაძლოა გახდეს მოსახლეობის ან სხვადასხვა უწყების შეტყობინება და ა.შ.

2019 წელს ჩატარდა **820** არაგეგმური ინსპექტირება, არაგეგმური ინსპექტირება აღიარების მინიჭების მიზნით **218**.

გადამოწმება - **8514**.


✓ **2019 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სულ განახორციელა 16 350 ინსპექტირება.**

2012-2019 წლების ინსპექტირებების სტატისტიკა



**დოკუმენტური შემოწმება** არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის, ჩანაწერებისა და სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტების შემოწმება.

2019 წელს განხორციელდა **8075** დოკუმენტური შემოწმება საზოგადოებრივი კვების (რესტორანი, მზა კერძები, საშაურმე, სწრაფი კვება) ობიექტებში, საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულოებსა და სკოლის ბუფეტებში, სასურსათო მაღაზიებსა და მარკეტებში, აგრარულ ბაზრებში, სადისტრიბუციო და სარეალიზაციო ქსელში, საცხოვებში, ხორცის სარეალიზაციო ობიექტებსა და სურსათის მწარმოებელ სხვა პროფილის ბიზნესოპერატორებთან.




### **მონიტორინგი**

მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის ფარგლებში ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების შესაბამისობის შესაფასებლად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მონიტორინგის ფარგლებში ხდება სარეალიზაციო ობიექტებიდან სურსათის ნიმუშების აღება და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევა.

### **ნიმუშის აღება**

2019 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა სათანადო წესით აიღეს და ლაბორატორიაში ჩააბარეს სურსათის (მათ შორის, სასმელი წყლის) **5240** ნიმუში/სინჯი. დარღვევა გამოვლინდა **11.5%**-ში.

### ნიმუშები



### ზედამხედველობა

ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება მიმდინარეობს ბიზნესოპერატორის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნასთან შეუსაბამო სურსათის/ცხოველის საკვების - ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზარზე უკვე განთავსებულის ამოღება/გამოთხოვაზე, სააგენტოს მიერ გაცემული მითითებების შესრულებასა და სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებაზე. 2019 წელს განხორციელდა **976** ზედამხედველობა.

ვადაგასული ან/და შეუსაბამო სურსათის გამოყენებისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის შედეგად სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით განადგურდა:

ხორცი და ხორცპროდუქტები	34622კგ.
სხვა მყარი სურსათი	4746კგ.
თხევადი სურსათი	1513ლ.
კვერცხი	32632ც.
ხორცი ფორმა N2-ის გარეშე	6314კგ.

**ზედამხედველობა ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოებში მიმდინარე დაკვლის პროცესზე** 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებდა ცხოველთა **100** და ფრინველთა **19** სასაკლაო. აღნიშნულ პერიოდში სასაკლაოებზე დაიკლა **550 652** ცხოველი (მკ - 174 202, წკ - 189 765, ღორი - 156 326, ბოცვერი - 29 960, ცხენი/ვირი - 399) და **10 807 885** ფრინველი.

გაიცა 360 401 ცალი ვეტერინარული მოწმობა ფორმა N2. ი მოწმობა ფორმა N2.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (ჯარიმა):** „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ შესაბამისად, სურსათის

უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლინდა **4674** ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

### **გაცემული სერტიფიკატები**

2019 წელს გაიცა 1635 ჰიგიენური, 65 შესაბამისობის შეფასების, 57 აღიარების და 774 ვეტერინარული სერტიფიკატი.

### **გაწეული კონსულტაციები**

უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა **609** კონსულტაცია.

2019 წელს დეპარტამენტში შემოვიდა **1172 შეტყობინება** (მოქალაქეთა სატელეფონო შეტყობინება - 1114, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან - 32, სხვა უწყებებიდან - 26), რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება.

ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის (DG SANTE) ევროპის კომისიის RASFF-ის სწრაფი განგაშის სისტემით სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა 22 შეტყობინება, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება დადგენილი დროის ინტერვალში.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2019 წლის პროგრამის ფარგლებში, შეფასდა და გაანალიზდა ბიზნესოპერატორების ინსპექტირების, დოკუმენტური შემოწმების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის შედეგები, შემუშავდა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის პროგრამა და განისაზღვრა პრიორიტეტები.

### **ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა**

ვეტერინარიის დეპარტამენტი ზრუნავს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებასა და კონტროლზე; ახორციელებს ეპიზოოტიური მდგომარეობის რისკის ანალიზს, ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციას; ადგენს ცხოველებისა და ადამიანების საერთო საშიში მასობრივი, გადამდები დაავადებების გაჩენა-გავრცელების მიზეზებს და იღებს საჭირო ზომებს ამ დაავადებების პრევენციის, პროფილაქტიკის, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად. ვეტერინარიის დეპარტამენტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მიმოქცევის კონტროლი, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის უზრუნველყოფა და კონტროლი, ბიზნესოპერატორებისთვის ვეტერინარული მომსახურება, ცხოველთა სნეულებების დიაგნოსტიკა; ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვაზე, ბიოლოგიური ნარჩენების შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე ზედამხედველობა.

**2019 წელს ჩატარებული ვაქცინაციები:**

- ✓ თურქულის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებული/რევაქცინირებულია 2 166 628 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, მათ შორის, 884 860 სული მსხვილფეხა და 1 281 768 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ ჯილეხის საწინააღმდეგოდ: 1 057 206 სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი, მათ შორის, 410 118 სული მსხვილფეხა, 642 856 სული წვრილფეხა პირუტყვი და 4 230 სული კენტლიქიანი ცხოველი;
- ✓ ცოფის საწინააღმდეგოდ: 283 399 სული ძაღლი და კატა;
- ✓ ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ: 210 754 სული მსხვილფეხა და 251 615 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგოდ: 166 251 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგოდ: 283 847 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ: 476 918 სული მსხვილფეხა პირუტყვი;

#### **გამოკვლეულია:**

- ✓ ბრუცელოზზე - 3550 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ✓ ალერგიული მეთოდით ტუბერკულოზზე - 10 040 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ✓ თურქულის არასტრუქტურულ ცილებზე (NSP) – 5 000 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ თურქულის სტრუქტურულ ცილებზე (SP) – 1 000 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე (პოსტვაქცინალური კვლევები) - 199 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ ცოფზე (პოსტვაქცინალური კვლევები) - 300 სული ძაღლი;
- ✓ ბრუცელოზზე (პოსტვაქცინალური კვლევები) - 700 სული წვრილფეხა პირუტყვი.

#### **დამუშავებულია:**

- ✓ ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების საწინააღმდეგოდ 4 280 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

#### **ცოფის შემთხვევები**

2019 წელს დაფიქსირდა ცოფის 50 შემთხვევა, მათ შორისაა 31 ძაღლი, 14 მსხვილფეხა და 2 წვრილფეხა პირუტყვი, 1 ღორი, 2 გარეული ცხოველი. 2019 წელს, 2013 წელთან შედარებით, ცოფის შემთხვევები ცხოველებში შემცირებულია 57 %-ით.

ინფექციის კერებში ვაქცინირებულია 25 000 სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი.

#### **ჯილეხის შემთხვევები**

2019 წელს სულ დაფიქსირებულია ჯილეხის 6 შემთხვევა, აქედან 2 მსხვილფეხა პირუტყვში, 2 წვრილფეხა პირუტყვში, 1 ნიადაგში და 1 - გარემოდან აღებულ ნიმუშში.

2019 წელს, 2013 წელთან შედარებით, ჯილეხის დაავადების შემთხვევები შემცირებულია 85% - ით.

ინფექციის კერებში ვაქცინირებულია 4 500 სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი.

**გატარებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად მინიმუმამდე შემცირდა დაავადებების გავრცელების რისკი და ზოონოზური დაავადების შემთხვევების გამოვლინება ადამიანებში.**

### **ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია**

ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლის, აღრიცხვიანობის, მიკვლევადობის უზრუნველყოფის, ასევე, ეტიკეტირებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარეობს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, რაც პირუტყვის ვაქცინაციის თანმდევი პროცესია.


- 2019 წელს იდენტიფიცირებულია 417 000 სული მსხვილფეხა, 365 000 სული წვრილფეხა პირუტყვი და 1500 სული ღორი
- მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირდა 356 923 სული მსხვილფეხა, 305 145 სული წვრილფეხა პირუტყვი
- მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის კონტროლის დროს შეუსაბამობა გამოვლინდა მსხვილფეხა საქონლის 4 სადგომზე
- სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ვეტერინარული ქმედება დაურეგისტრირდა 1 106 929 სულ პირუტყვს
- ბრუცელოზის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ვაქცინაციასთან ერთად 210 754 სულ მსხვილფეხა საქონელზე გაიცა პასპორტი

### **ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია და კონტროლი**

2019 წელს სარეგისტრაციოდ შემოვიდა 288 ვეტერინარული პრეპარატი. რეგისტრაციაში გატარდა 272 ვეტპრეპარატი (სარეგისტრაციო ვეტპრეპარატების გარკვეული ნაწილი გადმოვიდა 2018 წლიდან, ვინაიდან რეგისტრაციის პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს რამდენიმე თვე). რეგისტრირებული 272 ვეტპრეპარატიდან ეროვნული რეჟიმით დარეგისტრირდა 65 ვეტპრეპარატი, I რიგის ცვლილებით - 90, II რიგის ცვლილებით - 6, ეროვნული რეჟიმის ხელახალი რეგისტრაციით - 44, აღიარებითი რეჟიმით - 47, აღიარებითი რეჟიმის ცვლილებით - 14, აღიარებითი რეჟიმის ხელახალი რეგისტრაციით - 6, განუხილველი დარჩა - 14 ვეტპრეპარატის სარეგისტრაციო დოკუმენტები.

ვეტპრეპარატების სარეგისტრაციოდ მომსახურების გაწევის საფასურის სახით 2019 წელს სახელმწიფო ხაზინაში შეტანილია 145 425 ლარი.

## 2019 წელს რეგისტრირებული ვეტპრეპარატები



### 2019 წელს:

- ✓ ხარისხის მონიტორინგის მიზნით, ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა ვეტპრეპარატის 228 ნიმუშს (მ.შ. 18 არაგეგმური);
- ✓ ინსპექტირებულია 399 ვეტერინარული ობიექტი. მათ შორისაა 294 ვეტერინარული აფთიაქი, 15 ვეტკლინიკა, 40 ზოომდაზია, საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების გამომყენებელი 21 ობიექტი, ცოცხალი ცხოველების სარეალიზაციო 29 ბაზრობა;
- ✓ ხარისხის მონიტორინგის მიზნით, ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა ვეტპრეპარატის 228 ნიმუშს (მ.შ. 18 არაგეგმური);
- ✓ შემოსული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა 25 არაგეგმური ინსპექტირება;
- ✓ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაჯარიმდა 29 ბიზნესოპერატორი;
- ✓ დარეგისტრირდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების გამომყენებელი 8 ობიექტი;
- ✓ აღიარებული იქნა შინაური ბინადარი ცხოველების საკვების დამამზადებელი 3 საწარმო და თევზის ფქვილის დამამზადებელი 4 საწარმო;
- ✓ ცოცხალ ცხოველებში ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებული და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაგზავნილია 325 ცხოველის ბიოლოგიური სითხეებისა და ქსოვილების 750 ნიმუში;
- ✓ შინაური ბინადარი ცხოველის ცხოველური წარმოშობის გადამუშავებული საკვების ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებული და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაგზავნილია 20 ნიმუში;
- ✓ თევზის ფქვილის ლაბორატორიული კვლევის (არაგეგმური) მიზნით აღებული და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაგზავნილია 9 ნიმუში.



მიღებული შედეგი: გაიზარდა ქვეყანაში მაღალი ხარისხის პრეპარატების რეალიზაცია.

## ექსპორტი

2019 წელს საქართველოდან ექსპორტზე გავიდა:

- ✓ 92 554 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ✓ 153 821 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ✓ მსხვილფეხა პირუტყვის 2 829 363 კგ დამარილებული ტყავი;
- ✓ წვრილფეხა პირუტყვის 482 087 კგ დამარილებული ტყავი;
- ✓ ქრომირებული ტყავი 217 701 კგ;
- ✓ 532 663 კგ მატყლი;
- ✓ 5 389 543 ფრთა ფრინველი;
- ✓ 1 307 500 კგ მანგანუმის ოქსიდი;
- ✓ 10 265 280 კგ თევზის ზეთი;
- ✓ 26 126 444 კგ თევზის ფქვილი;
- ✓ 100 990 კგ სოიოს ზეთი;
- ✓ 1496 კგ ვეტპრეპარატი;
- ✓ 63 000 კგ თევზის საკვები;
- ✓ 1 362 430 კგ მზესუმზირის შროტი;
- ✓ 40000 კგ საკვებდანამატი;
- ✓ 2 772 889 კგ სოიოს შროტი;
- ✓ 4 324 320 ცალი საინკუბაციო კვერცხი;
- ✓ 4 525 342 კგ ცხოველთა საკვები;
- ✓ 95 180 კგ მრკ-ს წიგნარა.

## ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობა

ცხოველთა ჯანმრთელობასა და სეზონურ სამოვრებზე გადაადგილებაზე კონტროლის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ვეტერინარული ზედამხედველობის (ბიოუსაფრთხოების) პუნქტების ფუნქციონირება. ქვეყნის მასშტაბით სულ ფუნქციონირებს 6 პუნქტი (3 ქვემო ქართლისა და 3 კახეთის რეგიონში), სადაც 2019 წელს ინსექტოაკარიციდული პრეპარატებით დამუშავდა **11 659** სული მსხვილფეხა და **707 080** სული წვრილფეხა პირუტყვი.

## ფიტოსანიტარიული კეთილსამედობის უზრუნველყოფა

მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის ფუნქციას ქვეყანაში საკარანტინო ღონისძიებების განხორციელება, მავნე ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელებისაგან ქვეყნის ტერიტორიის დაცვა. დეპარტამენტი ზრუნავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფიტოსანიტარიულ დიაგნოსტიკაზე, მავნე ორგანიზმების გავრცელების პროგნოზირებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებაზე, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის ფიტოსანიტარიულ საკარანტინო შემოწმებაზე.

მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით ახორციელებს მცენარეული წარმოშობის პროდუქციის, სატრანსპორტო საშუალებების, საწყობების და ობიექტის გაუსწებოვნების ორგანიზებას, არეგისტრირებს პესტიციდებსა და აგროქიმიკატებს, ახორციელებს ფიტოსანიტარიულ მონიტორინგსა და რისკის მართვას, პასუხისმგებელია ფიტოსანიტარიულ და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემაზე, ევალუა ბიზნესოპერატორების ფიტოსანიტარიული მომსახურება.

### განსაკუთრებით საშიშ და საკარანტინო მავნებლებთან ბრძოლა

სააგენტო საკუთარი ძალებით ყოველწლიურად ახორციელებს ბრძოლის ღონისძიებებს განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ. გატარებული ღონისძიებების შედეგად მინიმუმამდე მცირდება მავნე ორგანიზმების საზიანო ზემოქმედება სასოფლო სამეურნეო კულტურებზე და მთლიანად მწვანე საფარზე.

#### 2019 წელს

- ✓ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში დამუშავდა 437 349 ჰექტარი ფართობი, მათ შორის, მაღალი წარმადობის გენერატორით დამუშავებულია 8000 ჰექტარი ფართობი
- ✓ კალიებისა და სხვა არასაკარანტინო მავნებლების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 34 374.6 ჰექტარი ფართობი
- ✓ ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების, კოლოების წინააღმდეგ 2019 წლის 31 მაისიდან 29 ივლისის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მაისის N1253 და 2 ივლისის N1530 განკარგულებების „სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში ტრანსმისიული დაავადებების გადამტანებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარების შესახებ“ ფარგლებში, კახეთის რეგიონში - გურჯაანის, თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში სააგენტოს სპეციალური ტექნიკის გამოყენებით დამუშავდა 6 908,4 ჰექტარი ფართობი.

## პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი

მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი სისტემატურად ახორციელებს სარეალიზაციო ქსელში განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის სახელმწიფო კონტროლს.

2019 წელს აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეულია პესტიციდის **316** და აგროქიმიკატის **44** (სულ **360**) ნიმუში.

შემოწმდა ასევე პესტიციდების სარეალიზაციო **150** ობიექტი.

## მცენარეთა მავნე ორგანიზმების (მათ შორის საკარანტინო და არასაკარანტინო) ზედამხედველობა და მონიტორინგი

2019 წლის ფიტოსანიტარიული კონტროლის პროგრამით, განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიზნით, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე განთავსდა **1400** ცალი ფერომონიანი სქესმჭერი ენტომოლოგიური გამოკვლევებისთვის; მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკისათვის (ენტომოლოგიური, ფიტოპათოლოგიური, ვირუსოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური) კვლევა ჩატარდა **1961** ნიმუშს. მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმების გამოჩენისას შესაძლებელია სხვა მავნე ორგანიზმების კვლევა მათი იდენტიფიცირების მიზნით. ფიტოსანიტარიული კონტროლის დროს გათვალისწინებული იყო დამატებით **103** ნიმუშის აღება. კონტროლის პროგრამის მიმდინარეობისას ლაბორატორიიდან მიღებული **1961** გამოცდის ოქმის საფუძველზე გამოვლინდა საქართველოსათვის საკარანტინო შემდეგი მავნე ორგანიზმები:

1. ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე (*Erwinia amylovora*) – 1 (კახეთი),
2. ხმელთაშუა ზღვის ნაყოფის ბუზი (*Ceratitis capitata*) – 10 (მცხეთა-მთიანეთი - 2, კახეთი - 8)
3. სიმინდის ტაროს მშრალი სიდამპლე (*Stenocarpella maydis*) – 5 (სამეგრელო/ ზემო სვანეთი-4, გურია- 1)
4. დასავლეთის ყვავილის თრიფსი - *Frankliniella occidentalis* – 4 ( იმერეთი)
5. კარტოფილია კიბო- *Synchytrium endobioticum*- 8 ( აჭარა-5, სამეგრელო-ზემო სვანეთი-3)
6. ციტრუსავანთა შავი ფრთათეთრა *Aleurocanthus woglumi* – 44 (აჭარა)
7. კარტოფილის ოქროსფერი ნემატოდა (*Globodera rostochiensis*) – 9 (რაჭა - ლეჩხუმი /ქვემო სვანეთი )
8. ციტრუსოვანთა ტრისტეზა (კლოსტეროვირუსი) *Citrus tristeza closterovirus* -3 ( გურია).

## ფიტოსანიტარიული ექსპორტის სერტიფიცირება

2019 წლის განმავლობაში სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამმართველოების მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მიერ მცენარეული წარმოშობის პროდუქციაზე გაცემულია

**13 170** ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, მათ შორის, **12 923** ექსპორტის და 2 რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი.

ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ჩაუტარდა და გაცემული სერტიფიკატების საფუძველზე საქართველოდან ექსპორტირებულია **89 792 102** ტონა მცენარეული პროდუქცია, მათ შორის:

თხილი - **14491** ტონა

დაფნა - **4959** ტონა

ხე-მასალა - 67418,814 მ<sup>3</sup>

ჩაი - 1144 ტონა

ხურმა - 5914 ტონა

ატამი - 3541 ტონა

ვაშლატამა - 7461 ტონა

სხვა ხილი - **1405** ტონა

ბოსტნეული - **2386** ტონა

მწვანელი - **3580** ტონა

კარტოფილი - **3476** ტონა.



სურსათის  
ეროვნული  
სააგენტო

2020 წელი

## სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის ეროვნული სააგენტო საქმიანობას ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სტრატეგიის შესაბამისად, რომლის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ბაზარზე ვითარების გაჯანსაღება და სურსათის უვნებლობის თანამედროვე სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვა;
- ნდობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;
- ქვეყნის დაცვა ცხოველთა სხვადასხვა დაავადებისაგან და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა მცენარეთა მავნე ორგანიზმებისგან;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

2020 წელს ევროკომისიამ დადებითად შეაფასა საქართველოს სახელმწიფო კონტროლის სისტემა და საქართველო დაამატა მესამე ქვეყნების ჩამონათვალს, საიდანაც ევროკავშირის ქვეყნებში შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღვი, კატა) საკვების შეტანა ნებადართულია.

ბოლო წლებში ჩატარებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და ვეტერინარული ღონისძიებების შედეგად, 2020 წლის ბოლოს ქართული თაფლის მორიგი პარტია (10 ტონა) ევროკავშირის ბაზარზე გავიდა.

## სურსათის ეროვნული სააგენტო პანდემიის პირისპირ

2020 წელს პანდემიით შექმნილმა მდგომარეობამ სურსათის ეროვნული სააგენტო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ძირითად საქმიანობასთან ერთად, რომელიც მოიცავს უვნებელი სურსათის მიწოდების შენარჩუნებას, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას, ქვეყნის ვეტერინარულ კეთილსაიმედოობასა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების შეუფერხებლად გატარებას, სააგენტო აქტიურად ჩაერთო COVID-19-ის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებში.

- ✓ ქვეყანაში ვირუსის გამოვლენისთანავე დაიწყო ბიზნესოპერატორების (საზოგადოებრივი კვების ობიექტები, მარკეტები და სხვ. სულ 5520 ობიექტი) ინფორმირება შესაბამისი მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესახებ. საქართველოს ათ რეგიონსა და დედაქალაქში მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა სუპერმარკეტების ქსელში არსებული 17 დასახელების სურსათისა და ჰიგიენური საშუალებების ფასთა მონიტორინგი;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკარანტინე სივრცეებში არსებულ საზოგადოებრივი კვების ობიექტებს. საკარანტინე დანიშნულებისთვის გამოყოფილი 53 სასტუმროს სამზარეულოში ჩატარდა სახელმწიფო კონტროლი. ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებულ იქნა სასმელი წყლის სინჯები;
- ✓ COVID-19-ის გავრცელების რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ 90-მდე აგრარულ ბაზარში ჩატარდა მასშტაბური სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები. ბაზრების ადმინისტრაციებმა და პერსონალმა სააგენტოს ინსპექტორების ზედამხედველობით უზრუნველყვეს ტერიტორიებიდან ნარჩენების გატანა, ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის განახლება, მოსაპირკეთებელი და დასუფთავების სამუშაოების ჩატარება. შედეგად, ობიექტებზე გაუმჯობესდა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და COVID-19-თან დაკავშირებული უსაფრთხოების ნორმები. სააგენტოს შესაბამისი სამმართველოები 24 საათის განმავლობაში აკვირდებოდნენ მიმდინარე პროცესებს;
- ✓ საგანგებო მდგომარეობის დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის სააგენტო ჩართული იყო გადაადგილებისათვის (მ.შ. კომენდანტის საათის დროს) საშვების გაცემის პროცესში. განხილული იქნა ათეულობით ათასი განაცხადი, საიდანაც დაკმაყოფილდა 3158 ბიზნესოპერატორის, 15 769 მოქალაქის და 10 414 სატრანსპორტო საშუალების მოთხოვნა საშვზე;
- ✓ სააგენტო, 80 ერთეული სპეციალიზებული ტექნიკით, მონაწილეობდა საკარანტინე ზონების, სასაზღვრო-გამშვები პუნქტებისა და ქალაქების სადეზინფექციო სამუშაოებში;
- ✓ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, 21 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით განხორციელდა 2290 ინსპექტირება (1364 გეგმური, 146 არაგეგმური). გაცემული მითითებების შესრულება გადამოწმდა 780 ბიზნესოპერატორთან, დოკუმენტურად შემოწმდა 1251 ბიზნესოპერატორი, ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებულია სხვადასხვა დასახელების სურსათის 53 ნიმუში. ზედამხედველობა განხორციელდა 50 ბიზნესოპერატორთან. შედეგად, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ შესაბამისად, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლინდა 518 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

- ✓ სვანეთის რეგიონში, COVID-19-თან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს სააგენტოს ინსპექტორებმა მონიტორინგი განახორციელეს 522 ობიექტში;
- ✓ ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში გამოცხადებული კარანტინის მიუხედავად, სააგენტოს ვეტერინარები შეუფერხებლად ატარებდნენ ვეტერინარულ ღონისძიებებს, მათ შორის, „კარდაკარის“ პრინციპით ცხოველების ვაქცინაციას სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა ინფექციურ დაავადებაზე, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის დამუშავებას ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებზე გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგოდ.

## სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობის მოთხოვნებისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, 2020 წელს განხორციელდა **23 403** სახელმწიფო კონტროლი:

- **13 916** ინსპექტირება (გეგმური **6433**; არაგეგმური **699**; გადამოწმება **6784**); შემოწმდა ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები; რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების, თევზისა და თევზპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, პურისა და პურ-ფუნთუშეულის საწარმოები; საზოგადოებრივი კვების (რესტორანი, მზა კერძები, საშაურმე, სწრაფი კვება) ობიექტები; საბავშვო ბაგა-ბაღის და სკოლის სამზარეულოები; სასურსათო მაღაზიები და მარკეტები; სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები; თხილის გადამამუშავებელი საწარმოები და ა.შ.;
- მონიტორინგის ფარგლებში ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია **4562 ნიმუში**;
- **4478 დოკუმენტური შემოწმება** სხვადასხვა პროფილის ბიზნესოპერატორთან;
- **447 ზედამხედველობა** (ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება კანონმდებლობის მოთხოვნასთან შეუსაბამო სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზარზე უკვე განთავსებულის ამოღება/გამოთხოვაზე, სააგენტოს მიერ გაცემული მითითებების შესრულებასა და სურსათის განადგურებაზე);
- გამოვლინდა **2285** ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
- 189 ბიზნესოპერატორს მიენიჭა აღიარება ან პირობითი აღიარება.

2020 წელს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტში შემოვიდა 835 შეტყობინება (მათ შორის, სავარაუდო სურსათისმიერი ინტოქსიკაციის შესახებ), ასევე, ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის (DG SANTE) ევროპის კომისიის RASFF-ის სწრაფი განგაშის სისტემით - 19 შეტყობინება, რომელზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

სურსათის უვნებლობის დეპარტამენტი იმპორტირებული სურსათის კონტროლთან დაკავშირებით თანამშრომლობს შემოსავლების სამსახურის სასაზღვრო დეპარტამენტთან. იმპორტირებულ ტვირთში საღმონელას აღმოჩენაზე წარმოებს შესაბამისი ელექტრონული ბაზა/რეესტრი. საბაჟოზე აღებული ნიმუშების საფუძველზე, დარღვევის შემთხვევაში ხორციელდება დაბინძურებული (მიკრობიოლოგიური, ქიმიური) სურსათის რისკების მართვა და მის ამოღება/გამოთხოვა/გადამუშავება/განადგურებაზე ზედამხედველობა;

ბიზნესოპერატორის განცხადების საფუძველზე, ოპერატიულად იქნა განხილული ჰიგიენური სერტიფიკატების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია. მომზადდა და გაიცა **1506** ჰიგიენური სერტიფიკატი; სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის (ინსპექტირება) შედეგების საფუძველზე გაიცა შესაბამისობის შეფასების **69** სერტიფიკატი; აღიარების **21** სერტიფიკატი; ცხოველური წარმოშობის სურსათის ექსპორტისათვის **318** ვეტერინარული სერტიფიკატი. გაცემული ვეტსერტიფიკატები გადანაწილდა შემდეგნაირად: ხორცი და ხორცპროდუქტები - 134; რძე და რძის პროდუქტები - 19; თევზი და ზღვის პროდუქტები - 78; თაფლი - 10; სხვა - 77. უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა 237 კონსულტაცია.

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპებსა და დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც ძალაში 2021 წლის 1 იანვრიდან შევიდა, გაიმართა შეხვედრები ბიზნესსექტორთან, მათ შორის რეგიონებში.

სურსათის უვნებლობის დეპარტამენტმა WHO-სა და FAO-ს გაიდლაინებზე დაყრდნობით, შეიმუშავა რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტთან და ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა ის რეკომენდაციები, რომლის შესრულების უზრუნველყოფა დაეკისრათ ბიზნესოპერატორებს;

სააგენტოს ინსპექტორებისთვის შემუშავდა გზამკვლევები, რომლებშიც ეტაპობრივად გაწერილია ზოგადი რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის;

ბიზნესოპერატორებს დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ გაეწიათ კონსულტაციები (სატელეფონო, ონლაინ).

## ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა

ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებისა და კონტროლის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

**ცხოველთა ვაქცინაცია:**



- თურქულის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებულია **2 147 939** სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი, მათ შორის: **878 802** სული მსხვილფეხა და **1 269 137** სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხის საწინააღმდეგოდ - **1 142 649** სული ცხოველი, მათ შორის: **441 107** სული მსხვილფეხა, **697 129** სული წვრილფეხა პირუტყვი და **4 413** სული კენტჩლიქიანი ცხოველი;
- ცოფის საწინააღმდეგოდ - **279 310** სული ძაღლი და კატა;
- მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ - **380 249** სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- მსხვილფეხა პირუტყვის ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ - **128 477** სული პირუტყვი;
- წვრილფეხა პირუტყვის ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ - **82 219** სული პირუტყვი;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგოდ - **267 554** სული წრპ;
- წვრილფეხა პირუტყვის ყვავილის საწინააღმდეგოდ - **1050** სული წრპ

(ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (OIE) დადებითად შეაფასა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ცოფის საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებები და ხაზგასმით აღნიშნა მიღწეული პროგრესი (<https://rr-europe.oie.int/en/news/rabies-control-in-georgia/>)

#### სერომონიტორინგი:

- ბრუცელოზის პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 300 ნიმუში;
- ცოფზე პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა – 100 ნიმუში;
- თურქულის არასტრუქტურული პროტეინის (NSP ანტისხეული) აღმოჩენა – 4,000 ნიმუში;
- თურქულის სტრუქტურული პროტეინის (SP ანტისხეული) აღმოჩენა – 500 ნიმუში;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის დაავადების/პოსტვაქცინალური ანტისხეულების აღმოჩენა - 100 ნიმუში;
- ცხვრის კატარალური ცხელება ანტისხეულის აღმოჩენა - 500 ნიმუში;
- ტუბერკულოზზე გამოკვლეულია (ტუბერკულინიზაცია) **10 100** სული მრპ.

#### დამუშავება:

- ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების საწინააღმდეგოდ ეპიდემიოლოგიურ კერებში ინსექტოკარციდული პრეპარატით დამუშავდა **7 490** სული მსხვილფეხა პირუტყვი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, დარიგდა 10 000 ცალი საინფორმაციო ბუკლეტი; სოფლებში, თვალსაჩინო ადგილებზე განთავსდა საინფორმაციო პოსტერები.

#### ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლის, აღრიცხვიანობის, მიკვლევადობის უზრუნველყოფის, ასევე, ეტიკეტირებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარეობს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, რაც პირუტყვის ვაქცინაციის თანმდევი პროცესია.

- 2020 წელს იდენტიფიცირებულია **408 416** სული მსხვილფეხა, **209 162** სული წვრილფეხა პირუტყვი და 3 091 სული ღორი;
- ვეტერინარიის დეპარტამენტის ჩართულობითა და ზედამხედველობით რეგიონულ სამმართველოებს გადაეცათ იდენტიფიკაციის საშუალებები და დამხმარე ინვენტარი;
- FAO-ს მხარდაჭერით 2021 წლისათვის დაიგეგმა წვრილფეხა პირუტყვის RFID საყურეების საპილოტე პროექტის განხორციელება სამიხნე მუნიციპალიტეტში;
- შემუშავდა ფუტკრისა და საფუტკრე მეურნეობების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის წესის პროექტი, რომელიც სააგენტოს სამუშაო ჯგუფმა დაინტერესებულ მხარეებს გააცნო.

### ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია და კონტროლი

სარეგისტრაციოდ შემოვიდა **313** ვეტერინარული პრეპარატი. რეგისტრაციაში გატარდა **275** ვეტპრეპარატი.

**2020** წელს:

- ✓ ხარისხის მონიტორინგის მიზნით, შესყიდული და ლაბორატორიულად გამოკვლეულია **188** ვეტერინარული პრეპარატი. შემოსული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა **25** არაგეგმური ინსპექტირება. დაჯარიმდა **12** ბიზნესოპერატორი;
- ✓ სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე **450** ობიექტზე (ვეტკლინიკები, აფთიაქები, ცხოველთა თავშესაფრები, ზოომაღაზია);
- ✓ განხორციელდა ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის (ცხოველთა თავშესაფარი) საქმიანობის განმანხორციელებელი 7 სამსახურის შემოწმება და რეგისტრაცია;
- ✓ ცოცხალ ცხოველებში აკრძალული ნივთიერებებისა და მათი ნარჩენების ლაბორატორიული კვლევის მიზნით 295 ცხოველიდან აღებული და გამოკვლეულია ბიოლოგიური სითხეებისა და ქსოვილების 790 ნიმუში;
- ✓ შინაური ბინადარი ცხოველის, ცხოველური წარმოშობის გადამუშავებული საკვების ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია 5 ნიმუში;
- ✓ წყალსა და თევზში აკრძალული ნივთიერებების (მალაქიტის მწვანეს და ლეიკომალაქიტის მწვანეს) გამოკვლევის მიზნით აღებული და გამოკვლეულია 11 და თევზის 87 ნიმუში.

### ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობა

ცხოველთა ჯანმრთელობასა და სეზონურ სამოვრებზე გადაადგილებაზე კონტროლის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ვეტერინარული ზედამხედველობის (ბიოუსაფრთხოების) პუნქტების ფუნქციონირება. ქვეყნის მასშტაბით დღეისათვის ფუნქციონირებს 6 პუნქტი (3 ქვემო ქართლისა და 3 კახეთის რეგიონში), სადაც 2020 წელს ინსექტოაკარიციდული პრეპარატებით დამუშავდა 801 307 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

ვეტერინარული ზედამხედველობა დაწესდა ადამიანის დამკბენ **22 445** სულ ცხოველზე.

### ექსპორტი

სააგენტოს ინსპექტორების მიერ ცოცხალ ცხოველებსა და ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ტვირთზე საექსპორტოდ გაიცა: **3 558** ვეტერინარული სერტიფიკატი.

**2020 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია:**

- ✓ **75 335** სული მსხვილფეხა და **189 463** სული წვრილფეხა პირუტყვი
- ✓ **5 488 460** ერთდღიანი წიწილა;
- ✓ **8 097 320** ცალი საინკუბაციო კვერცხი;
- ✓ **98 933** კგ ტყავი;
- ✓ **663 005** კგ მატყლი;
- ✓ **64 804 716** კგ. სხვა ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ტვირთი.

## ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა

სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ზიანის შემცირების მიზნით, 2020 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტმა მასშტაბური ღონისძიებები ჩაატარა. მცენარეთა განსაკუთრებით საშიში მავნებლის კალიის საწინააღმდეგოდ დამუშავდა **80 352** ჰა ფართობი, მდელს ფარვანას საწინააღმდეგოდ - 3900 ჰექტარი ფართობი; საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 ივნისის N931 განკარგულების შესაბამისად, კახეთის რეგიონში, ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების (კოლოების) საწინააღმდეგოდ სააგენტოს სპეციალური ტექნიკით დამუშავდა **17 280** ჰექტარი ფართობი.

### აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ განხორციელებული ღონისძიებები

COVID-19 ით გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ ღონისძიებები შეუფერხებლად და გეგმის მიხედვით ჩატარდა.

- მავნებლის გავრცელების არეალის, მისი განვითარების ფაზების, პოპულაციის რიცხოვნობის დინამიკის და ღონისძიებების ჩატარების ვადების დადგენის მიზნით, 2020 წლის გაზაფხულიდან განთავსდა **6079** ცალი მონიტორინგის ფერომონიანი დამჭერი; ღონისძიებების დაწყების ვადები და ჩატარების ადგილები მიღებული შედეგების საფუძველზე განისაზღვრა;
- აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ ღონისძიებები სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შესაბამისი გარემოსდაცვითი ნორმებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით ჩაატარა.

დასავლეთ საქართველოში 33 მუნიციპალიტეტის 471 ადმინისტრაციულ ერთეულში დამუშავდა 325 700 ჰექტრამდე ფართობი.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად შემცირდა მავნებლის პოპულაციის რიცხოვნობა; მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის ექსპორტი. 2020 წლის 1 აგვისტოდან 27 დეკემბრამდე პერიოდში ექსპორტირებულია 13.8 ათასი ტონა თხილი, რომლის ღირებულებაც 70.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და 4.0 ათასი ტონით (41%) აღემატება 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელებული ექსპორტის მოცულობას.

### **პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი**

2020 წელს, ქვეპროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა“ ფარგლებში შემოწმდა 500 მდე სარეალიზაციო ობიექტი. ქვეყნის მასშტაბით აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეულია პესტიციდის 332 და აგროქიმიკატის 50 ნიმუში.

### **მცენარეთა მავნე ორგანიზმების (მათ შორის საკარანტინო და არასაკარანტინო) ზედამხედველობა და მონიტორინგი**

განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიზნით, ენტომოლოგიური გამოკვლევებისათვის ქვეყნის მასშტაბით განთავსდა **1194** ცალი მწერსაჭერი.

მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკისათვის ლაბორატორიული გამოკვლევა - ანალიზი (ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური) ჩატარდა **1667** ნიმუშს.

ლაბორატორიული კვლევების შედეგად გამოვლინდა შემდეგი საკარანტინო მავნე ორგანიზმები:

1. ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე *Erwinia amylovora* – 1 (რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი);
2. ხენდროს კუთხოვანი ლაქიანობა - *Xanthomonas fragariae* – 5 (კახეთი - 4; ქვემო ქართლი-1);
3. ვაზის ბაქტერიული ჭკნობა - *Xylophylus ampelinus* - 3 (კახეთი - 2; რაჭა- ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი -1);
4. კარტოფილის ოქროსფერი ნემატოდა - *Globodera rostochiensis* - 1 (ქვემო ქართლი - 1).

**ფიტოსანიტარიული ექსპორტის სერტიფიცირება**

2020 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამმართველოების მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მიერ მცენარეული წარმოშობის პროდუქციაზე გაცემულია:

**11 974** ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, მათ შორის, **11 863** ექსპორტის და **111** რეექსპორტის.

ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ჩაუტარდა და გაცემული სერტიფიკატების საფუძველზე საქართველოდან ექსპორტირებულია **132 737** ტონა მცენარეული პროდუქცია, მათ შორის:

- ✓ თხილი - **14 663** ტონა;
- ✓ დაფნა - **5257** ტონა;
- ✓ ვაშლატამა - **14075** ტონა;
- ✓ ატამი - **8239** ტონა;
- ✓ ვაშლი - **9413** ტონა;
- ✓ სხვა ხილი - **2549** ტონა;
- ✓ ხურმა - **7343** ტონა;
- ✓ ბოსტნეული - **627** ტონა;
- ✓ პომიდორი - **1382** ტონა;
- ✓ კარტოფილი - **1426** ტონა;
- ✓ მწვანელი - **2502** ტონა;
- ✓ მანდარინი - **54 766** ტონა;
- ✓ ჩაი - **1042** ტონა;
- ✓ ხე-მასალა - **29880,355** მ<sup>3</sup>;

### პესტიციდების და აგროქიმიკატების რეგისტრაცია

მიმდინარეობს 291 პესტიციდის რეგისტრაცია (მ.შ. 47 განაცხადი შემოტანილია 2019 წელს). ექსპერტიზის საფუძველზე რეგისტრაციას გადის 252 პრეპარატი:

დარეგისტრირდა 213 პრეპარატი (მ.შ. 8 ახალი მოქმედი ნივთიერება და კომბინირებული პრეპარატული ფორმა). მიმდინარეობს 262 აგროქიმიკატის რეგისტრაციის პროცესი.

2015-2020 წ.წ. ევროკავშირის რეგულაცია 1107/2009 შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით, ამოღებულია 38 მოქმედი ნივთიერება (96 პესტიციდი).

2019 წელს გადაიხედა პესტიციდების ასორტიმენტი და დარეგისტრირდა ეფექტური, ადამიანისა და გარემოსათვის ნაკლებად საშიში პესტიციდები. მომზადდა და გამოქვეყნდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 იანვრის # 2-29 ბრძანება „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნული კატალოგი მნიშვნელოვანია ფერმერებისათვის, ვინაიდან მასში მოცემულია პესტიციდების გამოყენების რეგლამენტები, ასევე ჰიგიენური და ეკოლოგიური ნორმატივები. კატალოგი წარმოადგენს ასევე ეფექტურ ინსტრუმენტს მაკონტროლებელი ორგანოებისათვის.

# სურსათის ეროვნული სააგენტო

2021 წელი

## სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობის მოთხოვნებისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, 2021 წლის მაისის მონაცემებით, განხორციელდა:

- 6114 ინსპექტირება (გეგმური 3758, არაგეგმური - 149, არაგეგმური (აღიარება) 96, გადამოწმება 2111; ინსპექტირებებისას გამოვლინდა 295 კრიტიკული შეუსაბამობა.

შემოწმდა ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები; რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების, თევზისა და თევზპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, პურისა და პურ-ფუნთუშეულის საწარმოები; საზოგადოებრივი კვების (რესტორანი, მზა კერძები, საშაურმე, სწრაფი კვება) ობიექტები; საბავშვო ბაგა-ბაღის და სკოლის სამზარეულოები; სასურსათო მაღაზიები და მარკეტები; სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები და ა.შ.;

- მონიტორინგის ფარგლებში ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია 508 ნიმუში;
- 3050 დოკუმენტური შემოწმება სხვადასხვა პროფილის ბიზნესოპერატორთან;
- 75 ზედამხედველობა (ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება კანონმდებლობის მოთხოვნასთან შეუსაბამო სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზარზე უკვე განთავსებულის ამოღება/გამოთხოვაზე, სააგენტოს მიერ გაცემული მითითებების შესრულებასა და სურსათის განადგურებაზე);
- გამოვლინდა 833 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

## ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა

ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებისა და კონტროლის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- თურქეთის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებულია **97 674** სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი, მათ შორის: **74 003** სული მსხვილფეხა და **23 671** სული წვრილფეხა პირუტყვი;

- ჯილხის საწინააღმდეგოდ - **63 076** სული ცხოველი, მათ შორის: **44 581** სული მსხვილფეხა, **18 432** სული წვრილფეხა პირუტყვი და **163** სული კენტკლიქიანი ცხოველი;
- ცოფის საწინააღმდეგოდ - **17 375** სული ძაღლი და კატა;
- მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ - **6 114** სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- მსხვილფეხა პირუტყვის ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ - **11 834** სული პირუტყვი;
- წვრილფეხა პირუტყვის ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ - **100** სული პირუტყვი;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგოდ - **431 882** სული წრპ;

### ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლის, აღრიცხვიანობის, მიკვლევადობის უზრუნველყოფის, ასევე, ეტიკეტირებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარეობს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, რაც პირუტყვის ვაქცინაციის თანმდევი პროცესია.

- იდენტიფიცირებულია **34 208** სული მსხვილფეხა, **10 815** სული წვრილფეხა პირუტყვი.
- ჩატარდა ტრენინგები იდენტიფიკაცია რეგისტრაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში მომუშავე პერსონალისათვის.

### ვეტერინარული კონტროლი

სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე 235 ობიექტზე (ვეტკლინიკები, აფთიაქები, საზღვაო თევზჭერა, ზეთებისა და ცხიმების წარმოება, გადამუშავება და დაკონსერვება, ცხოველთა თავშესაფრები, მეფრინველეობის ფერმა, საკალმახე, ზოომაღაზია);

### ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობა

ცხოველთა ჯანმრთელობასა და სეზონურ საძოვრებზე გადაადგილებაზე კონტროლის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ვეტერინარული ზედამხედველობის (ბიოუსაფრთხოების) პუნქტების ფუნქციონირება. ქვეყნის მასშტაბით დღეისათვის ფუნქციონირებს 7 პუნქტი (დედოფლისწყარო, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, დუშეთი/ქუბრიანთკარი), სადაც განთავსებულია პირუტყვის სადეზინსექციო-გასაბანი აუზები, სადეზინსექციო საშხაპეები, წყლის რეზერვუარები, საწყობი, ვეტპუნქტი. ცხოველთა დამუშავებისას გამოიყენება მაღალი სტანდარტების ინსექტოაკარიციდული პრეპარატები.



## ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა

სურსათის ეროვნული სააგენტო აღმოსავლეთ საქართველოში კალიის საწინააღმდეგო წამლობას სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, ყოველწლიურად ახორციელებს. დღეისათვის კახეთისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში 1200 ჰექტარი ფართობია დამუშავებული.

მავნებლის განვითარების ადრეულ ეტაპზე ჩატარებული ღონისძიებები მნიშვნელოვანია მათი პოპულაციის შესამცირებლად, რაც მწვანე საფარის შენარჩუნების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვისა და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილების წინაპირობაა.

მონიტორინგისა და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით ყოველწლიურად ტარდება ტრანსსასაზღვრო კვლევები საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მონაწილეობით.

დასავლეთ საქართველოში გრძელდება აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

მობილიზებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალიზებული ტექნიკა და სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მონიტორინგს და მავნებლის კონტროლის ღონისძიებებს უსაფრთხოების წესების დაცვით ატარებენ.

იმ ტერიტორიაზე, სადაც მონიტორინგის შედეგად მავნებლის დიდი კონცენტრაცია დაფიქსირდა, ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის ჯგუფები „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურების მეშვეობით წერტილოვან შეწამვლას ახორციელებენ. დასავლეთ საქართველოში - სამეგრელოს, იმერეთის, გურიის, რაჭის რეგიონებსა და აჭარაში 2500-ზე მეტი ფერომონიანი დამჭერი და 2300-ზე მეტი „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგური დამონტაჟდა; საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა მეთხილე ფერმერებსა და მეფუტკრეებთან.

თხილის კულტურის დასაცავად ტარდება კომპლექსური სამუშაოები, რომელშიც მეთხილე ფერმერებიც არიან ჩართულნი.

ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრი, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობებთან; ღონისძიებები მათთან კოორდინაციით იგეგმება.

#3-733

19 მაისი 2021

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

თემა: სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის პროგრამები და მათი ანგარიშები

გთხოვთ მოგვანდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის ანგარიში;
- სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის ანგარიში;
- სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის ანგარიში;
- სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2019, 2020 და 2021 წლის პროგრამები და მათი ანგარიშები.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პასუხი გამოქვეყნდება [asocireba.ge](http://asocireba.ge) ვებ-გვერდზე და გამოყენებული იქნება საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის.

პატივისცემით

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი



საკონტაქტო პირი: ლია თოდუა, მობ: 599577959, ელ-ფოსტა: [liatodua@csrdg.ge](mailto:liatodua@csrdg.ge)

